კურტ ვონეგუტი

სარწეველა ფისოსათვის

დოქტორი ფელიქს ჰონიკერი, ატომური ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი, მთლიანად სამეცნიერო კვლევა-ძიებაშია ჩაფლული და მისი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენების დამღუპველი შედეგები ნაკლებად აღელვებს. იგი ერთი მეტად სახიფათო გამოგონების ავტორია, რომელსაც „ყინული-9“ ჰქვია. „ყინული-9“ მსოფლიო ოკეანესთან დაკავშირებულ ნებისმიერ მდინარესა თუ ნაკადულში მოხვედრისას წყალს ყინულად აქცევს და საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს დედამიწაზე. ეს გამოგონება ჰონიკერის მემკვიდრეთა ხელში ხვდება, მათ კი ანგარება ამოძრავებთ...

კენეთ ლითაუერს –
კაცს ქველსა და კეთილშობილს

ამ წიგნში სიმართლის მისხალს ვერ ნახავ.

„*ფოომას* – იმ უვნებელ ტყუილს მისდიე,
რაც სამომავლოდ კეთილს, მამაცს,
ჯანმრთელსა და ბედნიერს გაგხდის“.

ბოკონონის წიგნები, 1:5

შინაარსი

1. სამყაროს აღსასრული 17
2. რაც კარგია, კარგია 19
3. სიბეცე 21
4. დაახლოების მცდელობა 23
5. სტუდენტ-მედიკოსის წერილი 26
6. ხოჭოების დაკა-დაკა 31
7. ჰონიკერთა სახელოვანი მოდგმა 36
8. ნიუტისა და ზინკას სიყვარულობანა 38
9. ვულკანებზე პასუხისმგებელი ვიცე-პრეზიდენტი 40
10. საიდუმლო აგენტი X-9 42
11. პროტეინი 45
12. ბოლო სიამოვნება 47
13. ადგილი იგი შესაკრებელი 49
14. ავტომობილი, სიგარა და ყვავილები 52
15. შობას გილოცავთ! 55
16. უკან – საბავშვო ბაღისაკენ! 59
17. საქათმე 61
18. ღირებულზე ღირებული რამ 63
19. გვეყო ტალახის ზელა! 66
20. ყინული-9 69
21. წინ, საზღვაო ქვეითებო! 72
22. ყვითელი პრესის წარმომადგენელი 73
23. გამომცხვარი ქადა 75
24. მაინც რა არის ვამპიტერი? 77
25. მთავარი რამ დოქტორ ჰონიკერის თაობაზე 79
26. რაი არს უფალი? 81
27. ადამიანი მარსიდან 82
28. მაიონეზი 85
29. ხსოვნა სამარადისო 88
30. მხოლოდ სძინავს 90

31. კიდევ ერთი, ბრიდების საგვარეულოდან 92
32. ფული და დინამიტი 94
33. უმადური კაცი 96
34. ვინ-დიტი 99
35. სათამაშოების მაღაზია 104
36. მიაუ! 108
37. ჩვენი დროის გენერალ-მაიორი 110
38. სპორტსმენ-მეთევზეთა სამოთხე 112
39. ფატა-მორგანა, ზმანება ავი 114
40. იმედისა და წყალობის სავანე 116
41. ორის კარასი 118
42. ველოსიპედები ავღანეთისათვის 121
43. სამაგალითო სასჯელი 125
44. კომუნისტების დამქაშები 129
45. რატომ სძულთ ამერიკელები 131
46. ბოკონონს ბოკონონისა და კეისარს კეისრისა 133
47. გაუნელებელი დაძაბულობა 135
48. როგორც ნეტარი ავგუსტინე 137
49. ბრაზიანი ტალღების მიერ ამონთხეული თევზი 139
50. ძაან საყვარელი ჯუჯა 144
51. კარგი, დედილო! 146
52. სრულიად უწვალებლად 150
53. „ფაბრი-ტეკის“ პრეზიდენტი 153
54. კომუნისტები, ნაცისტები, როიალისტები,
პარაშუტისტები და დეზერტირები 156
55. თავად არასდროს შეადგინოთ საკუთარი წიგნის საძიებელი .. 158
56. პალოზე დაბმული სახედარი 162
57. ხელიდან ხელში 165
58. ტირანია, ოღონდ ზომიერად 168
59. ღვედები შეიკარით! 170
60. ჩაგრული ერი 174
61. გზაგასაყარი 176
62. რატომ არ ეშინოდა ჰეიზელს 178
63. ღვთისმოშიში და თამამი 180
64. სრული ნეტარება 182

65. კარგ დროს ჩამოვსულვართ 185
66. ქვეყნად უდიადესი 189
67. „ღაუჟი გვინზა აღლა ზვეენ?!“ 192
68. „აზი მაარზვილი“ 194
69. მოზაიკა 195
70. ბოკონონის ნამოწაფარი 198
71. ერთი ბედნიერებაა ეს ამერიკელობა! 200
72. ახვრების „ჰილტონი“ 202
73. შავი სიკვდილი 205
74. სარწეველა ფისოსათვის 209
75. ალბერტ შვაიცერი მომიკითხეთ! 213
76. ჯულიან კასლიც ეთანხმება ნიუტს –
ქვეყნად ყველაფერი უაზრობაა 215
77. ასპირინი და *ბოკო-მარუ* 218
78. ურღვევი რკალი 221
79. რამ გაუხევა სული მაკქეიბს 224
80. ცხაურიანი ჩანჩქერი 227
81. საძილე ვაგონის გამცილებლის ვაჟის საბედო 231
82. ბედ-დიჰ-ცეჰ-რაჰ 235
83. დოქტორი შლიხტერ ფონ კონიგსვალდიც
ჩემი *კარასის* წევრი ხდება 237
84. სრული უკუნეთი 240
85. ფოომაა, აბა რა! 243
86. ორი მომცრო ჭურჭელი 246
87. ახლა „მისიანიც“ გავმხდარვარ 249
88. თავად ფრენკს რატომ არ შეეძლო პრეზიდენტობა 253
89. ფაფუ 255
90. ერთადერთი თავსატეხი 258
91. მონა 260
92. მგოსანი ქებას აღუვლენს მის პირველ ბოკო-მარუს 263
93. კინაღამ დავკარგე ჩემი საბედო 264
94. ყველაზე მაღალი მთა 268
95. ესეც თქვენი კაუჭი! 270
96. ზარი, წიგნი და წიწილა მუყაოს ყუთში 272
97. აქოთებული ღვთისმსახური 275

98. წესის აგება 278
99. ღიმირითმა შექმნა თისა 280
100. ფრენკი ჯურღმულში შთაინთქა 283
101. წინამორბედთა მსგავსად, ბოკონონს
მეც კანონგარეშე ვაცხადებ 286
102. თავისუფლების მტრები 288
103. სამედიცინო დასკვნა მწერალთა გაფიცვის
შედეგების თაობაზე 292
104. სულფატიაზოლი 295
105. ტკივილგამაყუჩებელი 298
106. თვითმკვლელ ბოკონონისტთა სავალდებულო ბოლო სიტყვა ..301
107. ეს გინდოდათ?! 303
108. ფრენკი გვეუბნება, რა უნდა ვქნათ 305
109. ფრენკი თავს იცავს 307
110. წიგნი მეთოთხმეტე 309
111. დრო ამოიწურა 311
112. ნიუტის დედის ხელჩანთა 314
113. ისტორია 316
114. „როცა გულში ტყვია დამეძგერა...“ 318
115. მოხდა ისე... 322
116. ტყლუმპ! 326
117. თავშესაფარი 328
118. რკინის პატარძალი და ქვის ტომარა 330
119. მონა მადლობას მეუბნება 334
120. ყველას, ვისაც კი ეს ეხება 338
121. ჩემგან სწრაფ პასუხს ნუ ელით 341
122. რობინზონების ოჯახი 343
123. ამბავი კაცთა და თაგვთა 345
124. ფრენკის ჭიანჭველების საბუდარი 348
125. ტასმანიელები 351
126. საყვირები მოგუდეთ, ოღონდ არ გააჩუმოთ! 354
127. დასასრული 357

სარწეველა ფისოსათვის

I

სამყაროს აღსასრული

ვნებავთ, იონა დამიძახეთ. ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს ასე – უფრო სწორად, ლამის იყო, ასე გადაწყვიტეს. ბოლოს კი სულაც ჯონი დამარქვეს.

იონა... ჯონი... ის კი არა, სულაც სემი რომ მრქმეოდა, მაინც ხომ იონა ვიქნებოდი – არა იმიტომ, ბიბლიური სეხნიასავით უიღბლობა რომ დამებედა, არამედ იმის გამოისობით, ვიღაც თუ რაღაც ძალა რომ ხან სად ამომაყოფინებდა ხოლმე თავს და ხან – სად. არადა, მიზანიცა და საშუალებაც – უცნაური თუ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი – თითქოსდა თავისთავად ჩნდებოდა: რაღაც ზეგარდმო ჩანაფიქრის თანახმად, ეს თქვენი მონა-მორჩილი იონა სწორედ იქ და იმწამს აღმოჩნდებოდა ხოლმე, სადაც გაემწესებინათ.

აბა ერთი, ყური დამიგდეთ.

ახალგაზრდობისას, ორი ცოლის გაშვებამდე, 250 000 ღერი სიგარეტის მოწევამდე, 3 000 კვარტი სასმლის მიღებამდე – მოკლედ, როცა ბევრად უფრო ჯეელი გახლდით, მასალის შეგროვებას შევუდექი ერთი წიგნისთვის, რომლის სათაურად „სამყაროს აღსასრული“ მქონდა შერჩეული.

წიგნი მომხდარ ამბავს უნდა დაფუძნებოდა.

ანუ იმის ერთგვარი ანგარიში უნდა ყოფილიყო, თუ რა მოიმოქმედეს ცნობადსახიანმა ამერიკელებმა იმ დღეს, როცა პირველი ატომური ბომბი იაპონიის ქალაქ ჰიროშიმას დაეცა.

ჩანაფიქრით, ქრისტიანული წიგნი უნდა დამეწერა – იმხანად ხომ თავადაც ქრისტიანი გახლდით.

ახლა უკვე ბოკონონის მიმდევარი ვარ.

სხვათა შორის, ალბათ მაშინაც ბოკონონისტი ვიქნებოდი, ვინმე რომ გამომჩენოდა ისეთი, ვინც მის ტკბილ-მწარე ლათაიებს მაზიარებდა. ოღონდ ამ მოძღვრებას მაშინ მხოლოდ ქვიშიანი ნაპირებითა და მარჯნის რიფებით შემოსაზღვრულ, კარიბის ზღვის იმ პაწია კუნძულზე იცნობდნენ, სან-ლორენცოს რესპუბლიკად რომ იწოდებოდა.

ჩვენ, ბოკონონის მიმდევრებს, გვწამს, რომ მთელი კაცობრიობა გუნდ-გუნდადაა დანაწევრებული, ხოლო ეს გუნდები ისე აღასრულებენ უზენაესის ნებას, წარმოდგენაც კი არა აქვთ, რას სჩადიან. ბოკონონი ყოველ ამგვარ გუნდს *კარასს* უწოდებს, ხოლო საშუალება, ანუ *კან-კანი,* რამაც პირადად მე ჩემთვის განსაზღვრული *კარასი* მაპოვნინა, სწორედ ის დაუმთავრებელი წიგნი აღმოჩნდა, სავარაუდო სათაურით „სამყაროს აღსასრული“.

2

რაც კარგია, კარგია...

„Მუკი აღმოჩნდა, რომ რაიმე გონივრული დასაბუთების გარეშე, თქვენი სიცოცხლე ვინმე სხვისას გადაეჯაჭვა, – წერს ბოკონონი, – ის ადამიანი, სავარაუდოდ, სწორედ თქვენივე *კარასის* წევრია“.

მისსავე წიგნებში, ოღონდ უკვე სხვაგან, ასეთი რამეცაა ნათქვამი: „ადამიანმა ჭადრაკის დაფა შექმნა, ღმერთმა კი – *კარასი*“. იგულისხმება, რომ *კარასისთვის* არ არსებობს ეროვნული, ინსტიტუციური, ოჯახური თუ კლასობრივი საზღვრები.

ის ამებასავით ამორფულია.

ორმოცდამეცამეტე *კალიფსოში* ბოკონონი გვთავაზობს, ამ სიმღერაში ავყვეთ:

რაც კარგია, კარგია!
ლოთია თუ ლორდია,
ბოზია თუ ქურდია,
მეეტლე თუ თერძია –
ერთი ქვაბის კერძია;

და რაც უფრო ჭრელია,
კიდე უკეთესია.
ყველა ერთად ვიხარშებით –
აქ ეგეთი წესია.
რაც კარგია, კარგია!

3
სიბეცე

მავად ბოკონონი არსად გვაფრთხილებს იმ ხალხის თაობაზე, ვინც საკუთარი *კარასის* საზღვრების დადგენას და უფლის ნების ამოცნობას ცდილობს. ის, უბრალოდ, შენიშნავს, მსგავსი მცდელობა იმთავითვე განწირულიაო.

ბოკონონის წიგნთა ავტობიოგრაფიულ ნაწილში ერთ იგავსაც ამოიკითხავთ მავანის განზრახვაზე, რაიმე მაინც ამოეცნო, რაიმეს მიმხვდარიყო...

> „როდ-აილენდზე, ნიუპორტში, ევანგელისტური მრევლის წევრი, ერთი ჩემი ნაცნობი ქალბატონი სახლობდა, რომელმაც მთხოვა, მისი დანიური დოგისთვის სადგომი დამეპროექტებინა და ბარემ ამეშენებინა კიდეც. როგორც თავად სწამდა, ზედმიწევნით ესმოდა ღვთის ნებაცა და მისი დადგენილი უზადო წესრიგის რაობაც. ვერაფრით მიმხვდარიყო, როგორ შეიძლებოდა ვინმეს თავსატეხი გასჩენოდა აწ გარდასულის ან თუნდაც მოსახდენის გამო.

და მაინც, როცა ძაღლის ხუხულას ჩემეული მონახაზები ვაჩვენე, ასე მითხრა:

– დიდი ბოდიში, მაგრამ ამ ნახაზების თავი-ბოლო ვერ გამირკვევია.

– თქვენს ქმარს აჩვენეთ. თქვენივე მოძღვრის მეშვეობით, ეგებ უფლის მზერამდეც მიგეტანათ. როცა ის დროს გამონახავს, დარწმუნებული ვარ, ჩემს ნაცოდვილარს ისე აგიხსნით, მასში სულ იოლად გაერკვევით, – ვუთხარი.

ულაპარაკოდ დამითხოვა. თუმცა ის ქალბატონი არასოდეს დამავიწყდება. ღრმად იყო დარწმუნებული, უფალს აფრიან ნავში მსხდომი ადამიანები უფრო უყვარს, ვიდრე – მოტორიან ნავში მსხდომებიო. ჭიაყელებს კი დასანახად ვერ იტანდა – თვალს მოჰკრავდა თუ არა, ერთ წიოკობას ატეხდა ხოლმე.

ბეცი იყო, და მეც ისეთივე სიბეცე მჭირს – მეც და ყველას, ვისაც ჰგონია, გზანი უფლისანი შევიცანიო (სწორედ ასე უწერია ბოკონონს).

4
დაახლოების მცდელობა

ასეა თუ ისე, განზრახული მაქვს, ამ წიგნში ჩემი *კარასის* რაც შეიძლება მეტი წევრი შემოვიყვანო და ასევე, მსურს, ძირის-ძირამდე გამოვიკვლიო ყველა ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რამაც აქამდე მოგვიყვანა.

სულაც არ ვაპირებ, ეს წიგნი ბოკონონიზმის ტრაქტატად ვაქციო; თუმცა კი ვისურვებდი, სწორედ ბოკონონის მიმდევართა გადასახედიდან შემოთავაზებულ გაფრთხილებად აღქმულიყო. თავად ბოკონონის წიგნები ასე იწყება:

„ყოველი ჭეშმარიტება, რომლის გაცხადებასაც თქვენთვის ვაპირებ, ყოვლად უსირცხვილო ტყუილი გახლავთ“.

მე კი, ბოკონონის რიგითი მიმდევარი, ჩემდათავად გაფრთხილებთ:

ნებისმიერი, ვისაც არ ძალუძს გააცნობიეროს, როგორ შეიძლება მართალი სწავლება სიცრუეს ემყარებოდეს, ამ წიგნს ვერც თავს გაუგებს და ვერც – ბოლოს.

ასეა ეს.

***

მოკლედ, ჩემი *კარასის* თაობაზე მოგახსენებდით:

მის შემადგენლობაში ნამდვილად შედის პირველი ატომური ბომბის ერთ-ერთი „მამის“, დოქტორ ფელიქს ჰონიკერის სამი ნაშიერი. თავად დოქტორი ჰონიკერიც უთუოდ ჩემი *კარასის* წევრი იქნებოდა, თუმცა მანამდე გარდაიცვალა, ვიდრე ჩემივე *სინუკასნი,* ანუ ცხოვრების სავალი გზანი, მისი შვილებისას გადაეხლართებოდა.

ამ გზასავალზე მის მემკვიდრეთაგან პირველს ნიუტონ ჰონიკერს გადავეყარე – სამი შვილიდან უმცროსს. ჩემი საძმოს, „დელტა-იფსილონის“ ყოველკვარტალური ალმანახიდან შევიტყვე, რომ ნიუტონ ჰონიკერი, ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, ფელიქს ჰონიკერის ვაჟიშვილი, კორნელის უნივერსიტეტში ამავე საძმოს წევრად მიეღოთ.

მეც ავდექი და ნიუტს ამგვარი წერილი მივწერე:

„ბატონო ჰონიკერ (ეგებ უკვე *ძმაო ჰონიკერ* უნდა დამეწერა?),

მე კორნელში „დელტა-იფსილონის“ წევრი ვიყავი, ამჟამად კი ცხოვრების სახსარს წერით ვშოულობ. ახლაც მასალას ვაგროვებ წიგნისათვის, რომელიც პირველ ატომურ ბომბს შეეხება. წიგნი მხოლოდ იმ მოვლენებით შემოიფარგლება, 1945 წლის 6 აგვისტოს – სწორედ იმ დღეს რომ მოხდა, როცა ჰიროშიმაში ხსენებული ბომბი ჩამოაგდეს.

რამდენადაც ცხონებული მამათქვენი საყოველთაოდაა მიჩნეული ატომური ბომბის ერთ-ერთ შემოქმედად, დიდად დამავალებდით, თუკი ცნობებს მომაწვდიდით იმის თაობაზე, თუ როგორ გაატარა მან აგვისტოს ის დღე საკუთარ ჭერქვეშ.

სამწუხაროდ, თქვენი სახელოვანი ოჯახის თაობაზე სასურველზე ნაკლები მსმენია – ასე მაგალითად, არც კი ვიცი,

გყავთ თუ არა ძმები ან დები; თუ გყავთ, ეგებ არ დაიზაროთ და მათი მისამართებიც შემატყობინოთ, რათა ამავე თხოვნით მათაც მივმართო.

ცხადია, ბომბის ჩამოგდების დღეს თქვენ მთლად უწლოვანი იქნებოდით. მით უკეთესი – განზრახული მაქვს, ატომური აფეთქების არა ტექნიკურ, არამედ ადამიანურ მხარეს გავუსვა ხაზი; ამდენად, მომიტევეთ და, ასე ვთქვათ, „ჩვილის“ თვალით აღქმული იმდღევანდელი ამბები ძალიან გამომადგებოდა.

სტილსა და ფორმაზე არ იდარდოთ. ეგ ყველაფერი მე მომანდეთ. თქვენ მხოლოდ ე. წ. „ჩონჩხი“ გამიმზადეთ და მერე მე ვიცი.

რა თქმა უნდა, საბოლოო ვარიანტს დაბეჭდვამდე გაჩვენებთ და შეგითანხმებთ.

ძმური მოკითხვით...“

5
სტუდენტ-მედიკოსის წერილი

ნიუტმა ასე მიპასუხა:

„დიდი ბოდიში, პასუხი რომ დაგიგვიანეთ. თქვენმა ჩანაფიქრმა ერთობ დამაინტერესა. ისე, ბომბის ჩამოგდებისას მართლა ისეთი პატარა გახლდით, არა მგონია, ჩემი მოგონებები რამეში გამოგადგეთ. აი, ჩემს უფროს და-ძმას კი, ალბათ, მართლა უნდა გაესაუბროთ. ჩემი და, ენჯელა ჰარისონ კონერსი, ინდიანის შტატში ცხოვრობს, ინდიანაპოლისში, მერიდიენ-სტრიტის 4918-ში. სხვათა შორის, ეს ახლა ჩემი მისამართიცაა. ვფიქრობ, დახმარებაზე უარს არ გეტყვით. რაც შეეხება ჩვენს ძმას, ფრენკს, მისი ადგილსამყოფელი არავინ უწყის: ორი წლის წინ, სწორედ მამის დაკრძალვის შემდეგ, გაუჩინარდა და მის შესახებ აღარაფერი გვსმენია. ვაითუ ცოცხალიც აღარაა...

როცა ჰიროშიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდეს, ექვსიოდე წლის ვიქნებოდი და მაშინდელ ამბებსაც მხოლოდ სხვათა მონაყოლით თუ აღვიდგენ.

ის კი მაგონდება, როგორ ვთამაშობდი სასტუმრო ოთახში დაფენილ ხალიჩაზე, მამაჩემის კაბინეტის კართან – მაშინ ილიუმში ვცხოვრობდით, ნიუ-იორკის შტატში. კარი გამოღე-

ბული იყო და მამას ვხედავდი: ჯერაც პიჟამა და ხალათი ეცვა, სიგარას აბოლებდა და თან ძაფის მარყუჟს ათამაშებდა ხელში. ლაბორატორიაში არ წასულა, მთელი ის დღე შინ გაატარა. საერთოდაც, სამსახურში მუდამ თავის ნებაზე დაიარებოდა ხოლმე.

მოგეხსენებათ, მამაჩემი თითქმის მთელი ცხოვრება „მთავარი ფოლადსადნობი კომპანიის“ ილიუმის კვლევით ლაბორატორიას ედგა სათავეში. როცა ე. წ. „მანჰეტენის პროექტზე“, ანუ ატომური ბომბის შექმნაზე დაიწყეს მუშაობა, ისიც მიიწვიეს, თუმცა დიდხანს უარობდა – ილიუმიდან გადაბარგება არ სურდა. გაიძახოდა, საერთოდ არ გავერევი მაგ საქმეში, თუკი იქ არ მამუშავებთ, სადაც თავად ვისურვებო. კაცმა რომ თქვას, შინ, საკუთარ ჭერქვეშ მუშაობას გულისხმობდა. არ უყვარდა ილიუმიდან გამგზავრება და ერთადერთი ადგილი, საითაც გული მიუწევდა, ჩვენივე კოტეჯი იყო კეიპ-კოდში. სხვათა შორის, იქ გარდაიცვალა კიდეც, ზედ შობის წინადღეს. თუმცა ეგ უკვე უჩემოდაც გეცოდინებათ.

მოკლედ, მის ოთახთან ახლოს, ხალიჩაზე ვთამაშობდი. როგორც ჩემი და, ენჯელა იხსენებს, თურმე საათობით შემეძლო პატარა სატვირთო ავტომობილებით თამაში, თან სულ ძრავის თუხთუხის ხმას ვბაძავდი. ეტყობა, სწორედ ასე ვთუხთუხებდი იმ დღესაც, მამაჩემი კი სამუშაო ოთახში ძაფის გასკვნა-გამოსკვნით იქცევდა თავს.

ისე მოხდა, რომ ამ ძაფის წარმომავლობა მეც ვიცოდი და შეგიძლიათ, ეს ამბავი თქვენს წიგნში გამოიყენოთ კიდეც: სწორედ ამ ძაფით იყო შეკრული რომანის ხელნაწერი, რომელიც ერთმა პატიმარმა ციხიდან გამოუგზავნა მამას. რომანში სამყაროს მოსალოდნელ აღსასრულზე იყო ლაპარაკი და სათაურიც შესაბამისი ჰქონდა: „2000 წელი ქრისტეშობიდან“. იქ

ვიღაც შეშლილი მეცნიერები საზარელი სიმძლავრის ბომბს ამზადებდნენ და აპირებდნენ, ქვა ქვაზე არ დაეტოვებინათ ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე. როგორღაც ეს ამბავი ყველამ შეიტყო და აღსასრულის დადგომამდე ბოლო ღრეობა-ორგიის მოწყობა გადაწყვიტეს. მერე კი, როცა ბომბის აფეთქებამდე ათიოდე წამი რჩებოდა, თავად იესო მაცხოვარი გამოეცხადათ... ავტორის სახელი და გვარი მარვინ შარპ ჰოლდერნესი გახლდათ და როგორც ხელნაწერზე დართული ბარათით აუწყებდა მამაჩემს, სასჯელს საკუთარი ძმის მკვლელობისთვის იხდიდა. ხელნაწერი კი იმიტომ გამოეგზავნა, საქმის მცოდნე კაცისაგან უნდოდა გაეგო, რა ასაფეთქებელი ნივთიერება აერჩია იმ თავისი გამონაგონი ბომბისთვის. მოკლედ, მამაჩემს სთხოვდა, ეგებ თქვენ დამაკვალიანოთო.

არ გეგონოთ, ის ხელნაწერი ექვსი წლისამ წავიკითხე – უბრალოდ, კარგა ხანს ვინახავდით სახლში; უფრო სწორად, ჩემი ძმა, ფრენკი დაეპატრონა უხამსი ადგილების ინტერესით... თავის საძინებელში მალავდა – როგორც თავად უძახდა, „კედლის სეიფში“. სინამდვილეში კი ძველი ბუხრის საკვამური იყო, თუნუქის ფირფიტით დაგმანული. მე და ფრენკმა ალბათ ათასჯერ მაინც წავიკითხეთ იმ ღრეობის აღწერა ჩვენს პატარა ბიჭობაში. კიდევ რამდენიმე წელი ვირთობდით ამით თავს, სანამ ხელნაწერს ჩემმა დამ, ენჯელამ არ მიაგნო. წაიკითხა და გვითხრა, დიდი უნიჭობა და სიბინძურეაო. მერე ხელნაწერი, თავის ძაფიანად, ბუხარში შეაგდო და დაწვა. ენჯელა დედის მაგივრობას გვიწევდა მე და ფრენკს, რადგან ჩვენი ნამდვილი დედა ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, მამაჩემს იმ ხელნაწერში ცალი თვალითაც არ ჩაუხედავს. არა მგონია, მთელი ცხოვრების მანძილზე საერთოდ წაეკითხოს რაიმე რომანი ან თუნ-

დაც მოთხრობა – ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს. არ კითხულობდა არც მისთვის გამოგზავნილ წერილებს, არც ჟურნალებს და არც გაზეთებს. ალბათ მხოლოდ სამეცნიერო გამოცემებს თუ სწყალობდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მაგონდება კითხვით გართული მამა.

როგორც უკვე გითხარით, მხოლოდ იმ ხელნაწერის ძაფმა მიიქცია მისი ყურადღება. ასეთი კაცი იყო. წინასწარ ვერავინ გამოიცნობდა, როდის რა დააინტერესებდა ხოლმე. ბომბის აფეთქების დღეს, მაგალითად, მთელი გულისყური იმ ძაფისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

წაგიკითხავთ ნობელის პრემიის გადაცემისას წარმოთქმული მისი სიტყვა? აქვე მოვიყვან, მთლიანად: „ბატონებო და ქალბატონებო! ახლა თქვენ წინაშე იმიტომ ვდგავარ, რომ გაზაფხულის დილით სკოლისაკენ მიმავალი რვა წლის ბიჭივით, არასოდეს მომბეზრებია აქეთ-იქით ყიალი. ნებისმიერ რამეს შეეძლო, გზად მიმავალი შევეჩერებინე, ჩემი ყურადღება მიეზიდა, ცნობისწადილი აღეძრა და ზოგჯერ რაღაც ჭკუის სასწავლებელიც გამოემეტებინა. უაღრესად ბედნიერი ადამიანი გახლავართ, დიდი მადლობა...“

მოკლედ, იმ დღეს მამა ერთხანს უხმოდ დასცქეროდა ძაფს, მერე კი თითები აათამაშა და ძაფის განასაკვა-გამონასკვას შეუდგა. ბოლოს ისეთი რამ გამოუვიდა, „ფისოს სარწეველას“ რომ ეძახიან. არ ვიცი, ვისგან ესწავლა მამაჩემს ასეთები, იქნებ იმასაც – მამისაგან? ალბათ გსმენიათ, ბაბუაჩემი თერძი იყო და ცხადია, მამა ძაფსა და გორგალს იმთავითვე გაუშინაურდებოდა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მამა რაღაც თამაშის მაგვარით გართული ვნახე. არც მანამდე და არც მერე არ იზიდავდა ადამიანის მიერ მოგონილი, დადგენილი წესებით სათამაშო რაიმე გასართობი. ჩემი და, ენჯელა, დღემ-

დე ინახავს სქელ საქაღალდეს, სადაც ჟურნალ „ტაიმზიდან“ ამოჭრილ ერთ ინტერვიუსაც იპოვით, იქ კი კითხვაზე, გასართობად რომელ თამაშებს ამჯობინებთო, მამაჩემი პასუხობს: რაში მჭირდება მოგონილი თამაშები, როცა ირგვლივ ამდენი ნამდვილი მოიძებნებაო...

არ გამოვრიცხავ, ძაფისაგან იმ „ფისოს სარწეველას“ გაკეთებას თავადვე ძალზე გაეკვირვებინა. ეგებ საკუთარი ბავშვობაც კი მოაგონა. უცებ სამუშაო ოთახიდან გამოვიდა და ისეთი რამ ჩაიდინა, რაც მანამდე არასოდეს მოსვლია აზრად – ჩემთან თამაშს შეეცადა. ადრე არათუ მსგავსი არაფერი მოუმოქმედებია, დალაპარაკებითაც კი, მგონი, არასოდეს დამლაპარაკებია.

მაშინ კი ჩემ გვერდით, ხალიჩაზე ჩაიმუხლა, შემომღიმა და უცნაურად გამონასკვული ძაფი ცხვირწინ ამითამაშა. „ხედავ? ხედავ? – მეკითხებოდა. – ფისოს სარწეველა გინახავს ოდესმე? ხო კარგია? აი, ამაში სძინავთ ხოლმე ფისოებს... *მიაუ!*“

სახეზე ვეება ფორები მთვარის კრატერებივით მოუჩანდა, ყურებსა და ნესტოებში ბალანი წამოზრდოდა, სიგარის ბოლით კი ჯოჯოხეთის სკნელივით ყარდა. ასე ახლოდან დანახული მამაჩემის სახისთანა სიმახინჯე არაფერი მინახავს, ახლაც კი მუდმივად მესიზმრება ხოლმე...

მერე კი სიმღერაც წამოიწყო: „*დაიძინე ფისუნია, მაღალი ხის კენწეროზე – ქარი დაგინანავებს, აკვანს გაგიქანავებს... მაგრამ ტოტი თუ მოტყდა, ვერაფერი გიშველის – ძირს მოადენ ზღართანს და შენც მოგტყდება კისერი!*“

ზლუქუნი ამივარდა. უცებ წამოვხტი და თავქუდმოგლეჯილი გავვარდი ეზოში.

ახლა კი დროებით უნდა დაგემშვიდობოთ. ნაშუაღამევის ორი საათია, ჩემი ოთახის მოზიარეს გამოეღვიძა და მეწუწუნება, საბეჭდი მანქანის კაკუნი მაწუხებსო...“

6

ხოჭოების დაკა-დაკა

ნიუტს მეორე დილით დაუმთავრებია ეს წერილი:

„დილაა. კარგად გამოვიძინე და წერას განვაგრძობ. ამ დროს ჩვენი საძმოს საერთო საცხოვრებელში სრული სიწყნარეა ხოლმე: ჩემ გარდა ყველა ლექციებზეა. მე კი გამორჩეულად პატივცემული გახლავართ და ლექციებზე სიარული აღარ მევალება, რადგან ჯერ კიდევ გასულ კვირას გამრიცხეს სასწავლებლიდან. მედიცინას ვეუფლებოდი, ასე ვთქვათ. სავსებით სწორად კი მოიქცნენ, თავიდან რომ მომიშორეს – ვერაფერი ექიმი დადგებოდა ჩემგან.

ამ წერილის წერას რომ მოვათავებ, ალბათ კინოში წავალ. ანდა, თუ მზიანი დარი დაიჭირა, იქნებ რომელიმე ხეობაშიც შევისეირნო. გახსოვთ, რა ლამაზია აქაურობა? წელს ორი გოგონა გადაეშვა ქარაფებიდან, ხელიხელჩაკიდებული. თურმე ნუ იტყვით და, ქალთა იმ კლუბში ვერ მოხვდნენ, რომელში გაწევრიანებაც სურდათ...

მაგრამ მოდით, ისევ 1945 წლის 6 აგვისტოს დავუბრუნდეთ. როგორც ჩემმა დამ, ენჯელამაც მითხრა ბევრჯერ, მაშინ თურმე მართლა ძალიან ვაწყენინე მამას – არც ფისოს სარწე-

ველა შევუქე, არც ხალიჩაზე მასთან ერთად თამაში ვისურვე და არც მის სიმღერას დავუგდე ყური. ეგებ ასეც იყო, ოღონდ არა მგონია, ძალიან სტკენოდა გული: უფრო საიმედოდ დაგმანული სულის ადამიანს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ. კაცი ვერსაიდან ვერ მიუდგებოდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საერთოდ არ ანაღვლებდა ირგვლივ მყოფნი. ერთი შემთხვევა მაგონდება – მის გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე მომხდარი: ვცადე, რამე მაინც დამეცდენინებინა დედაჩემზე და საერთოდ ვერ გაიხსენა ვერაფერი.

გსმენიათ საუზმობის ყბადაღებული ამბავი – იმ დღის ამბავი, როცა ჩემი მშობლები შვედეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ, ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე დასასწრებად? თავის დროზე ეს შემთხვევა „ივნინგ პოსტმაც“ კი მოიხსენია. დედაჩემს საგანგებო საუზმე გაუწყვია, მერე კი, როცა უკვე სუფრას ალაგებდა, მამაჩემის ყავის ფინჯნის გვერდით 35 ცენტი და 3 პენი დახვედრია – ასე ვთქვათ, გასამრჯელოდ...

მოკლედ, მართლა თუ ასე მწარედ დავუკოდე გული მამაჩემს, არ ვიცი, მაგრამ მე თვითონ კი ეზოში გავვარდი – უაზროდ ვაწყდებოდი აქეთ-იქით, სანამ ერთი უშნოდ გაბარჯღული ბუჩქის ძირას წამოგორებულ ფრენკს არ წავადექი თავზე. ფრენკი მაშინ უკვე თორმეტის იყო და მისი იქ კოტრიალი სულაც არ გამკვირვებია. ცხელ დღეებში ხშირად დიდ დროს ატარებდა ამგვარ ყოფაში – ეზოს ძაღლივით, ხისა თუ ბუჩქის ძირას, გრილ მიწაში ორმოს ამოთხრიდა და იქ მოკალათდებოდა ხოლმე. კაცმა არ იცოდა, რას გააყოლებდა ხელს – ხან რამე უხამს წიგნს, ხან ალუბლის ნაყენის ბოთლს. ბომბის ჩამოგდების დღეს კი სუფრის კოვზი და თავსახურიანი ქილა წამოელო შინიდან. იმ კოვზით სხვადასხვა ჯურის ხოჭოებს იჭერდა, ქილაში სვამდა და აჩხუბებდა.

ამ სანახაობამ იმდენად გამიტაცა, მაშინვე შევწყვიტე ტირილი და აღარც მამაჩემი გამხსენებია. ქილაში გამართული იმდღევანდელი დაკა-დაკა ახლა კარგად არ მაგონდება, თუმცა უფრო გვიანდელები კი მშვენივრად მახსოვს, რადგან მერე უკვე ერთად ვაჩხუბებდით ხოლმე სხვადასხვა მწერს. ერთხელ, მაგალითად, რქიანა ხოჭო დავატაკეთ წითელი ჭიანჭველების მთელ ასეულს; მერე მახრა – სამ ობობას; ერთხელაც კიდე, წითელი ჭიანჭველები ვაჩხუბეთ შავებთან. ქილას თუ არ შეარხევდი, იმათ ცოცხალი თავით არ სურდათ ჩხუბი. ფრენკიც რა ბიჭი იქნებოდა – დაუზარებლად იქნევდა და იქნევდა ქილას ჰაერში.

ცოტა ხანში ჩემს მოსაძებნად ენჯელაც გამოვიდა შინიდან. ბუჩქთან მომაგნო და მითხრა: აი, თურმე, სად ყოფილხარო. მერე ფრენკს მიუბრუნდა და ჰკითხა, მანდ რას აკეთებო? „ცდას ვატარებ!“ – მიუგო იმანაც. სულ ასე იცოდა ხოლმე – თუკი ვინმე შეეკითხებოდა, რას შვრებიო, მუდამ ერთი პასუხი ჰქონდა გამზადებული: ცდას ვატარებო...

იმხანად ენჯელა 22 წლის იყო. ოჯახის თავი ეთქმოდა მას მერე, რაც თექვსმეტის შესრულდა; მას მერე, რაც დედა გარდაიცვალა და მე მოვევლინე ქვეყანას. ხშირ-ხშირად იმეორებდა, სამი შვილი მყავსო, და მე, ფრენკსა და მამას გვგულისხმობდა. ჩვენში დარჩეს, დიდად არც აჭარბებდა: მშვენივრად მახსოვს, ზამთრის ცივ დილას როგორ ჩავმწკრივდებოდით ხოლმე წინკარში მე, ფრენკი და მამა, და ენჯელაც სამივეს ერთნაირად გვფუთნიდა შინიდან გასასვლელად. მერე მე საბავშვო ბაღში მივდიოდი, ფრენკი სკოლაში მიდიოდა, მამა კი – ატომურ ბომბზე სამუშაოდ.

ერთი ასეთი დილაც მახსენდება, როცა მანქანაში წყალი გაიყინა, აკუმულატორი დაგვიჯდა და ძრავაც ვერაფრით

ავამუშავეთ. ვისხედით მანქანაში და ისევ მხოლოდ ენჯელა ცდილობდა, რაღაც გამოსავლი ეპოვა. როდის-როდის მამამაც ამოიღო ხმა და იცით, რა თქვა?

– დიდი უცნაური ცხოველია ეს კუ!

– კუ რამ გაგახსენა? – გაუკვირდა ენჯელას.

– როცა თავს ბაკანში მალავს, მისი ხერხემალი იკუმშება თუ ირკალება?

სხვათა შორის, თავისდა უნებურად, ენჯელა ატომური ბომბის ერთ-ერთი დაუფასებელი შემოქმედია, თუმც არა მგონია, ამის თაობაზე ვინმეს სიტყვა დასცდენოდეს. იქნებ ეს ამბავი თქვენ გამოგადგეთ? მას მერე, რაც მამამ მანქანაში კუ ახსენა, იმდენად გაიტაცა ამ ქვეწარმავლის ავანჩავანმა, ატომურ ბომბზე მუშაობასაც კი ველარ უდებდა გულს. საქმე იქამდე მივიდა, „მანჰეტენის პროექტის“ რამდენიმე მესვეური ბოლოს შინაც კი მოგვადგა და ენჯელას ჰკითხეს, რა ვიღონოთო. იმანაც ურჩია, მამაჩემის ლაბორატორიაში, საგანგებო აკვარიუმში დაბინავებული რამდენიმე კუ იქაურობას მოაშორეთო. ერთ ღამეს მართლაც შევიდნენ იქ და ენჯელას რჩევისამებრ მოიქცნენ, მამაჩემს კი იმ თავისი ნალოლიავები კუების გაქრობაზე კრინტიც არ დაუძრავს; უბრალოდ, სულ იმას დაეძებდა, რით შეექცია თავი და ასეთ თავშესაქცევად ატომური ბომბილა რჩებოდა...

როცა ენჯელამ ხელი ჩამკიდა და იმ ბუჩქს გამომარიდა, მერელა მკითხა, რა შავმა კატამ გაირბინა შენსა და მამას შორისო? მე კი ჯიუტად ერთსა და იმავეს ვუმეორებდი – მახინჯია და მეზიზღება-მეთქი! იმდენი ვქენი, ბოლოს სილაც კი მტკიცა. „როგორ ბედავ მამაზე ეგეთების თქმას!“ – მითხრა გაბრაზებულმა. „ერთ-ერთი უდიდესი ადამიანია, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია ამქვეყნად. სწორედ დღეს ომი მოიგო!

გესმის, რას გეუბნები? მამამ მოიგო ომი!“ – თქვა და კიდევ ერთხელ გამილაწუნა.

მაგრამ ენჯელასაგან ეს არც კი მწყენია. მამა მისთვის ყველაფერი იყო, ერთი მეგობარი ბიჭიც კი არასოდეს ჰყოლია. საერთოდ არ ჰყოლია მეგობრები. ჰობი კი ერთადერთი ჰქონდა – კლარნეტზე უკრავდა.

მე მაინც გავუმეორე, როგორ მძულდა მამა, და ენჯელამაც ისევ გამარტყა. ტირილი ამივარდა. მერე საიდანღაც ფრენკიც გამოჩნდა და ახლა იმან უთავაზა მუშტი ენჯელას მუცელში. იმას ეტყობა, მართლა ძალიან ეტკინა – დაეცა და ბალახზე გაგორდა. როცა სული მოიბრუნა, ატირდა და მამას დაუწყო ძახილი.

„ეგ არ მოგეხმარება!“ – უტიფრად შესცინა სახეში ფრენკმა. მართალიც იყო. მამამ ერთი კი გამოყო ფანჯრიდან თავი, უხმოდ გამოგვხედა და მერე ისევ შეიმალა. არასოდეს უკითხავს, რატომ დაერიეთ ერთმანეთსო. ადამიანებთან არაფერი ესაქმებოდა.

განა ეს ყველაფერი თქვენი წიგნისთვის გამოგადგებათ? ცხადია, იმთავითვე ხელ-ფეხი შემიკარით, როცა მხოლოდ ერთი დღის გახსენება მთხოვეთ. ბევრი სხვაცაა მოსაყოლი: მაგალითად, ის ამბავი თუ გსმენიათ, ალამოგორდოში ბომბის პირველ გამოცდას რა მოჰყვა? როცა ყველა თვალნათლივ დარწმუნდა, ახლა ამერიკას ერთადერთი ბომბით შეუძლია მთელი ქალაქების ნაცარტუტად ქცევაო, ვიღაც მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა: „ახლა უკვე მეცნიერებამაც გაისვარა ხელი ცოდვით...“ მამაჩემმა კი ჰკითხა: „და რა არის ცოდვა?..“

საუკეთესო სურვილებით,
ნიუტონ ჰონიკერი“.

7
ჰონიკერთა სახელოვანი მოდგმა

წერილს ნიუტმა ეს სამი მინაწერიც დაურთო:

„P.S. სამწუხაროდ, მეც *ძმური მოკითხვით* ვერ დაგემშვიდობებით, რადგან ჩემი მდგომარეობის გამო, თავს ამის უფლებას ვერ მივცემ. საძმოში მხოლოდ წარდგენილი გახლდით, ახლა კი საერთოდ გარიცხვას მიპირებენ უნივერსიტეტიდან... ასე რომ, ახლა სულაც ჰაერში გამოკიდებული ვრჩები.

P.P.S. ჩვენი ოჯახი *სახელოვნად* მოიხსენიეთ, და ვფიქრობ, შეცდომას დაუშვებთ, თუკი ამავე განსაზღვრებას წიგნშიც გაიმეორებთ. მე კაციშვილი არ მიცნობს, ჯუჯა ვარ, სულ რაღაც ოთხიოდე ფუტის სიმაღლისა. რაც შეეხება ჩემს ძმას, ფრენკს, ბოლოჯერ რომ გავიგეთ მისი ამბავი, ერთად ედგა კვალში ფლორიდის პოლიცია, გამოძიების ფედერალური ბიურო და სახაზინო სამსახური – ჩამოწერილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით კუბაში მოპარული მანქანების გადაზიდვა ბრალდებოდა. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, *სახელოვანი* მთლად შესაფერისი სიტყვა ვერაა. ალბათ, *სახელდაგდებული* ბევრად უპრიანი იქნებოდა.

P.P.P.S. უკვე მთელი დღე გავიდა, წერილი ხელახლა გადავიკითხე და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შეგნებულად მხოლოდ ცუდს ვიხსენებდი და თანაც – საკუთარი თავისადმი სიბრალულით. არადა, იღბლიანი კაცი მეთქმის და ასეცაა, ნამდვილად. მალე უმშვენიერეს გოგონაზე ვიქორწინებ. ამქვეყნად სიყვარულის ყველასათვის სამყოფი მარაგი არსებობს, თუ კაცი კარგად მოიძიებს... თავად ვარ ამის თვალნათელი მაგალითი“.

8

ნიუტისა და ზინკას სიყვარულობანა

ნიუტს მეგობარი გოგონას თაობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ ისევ მომწერა: მისი სახელი, *ზინკა*, ლამის ყველამ იცის ჩვენშიო. აი, ასე, უბრალოდ – ზინკა. ეტყობა, გვარს საერთოდ არ ატარებდა.

წარმოშობით უკრაინელი, ისიც ჯუჯა იყო და ვინმე ბორზოის დასში ცეკვავდა. ნიუტი შემთხვევით დაესწრო ამ დასის წარმოდგენას ინდიანაპოლისში, კორნელში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე. მერე დასი კორნელშიც ჩასულა გასტროლებზე. იქ გამართული წარმოდგენის შემდეგ ციცქნა ნიუტი ვარდების თაიგულით ხელდამშვენებული იდგა კულისებში.

გაზეთები კი მაშინ ახმაურდნენ, როცა პაწია ზინკამ ამერიკის შეერთებულ შტატებს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, მერე კი ის და ციცქნა ნიუტი ერთად გაუჩინარდნენ.

გავიდა ერთი კვირა და ზინკა ახლა საბჭოთა საელჩოში გამოჩნდა: საჯაროდ განაცხადა, ამერიკელები მეტისმეტად მატერიალისტები არიანო და უკან, სამშობლოში დაბრუნებაზეც აჭიკჭიკდა.

ნიუტმა თავი დის ჭერქვეშ შეაფარა ინდიანაპოლისში და პრესისთვის მხოლოდ ერთი მოკლე განცხადება გაიმეტა: „ეს პირადი ამბავია... გრძნობების საკითხი. არაფერს ვნანობ და მომხდარი მხოლოდ მე და ზინკას გვეხება...“

მერე ერთმა კირკიტა ამერიკელმა რეპორტიორმა მოსკოვში, იქაურ მოცეკვავეთა წრეში ზინკას თაობაზე გაიკითხ-გამოიკითხა და არცთუ სახარბიელო ამბავი შეიტყო: ზინკა სულაც არ ყოფილა 23 წლის, როგორც თავად ირწმუნებოდა.

42 შესრულებოდა უკვე – ლამის დედად ეკუთვნოდა ნიუტს...

9
ვულკანებზე პასუხისმგებელი ვიცე-პრეზიდენტი

ისევ ჩაფიქრებულ წიგნზე ვჯახირობდი.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, შობამდე ორი დღით ადრე, სულ სხვა შემთხვევამ ჩამიყვანა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ილიუმში, სადაც დოქტორი ფელიქს ჰონიკერი ატომურ ბომბზე მუშაობდა და სადაც პატარა ნიუტის, ფრენკისა და ენჯელას ბავშვობის წლებმა გაიარა.

ვაპირებდი, ამ ქალაქში რაც შეიძლება მეტი რამ მენახა.

მართალია, ცოცხლად დარჩენილ ჰონიკერთაგან იქ აღარავინ სახლობდა, მაგრამ არსებობდა უამრავი ვინმე, ვინც პირადად იცნობდა ამ კაცს და მის სამ უცნაურ ნაშიერს!

სწორედ მაშინ გავიცანი დოქტორი ეიზა ბრიდი, ფოლადსადნობი კომპანიის კვლევითი ლაბორატორიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი. ვფიქრობ, დოქტორი ბრიდიც ჩემი *კარასის* წევრი უნდა ყოფილიყო, თუმცა კი ლამის დანახვისთანავე ამითვალწუნა.

„მოწონება-დაწუნებას მთავართან არაფერი აქვს საერთო“, – ამბობს ბოკონონი, მაგრამ მისი ეს გაფრთხილება მაინც იოლად გავიწყდება კაცს...

– როგორც ვხვდები, სწორედ თქვენ ხელმძღვანელობდით დოქტორ ჰონიკერის ლაბორატორიულ კვლევებს, – ვუთხარი ჩვენი პირველი სატელეფონო საუბრისას.

– მხოლოდ ფორმალურად, – მომიჭრა მოკლედ.

– ვერ მიგიხვდით.

– მართლა რომ მეხელმძღვანელა ფელიქსისათვის, ახლა ვულკანის ამოფრქვევებზე, წყალდიდობებსა თუ ფრინველების გადაფრენაზეც მე უნდა მეკისრა პასუხისმგებლობა... ის კაცი თავად იყო სტიქია და მას ვერც ერთი მოკვდავი ვერც მოთოკავდა და ვერც უხელმძღვანელებდა.

IO

საიდუმლო აგენტი X-9

დოქტორმა ბრიდმა მეორე დილით ადრიანად დამითქვა შეხვედრა. სამსახურისკენ მიმავალს სასტუმროში უნდა გამოევლო და ამით უნდა გაეიოლებინა ჩემთვის საგულდაგულოდ დაცული კვლევითი ლაბორატორიის ტერიტორიაზე შესვლა.

ახლა ის უნდა გადამეწყვიტა, დილამდე როგორ მომეკლა დრო. ილიუმის სასტუმრო „დელ-პრადოში“ უკვე ღამის ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ბარში მეძავები ირეოდნენ.

ისე მოხდა (*მოსახდენი მოხდაო*, იტყოდა ბოკონონი), რომ დახლთან ჩემ გვერდით მჯდომი მეძავიცა და თავად ბარმენიც ფრენკლინ ჰონიკერის – ხოჭოების მწვალებლის, შუათანა უძღები შვილის თანასკოლელები აღმოჩნდნენ.

ცოტა რომ გავშინაურდით, სანდრამ იმ ყაიდის სიამოვნებანი შემომთავაზა, პიგალის მოედნისა და პორტ-საიდის გარდა რომ ალბათ ვერსად იგემებს კაცი. ვუთხარი, ეგეთები არ მიზიდავს-მეთქი და იმასაც ჭკუა ეყო, ეღიარებინა, მართალი გითხრა, არც მეო. როგორც მერე აღმოჩნდა, ჩვენი გულგრილობა ორივეს, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად შეგვეფასებინა...

მაგრამ სანამ ჟინის მოკვლის მეთოდებს განვიხილავდით, მანამდე ფრენკ ჰონიკერზეც ვისაუბრეთ, ცოტა – ეიზა ბრიდზეც, ფოლადსადნობ კომპანიაზეც, რომის პაპსა და შობადობის შეზღუდვაზეც, ჰიტლერსა და ებრაელებზეც კი ვთქვით ორიოდ სიტყვა. არც სიყალბის თემა დაგვვიწყებია, არც ჭეშმარიტების საკითხი; განგსტერებიც ვახსენეთ, ბიზნესის სამყაროც. გულისტკივილით მოვიგონეთ არაერთი კარგი კაცი, ელექტროსკამზე რომ დაემთავრებინა ცხოვრება. იმაზეც შევთანხმდით, ასეთ ხვედრს ბევრი გაქსუებული ნაბიჭვარი უფრო იმსახურებსო. მორწმუნე ხალხის გარყვნილების ამბავიც განვიხილეთ... მოკლედ, რაზე აღარ ვილაპარაკეთ.

თან, კარგადაც გამოვიბრუჟეთ.

ბარმენი ძალზე გულისხმიერად ექცეოდა სანდრას – აშკარად მოსწონდა. პატივსაც კი სცემდა. მითხრა, ჩვენს სკოლაში სანდრა სამკერდე ნიშნების შემრჩევი საბჭოს თავმჯდომარე იყოო. როგორც ამიხსნა, თურმე ყოველ კლასს თავიდანვე ერთი რომელიმე ფერის სამკერდე ნიშანი უნდა შეერჩია და ბოლომდე ამაყად ეტარებინა.

– შენ რა ფერები შეარჩიე? – ვკითხე სანდრას.

– ნარინჯისფერი და შავი.

– მშვენიერი ფერებია, რას ერჩი?!

– არაფერს. მეც ასე ჩავთვალე.

– ფრენკლინ ჰონიკერიც იყო იმ საბჭოში?

– ის არც ერთ საბჭოში არ ყოფილა, – აიმრიზა სანდრა. – არაფერში ერეოდა, არაფერში მონაწილეობდა, თავის დღეში ერთ გოგოსაც კი არ შეხვედრია. ეგ კი არა, მგონი, დალაპარაკებითაც არასოდეს დალაპარაკებია ვინმეს. *საიდუმლო აგენტი X-9* შევარქვით.

– ეგ რატომ? – გავიკვირვე.

– იმიტომ! სულ ისე იქცეოდა, თითქოს ვიღაცას უთვალთვალებდა, ან, პირიქით, კვალს უბნევდა ვინმეს... თითქოს არც ვინმესთან დალაპარაკების უფლება ჰქონდა.

– ეგება და, მართლა რამე ამბავში იყო გახვეული...

– არა-ა...

– არ-ა... – დაეთანხმა ბარმენიც. – ერთი უბრალო ბიჭი იყო – ისეთი, სულ თვითმფრინავის მოდელებს რომ უკირკიტებენ და მეტი არც არაფერი ახსოვთ!

II

პროტეინი

— Ეამას სიტყვით უნდა მოემართა ჩვენთვის გამოსაშვებ საღამოზე, – თქვა სანდრამ.

– ვის? – ჩავეკითხე.

– დოქტორ ჰონიკერს, მამამისს.

– და რაო მერე, რა გითხრათ?

– არ მოსულა იმ საღამოს.

– აბა, ჩაგეშალათ ღონისძიება?

– არა, სიტყვა მაინც მოვისმინეთ: ის დოქტორი ბრიდი მოვარდა აქოშინებული, შენ ხვალ რომ უნდა შეხვდე და გვექაქანა.

– მაინც რაო, რა მინდაო?

– იმედი მაქვს, ბევრი თქვენგანი, სამომავლოდ, მეცნიერების გზას აირჩევსო... – თქვა სანდრამ. სხვათა შორის, თავად ამაში სასაცილოს ვერც ვერაფერს ხედავდა. ეტყობა, მეცნიერის ნალაპარაკევს რაღაც შთაბეჭდილება მაინც მოეხდინა მასზე. ახლა კი ბევჯითი მოწაფესავით იმეორებდა ოდესღაც მოსმენილს. – ასე გვითხრა, ჩვენი სამყაროს მთავარი უბედურება ისაა... – სიტყვა გაუწყდა და ჩაფიქრდა.

– მოკლედ, სამყაროს უბედურება თურმე ის ყოფილა... – ისევ შეყოყმანდა. – რომ ხალხი ჯერაც ცრუმორწმუნე და მეცნიერულ ცოდნას მოკლებულია. გვითხრა, თუკი უფრო ბეჯითად ისწავლით, ყველა სადარდებელს ეშველებაო.

– ისიც ბრძანა, მალე მეცნიერება სიცოცხლის მთავარ საიდუმლოსაც ამოხსნისო, – სიტყვა ჩააგდო ბარმენმა, კეფა მოიქექა და კოპები შეიკრა. – სხვათა შორის, სწორედ ამასწინათ წავიკითხე გაზეთში, მგონი, მართლა იპოვეს რაღაც... არა?

– ვერ გეტყვი. ეტყობა, რაღაც გამომრჩა, – ჩავიბურტყუნე.

– მეც წავიკითხე, – თქვა სანდრამ, – ორი დღის წინ.

– კი, ასეა. – დაეთანხმა ბარმენი.

– და რა ყოფილა სიცოცხლის საიდუმლო? – ვიკითხე.

– დამავიწყდა... – აღიარა სანდრამ.

– პროტეინი! – დააბრეხვა ბარმენმა. – რაღაც უპოვიათ მასში.

– კი, კი! – გახალისდა სანდრა, – ზუსტად ასეა.

12

ბოლო სიამოვნება

ცოტა ხანში „დელ-პრადოს“ ბარში ამ ჩვენს საუბარს მეორე, ცოტა უფრო ასაკოვანი ბარმენიც შემოუერთდა. როცა შეიტყო, ატომური ბომბის აფეთქების დღეზე ვწერდი წიგნს, მიამბო, რა განეცადა იმ დღეს და რა ხდებოდა მაშინ ამ ბარში, სადაც ახლა ვისხედით. ცხვირი ლოთივით გასწითლებოდა და სიტყვებს უცნაურად წელავდა.

– მაშინ აქაურობა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა: არც ეს ბადეები იყო კედელზე და არც ეს ნიჟარები ეყარა ყველგან... მაშინ ბარსაც „ნავახოს ვიგვამი“ ერქვა. კედლებზე ინდიელების ფარდაგები და ბიზონის თავის ქალები ეკიდა. მაგიდებზე პატარა ტამტამები ელაგა – მუშტარს თუ მიმტანის დაძახება მოუნდებოდა, სწორედ ამ ტამტამზე ატეხდა ხოლმე ბრაგაბრუგს. ერთი პირობა უნდოდათ, ჩემთვის ბუმბულებიც გაერჭოთ თმაში, მაგრამ ცოცხალი თავით არ დავთანხმდი. ერთ დღესაც მართლა ნავახოს ტომის ვიღაც ინდიელი შემოეხეტა – ასე მითხრა, ჩვენი ხალხი ვიგვამებში არ ცხოვრობსო. მოგვჭრია თავი და ეგაა-მეთქი, – ვუპასუხე. მანამდე კი ამ ბარს „პომპეი“ ერქვა და აქაურობა სულ თაბაშირის ბიუსტე-

ბით იყო მოფენილი... მაგრამ მხოლოდ სახელის შეცვლა რა ხეირია, როცა ელექტროგაყვანილობის შეცვლას ვერ მოაბეს ვერაფრით თავი! ხალხიც სულ ისევ ისეთი დაქლიავებული დაიარება და ამ ქალაქსაც არ ეშველა არაფერი. იმ დღეს, როცა იაპონელებს ჰონიკერის ის დამპალი ბომბი ხიეს, ვიღაც ბეყეჩი შემობლაყუნდა და უფასოდ მომინდომა ყელის გასველება – აქოდა, მაინც სამყაროს აღსასრული დგებაო. მეც ავდექი და კოქტეილი გავამზადე – სახელიც შესაფერისი ჰქონდა: „ბოლო სიამოვნება“. გულამოღებულ ანანასში ნახევარი პინტი პიტნის ლიქიორი ჩავასხი, ადღვებილი ნაღები ჩავამატე და ბოლოს ალუბლის ნაყენიც არ დავინანე. „ჩახეთქე, შე უბედურო, – ვუთხარი. – მერე არა თქვა, პატივი არ მცაო...“ მერე კიდევ შემოვიდა ვიღაც და გამოგვიცხადა: „მორჩა, ჩემი ფეხი აღარ იქნება მაგ ლაბორატორიაში! ეს სამხედროები, რასაც კი ხელს მოკიდებ, ყველაფერს იარაღად აქცევენ ხოლმე...“ იმასაც გაიძახოდა, აღარ მინდა, ამ ნაბიჭვარ პოლიტიკოსებს ომების გაჩაღებაში დავეხმაროო. ვინაობაც გაგვიმხილა – ბრიდი იყო გვარად. ვკითხე, იმ ოხერი კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ნათესავად ხომ არ გერგებათ-მეთქი. „მერგება და ეგრე?! – მიპასუხა. – მამაჩემია, ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი!“

13
ადგილი იგი შესაკრებელი

ღმერთო ჩემო, რა უსახური ქალაქია ეს ილიუმი!
„ღმერთო ჩემო, რა უსახურია ნებისმიერი ქალაქი!“ – ასე ამბობს ბოკონონი.

მრუმე ბურუსის მძიმე საბანი თოვლჭყაპად იწრიტებოდა. სისხამი დილა იდგა. დოქტორ ეიზა ბრიდის „ლინკოლნში“ ვიჯექი. მთლად კარგად ვერ ვგრძნობდი თავს – ღამეული ბახუსი ჯერ ბოლომდე არც გამომნელებოდა.

დოქტორი ბრიდი თავადვე მართავდა მანქანას და დროდადრო ტრამვაის კარგა ხნის წინ გაუქმებულ ლიანდაგებზეც გვარიანად შეგვაჭანჭყარებდა ხოლმე.

ბრიდი სახელაჟღაჟა, ასაკოვანი კაცი გახლდათ, უაღრესად წარმატებული და უზადოდ გამოწკეპილი. ქცევაც სათანადო ჰქონდა – დახვეწილი, ხალისიანი, მეგობრული და მშვიდი იყო. მე კი, პირიქით, მოშხამულ-დანგრეული ვიყავი და, ცოტა არ იყოს, ცინიკურ გუნებაზეც ვიდექი. ბოლო-ბოლო, წინა ღამე ხომ მაინც სანდრასთან გავატარე.

სული ჩემი ისე ქოთდა, როგორც ზედმეტად ცეცხლს მიფიცხებული ბებერი კატის ბალანი.

ისედაც ალმაცერად ვუცქერდი ყველას და სანდრამაც ბევრი უამური რამ მიამბო ამ ჩვენი დოქტორი ეიზა ბრიდის თაობაზე.

მისი თქმით, ილიუმში არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დოქტორი ბრიდი ფელიქს ჰონიკერის მეუღლის საყვარელი იყო. ის კი არა, სანდრას რწმუნებით, ქალაქში თურმე ჰონიკერის სამივე შვილის ნამდვილ მამად ყველა სწორედ ბრიდს მიიჩნევდა.

– იცით რამე ამ ჩვენი ილიუმის შესახებ? – მკითხა უცებ დოქტორმა ბრიდმა.

– არა, პირველად ვარ აქ.

– მშვიდი ქალაქია, უხმაურო.

– ბატონო?

– ღამის ცხოვრებით ვერ დაიკვეხნის – როგორც წესი, ყველა ცდილობს, საკუთარ ჭერქვეშ, ოჯახში გაატაროს დრო.

– მერე, რა სჯობია მაგას!

– არც არაფერი. მოზარდთა დანაშაულის რაოდენობითაც ბოლო ადგილზე ვართ მთელ შტატში.

– შესაშური ამბავია.

– ისე, ილიუმს ძალიან საინტერესო ისტორია აქვს.

– მართლა?

– ერთ დროს მთავარი შესაკრებელი ადგილი ეს ყოფილა.

– შესაკრებელი? რისი?

– უფრო *ვისი*... დასავლეთისკენ დაძრული ემიგრანტების.

– ახლა გასაგებია.

– სწორედ აქ ითქვამდნენ სულს გრძელი გზის წინ.

– ეგ კი ნამდვილად არ ვიცოდი.

– ზუსტად იქ, სადაც ახლა ჩვენი კვლევითი ლაბორატორიაა, ძველი ფორტი იდგა. სხვათა შორის, მთელი ოლქიდან სწორედ იქ ჩამოჰყავდათ სიკვდილმისჯილები, ჩამოსახრჩობად.

– მე მგონი, დასჯამ ვერც მაშინ მოიტანა ვერაფერი ხეირი, დღევანდელისა არ იყოს.

– 1782 წელს ვილაც ჩამოუხრჩვიათ, ოცდაექვსი კაცი ჰყოლია მოკლული. ხშირად მიფიქრია, ამ ჯეელზე უთუოდ წიგნია დასაწერი-მეთქი. ჯორჯ მაინორ მოკლი ერქვა. სხვათა შორის, ეშაფოტზე აყვანილიც კი სწორედ ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ შეთხზულ საკუთარ სიმღერას მღეროდა თურმე.

– და რაო, რა მინდაო?

– თუ მართლა გაინტერესებთ, იმ სიმღერის სიტყვები აქაურ საისტორიო საზოგადოებაში შეგიძლიათ მოიძიოთ.

– არა, გმადლობთ. მხოლოდ შინაარსი მაინტერესებდა, ზოგადად.

– ზოგადად, არაფერს ინანიებდა.

– არის ეგეთი ხალხი, კი.

– ისე როგორია, – მომიბრუნდა დოქტორი ბრიდი, – ოცდაექვსი კაცის ცოდვა ედო კისერზე!

– ეგეთები ხდება?!

14

ავტომობილი, სიგარა და ყვავილები

ბისერი გამიხევდა და თავიც მიბრუოდა. დოქტორ ბრიდის გაპრიალებული „ლინკოლნი“ კიდევ ერთხელ შეხტა ტრამვაის უქმად დარჩენილ ლიანდაგზე.

ვკითხე, დილის რვა საათისთვის მაინც რამდენმა ადამიანმა უნდა მოასწროს ფოლადსადნობი კომპანიის შენობამდე მისვლა-მეთქი. მიპასუხა, ოცდაათი ათასმაო.

ყვითელლაბადიანი პოლიციელები ყველა გზაჯვარედინზე იდგნენ და თეთრხელთათმანიანი ხელებით იმის საპირისპირო ბრძანებებს იძლეოდნენ, რასაც შუქნიშნების ფერთა მონაცვლეობა გულისხმობდა.

ისინი კი ფერადოვანი მოჩვენებებივით გამოანათებდნენ ხოლმე ამ ნისლში და მაინც თავისას ერეკებოდნენ ჯიუტად: მათთვის ისევ მწვანე ნიშნავდა მოძრაობას, წითელი – შეჩერებას, ყვითელი – გაფრთხილებას.

დოქტორმა ბრიდმა მიამბო, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჰონიკერს ერთ დილით როგორ მიეტოვებინა თავისი მანქანა შუა გზაზე.

– როცა პოლიცია შეეცადა გაერკვია, რისი ბრალი იყო უეცრად გაჩენილი საცობი, ბოლოს გზაზე გახირულ ფელიქსის მანქანას მიაგნო. ძრავა ჯერ კიდევ მუშაობდა, საფერფლეში სიგარა ბოლავდა და ნორჩი ყვავილებიც ისევე ყელყელაობდნენ საყვავილეში...

– რა საყვავილეში?

– ძველმოდური მანქანა ჰყავდა, ჩარდახიანი. ერთი კარგი ლოკომოტივის ხელა კი იქნებოდა. ყოველ დილით ცოლი ახალ-ახალ ყვავილებს ურჭობდა ხოლმე სარკესთან, პაწია საყვავილეში. სწორედ ყვავილებით მორთულ ამ ვეშაპს ჩაეხერგა მთელი ქუჩა.

– ჩახერგავდა, აბა რას იზამდა, – ჩავაგდე სიტყვა.

– პოლიციას მისი სადგომზე გადაყვანა მოუწია. პატრონის ვინაობა იცოდნენ და მაშინვე ფელიქსს დაურეკეს. ძალზე თავაზიანად სთხოვეს, ეგებ თქვენი მანქანა წაგეყვანათო. იმან კი უპასუხა, აღარაფერში მჭირდება და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო...

– მართლა დაიტოვეს?

– არა, რა თქმა უნდა. მის ცოლს შეეხმიანენ და იმან წამოიყვანა.

– და რა ერქვა მის ცოლს?

– ემილი, – დოქტორმა ბრიდმა გამშრალი ტუჩები მოილოკა, მზერა სადღაც გაექცა და კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ქალის სახელი კიდევ ერთხელ, ფიქრიანად გაიმეორა: – *ემილი.*

– რას იტყვით, ეს ამბავი ჩემს წიგნში რომ ჩავურთო? – ვკითხე.

– არაფერი დაშავდება, თუკი არ ახსენებთ, რითი დამთავრდა ეს ყველაფერი.

– და რითი დამთავრდა?

– ემილი ამოდენა მანქანის მართვას მიჩვეული არ იყო; შინისაკენ მიმავალმა საჭე ველარ დაიმორჩილა და გადაიჩეხა. მაშინ დაიზიანა სწორედ მენჯის ძვალი.

ჩვენი მანქანა ტაატით მიიწევდა წინ. დოქტორმა ბრიდმა თვალები დახუჭა, ღონივრად ჩააფრინდა საჭეს და თქვა:

– ნიუტზე მშობიარობასაც ამიტომ გადაჰყვა.

15
ᲨᲝᲒᲐᲡ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ᲕᲝᲚᲐᲓᲡᲐᲓᲜᲝᲑᲘ კᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ კᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲘᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲐᲮᲚᲝ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ – ᲘᲛ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲑᲠᲘᲓᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲒᲐᲐᲩᲔᲠᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ, ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ-ᲛᲔᲗᲥᲘ.

– ᲨᲕᲘᲓᲐᲡᲘ, – ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ. – ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲡᲘᲝᲓᲔᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲔᲥᲕᲡᲐᲡᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲑᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠᲗ, ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ.

ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲠᲘᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲑᲠᲘᲓᲡ „ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲝᲑᲐ“ ᲣᲡᲣᲠᲕᲐ. ᲘᲡᲘᲪ ᲛᲘᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ, ᲛᲙᲠᲗᲐᲚᲡᲐᲮᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲛᲘᲐᲩᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲥᲛᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲜ ᲞᲔᲤᲙᲝ ᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝ. ᲛᲘᲡ ᲞᲔᲤᲙᲝ ᲡᲣᲚ ᲝᲪᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ – ᲞᲘᲠᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ.

მოახლოებული დღესასწაულით გულგამთბარმა დოქტორმა ბრიდმა ნაბიჯი შეანელა და ქალიშვილს დაელოდა. მერე გამაცნო კიდეც და დაამატა, დოქტორ ნილსაკ ჰორვათის პირადი მდივანიაო. არც იმის ახსნა დაიზარა, ვინ იყო თავად ბატონი ჰორვათი:

– უცნობილესი ქიმიკოსია, ფირის დაჭიმვაზე მუშაობს და უნდა გითხრათ, სასწაულებსაც ახდენს!

– ახლა რა ხდება თქვენს სფეროში? – ვკითხე მის პეფკოს.

– ნუ მკითხავთ! – წამოიძახა ქალიშვილმა. – მე მარტო იმას ვბეჭდავ, რასაც მკარნახობს, – თქვა და მერე ამ უეცარი გაცხარებისათვის მოიბოდიშა კიდეც.

– მაინც მგონია, რაღაც-რაღაცებს უნდა გვიმალავდე, – უთხრა დოქტორმა ბრიდმა.

– უი, არა! რას ბრძანებთ... – მის პეფკო ასეთ დიდ ხალხთან საუბარს აშკარად არ იყო ჩვეული და ცოტათი დაირცხვინა კიდეც. დაბნეული იყო და რაღაცნაირად, დაძაბული მოაბიჯებდა. სახეზეც ნაძალადევი ღიმილი დასთამაშებდა – ეტყობოდა, რა გამალებით ცდილობდა, რაიმე სათქმელი ეპოვა, მაგრამ ერთჯერადი ცხვირსახოცისა და ბიჟუტერიის მეტს ჩანთაშიც კი ვერაფერს პოულობდა.

– კეთილი, – ჩაიბუხუნა დოქტორმა ბრიდმა. – აქაურობა როგორ მოგწონთ? რამდენი ხანია, ჩვენთან ხართ? თითქმის წელიწადი, ეგრეა?

– რა ვიცი... ეს მეცნიერები მეტისმეტად ბევრს ფიქრობთ! – დააბრეხვა მის პეფკომ და მთლად ბრიყვულად ჩაიხითხითა. დოქტორ ბრიდის წრეგადასულმა კეთილგანწყობამ საბოლოოდ აურია თავგზა და ეტყობა, უკვე პასუხსაც ველარ აგებდა საკუთარ ნალაპარაკევზე: – ღმერთმანი, ყველანი ეგეთები ხართ!

სწორედ ამ დროს მეტად მოუვლელმა, გაზინთულლაბადიანმა, აქოშინებულმა სქელმა ქალმა ჩაგვიარა გვერდით და მის პეფკოს სიტყვებს მოჰკრა ყური. მაშინვე დოქტორ ბრიდს მიაჩერდა, აშკარა საყვედურის გამომეტყველებით. ამ ქალს მეტისმეტად ბევრზე მოფიქრალი ადამიანები სძულდა და მისი მზერა აშკარად იმაზე მიუთითებდა, რომ აქვე გადავიდოდა ჭკუიდან, თუკი ვინმე კიდევ დაიწყებდა რაღაცების გამოგონებას...

– თავის დროზე შენც დარწმუნდები, – უთხრა დოქტორმა ბრიდმა მის პეფკოს, – რომ ფიქრით ყველანი ერთნაირად ვფიქრობთ; უბრალოდ, მეცნიერები თავისებურად ფიქრობენ, სხვა ადამიანები კი – სხვაგვარად.

ქალიშვილმა ოხვრას ლამის გულიც ამოაყოლა:

– რა ვიცი... რასაც დოქტორი ჰორვათი მკარნახობს, მეც იმას ვბეჭდავ და ჩემთვის მაინც ყველაფერი ჩინურია... დიპლომი რომც მქონდეს, არა მგონია, თავი-ბოლო გავუგო. ის კი იქნებ სულაც ისეთ რამეებს მაბეჭდინებს, ატომური ბომბივით რომ შეუძლია ყველაფერი თავდაყირა დააყენოს!

– სკოლიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, – გააგრძელა მერე, – დედა ყველაფერს წვრილ-წვრილად გამომკითხავდა და მეც სხაპასხუპით ვუამბობდი ხოლმე. ახლა კი სამსახურიდან შინ მისულს არაფერი მაქვს სათქმელი... – მის პეფკომ თავი გაადააქნია და ალისფერი ტუჩები გაბუტულივით გამობუშტა. – ვიცი? რა ვიცი...

– თუ რამე არ იცი, – თავისას მიერეკებოდა დოქტორი ბრიდი. – ბატონ ჰორვათს ჰკითხე და ის აგიხსნის ყველაფერს. უკეთეს დამრიგებელს სად ნახავ!

მერე მე მომიბრუნდა:

– სხვათა შორის, დოქტორ ჰონიკერს უყვარდა ხოლმე თქმა, თუკი მეცნიერმა რვა წლის ბავშვისთვის გასაგებად ვერ

განმარტა საკუთარი საქმიანობის არსი, მთლად ოინბაზი ყოფილა და ეგაარ!

– ესე იგი, რვა წლის ბავშვის ჭკუაც არა მქონია! – აწუწუნდა მის პეფკო. – ისიც არ ვიცი წესიერად, ოინბაზი რას ნიშნავს!

16

უკან – საბავშვო ბაღისაკენ!

ვლევითი ლაბორატორიის ოთხსაფეხურიანი გრანიტის კიბე ავიარეთ. თავად შენობა შეულესავი აგურით იყო ნაგები და ექვსი სართულისაგან შედგებოდა. შესასვლელში თავფეხიანად იარაღში ჩამჯდარი ორი გუშაგი იდგა.

მის პეფკომ ერთ-ერთ მათგანს პირადობის დამადასტურებელი ვარდისფერი სამკერდე ნიშანი უჩვენა. მეორეს დოქტორმა ბრიდმა დაანახა „სრულიად საიდუმლოს“ აღმნიშვნელი შავი მოწმობა, რომელიც ლაბადის საყელოს შიგნითა მხარეს ჰქონდა მიმაგრებული. მერე ხაზგასმით თავაზიანად მომხვია ხელი, თუმცა სინამდვილეში არც კი შემხებია და გუშაგებს ასე მიანიშნა, ეს კაცი ჩვენიანიაო.

ერთ-ერთ გუშაგს სახეში შევცინე, თუმცა იმას წარბიც არ გაუტოკებია. მართლაც და, რა სახუმარო საქმეა სახელმწიფო უსაფრთხოება!

მე, დოქტორმა ბრიდმა და მის პეფკომ ლაბორატორიის ვეება შესასვლელი გავიარეთ და ლიფტებს მივადექით.

– გადაეცით დოქტორ ჰორვათს, ხანდახან რაღაც-რაღაცები მაინც აგიხსნათ ხოლმე, – უთხრა დოქტორმა ბრიდმა

მის პეფკოს. – ნახავთ, რა მარტივად და გასაგებად ჩამოგი-რაკრაკებთ ყველაფერს.

– პირველი კლასის დონიდან მოუწევს დაწყება, ან სულაც საბავშვო ბაღის დონიდან... – დაირცხვინა ქალიშვილმა. – იმ-დენს ჩამოვრჩი...

– ეგ ჩვენი საერთო სენია! – კვერი დაუკრა დოქტორმა ბრიდმა. – არავის გვაწყენდა ყველაფრის თავიდან დაწყება და სასურველია – სწორედაც საბავშვო ბაღის დონიდან...

ლიფტის მოლოდინში თვალს ვადევნებდით, როგორ დაჰ-ფოფინებდა თავს ფოიეში თვალსაჩინოებისათვის გამოფენილ ხელსაწყო-მოწყობილობებს ლაბორატორიის ადმინისტრატორი – მაღალი, თხელი აღნაგობის, გაყინულსახიანი, ფერმკრთალი ახალგაზრდა ქალი. მისი ერთი გამოზომილი მოძრაობა კმა-როდა, რომ ნათურებს ციმციმი, კბილანებს – ბრუნვა, კოლ-ბებს – თუხთუხი და სხვადასხვა ზომის ზანზალაკებს წკარუნი დაეწყოთ.

– ნამდვილი სასწაულია, – დაასკვნა მის პეფკომ.

– ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენი ლაბორატორიის დიდი და ერთიანი ოჯახის წევრი ასეთ ყავლგასულ, მთლად შუა საუკუნეების სიტყვებს ხმარობს! – თქვა დოქტორმა ბრიდ-მა. – ამ მოწყობილობათაგან ნებისმიერს სრულიად მარტივი ახსნა მოეძებნება. არავითარი თვალთმაქცობა! პირიქით, ეს ყველაფერი სწორედ ჯადო-სასწაულების ანტითეზაა.

– ჯადო-სასწაულების რაა?

– ანტითეზა, სრული უარყოფა.

– ოღონდ ჩემთვის – არა!

დოქტორი ბრიდი, ცოტა არ იყოს, განაწყენდა კიდეც.

– კეთილი, – თქვა ბოლოს, – არავის მოტყუებას ჩვენ არ ვაპირებთ, მერწმუნეთ.

17
საქათმე

დოქტორ ბრიდის პირადი მდივანი მისაღებში, სამუშაო მაგიდაზე შემდგარიყო და საშობაო ზანზალაკის ჭერში დამაგრებას ცდილობდა.

– ფრთხილად, ნაომი! – შესძახა დოქტორმა ბრიდმა. – ექვსი თვეა, უბედური შემთხვევა აღარ მომხდარა ჩვენთან. შენი მაგიდიდან გადმოვარდნაღა გვაკლია...

ნაომი ფაუსტი ერთი მხიარული, ცქვიტი, ხანში შესული ქალბატონი ბრძანდებოდა. ეჭვი მაქვს, ამ ორ მოუღლელ მუშაკს წლები სულ ასე შეხმატკბილებულად უნდა გაეტარებინა ერთმანეთის გვერდით. ქალმა გულიანად გადაიკისკისა:

– არა უშავს, არაფერი მომივა! რომც გადმოვვარდე, შობის ანგელოზები ამიტატებენ.

– გამიგონია, მაგათაც მოსდით ხოლმე იაღლიში...

ჭერში ნაკეც-ნაკეცი ქაღალდის ორი მომცრო ხვეულაც კონწიალობდა. ქალბატონმა ფაუსტმა ერთ-ერთს ხელი წაატანა. ისიც ნელ-ნელა გაიშალა და გრძელი წარწერა გამოჩნდა.

– გამომართვით! – უთხრა ქალბატონმა ფაუსტმა დოქტორ ბრიდს და მეორე ბოლო მიაწოდა. – ბოლომდე გაქაჩეთ და განცხადებების დაფას მიამაგრეთ, ჭიკარტებიც მანდვე ყრია.

დოქტორი ბრიდი დაემორჩილა, დავალება პირნათლად შეასრულა, მერე ნაბიჯი უკან წადგა და წარწერა ხმამაღლა, გამოთქმით წაიკითხა: „მშვიდობა ქვეყანასა ზედა!“

ქალბატონი ფაუსტი მაგიდიდან ჩამოვიდა და მეორე ხვეულაც გახსნა. „კაცთა შორის სათნოება!“ – ეწერა ზედ.

– ღმერთო დიდებულო! – ჩაიხითხითა დოქტორმა ბრიდმა. – შობა დღეც კი დაამიწეს... თუმცა რას ერჩი, მაინც ხომ გამოაცოცხლეს აქაურობა.

– სხვათა შორის, არც შოკოლადის ფილები დამვიწყებია ჩვენი საქათმისთვის! – თავი მოიწონა ქალბატონმა ფაუსტმა. – ქებას აღარ ვიმსახურებ?!

საკუთარი გულმავიწყობით შემცბარმა დოქტორმა ბრიდმა შუბლზე თითი მიიკაკუნა.

– კიდევ კარგი! აბა, მე ეგ სულ ამომივარდა თავიდან...

– მაგის დავიწყება როგორ იქნება?! – თქვა ქალბატონმა ფაუსტმა. – ეს უკვე წესად გვექცა, უშოკოლადოდ რაღა შობაა?!

მერე არ დაიზარა და ამიხსნა, „საქათმეს“ შინაურულად ვეძახით ლაბორატორიის სარდაფში განთავსებულ მბეჭდავ გოგონათა ოთახს, სადაც დიქტოფონზე გაკეთებული ჩანაწერების გაშიფვრა-დაბეჭდვა ხდებაო.

მისივე თქმით, გოგონები მთელი წლის განმავლობაში უსმენდნენ უცნობ მეცნიერთა ხმებს, ეს ჩანაწერები კი მათთან კურიერ გოგონებს მიჰქონდათ. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ეძლეოდათ უფლება, იმ თავიანთი ცემენტის საბუდრიდან გამოსულიყვნენ და საჩუქრად შოკოლადის ფილები მიეღოთ უშუალოდ დოქტორ ეიზა ბრიდისაგან.

– ისინიც ხომ მეცნიერებას ემსახურებიან, – დასვა ბეჭედი დოქტორმა ბრიდმა, – თუმცა კი სიტყვაც არ ესმით იმ ჩანაწერებიდან. ღმერთმა დალოცოს თითოეული მათგანი!

18

ღირებულზე ღირებული რამ

როცა დოქტორ ბრიდის კაბინეტში შევედით, ვეცადე, იმგვარად მომემართა გონება, ჩვენ ორს შორის მეტნაკლებად საქმიანი და გონივრული საუბარი შემდგარიყო; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ბოლომდე მაინც ვერ მოვუყარე აზრებს თავი. ხოლო როცა ჩემს მასპინძელს ბომბის აფეთქების დღის თაობაზე ჩამოვუგდე სიტყვა, მივხვდი, რომ ჩემი ტვინის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ხვეულები ერთიანად დაებინდა ალკოჰოლსა და კატის გადახურებული ბეწვის ოხშივარს. ჩემი ყოველი კითხვა თავისთავად გულისხმობდა, რომ ატომური ბომბის შემქმნელები იმთავითვე ყველაზე დაუნდობელი მკვლელობის დანაშაულებრივი ხელშემწყობები უნდა ყოფილიყვნენ.

ერთი პირობა დოქტორი ბრიდი ძალზე გაოცდა, მერე კი უკვე გაწიწმატდა კიდეც. ტუჩი ამიბზუა და საყვედურით მითხრა, როგორც ვხვდები, მეცნიერები დიდად არ უნდა გეხატებოდეთ გულზეო.

– მაგას ვერ ვიტყოდი, სერ.

– კი მაგრამ, თქვენი ყოველი შეკითხვა იმ მიზანს ისახავს, როგორმე მაღიარებინოს, რომ მეცნიერები ყოვლად უსულ-

გულო, თავკერძა, ნამუსგარეცხილი, დანარჩენი კაცობრიობის ბედისადმი სრულიად გულგრილი ხალხია; ეგ კი არა, სინამდვილეში, ეგებ არც კი მოიაზრებიან ამ კაცობრიობის ნაწილად...

– მე მგონი, ძალზე აჭარბებთ, სერ.

– ჩემი გადაჭარბება რა მოსატანია იმასთან, რის დაწერასაც მაგ წიგნში აპირებთ! მეგონა, თქვენი მიზანი ფელიქს ჰონიკერის მართალი, მიუკერძოებელი ბიოგრაფიის შექმნა იყო – ნამდვილად მისასალმებელი განზრახვა ახალგაზრდა მწერლის მხრიდან! მაგრამ თურმე თქვენ უკვე წინდაწინ შეგიქმნიათ აზრი ყველაფერზე, მით უფრო, ვიღაც შეშლილ მეცნიერებზე... მაინც სად ამოიკითხეთ ამგვარი აზრები? კომიქსებში?

– ჩემი ერთ-ერთი წყარო, მაგალითად, დოქტორ ჰონიკერის ვაჟია...

– და რომელი ვაჟი?

– ნიუტონი, – ვუპასუხე. მისი წერილი თან მქონდა და ახლა მასპინძელსაც ვაჩვენე. – სხვათა შორის, მართლა ასეთი ტანმორჩილია?

– დაახლოებით, ქოლგის სადგამის სიმაღლეა... – მიპასუხა და შუბლშეკრულმა განაგრძო წერილის კითხვა.

– დანარჩენი ორი?

– არა, ისინი ჩვეულებრივი სიმაღლისა არიან. არ მინდა, იმედი გაგიცრუოთ, მაგრამ მეცნიერთა ბავშვები არაფრით განსხვავდებიან ხოლმე სხვათა შვილებისაგან.

ვეცადე, დოქტორ ბრიდის გული მომელბო, დამერწმუნებინა, რომ გულწრფელად მსურდა დოქტორ ჰონიკერის ჭეშმარიტი სახის წარმოჩენა:

– აქ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ ზედმიწევნით ზუსტად ჩავიწერო თქვენი ნაამბობი. ნიუტის წერილი ძიების და-

საწყისია ჩემთვის და სულაც არ ვაპირებ, მხოლოდ მას მივენდო ბრმად.

– იცით, სიქა გამაცალეს ადამიანებმა, ვისაც არ ესმით, თუ რას ნიშნავს მეცნიერი...

– შევეცდები, მათ რიცხვს არ მიმათვალოთ.

– ხალხს ისიც კი არ ესმის ხეირიანად, რას ნიშნავს მეცნიერული კვლევა-ძიება!

– მაგაშიც თუ გამარკვევთ...

– ეს სიგარეტის უკეთესი ფილტრის, სახის უფრო რბილი მალამოს ან უფრო გამძლე საღებავის შექმნის მცდელობა არ გეგონოთ – ღმერთმა დაგვიფაროს! რომ უსმინო, ყველას მეცნიერების ჭია შესჩენია, არადა, ამ ქვეყანაში ნამდვილი მეცნიერი სანთლითაა საძებარი. ჩვენ ერთ-ერთი ვართ იმ თითზე ჩამოსათვლელ კომპანიათაგან, სწორედ მკვლევარებს რომ ეძებს და ქირაობს! როცა სხვები წარმატებებით ყელყელაობენ, ისინი მხოლოდ ჩვეულებრივ ტექნიკოსებს გულისხმობენ, მუდამ სახელმძღვანელოების იმედად მყოფ თეთრხალათიან ლაბორანტებს, ვისი მთელი საზრუნავიც ავტომობილისთვის გაუმჯობესებული შუშის საწმენდის შექმნაა და სხვა არაფერი...

– და თქვენთან?

– ჩვენთან და კიდევ სულ რამდენიმე ადგილას ამ ქვეყანაში თანამშრომლებს ფულს სამყაროზე ცოდნის გაღრმავებაში უხდიან – მიზანიც ესაა და თვითმიზანიც!

– დიდი გულუხვობაა ფოლადსადნობი კომპანიისაგან.

– რა შუაშია აქ გულუხვობა?! ამქვეყნად ახლებურ ხედვაზე ღირებული არაფერია! რაც მეტ დაბეჭდილ კარს ავხსნით კლიტეს, მით მეტად გავმდიდრდებით...

იმ დროს რომ ბოკონონის მიმდევარი ვყოფილიყავი, ამაზე ალბათ მგელივით ავყმუვლდებოდი.

19
გვეყო ტალახის ზელა!

—ნუთუ იმის თქმა გნებავთ, რომ ამ ლაბორატორიაში არავის უსაზღვრავენ, რაზე იმუშაონ? – ვკითხე დოქტორ ბრიდს. – არც კი სთავაზობენ ხოლმე თემებს?

– შეთავაზებები – თავისთავად, მაგრამ წმინდა სამეცნიერო კვლევით დაკავებული ადამიანი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მას თავი საკუთარი ხედვებით აქვს გამოტენილი და ჩვენც სწორედ ეგ გვჭირდება.

– დოქტორ ჰონიკერს თუ სთავაზობდა ვინმე რამეს?

– რა თქმა უნდა! კერძოდ, ჩვენი გენერლები და ადმირალები... ისინი მას ისე უცქერდნენ, როგორც ჯადოქარს, ვისაც ხელის ერთი აქნევით შეეძლო ამერიკა უძლეველად ექცია. მოდიოდნენ და ათას სისულელეს ითხოვდნენ – სხვათა შორის, დღემდე ასე გრძელდება. ოღონდ მთავარი უბედურებაც ისაა, ცოდნის თანამედროვე დონის გათვალისწინებით, იმათ შემოთავაზებებს განხორციელება რომ არ უწერია. არადა, სწორედ დოქტორ ჰონიკერის გაქანების მეცნიერებმა

უნდა ამოავსონ ნელ-ნელა ეს ნაპრალები... მახსოვს, მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მავანი საზღვაო ქვეითების გენერალი დაბეჯითებით სთხოვდა, რამე მოეხერხებინა ტალახისათვის.

– რა ტალახისათვის?

– მას მერე, რაც საზღვაო ქვეითებმა ლამის ორასი წლის მანძილზე სად აღარ ზილეს ტალახი, ეს ამბავი ყელში ამოუვიდათ, – მითხრა დოქტორმა ბრიდმა, – და გენერალიც, როგორც მათი აზრის გამომხატველი, სამეცნიერო პროგრესის მთავარ გამოვლინებად იმას მიიჩნევდა, თუკი ეს აღარასოდეს დასჭირდებოდათ.

– და როგორ წარმოედგინა ეგ ამბავი?

– ტალახის გაქრობით. ყველგან და ერთბაშად.

– ალბათ საამისოდ რაიმე ქიმიური ნივთიერების მთები, ანდა უამრავი მოწყობილობა გახდებოდა საჭირო... – მეც მეცნიერული განსჯის გუნებაზე დავდექი უცებ.

– არა-ა, გენერლისთვის გამოსავალი პაწაწინა აბები ან მცირე ზომის მექანიზმები გახლდათ – საზღვაო ქვეითებს არა მარტო ტალახის ზელა მოყირჭებოდათ, აღარც ზედმეტი ბარგი-ბარხანის თრევა ეხატებოდათ გულზე... უბრალოდ, რაიმე მსუბუქსა და მომცროს ითხოვდნენ.

– და დოქტორმა ჰონიკერმა რაო?

– როგორც სჩვეოდა, ხუმრობაში გაუტარა: რამე ისეთი უნდა გამოვიგონო, ვთქვათ, რაღაც მარცვალი, რომელსაც დათესავთ და დედამიწის ზურგზე ნებისმიერ ჭაობს, ჭანჭრობს, ტბორს, ქვიშრობს, ნაკადულსა თუ უბრალო წუმპეს წამში ამ ჩემი საწერი მაგიდის ზედაპირივით გაამყარებსო...

დოქტორმა ბრიდმა დაჭორფლილი, გამხმარ-დაძარღვული მუშტით დააკაკუნა მაგიდაზე:

– ერთი ჯარისკაცი იმდენ მარცვალს ჩაიყრიდა ჯიბეში, რომ თუ დასჭირდებოდა, ლამში ჩაფლულ მთელ სატანკო ქვედანაყოფს გამოიხსნიდა!

– აი, ეგ უკვე შეუძლებელია!

– თქვენთვის – კი, ჩემთვისაც, და ალბათ ყველა სხვისთვისაც, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს ვითომ ჭკუამხიარულ ფელიქსს ეს ყველაფერი სავსებით შესაძლებლად ეჩვენებოდა. მისი ჯადოქრობაც ეს იყო – იმედი მაქვს, ამას თქვენს წიგნშიც მოიხსენიებთ – რომ ნებისმიერ ძველ თავსატეხს მუდამ ახალ გასაღებს არგებდა ხოლმე...

– ახლა უკვე მეც მის ფრანსინ პეფკოს დღეში ვარ, – ვაღიარე, – და იმ თქვენი მბეჭდავი გოგოების... თავად ჰონიკერიც ვერასდიდებით ვერ ამიხსნიდა, როგორ და რანაირად შეიძლება, ერთი ციდა მარცვალმა მთელი ჭანჭრობი ამ თქვენი საწერი მაგიდასავით გაამყაროს!

– ყველაფერთან ერთად, ახსნის უბადლო ნიჭითაც გახლდათ დაჯილდოებული.

– და მაინც...

– აი, მაგალითად, მე ხომ ამიხსნა! დარწმუნებული ვარ, ახლა თქვენც ყველაფერს იოლად გაგაგებინებთ: მოკლედ, ამოცანა ისაა, როგორ ავარიდოთ ჩვენს საზღვაო ქვეითებს ტალახის ზელა, ასეა?

– დიახ, დიახ...

– კეთილი და პატიოსანი. ახლა მისმინეთ.

20
ყინული-9

—რამდენიმე გზა არსებობს, – დაიწყო დოქტორმა ბრიდმა, – იმისათვის, რომ გარკვეული სითხე კრისტალებად იქცეს, ანუ გაიყინოს და მისი ატომებიც თანმიმდევრულად მყარად მიებას და გადაეჯაჭვოს ერთმანეთს.

მერე ამ ხანდაზმულმა, ხელებდაჭორფლილმა კაცმა მთხოვა, იმაზეც დავფიქრებულიყავი, რამდენნაირად შეიძლებოდა, ვთქვათ, საზარბაზნე ყუმბარების ახორხლვა ანდა ფორთოხლების ჩალაგება ყუთებში.

– იგივე შეიძლება ითქვას კრისტალთა ატომებზეც; და რაც მთავარია, ერთი და იმავე ნივთიერების ორ სხვადასხვაგვარ კრისტალს შესაძლოა სრულიად განსხვავებული ფიზიკური თვისებები ჰქონდეს.

მერე ერთი საწარმოც ახსენა, სადაც თურმე ეთილმჟავის ოქსალატის დიდრონ კრისტალებს ამზადებდნენ. როგორც ამიხსნა, ეს კრისტალები უაღრესად სასარგებლო იყო გარკვეულ საწარმოო პროცესებში. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს იმავე საწარმოში აღმოუჩენიათ, რომ მათ კრისტალებს უკ-

ვე დაეკარგათ სასურველი თვისებები: ატომები ერთმანეთს სრულიად განსხვავებული სახით ებმოდნენ, ანუ იყინებოდნენ. სითხე, რისგანაც კრისტალებს ამზადებდნენ, იგივე იყო, მაგრამ თავად ამ სითხისაგან წარმოქმნილი კრისტალები – ყოველ შემთხვევაში, სამრეწველო დანიშნულებით – უკვე აღარაფრად ვარგოდა...

ეგ როგორ მოხდა, ვერავინ ახსნა. თუმცა, თეორიულად, მიზეზი შეიძლებოდა ის ყოფილიყო, რასაც დოქტორი ბრიდი „მარცვალს“ უწოდებდა, ანუ არასასურველი კრისტალური წარმონაქმნის პაწაწინა შემადგენელი. ღმერთმა უწყის, საიდან გაჩენილმა ამ მარცვალმა ატომებს მიბმა-მიჯაჭვის, დაკრისტალების, გაყინვის სრულიად ახლებური გზა უჩვენა.

– ახლა კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ის ყუმბარების გროვა ანდა ყუთებში ჩალაგებული ფორთოხლები, – მთხოვა ჩემმა მასპინძელმა. მერე კი თავადვე დამეხმარა გამეაზრებინა, რომ ყუმბარებისა თუ ფორთოხლების სულ ქვედა ფენა იმთავითვე განაპირობებდა ყოველი შემდგომის ერთმანეთთან მიბმასა და მოჭიდებას.

– ყველაზე ქვედა ფენა იმთავითვე წარმოადგენს ერთგვარ მარცვალს, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა მოიქცეს შემდგომში თითოეული სხვა ყუმბარა თუ ფორთოხალი, გინდაც ყუმბარებისა და ფორთოხლების რაოდენობა უსასრულო იყოს.

– ახლა დავუშვათ, – უფრო და უფრო გახალისდა დოქტორი ბრიდი, – რომ წყლის დაკრისტალების, იგივე გაყინვის მრავალი გზა არსებობს. დავუშვათ, ყინული, რაზეც ვსრიალებთ ან რომელსაც ჭიქაში ვიგდებთ (პირობითად, მას ყინული-1 დავარქვათ), ყინულის მრავალ სახეობათაგან მხოლოდ ერთ-ერთია; დავუშვათ, რომ დედამიწაზე წყალი მუდამ იმგვა-

რად იყინება, როგორც ყინული-1, რადგან მას არ გააჩნია ის მარცვალი, რომელიც ასწავლიდა, თუ როგორ შეექმნა ყინული-2, ყინული-3, ყინული-4 და ა. შ. დავუშვათ ისიც, – ბებრული ხელი კიდევ ერთხელ დაჰკრა მაგიდას, – რომ არსებობდა ერთგვარი ფორმა (დავარქვათ მას ყინული-9) – სწორედ ამ მაგიდასავით მყარი კრისტალი, რომლის დნობის ტემპერატურაც, ვთქვათ, 100 გრადუსი იქნებოდა ფარენჰაიტით, ან კიდევ უკეთესი, სულაც – 130.

– ჯერჯერობით, მოგყვებით... – ჩავუგდე სიტყვა.

თუმცა დოქტორ ბრიდს საუბარი აღარ გაუგრძელებია, რადგან მისაღებში უცებ ხმამაღალი ჩურჩული გაისმა. როგორც გამოირკვა, ამის მიზეზი „საქათმის“ გოგოების სტუმრობა გახლდათ.

მბეჭდავი გოგოები სასიმღეროდ გამზადებულიყვნენ.

მერე, როცა მე და დოქტორი ბრიდი ერთად გავედით მისაღებში, დასცხეს კიდეც საგალობელი „ბეთლემის ნათელი გვადგას“. ასამდე იქნებოდნენ და მშვენივრადაც მღეროდნენ, მე თუ მკითხავთ. კაბებზე სახელდახელოდ მიმაგრებული თეთრი ქაღალდის საყელოების წყალობით, მართლა ეკლესიის მგალობელ გოგონათა გუნდი გეგონებოდათ.

ვუსმენდი და, ჩემდა გასაკვირად, თითქოს გულიც კი ამიჩუყდა. სხვათა შორის, ჩემთვის ადრეც ბევრჯერ მოუგვრია თვალზე ცრემლი წკრიალა ხმით ნებისმიერი საგალობლის შესრულებას.

არა მგონია, როდისმე დამავიწყდეს, როგორ ჩაარაკრაკეს თუნდაც ეს მონაკვეთი: „გარდასულ დღეთა ყველა იმედი და ყველა შიში ამაღამ უკან მოგვბრუნებია...“.

21

წინ, საზღვაო ქვეითებო!

ალბატონ ფაუსტის დახმარებით, დოქტორმა ბრიდმა გოგონებს შოკოლადის ფილები ჩამოურიგა და მერე ისევ მის კაბინეტში შევბრუნდით.

დავსხედით თუ არა, მკითხა:

– სად გავჩერდი? – ოღონდ პასუხს არც დალოდებია, ისე მოაყოლა: – წარმოიდგინეთ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა შენაერთი სადმე, ღვთივდაწყევლილ ჭანჭრობში. მათი ტანკები, ჯავშანმანქანები, ქვემეხები – ეს ყველაფერი აქოთებულ ლამსა და ლაფში ჩაფლულა...

თითი ასწია და თვალი ჩამიკრა.

– თუმცა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, დავუშვათ, რომ რომელიმე ჯარისკაცს ყინული-9 უყრია ჯიბეში – იმის ახლებური საშუალება, როგორ გაყინოს და გააქვაოს სითხის ატომები! თუკი ეს ჯარისკაცი მის თუნდაც ერთ მარცვალს უახლოეს გუბურაში ჩააგდებს...

– გაიყინება?

– გუბურაცა და მთელი ჭანჭრობიც ირგვლივ!

– და მერე?

– მერე აშშ-ის საზღვაო ქვეითები ადგებიან და ისევე იოლად გაივლიან ზედ, ვითარცა ხმელზე!

22

ყვითელი პრესის წარმომადგენელი

— ეგეთი რამე მართლა არსებობს?

— არა, რა თქმა უნდა! — ისეთი ხმით მითხრა დოქტორმა ბრიდმა, აშკარა იყო, კიდევ ერთხელ გავაწბილე. — ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ გიამბეთ, მინდოდა მეჩვენებინა, რა უცნაურ და სრულიად ახალ-ახალ გზებს უკირკიტებდა ფელიქსი ძველი თავსატეხების ამოსახსნელად! მე, უბრალოდ, სიტყვა-სიტყვით გაგიმეორეთ, რაც იმან თავის დროზე ტალახით გაბეზრებულ გენერალს უთხრა. ფელიქსი, ჩვეულებრივ, მარტო უჯდა ხოლმე მაგიდას აქაურ სასადილოში. ყველას დაუწერელ წესად გვქონდა, ამ დროს მოვრიდებოდით და მის ფიქრთა მდინარებისათვის ხელი არ შეგვეშალა. საზღვაო ქვეითთა გენერალი კი დაუპატიჟებლად ჩამოუჯდა და ტალახზე გაუბა ლაილაი... ფელიქსმაც სახელდახელოდ სწორედ ის უპასუხა, რაც მე გითხარით.

— დაიცათ და... ეგეთი ნივთიერება ნაღდად არ არსებობს?

— აკი ვთქვი, არა-მეთქი! — უკვე მართლა გაცხარდა დოქტორი ბრიდი. — ფელიქსი ამ ამბიდან მალევე გარდაიცვალა და ყურადღებით რომ მოგესმინათ, რასაც ჭეშმარიტ მკვლევარებზე გიამბობდით, აღარც მაგ შეკითხვას დამისვამდით! ამ

ყაიდის კაცი საკვლევად იმას ირჩევს, რაც თავად მას ულიზიანებს ცნობისწადილს და არა – ვინმე სხვას!

– მე მაინც ისევ იმ ჭანჭრობზე ვფიქრობ...

– რას აიჩემეთ ეგ ჭანჭრობი! უბრალოდ, მაგალითისთვის ვახსენე!

– და მაინც, თუკი, მაგალითად, ჭანჭრობში ჩამდინარე ნაკადულებიც ყინულ-9-ად იქცა, მაშინ იმ მდინარეებსა და ტბებს რაღა დაემართება, ამ ნაკადულებით რომ საზრდოობენ?

– ისინიც გაიყინებიან... ოღონდ გაიგეთ, არანაირი ყინული-9 არ არსებობს!

– და ოკეანეები, სადაც ეს გაყინული მდინარეები ჩაედინება?

– ცხადია, ისინიც! – მომიჭრა სიტყვა. – მე მგონი, ერთი სული გაქვთ, როდის შეუგდებთ ყვითელ პრესას სენსაციურ ამბავს ამ ყინულ-9-ზე! ისევ და ისევ გიმეორებთ, ის არ არსებობს!

– მიწისქვეშა წყლებსა და წყაროებს რაღა დაემართებოდათ?

– გაიყინებოდა, გაიყინებოდა ყველაფერი! – აყვირდა ბერიკაცი. – რომ მცოდნოდა, ყვითელი პრესის მოგზავნილი ხართ, წუთსაც არ დავკარგავდი თქვენზე! – მითხრა გოროზად და სავარძლიდან წამოიმართა.

– და წვიმა?

– წვიმის წვეთებიც დაცემისთანავე სეტყვის კოშტებად იქცეოდა და სამყაროს აღსასრულიც დადგებოდა. სხვათა შორის, ჩვენი საუბარი დასრულებულია! კარგად მეყოლეთ.

23
გამომცხვარი ქადა

დოქტორ ბრიდს ერთი რამე მაინც ეშლებოდა: ყინული-9 ნამდვილად არსებობდა და თანაც – აქ, ჩვენთან, დედამიწაზე...

ყინული-9 იყო ის ბოლო საჩუქარი, რაც ფელიქს ჰონიკერმა კაცობრიობას უსახსოვრა, ვიდრე საკადრის საზღაურს მიიღებდა.

თან ისე შექმნა, არავინ იცოდა, რას აკეთებდა. არც რაიმე ჩანაწერები დაუტოვებია და არც არაფერი.

მართალია, ამ საქმიანობას რთული ხელსაწყო-იარაღები ესაჭიროებოდა, მაგრამ მსგავსი უკვე მოიძებებოდა კვლევით ლაბორატორიაში. დოქტორ ჰონიკერს მხოლოდ წვრილმანი რაღაც-რაღაცების გამორთმევა სჭირდებოდა თანამშრომლებისთვის, მეზობლურად, შინაურულად. არც ამას თაკილობდა, სანამ საბოლოოდ არ მიაღწია კიდეც თავისას.

მოკლედ, ქადაც გამოაცხო და მიირთვა კიდეც...

მართლა შექმნა ის ოხერი ყინული-9 – მოცისფრო ბურთულა, ფარენჰაიტის მხოლოდ 114,4 გრადუსზე რომ იწყებდა დნობას.

ფელიქს ჰონიკერმა ბურთულა შუშის პატარა ფლაკონში მოათავსა, რომელსაც მერე პიჯაკის ჯიბეში უკრა თავი. ლაბორატორიიდან კეიპ-კოდში გაემგზავრა, რათა იქ, საკუთარ კოტეჯში შეხვედროდა შობას სამ შვილთან ერთად.

ენჯელა მაშინ ოცდათოთხმეტისა იყო, ფრენკი – ოცდაოთხის, ციცქნა ნიუტი კი – თვრამეტის.

მოხუცი ზუსტად შობის წინადღეს გარდაიცვალა და ყინულ-9-ის შესახებ მხოლოდ შვილებს უამბო.

მერე იმათ ეს ყინული-9 ერთმანეთში გაიყვეს.

24
მაინც რა არის *ვამპიტერი*?

ახლა კი იმის ახსნა მომიწევს, რას ეძახის ბოკონონი *ვამ-პიტერს.* ეს ნებისმიერი *კარასის* თავი და თავია: რო-გორც თავად ბოკონონი გვმოძღვრავს, არა *კარასი* არ არსებობს *უვამპიტეროდ* – როგორც ბორბალი – უღერძოდ.

ვამპიტერად კი ყოველივე შეიძლება გამოდგეს: ხეც, ქვაც, მხეციც, აზრიც, წიგნიც, ჰანგიცა და წმინდა გრაალიც; და რაც უნდა იყოს იგი, *კარასის* წევრები სპირალური ნის-ლეულის დიდებულ ქაოსსს ქმნიან მის გარშემო. თავისთავად ცხადია, საერთო *ვამპიტერის* ირგვლივ *კარასის* თითოეული წევრის სამოძრაო ორბიტა სულიერი ხასიათისაა; ანუ ბრუნა-ვენ სულები და არა – სხეულები. აკი ბოკონონიც ასე გვამ-ღერებს:

ბოკონინმა თქვაო: თუნუქი და ქვაო!
მუდამ წრეზე ვბორიალობთ, ასე გვერგო, ძმაო...

ეს ჩვენი მოძღვარი იმასაც გვასწავლის, *ვამპიტერები* მოდიან და მიდიანო. დროის ყოველ მოცემულ მონაკვეთში

ნებისმიერ *კარასს* ორი *ვამპიტერი* აქვს: ერთი აღამავალი და ერთი დაღმავალი.

თითქმის დაბეჯითებით შემიძლია ვამტკიცო, რომ ვიდრე ილიუმში დოქტორ ბრიდს ველაპარაკებოდი, აღმასვლის გზაზე მდგარ ჩემი *კარასის ვამპიტერს* სწორედ იმ დაკრისტალებული წყლის, იმ მოცისფრო ბურთულის, ყინულ-9-ად წოდებული საბედისწერო მარცვლის სახე ჰქონდა მიღებული.

როცა ილიუმში დოქტორ ბრიდს ვესაუბრებოდი, ენჯელა, ფრენკლინი და ნიუტონ ჰონიკერები უკვე ყინულ-9-ის სამად დაყოფილი მარცვლის ერთადერთი მფლობელები იყვნენ – იმ უზარმაზარი ლოდის ანასხლეტების, მამამ რომ დაუტოვა სამემკვიდრეოდ.

ეჭვიც არ მეპარება, სწორედ ამ სამი ნამცეცის სამომავლო ბედი უნდა ქცეულიყო ჩემი *კარასის* უმთავრეს საზრუნავად.

25

მთავარი რამ დოქტორ ჰონიკერის თაობაზე

ჩემი *კარასის ვამპიტერზე* სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ. ფოლადსადნობი კომპანიის კვლევით ლაბორატორიაში, დოქტორ ბრიდთან ამ ერთობ უსიამოვნო საუბრის შემდეგ, ქალბატონ ფაუსტის განკარგულებაში აღმოვჩნდი: ნაბრძანები ჰქონდა, გამოვეცილებინე. თუმცა მოვახერხე და დავიყოლიე, მანამდე ცხონებული დოქტორ ჰონიკერის ლაბორატორია ეჩვენებინა ჩემთვის.

გზაში ვკითხე, რამდენად კარგად იცნობდა ამ სახელოვან მეცნიერს. ორაზროვნად ჩაიღიმა და აშკარად გულწრფელი, თანაც ერთობ საგულისხმო პასუხი გამცა:

– კარგად ვიცნობდიო, მასზე ალბათ ვერავინ იტყვის. საზოგადოდ, როცა ვინმეზე ამბობენ, კარგად ან ცუდად ვიცნობო, მეტწილად, გამხელილ თუ გაუმხელელ საიდუმლოებებს გულისხმობენ – რაიმე პირადულს, შინაურულს, თუნდაც ინტიმურს... – ენად გაიკრიფა ჩემი მეგზური. – რა თქმა უნდა, ასეთი ამბები დოქტორ ჰონიკერის ცხოვრებაშიც იყო, სხვანაირად როგორ იქნებოდა, თუმცა ეგ არ ყოფილა მთავარი.

– აბა, რა იყო?

– ჩემი უშუალო უფროსი სულ იმას მიმეორებს, დოქტორ ჰონიკერისთვის მთავარი სიმართლე იყოო...

– გატყობთ, ამ თვალსაზრისს მაინცდამაინც არ იზიარებთ.

– არც კი ვიცი, გავიზიარო თუ არა... უბრალოდ, იმის გაგება მიჭირს, მხოლოდ სიმართლე როგორ შეიძლება თვითკმარი ღირებულება იყოს ადამიანისთვის.

ქალბატონი ფაუსტი უკვე მომწიფებულიყო ბოკონონის სწავლებასთან საზიარებლად.

26
რაი არს უფალი?

—როდისმე თუ გილაპარაკიათ მასთან? – ვკითხე ქალბატონ ფაუსტს.

– რა თქმა უნდა, ძალიან ბევრჯერ!

– გამორჩეულად თუ დაგამახსოვრდათ რაიმე?

– ერთხელ დამენაძლევა, ვერაფერს მეტყვი ისეთს, სრული ჭეშმარიტება იყოსო. მე კი არც დავფიქრებულვარ, ეგრევე მივახალე, ღმერთი სიყვარულია-მეთქი...

– და იმან რაო?

– კითხვა შემომიბრუნა: ღმერთი რაღაა, ან თუნდაც – სიყვარულიო?

– უყურე შენ!

– არადა, ღმერთი მართლა სიყვარულია, – თქვა ქალბატონმა ფაუსტმა. – სულერთია, რას ფიქრობდა ამაზე დოქტორი ჰონიკერი.

27
ადამიანი მარსიდან

დოქტორ ფელიქს ჰონიკერის ლაბორატორია შენობის სულ ბოლო, მეექვსე სართულზე მდებარეობდა. კარის წინ წითელი თოკი გადაეჭიმათ, ხოლო სპილენძის ფირფიტა იუწყებოდა, რატომ ითვლებოდა აქაურობა გამორჩეულ სიწმინდედ:

ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის
ლაურეატმა, დოქტორმა ფელიქს
ჰონიკერმა ამ ოთახში გაატარა ცხოვრების
ბოლო 28 წელიწადი. „სადაც ის იყო, იქ
გადიოდა ცოდნის საზღვარი...“
განუზომელია ამ ერთი კაცის
წვლილი კაცობრიობის ისტორიაში.

ქალბატონმა ფაუსტმა შემომთავაზა, მოდით, თოკს ავხსნი და თუ გნებავთ, შიგნით შებრძანდით, უფრო ახლოს გაეცანით იქ დაბუდებულ აჩრდილებსო...

ცხადია, უარზე არ დავმდგარვარ.

– ხელი არაფრისთვის გვიხლია, – მითხრა ქალმა. – მხოლოდ მაგიდაზე დახვავებული რეზინის ზონრები მოვხვეტეთ.

– რა ზონრები?

– ახლა არ მკითხოთ, რაში სჭირდებოდაო. საერთოდ არ მესმის, ეს ყველაფერი რად უნდოდა.

ბერიკაცს ლაბორატორიაში ყველაფერი არეულ-დარეული დაეტოვებინა, თუმცა ჩემი ყურადღება, პირველ რიგში, ირგვლივ მიმოფანტული იაფფასიანი სათამაშოების რაოდენობამ მიიპყრო. რაღას არ ნახავდით: აქეთ ძგიდეგადატეხილი ქაღალდის ფრანი ეგდო, იქით – დასატრიალებლად გამზადებული ფერადზოლიანი ბზრიალა, საპნის ბუშტების გასაშვები წკირი, ხელოვნურქვაბულიანი დიდი აკვარიუმი, შიგ დაბინავებული ორი კუთი...

– იაფი საქონლის მაღაზიებში დაიარებოდა ხოლმე, – ამიხსნა ქალბატონმა ფაუსტმა.

– კი, ვხედავ.

– სხვათა შორის, ბევრი თამამი ექსპერიმენტი დოლარზე იაფი მოწყობილობებით აქვს ჩატარებული.

– ასეა, აქ დაზოგავ – იქ მოიგებ...

რა თქმა უნდა, იმ ოთახში ლაბორატორიისათვის აუცილებელი ბევრი ხელსაწყოც მოიძევებოდა, მაგრამ ისინი, რატომღაც, ამ სათამაშოების დანართ ნივთებს უფრო ჩამოჰგავდა.

პროფესორის საწერ მაგიდაზე გაუხსნელი წერილების მთელი ზვინი იდგა.

– მე მგონი, ცხოვრებაში არც ერთ წერილზე არ უპასუხია, – ივარაუდა ქალბატონმა ფაუსტმა. – პასუხის მისაღებად ან ტელეფონზე უნდა დაერეკათ, ან აქ უნდა მოსულიყვნენ.

საწერ მაგიდაზე ჩარჩოში ჩასმული ერთი ფოტოც იდო, ჩემკენ ზურგმოქცეული. მასპინძელს ვკითხე:

– ვისი სურათია – ცოლის?

– არა.

– შვილების?

– არა.

– აბა, მისი?

– არა.

მეც ავდექი და წინიდან მოვუარე. სურათზე რომელიღაც პატარა ქალაქის სასამართლოს შენობის წინ აღმართული ომის მსხვერპლთა მოკრძალებული მემორიალი იყო გამოსახული. მისი შემადგენელი ნაწილი კი ის აბრაც გახლდათ, რომელზეც სხვადასხვა ომში დაღუპული იქაური მაცხოვრებლების გვარ-სახელები იყო ამოტვიფრული. თავდაპირველად სწორედ ეს აბრა მივიჩნიე სურათის მაგიდაზე დაბინავების მიზეზად: დაღუპულთა ვინაობაც იკითხებოდა და თითქმის დარწმუნებული გახლდით, რომ მათ შორის ჰონიკერის გვარსაც ვიპოვიდი. ნურას უკაცრავად!

– მისი ერთ-ერთი ჰობი ესეც იყო, – მითხრა ქალბატონმა ფაუსტმა.

– რა?

– სასამართლოს შენობების წინ, მდელოებზე დახვავებული ყუმბარებისთვის სურათების გადაღება. ეტყობა, ამ ფოტოზე ყუმბარების წყობაში რაღაც ძალზე უცნაური შეამჩნია...

– ალბათ.

– საერთოდ, დიდად უცნაური კაცი იყო.

– ნამდვილად.

– ვინ იცის, მილიონი წლის შემდეგ ეგებ ყველა მასავით ჭკვიანი იყოს და იგივე დაინახოს, რასაც ის ხედავდა, მაგრამ დღევანდელი, ჩვეულებრივი ადამიანისაგან ისე განსხვავდებოდა, თითქოს მარსიდან ყოფილიყო ჩამოსული.

– ეგებ იყო კიდეც?

– მაშინ არცაა გასაკვირი, შვილი რომ ეგეთი გამოუვიდა.

28
მაიონეზი

სანამ მე და ქალბატონი ფაუსტი ლიფტს ველოდებოდით ისევ პირველ სართულზე ჩასასვლელად, ასე მითხრა, იმედი მაქვს, მაინცდამაინც მეხუთე ნომერი არ მოგვიწევსო. ვერც მოვასწარი მეკითხა, რატომ შფოთავდა ამის გამო. ლიფტი მოვიდა, სწორედაც – №5.

მელიფტე ერთი ტანმორჩილი, დაჩამიჩებული ზანგი აღმოჩნდა, სახელად ლაიმენ ენდერს ნოულზი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ აშკარად ვერ იყო: უცებ თავისსავე საჯდომს ჩააფრინდებოდა ხოლმე ორივე ხელით და გაიძახოდა: „მაგარია, მაგარია!“ – როგორც კი, თავისი მოკლე ჭკუით, რამე გონებამახვილურს დააბრეხვებდა.

– გაგიმარჯოთ, ჯიგრებო, გოგოებო, ბიჭებო! – ასე მოგვესალმა თავიდანვე და მერე მოაყოლა: – მაგარია, მაგარია!

– პირველი სართული, თუ შეიძლება, – ხაზგასმით ცივად მიმართა ქალბატონმა ფაუსტმა. ამ თხოვნის შესასრულებლად, ნოულზს მხოლოდ კარი უნდა მოეკეტა და ღილაკისთვის თითი დაეჭირა, თუმცა აშკარად არ ჩქარობდა. ან იქნებ საერთოდ არც აპირებდა?

– ერთმა მითხრა, – გაიკრიფა ენად, – ეს ლიფტები სულ მაიასეული არქიტექტურის გადამღერებაა. დღევანდლამდე არც მე ვიცოდი. იმ ტიპს ვეუბნები: ესე იგი, მე რა – მაიონეზი გამოვდივარ-მეთქი?! მაგარია, მაგარია! სანამ ნათქვამს მიმიხვდებოდა, სხვა შეკითხვაც ვაჯახე და მთლად ავურიე თავგზა... მაგარია!

– ეგებ დავიძრათ, ბატონო ნოულზ! – სთხოვა ქალბატონმა ფაუსტმა.

– ვეუბნები, – არ ცხრებოდა ნოულზი, – აქაურობა კვლევითი ლაბორატორიაა-მეთქი. კვლევა კიდე რაღაცის ჩხრეკაა, ეგრე არ არის? მაგრამ თუ რამე უკვე იპოვე და აღმოაჩინე, იმას კიდე რაღა ჩხრეკა სჭირდება?! ან ეს ამხელა შენობა რაღად უნდოდათ, ამ მაიონეზიანი ლიფტებით... თან სულ შერეკილებითა და გადარეულებით რომ გამოავსეს! რა დაკარგვიათ, რას დაეძებენ? ეგენი რისი გამომჩხრეკები მყვანან? მაგარია!

– ერთი სიამოვნებაა თქვენი მოსმენა,– ამოიოხრა ქალბატონმა ფაუსტმა, – მაგრამ იქნებ მანც დავეშვათ ქვევით?

– უნდა დავეშვათ, აბა რა! – შეუღრინა ნოულზმა. – ბოლო სართულზე ვართ, ზევით რაღას ავალთ... ძალიანაც რომ მთხოვოთ, აყვანაზე – ბოდიში. მაგარია!

– მაშ, დავეშვათ, მისტერ ნოულზ! – ხმა გაიმკაცრა ქალბატონმა ფაუსტმა.

– ძალიან მალე დავეშვებით... ამ ბატონმა ჩვენი დოქტორი ჰონიკერი დააფასა?

– დიახ, – ჩავერთე საუბარში. – იცნობდით?

– პირადად, – მიპასუხა ამაყად. – ძალიან კარგად. იცით, რა ვთქვი, როცა ფეხები გაჭიმა?

– არა...

– რა ვთქვი და დოქტორი ჰონიკერი არ მომკვდარა-მეთქი!

– მართლა?

– სხვა განზომილებაში გადავიდა-მეთქი, სწორედ ასე ვთქვი... მაგარია!

მერე ღილაკს წკიპურტი მიარტყა და როგორც იქნა, ქვემოთ დავეშვით.

– მის შვილებს თუ იცნობთ? – ვკითხე ნოულზს.

– შვილები არა, ვირიშვილები! – თქვა და ჩაიქირქილა. – მაგარია, მაგარია!

29
ᲮᲡᲝᲕᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝ

Ოლიუმში სხვა საქმის მოსწრებაც მინდოდა: ამ დიდი მეცნიერის საფლავის ფოტო უნდა გადამეღო. ამიტომ საკუთარ ოთახში დავბრუნდი. სანდრა, ცხადია, წასული დამხვდა. ჩანთაში ფოტოაპარატი მოვიძიე და ტაქსი გამოვიძახე.

მოჟამული, უფერული, თოვლჭყაპიანი დღე იდგა. ვიფიქრე, ამისთანა ამინდში დათოვლილი საფლავის ქვის სურათი კარგად გამომივა-მეთქი – ეგ კი არა, ეგებ სამომავლოდ წიგნის ყდაზეც კი გამომეტანა.

სასაფლაოს ჭიშკართანვე ვკითხე დარაჯს, როგორ მივაგნო ჰონიკერის უკანასკნელ განსასვენებელს-მეთქი.

– იოლად იპოვით, – მითხრა დარაჯმა. – თავისთავად მოგხვდებათ თვალში, იმსიმაღლე სვეტი ადგას ზედ.

მართალიც გამოდგა: საფლავზე ოცი ფუტის სიმაღლისა და სამი ფუტის სიგანის ალებასტრის ფალოსი აღემართათ. ახლა ერთიანად შეჭირხლულიყო.

– ღმერთო ჩემო! – შევძახე მანქანიდან გადმოსულმა და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. – ესაა ატომური ბომბის მამის საკადრისი საფლავი?!

უნებურად, გამეცინა კიდეც.

ტაქსის მძღოლს ვთხოვე, ცოტა ხნით ამ მონუმენტთან დამდგარიყო, მასშტაბის ხაზგასასმელად. მერე ვუთხარი, ეგებ ჩვარიც გადაუსვათ ფილას, წარწერა რომ უკეთ გამოჩნდეს-მეთქი.

არც ამას დამზარდა.

და – ღმერთო, შენ მიშველე! – დიდი ასოებით ამოტვიფრული ეს სიტყვა გამოჩნდა:

დედა

30
მხოლოდ სძინავს

— დედა? – გულწრფელად გაიკვირვა ტაქსის მძღოლმა.

ჩვარი ხელიდან გამოვტაცე და ახლა მე გადავწმინდე დანარჩენი:

დედა, დედა, გეევედრები,
მუდამ ჩვენთვის ილოცო.

ენჯელა ჰონიკერი

ამ ორ სტრიქონს კიდევ რამდენიმე მოსდევდა:

არ მომკვდარხარ, მხოლოდ გძინავს,
ჩვენც გიგონებთ ღიმილით –
შენი ხსოვნის უკვდავყოფას
არც შეშვენის ტირილი.

ფრენკლინ ჰონიკერი

სულ ქვემოთ კი ცემენტის ოთხკუთხედი ფილა დაემატებინათ, რომელსაც ბავშვის ხელის ანაბეჭდი აჩნდა. ანაბეჭდს მინაწერიც ჰქონდა:

პაწია ნიუტი

– ეს თუ დედის საფლავია, მამისთვის რაღა ჯანდაბა უნდა დაედოთ გულზე?! – გაიკვირვა მძღოლმა, მერე კი ერთობ უხამსი ვარაუდი გამოთქვა, როგორ წარმოედგინა იმისთვის შესაფერისი საფლავის ქვა...

ოჯახის თავის განსასვენებელიც იქვე, ორიოდ ნაბიჯში ვიპოვეთ. მის საფლავზე (როგორც მერე გავიგე, თავადვე დაებარებინა ანდერძად) მარმარილოს მომცრო კუბი იდო – 40X40 სმ. ზედ ეწერა:

მამა

31

კიდევ ერთი, ბრიდეგის საგვარეულოდან

როცა სასაფლაოდან მივდიოდით, ტაქსის მძღოლი უცებ დაინტერესდა, ნეტა დედაჩემის საფლავი რა დღეშიაო? მკითხა, გზა რომ გავიმრუდოთ და დავხედოთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებითო?

სადა, მოკრძალებული საფლავი გამოდგა, თუმცა ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?! მერე ერთხელაც მთხოვა ნებართვა – ამჯერად სასაფლაოს გადაღმა, ქვისსათლელ საამქროში შევირბენო.

მაშინ ჯერ ბოკონონის მიმდევარი არ გახლდით და, ცოტა არ იყოს, უხალისოდ დავეთანხმე. გაბოკონონისტებული, ცხადია, უფრო გულიანად ავუბამდი მხარს – ვინც საით მთხოვდა, მეც იქით გავყვებოდი, ხალისით. როგორც ბოკონონი ამბობს, „უცნაურ გზებზე სიარული ღვთიური ცეკვის გაკვეთილებია“.

საამქროს შესასვლელს აბრა ამშვენებდა: *ებრაჰამ ბრიდი და ვაჟები.* სანამ მძღოლი იქაურობის მეპატრონეს ესაუბრებოდა, მე უსახურ, არაფრით გამორჩეულ ძეგლებს შორის დავბოდიალობდი.

საგამოფენო ოთახში ამგვარ ამქრულ ხუმრობასაც წავაწყდი: მარმარილოს ანგელოზის თავს ფითრის ტოტი ამშვენებდა, ფერხთით კედრის რტოები ეწყო, ხოლო კისერზე საშობაო ნათურების აცმა ეკიდა...

– რა ღირს? – ვკითხე ხელოსანს.

– ეგ არ იყიდება. ასი წლისაა უკვე. ჩემმა პაპისპაპამ, ებრაჰამ ბრიდმა ჯერ კიდევ როდის გამოაქანდაკა.

– ამდენი ხანია საქმიანობთ?

– ასეა, კი.

– ესე იგი, თქვენც ბრიდი ბრძანდებით?

– აქაური ბრიდების მეოთხე თაობა.

– კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დოქტორი ეიზა ბრიდი თქვენი ვინაა?

– ჩემი ძმაა, – მითხრა და თავად მარვინ ბრიდად გამეცნო.

– პატარაა ეს ქვეყანა... – სხვას რას ვეტყოდი?!

– მით უმეტეს, სასაფლაოზე თუ მოხვდი! – მარვინ ბრიდი ერთი გაქნილი და გაუთლელი, გონებამახვილი და გულჩვილი კაცი ჩანდა.

32
ფული და დინამიტი

— Ს წორედ თქვენი ძმისაგან მოვდივარ... მწერალი გახლავართ და დოქტორ ჰონიკერზე ვეკითხებოდი რაღაც-რაღაცებს, – ვუთხარი.

– ეგ მამაძაღლი კაცი... ჩემს ძმაზე არ ვამბობ. ჰონიკერს ვგულისხმობ.

– ცოლის საფლავის ქვა თქვენ შეგიკვეთათ?

– იმან – არა. იმისმა შვილებმა. თვითონ არც არაფერში გარეულა. არც გახსენებია, ცოლისთვის ქვა დაედგა. წელიწადზე მეტი ხნის მკვდარი იყო, ჰონიკერის სამივე შვილი რომ მოგვადგა: უკვე წამოზრდილი მაღალი გოგო, შუათანა ბიჭი და ის, სულ პატარა... ყველაზე დიდი ქვა უნდოდათ და არც ფულზე არ დაუხევიათ უკან. უფროსმა შვილებმა ზედ რაღაც ლექსების წარწერაც მოინდომეს – დაიჟინეს, უამისოდ არ იქნებაო.

– თქვენ იცინეთ და, უკეთესად ვერც ვერაფერი მოუტანდათ შვებას, – გააგრძელა მარვინ ბრიდმა. – ღმერთმა უწყის, წელიწადში რამდენჯერ მოდიოდა ხოლმე სამივე, ყვავილებს დააწყობდნენ და საათობით უცქერდნენ დედის საფლავს.

– წესით, ძვირი უნდა დასჯდომოდათ.

– მაგაში წავიდა მთელი ნობელის პრემია. მაგაში და კეიპ-კოდში ნაყიდ კოტეჯში.

– დინამიტის წყალობით ნაშოვნი ფული... – ჩავილაპარაკე ჩემთვის, თან იმას ვფიქრობდი, სად ამ ასაფეთქებლის დამანგრეველი ძალა და სად კიდევ სასაფლაოსა თუ საზაფხულო სახლის სრული მყუდროება-მეთქი.

– რაო?

– ნობელმა ხომ დინამიტი გამოიგონა...

– ხდება ხოლმე.

მაშინ უკვე ბოკონონის მიმდევარი რომ ვყოფილიყავი, ეს უცნაურად აბურდული მოვლენების ჯაჭვი, რამაც დინამიტით ნაშოვნი ფული, საბოლოოდ, სწორედ ამ ქვის საამქრომდე მოიტანა, ალბათ ჩუმად მათქმევინებდა: „ეგეთები ხდება?!“

სწორედ ამ სიტყვებს ვიმეორებთ ხოლმე ჩვენ, ბოკონონს დამოწაფებულნი, როცა კი ჩავუფიქრდებით, სინამდვილეში რა ჩახლართული და ამოუცნობი გზებით გვატარებს ეს ცხოვრება.

ოღონდ მაშინ, ჯერ ისევ ქრისტიანმა, მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე:

– ზოგჯერ ცხოვრება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

– ზოგჯერ კი – პირიქით, – მომიგო მარვინ ბრიდმა.

33
უმადური კაცი

მარვინ ბრიდს ვკითხე, პირადად თუ იცნობდა ემილი ჰონიკერს, ფელიქსის მეუღლეს, ენჯელას, ფრენკისა და ნიუტის დედას – იმ უგვანი ქვის ქვეშ დაკრძალულ ქალს.

– ვიცნობდიო?! – ხმა გაებზარა მარვინს. – რაო, ბატონო, რა მკითხეთ? რა თქმა უნდა, ვიცნობდი! და ძალიან ახლოსაც. ერთ სკოლაში ვსწავლობდით მე და ემილი. სამკერდე ნიშნების შემრჩევ საბჭოსაც ერთად ვხელმძღვანელობდით. ემილის მამას ილიუმში საკრავების მაღაზია ჰქონდა და ემილიც ნებისმიერ საკრავზე, რასაც გინდოდათ, იმას დაგიკრავდათ. ისე ვიყავი შეყვარებული, ფეხბურთს თავი მივანებე და ვიოლინოს გაკვეთილებზე დავიწყე სიარული. მერე იყო და ჩემი უფროსი ძმა, ეიზა ჩამოვიდა არდადეგებზე და მეც, ჩემდა ჭირად, თვითონვე გავაცანი ემილი... – მარვინ ბრიდმა თითები გაატკაცუნა. – აი, ასე ამახია... ჩემი სამოცდათხუთმეტდოლარიანი ვიოლინო კედელს მივაფშვენი, მერე ყვავილების მაღაზიას მივაკითხე, აი, ისეთი ყუთი ვიყიდე, ვარდების გასაგზავნად რომ უკვეთენ ხოლმე და ყვავილებს მაგივრად, შიგ უსარგებლო ხემი ჩავდე, ვიღაც ფოსტალიონ ბიჭს გავატანე ემილისთან.

– ლამაზი ქალი იყო?

– ლამაზიო? – დაიბუხუნა. – ბატონო ჩემო, თუკი, ღვთის ნებით, მეღირსა და სამოთხეში მოვხვდი, პირველივე ანგელოზი მხოლოდ ფრთებით თუ გამაკვირვებს, თორემ სახეზე არც კი შევხედავ! სააქაოსაც და საიქიოსაც უმშვენიერესი სახე უკვე ნანახი მაქვს... კაცი არ იყო მთელ ილიუმის ოლქში, ემილი არ ჰყვარებოდა – გინდა ფარულად და გინდა გაცხადებულად! იმასაც შეეძლო, ვინც მოესურვებოდა, ის აერჩია... – გულიანად გადააპურჭყა. – ის კი ადგა და იმ ჰოლანდიელ ნაბიჭვარს გაჰყვა! არადა, მანამდე ჩემს ძმაზე იყო დანიშნული. ამ ნაბიჭვარმა კიდე თავისთვის დაითრია! – მარვინ ბრიდმა ერთხელაც გაატკაცუნა თითები. – ცხვირწინ აწაპნა ჩემს უფროს ძმას! ვიცი, დიდი უსამართლობა და უმადურობაა, ეგებ ბნელ და ჩამორჩენილ ვინმედაც ჩამთვალოთ, ფელიქს ჰონიკერივით სახელოვან კაცს, თანაც მკვდარს, ნაბიჭვარს რომ ვეძახი... ის ლაილაიც ხშირად გამიგონია, ვითომ როგორი უწყინარის ერთი, კეთილი მეოცნებე ბრძანდებოდა, ჭიანჭველასაც კი არ ადგამდა ფეხს, არც ფული ანაღვლებდა, არც დიდება, არც ჩაცმა-დახურვა და გავლა-გამოვლა. არავის არ ჰგავდა, ყველას გვჯობდა, ლამის ქრისტეზე მეტი ქრისტიანი იყოო... ერთი ეგ იყო, სულიწმინდის ჩასახულად არ იხსენიებდნენ!

მეტის თქმასაც აპირებდა, მაგრამ ჩავეძიე:

– და თქვენ რას ფიქრობთ?

– მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს? – ფანჯარასთან მივიდა და სასაფლაოს გახედა. – რა მნიშვნელობა აქვს? – ჩაილაპარაკა ისევ, სასაფლაოს ჭიშკარს, თოვლჭყაპსა და ჰონიკერის სვეტის თავს მიშტერებულმა. – რანაირად შეიძლება ატომური ბომბის ერთ-ერთი შექმნელი უმანკო იყოს?! ან რა კეთილი განზრახვით ახსნი და გაამართლებ იმის გულგრილობას და

უმოქმედობას, როცა ქვეყნად უკეთილშობილესი, ულამაზესი ქალი – მისივე მეუღლე – უსიყვარულობითა და უყურადღებობით გაწამებული კვდებოდა?..

გააჟრჟოლა.

– ზოგჯერ ვფიქრობ, ეგებ უკვე მკვდარი დაიბადა-მეთქი. სხვა არავინ შემხვედრია, ვინც ყველაფერი ცოცხალის მიმართ მასავით გულგრილი იქნებოდა. ზოგჯერ მგონია, ქვეყნიერების თავი და თავი უბედურებაც ესაა – ძალიან ბევრი იმთავითვე მკვდრადშობილი განაგებს დანარჩენების ბედ-იღბალს.

34
ვინ-დიტი

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ იმ სახელოსნოში ყოფნისას განვიცადე ჩემი პირველი *ვინ-დიტი*, რაც, ბოკონონის მიმდევართა ენაზე, უეცარ, ძალზე პირადულ გადახრას ნიშნავს ამ მოძღვრებისაკენ. დავიჯერე, რომ ბოლო-ბოლო, ყოვლისშემძლე უფალმა ყველაფერი იცოდა ჩემ შესახებ და უკვე განესაზღვრა კიდეც ჩემი სამომავლო სვე-ბედი.

ეტყობა, ჩემს *ვინ-დიტს* რაღაც ჰქონდა საერთო ფითრის ფოთლებქვეშ დაყურსულ ქვის ანგელოზთან... ტაქსის მძღოლმა აიჩემა, რადაც უნდა დამიჯდეს, მაინცდამაინც ეს ქანდაკება უნდა დავდგა დედაჩემის საფლავზეო. იდგა და თვალცრემლიანი კარგა ხანს მისჩერებოდა უხმოდ.

მარვინ ბრიდი კი კვლავაც სასაფლაოს ჭიშკარს შესცქეროდა ფანჯრიდან – როგორც ჩანს, ფელიქს ჰონიკერზე საუბარს აღარ აპირებდა, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ მაინც დაამატა:

– დღევანდელ დღეს ის ჰოლანდიელი ნაბიჭვარი ეგებ მარტვილადაც შეერაცხათ, მაგრამ ღმერთმა დამწყევლოს, თუ როდისმე საკუთარი ნების წინააღმდეგ გაეკეთებინოს რა-

მე და ყველა თავისი ხუშტური არ აესრულებინოს! თუნდაც მუსიკა ავიღოთ... – თქვა და ისევ გაირინდა.

– რა ავიღოთო? – შევეხმიანე.

– მუსიკა-მეთქი. მაგიტომაც გაჰყვა ცოლად ემილი. გაიძახოდა, მაგას ყურში სულ უდიადესი, ვარსკვლავების მუსიკა ჩაესმისო... – დანანებით გადააქნია თავი. – რა სისულელეა!

მერე სასაფლაოს ჭიშკარმა, რატომღაც, ფრენკ ჰონიკერიც გაახსენა – ჩხირკედელა ავიატორი და მწერების მწვალებელი.

– ფრენკი, – თქვა მოულოდნელად.

– ფრენკს რაღა დაემართა?

– ეგ საწყალი სულ ბოლოს სწორედ ამ ჭიშკრიდან გამომავალი დავინახე. მამამისის დასაფლავებას არც დაელოდა. ჯერ კუბოც არ ჩაეშვათ მიწაში და ფრენკი სასაფლაოდან გამოვიდა, მერე პირველსავე ტაქსს დაუქნია ხელი. მახსოვს, ახალთახალი „პონტიაკი“ იყო, ფლორიდის სანომრე ნიშნებით. მანქანა გაჩერდა, ფრენკი შიგ ჩაჯდა და მას მერე ილიუმში თვალით აღარავის გვინახავს.

– გავიგე, პოლიცია დაეძებდაო...

– სისულელეა. რაღაც გაუგებრობა იქნებოდა. რომელი ბოროტმოქმედი ეგა მყავს! ვინ მისცა მაგის შნო! წესიერად მხოლოდ მოდელების კეთება ეხერხებოდა. სამსახურითაც, ჯეკის სათამაშოების მაღაზიის გარდა, არსად უმუშავია. იქაც მოდელებს აწყობდა და იმიტომ – ყიდდა და სხვებსაც ასწავლიდა თვითმფრინავების აწყობას. აქედან ფლორიდაში ჩასულმაც ამავე საქმის გაგრძელება სცადა სარასოტაში. როგორც აღმოჩნდა, მოდელების იქაური მაღაზია „კადილაკების“ ქურდების თავშესაყარი ალაგი იყო, ისინი კი ომგამოვლილი, ჩამოწერილი თვითმფრინავებით ეზიდებოდნენ ნაქურდალ მანქანებს კუბაში. ფრენკიც ამნაირად გაება, პოლიციამ იმიტომ

ვერ მიაგნო მის გზა-კვალს, რომ, მგონი, უკვე ცოცხლებში აღარც წერია... ალბათ რაღაც ზედმეტი გაიგონა და არ აპატიეს – თავიდან მოიშორეს, ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

– და ნიუტისა რა იცით?

– დასთან უნდა ცხოვრობდეს, ინდიანაპოლისში. ბოლოს ის გავიგე, რუს ჯუჯა ქალს რომ გადაჰკიდებია და კორნელის უნივერსიტეტიდან გამოურიცხავთ. ისე, როგორ წარმოგიდგენიათ – ჯუჯა ექიმობას აპირებდეს? და კიდევ, ის აწონილი, ორმეტრიანი გოგოც... მამამისს დიდი ჭკუის პატრონს კი ეძახიან, მაგრამ სწორედ იმან არ დაამთავრებინა სკოლა – ქალი ხომ უნდა იყოს ოჯახშიო. თვითონ გოგოს ყველაფერზე მეტად კლარნეტი უყვარდა და უკრავდა კიდეც სკოლის ორკესტრში. „ასი მოხეტიალე მუსიკოსი“ ერქვა დასს. სკოლის მიტოვების შემდეგ, მგონი, აღარავის გახსენებია. მეგობრებიც არ ჰყავდა, მამამისს კი აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც კინოში წასასვლელი ფული მიეცა. იცით, რას აკეთებდა ხოლმე ის გოგო?

– არა, საიდან...

– თითქმის ყოველ ღამე თავის ოთახში იკეტებოდა, ფირსაკრავს ჩართავდა, დადებდა ფირფიტას და მერე მუსიკას თავის კლარნეტს ააყოლებდა ხოლმე. სასწაულია, რანაირად მოახერხა გათხოვება.

– ანგელოზში რამდენი მოგცეთ? – მოულოდნლად იკითხა ტაქსის მძღოლმა.

– აკი გითხარით, არ იყიდება-მეთქი.

– არა მგონია, კიდევ იყვნენ დარჩენილი ისეთი ოსტატები, მსგავსი რამის გამოქანდაკება შეეძლოთ... – გამოვთქვი ჩემი ვარაუდი.

– კი, როგორ არა, – შემომედავა ბრიდი. – თუნდაც ჩემი ძმისშვილი, ეიზას ბიჭი. თავიდან იმასაც მეცნიერების ჭია

ღრღნიდა, მაგრამ როცა ჰიროშიმაში ბომბი ჩამოაგდეს, იმავე დღეს წამოვიდა სამსახურიდან, მაგრად გამოიბრუჟა, მერე აქ მომადგა და მითხრა, ქვის ჭრა მინდა ვისწავლოო...

– ახლაც თქვენთან მუშაობს?

– არა, რომშია. მოქანდაკე გახდა.

– კარგი ფასი რომ შემოგთავაზონ, არც მაშინ დათანხმდებით? – არ ცხრებოდა ტაქსის მძღოლი.

– ალბათ დავთანხმდები... ოღონდ ძალიან დიდ ფულზე თუ იქნება ლაპარაკი.

– და წარწერას სად გაუკეთებთ? – ვკითხე.

– უკვე აქვს, კვარცხლბეკზე.

ჩვენ ვერაფერს ვხედავდით, რადგან ტოტები ეფარებოდა.

– აქამდე არ გამოჩენილა პატრონი? – დავინტერესდი.

– აქამდე ფულიც კი არავის გადაუხდია. ეს ამბავი კი ასე იყო: მავანი გერმანელი ემიგრანტი ცოლთან ერთად მიემგზავრებოდა დასავლეთისაკენ და ცოლი სწორედ აქ, ილიუმში გარდაეცვალა ყვავილისაგან. უნდოდა, ეს ანგელოზი საფლავზე დაედგა და ჩემს დიდ პაპას ნაღდი ფულიც აჩვენა, მაგრამ მერე გაძარცვეს – ვიღაცამ მთლად ჯიბეგაფხეკილი დატოვა. ამქვეყნად აღარაფერი დარჩა, ინდიანაში ნაყიდი მიწის ნაკვეთის მეტი, ოღონდ ვეღარც ის მიწა ნახა ალბათ. გზა გააგრძელა და დაგვიბარა, მაგ ქანდაკების საფასურს დაბრუნებისთანავე გადაგიხდითო...

– აღარც დაბრუნებულა, არა? – ვკითხე.

– არა.

მარვინ ბრიდმა ტოტები ფეხის წვერით მისწი-მოსწია და ახლა უკვე ჩვენც დავინახეთ კვარცხლბეკზე ამოკვეთილი ასოები: გვარი ეწერა მხოლოდ.

– ეს გვარიც რომ უცნაური აქვს, ენას მოიტეხ კაცი, – გვითხრა ბრიდმა. – იმ ემიგრანტს თუ დარჩა კიდეც შთამომავლობა, გვარს ნაღდად ამერიკულ ყაიდაზე გადაიკეთებდნენ ყველანი. ახლა ალბათ ჯოუნზები, ბლეკები ან თომპსონები იქნებიან...

– აი, ეგ კი შეგეშალათ, – ჩავიბურტყუნე.

ოთახი თითქოს ამოყირავდა და კედლებიც, ჭერიცა და იატაკიც თვალის დახამხამებაში უამრავ პირდაღებულ გვირაბად იქცა, სულ სხვადასხვა მიმართულებით რომ იკლაკნებოდნენ. ბოკონონის მიმდევრის ხილვა თუ იყო, რომ დროში გაბნეული ყოველი წამი ერთობლიობაში დავინახე – ყველა მოხეტიალე კაცი, ყველა ქალი, ყველა ბავშვი...

– გეშლებათ, – გავიმეორე ისევ, როგორც კი ეს ხილვა გაქრა.

– ამ გვარის მქონეს იცნობთ ვინმეს?

– კი.

კვარცხლბეკზე ჩემი გვარი ეწერა.

35
სათამაშოების მაღაზია

უკან, ისევ სასტუმროსკენ მიმავალმა, „ჯეკის სათამაშოების მაღაზიას“ მოვკარი თვალი, სადაც ადრე ფრენკლინ ჰონიკერი მუშაობდა. ტაქსის მძღოლს ვთხოვე, მანქანა გაეჩერებინა და დამლოდებოდა.

შიგნით შევედი და თავად ჯეკიც ვიხილე, პაწაწინა ორთქლმავლებს, მატარებლებს, თვითმფრინავებს, გემებს, სახლებს, ლამპიონებს, ხეებს, სატვირთოებს, რაკეტებს, ავტომობილებს, კარისკაცებს, კონდუქტორებს, პოლიციელებს, მეხანძრეებს, დედიკოებს, მამიკოებს, ფისოებს, ცუგოებს, წიწილებს, ჯარისკაცებს, იხვებსა და ძროხებს შორის. ფეთხუმი, უსიცოცხლო კაცი ჩანდა, მტვრის ფერი ედო მოღუშულ სახეზე და ხშირ-ხშირად ახველებდა.

– ფრენკლინ ჰონიკერი როგორი ბიჭი იყოო? – როხროხით შემომიბრუნა შეკითხვა და ხველა აუტყდა. თან თავს აქნევდა აქეთ-იქით, უნდოდა ეჩვენებინა, გულით მიყვარდაო. – მაგას სიტყვით ვერ გამოვთქვამ! ისე, შემიძლია გიჩვენოთ, რა ბიჭიც იყო... – ისევ აუტყდა ხველა, მერე სული მოითქვა და დაამატა: – საკუთარი თვალით ნახეთ და დასკვნებიც თავად გამოიტანეთ!

სარდაფში ჩამიყვანა, სადაც ცხოვრობდა კიდეც. იქ განიერი საწოლი, ტანსაცმლის კარადა და ელექტროღუმელი ედგა. აყრილი ლოგინის გამო მომიბოდიშა – ცოლმა ერთი კვირის წინ მიმატოვაო. ისევ დაახველა. ახლა ვცდილობ, არ წავხდე და მარტო გავუმკლავდე ცხოვრებასო, დაამატა.

კედელზე ამომრთველი მოიძია და სარდაფის შორეული ბოლო უცებ თვალისმომჭრელად გაჩახჩახდა.

იქით გავემართეთ და აღმოჩნდა, რომ ეს შუქი მზესავით დანათოდა მუყაოზე გაწყობილ პაწია ზღაპრულ სოფელს. თუკი ნებისმიერ იქაურ მაცხოვრებელს, რატომღაც, მოუსვენრობა შეიპყრობდა და ამ მწვანე საზღვრებს მიღმა სამყაროს შეცნობის ჟინი შეუჩნდებოდა, უთუოდ ქვეყნის დასალიერს გადააბიჯებდა და ბნელეთში გადაეშვებოდა... თითოეული საგნის ზომა იმდენად შესაბამისად იყო შერჩეული, ყველაფერი ისე ბუნებრივად ესადაგებოდა ერთიმეორეს, რომ ჩემდა უნებურად ვირწმუნე ამ გამოგონილი ქვეყნის ნამდვილობა – იქაური მთა-გორების, ტბების, მდინარეების, ტყეების, ქალაქებისა და სხვა დანარჩენისაც, რაც ადამიანებს ნებისმიერ ქვეყანაში ერთნაირად ეძვირფასებათ.

მთელი ეს კუნძული რკინიგზის ხაზებით გახლდათ დასერილი.

– აბა ერთი, ამ სახლების კარებსაც შეხედეთ! – ხმაში სიამაყეც კი გამოერია ჯეკს.

– მაგარი ნამუშევარია, – ვთქვი მე.

– ზარის ღილაკები ნამდვილია და დარეკვაც კი შეგიძლიათ!

– სასწაულია, ნამდვილად.

– მკითხეთ, ფრენკლინ ჰონიკერი როგორი ბიჭი იყოო და აი, ეს ყველაფერი მისი ნახელავია, – გაიბადრა ჯეკი.

– მარტომ გააკეთა?

– ცოტ-ცოტას ვეხმარებოდი, მაგრამ ყველაფერს მხოლოდ მისივე გეგმით ვაკეთებდი. გენიოსი იყო ნამდვილი!

– ვერ შეგედავებით.

– მაგას უმცროსი ძმა ჯუჯა ჰყავდა, გეცოდინებათ.

– კი, გამიგია.

– რაღაც-რაღაცებს ისიც ჩხირკედელაობდა – ეხმარებოდა, ასე ვთქვათ. არ იყო იოლი საქმე და დროც გვარიანი დასჭირდა.

– არც რომი აშენებულა ერთ დღეშიო, ხომ ამბობენ...

– ბიჭს სახლში გული არ უდგებოდა.

– ეგეც გამიგია.

– აქ უყვარდა ყოფნა. ღმერთმა უწყის, რამდენი საათი გაუტარებია ამ სარდაფში. ზოგჯერ არც არაფერს აკეთებდა ხოლმე, იჯდა და შესცქეროდა თავის ნახელავს. მე შენ გეტყვი და, ცოტაა სანახავი. ვითომ ევროპაში გიმოგზაურია. კარგად თუ შეხედავ, რამდენ რამეს აღმოაჩენ სრულიად მოულოდნელად, ადრე რომ ვერც დაგინახავს... თავისებურად ხედავდა ყველაფერს, ჩვენგან განსხვავებულად. უცებ რომელიმე გორაკს ხელს მოუსვამდა და გააქრობდა, თუკი მოეჩვენებოდა, თავის ადგილას არ დგასო... სხვათა შორის, ალღოც უტყუარი ჰქონდა და შეეძლო, იმ გორაკის ადგილას მთელი ტბა გაეჩინა, მერე ზედ ხიდიც გაედო და იქაურობა უწინდელზე ათასჯერ უკეთესად ექცია.

– იშვიათი ნიჭი ჰქონია.

– აბა რა! – გულმხურვალედ დამეთანხმა ჯეკი. თუმცა ეს ხველების კიდევ ერთ შეტევად დაუჯდა. სული რომ მოიბრუნა, თვალები ერთიანად აწყლიანებოდა. – სულ ვეუბნებოდი, სწავლა უნდა გააგრძელო და ინჟინერი გახდე-მეთქი. უთუოდ

რომელიმე ცნობილ დიდ კომპანიაში უნდა ემუშავა. იქ კი მართლა დააფასებდნენ მის გამომგონებლობას.

– ჩანს, გულით ეხმარებოდით...

– ნეტა მეტი შემძლებოდა რამე, – დანანებით ჩაილაპარაკა ჯეკმა. – ზედმეტი ფული არასოდეს მქონია. ხანდახან რაღაცებით კი ვამარაგებდი, მაგრამ მეტწილად მაინც თვითონვე ყიდულობდა, საკუთარი ხელფასით. სხვაზე არც არაფერზე ხარჯავდა ფულს – არც სვამდა, არც ეწეოდა, არც კინოში დაიარებოდა, არც გოგოებს დასდევდა და არც მანქანებზე ეკეტებოდა ჭკუა.

– სწორედ ეგეთი ხალხი სჭირდება ქვეყანას.

ჯეკი უხერხულად შეიშმუშნა.

– რა გითხრათ... ეტყობა, მართლა ვიღაც ფლორიდელმა კრიმინალებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე – არაფერი დაფქვას ჩვენზეო.

– ეგრე იქნებოდა.

ჯეკმა თავი ვეღარ შეიკავა და უცებ ტირილი აუვარდა.

– იცოდნენ კი იმ დამპალმა ნაბიჭვრებმა, რა ბიჭს კლავდნენ?

36
მიაუ!

სანამ მე ილიუმსა და მის შემოგარენს მოვივლიდი, რამაც მთელი ორი კვირა წაიღო შობის ჩათვლით, ნიუიორკში ჩემი ბინა ერთი საწყალი, ხელმოკლე პოეტის, შერმან კრებსის განკარგულებაში რჩებოდა, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ შევიფარე. მეორე ცოლმა იმის გამო მიმატოვა, შენისთანა პესიმისტთან ჩემნაირი ოპტიმისტის დაწყვილება ყოვლად შეუძლებელიაო.

კრებსი ერთი წვეროსანი ჯეელი გახლდათ, ქერათმიან იესოს წააგავდა და სპანიელის სევდიანი თვალები ჰქონდა. ვერ ვიტყვი, ახლო მეგობრები ვიყავით-მეთქი – რომელიღაც წვეულებაზე გავიცანი, სადაც გადაუდებელი ბირთვული ომის მხარდამჭერ პოეტთა და მხატვართა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ გამეცნო. სხვათა შორის, თავშესაფარიც მაშინვე მთხოვა. ასე მითხრა, აუცილებელი არაა, აფეთქებას უძლებდესო, და რაკი საშუალება მქონდა, უარიც აღარ მითქვამს.

როცა დამკვეთდაკარგული ქვის ანგელოზის ნახვით აფორიაქებული დავბრუნდი შინ, ჩემი ბინა ნიჰილისტისგან აკლებულ ბუნაგად დამხვდა. კრებსი კი წასულიყო, მაგრამ მანამდე მოესწრო და სამასდოლარიანი სატელეფონო საუბრების ვალი

დაედო ჩემთვის, ტახტი ხუთ ადგილას ამოეწვა, ჩემი კატა მიესიკვდილებინა, ავოკადოს ხეც უწყლობით გაეხმო და წამლების შესანახი კარადისთვისაც კარი მოეგლიჯა.

სამზარეულოს იატაკზე დაფენილ ყვითელ ლინოლეუმზე კი ამგვარი ლექსი წაეწერა – როგორც აღმოჩნდა, საკუთარი ქაქით:

რა თავში იხლი სამზარეულოს,
თუ არ გივარგა საგვარეულო...

საწოლის თავთან, ზედ შპალერზე, ქალის ხელით და აშკარად ტუჩის საცხით დაწერილი სხვა წარწერაც აღმოვაჩინე:

არა, არა და არაო – ვიღაცამ ასე ბრძანაო!

ჩემი მკვდარი კატისთვისაც შეებათ კისერზე ქაღალდის ფურცელი წარწერით: „მიაუ!“

მას მერე კრებსი აღარასოდეს მინახავს. ეჭვი მღრღნის, რომ ისიც უთუოდ ჩემი *კარასის* წევრი უნდა ყოფილიყო. თუ ასეა, *რენგ-რენგის* მისია უნდა რგებოდა წილად. ბოკონონის თქმით კი, *რენგ-რენგი* ის პიროვნებაა, ვისაც ადამიანები უნაყოფო მსჯელობის გზიდან გადაჰყავს, საკუთარი ცხოვრების მაგალითით გულს უცრუებს ამა თუ იმ საქმიანობაზე და სრული აბსურდისაკენ უბიძგებს.

არ გამოვრიცხავ, გულის სიღრმეში მსურდა კიდეც, ის ქვის ანგელოზი დამევიწყებინა, როგორც სრული უაზრობა და ყოველივეს უაზრობა მეღიარებინა, მაგრამ მას მერე, რაც კრებსის ნამოქმედარი ვიხილე, კერძოდ კი, საკუთარი თვალით ვნახე, რა ექნა ჩემი საყვარელი ფისოსათვის, მივხვდი, ნიჰილიზმი არ იყო ჩემი ხვედრი; ვიღაც თუ რაღაც მიკრძალავდა ნიჰილისტად ქცევას. არ ვიცი, თავად აცნობიერებდა თუ არა, მაგრამ სწორედ კრებსს ერგო წილად, ამ ფილოსოფიას ვეზიარებინე. მაგარი ხარ, კრებს! დიდი მადლობა!

37
ჩვენი დროის გენერალ-მაიორი

ერთ მშვენიერ კვირა დღეს სრულიად მოულოდნელად შევიტყვე, თუ სად შეიძლებოდა მეპოვა სამართალდამცველებისაგან ძებნილი მოდელების ოსტატი, ქილებში გამომწყვდეული ხოჭოების მბრძანებელი და ჭიანჭველების ბედის გამრიგე, ის ჩვენი ფრენკლინ ჰონიკერი.

თურმე ცოცხალი და საღ-სალამათი არ ყოფილა?!

ეს ახალი ამბავი „ნიუ-იორკ სანდი ტაიმზის“ საგანგებო დამატებიდან შევიტყვე. თავად ეს ბუკლეტი თავიდან ბოლომდე რომელიღაც ბანანის რესპუბლიკის დაკვეთილი ფასიანი რეკლამა გახლდათ, ოღონდაც ყდას ისეთი სულისშემძვრელად ლამაზი გოგოს პროფილი ამშვენებდა, ცხოვრებაში მსგავსის ნახვის იმედი რომ არ მქონდა.

გოგო იმ ბულდოზერების ფონზე იყო გადაღებული, ფართო გზატკეცილის გასაყვანად, დაუნდობლად რომ ძირკვავდნენ პალმის ხეებს. შორს კი სამი ახალი მაღლივი შენობის ლითონის ჩონჩხებიც იკვეთებოდა.

„შენდება და მშვენდება სან-ლორენცოს რესპუბლიკა! – ეწერა გარეკანზე. – ჯანმრთელი, სვებედნიერი, თავისუფლე-

ბის მოყვარული ეს მომხიბლავი ქვეყანა უაღრესად მიმზიდველია როგორც ამერიკელი ინვესტორებისთვის, ისე ჩვეულებრივი ტურისტებისთვისაც!“

მეტის წაკითხვას ნამდვილად არ ვჩქარობდი. ჩემთვის გოგოს ფოტოც საკმარისი იყო – საკმარისზე მეტიც, რაკი ერთი ნახვით შემიყვარდა... სრულიად ახალგაზრდა ჩანდა, უაღრესად ფიქრიანი, მიუწვდომლად შორეული და თან საოცრად ახლობელი.

კანი შოკოლადისფრად უბზინავდა, თმა – ოქროსფრად.

წარწერა იუწყებოდა, მონა აამონს მონზანო ჰქვიაო. კუნძულის დიქტატორის შვილობილი იყო. ახლა უკვე საჩქაროდ გადავშალე ფურცლები – იმ იმედით, ეგებ ამ არაამქვეყნიურად ლამაზი გოგოს ფოტოები კიდევ ვიპოვო-მეთქი.

ამის ნაცვლად კი თავად დიქტატორის, მიგელ „პაპა“ მონზანოს, ოთხმოცს მიტანებული ბერიკაცის პორტრეტს გადავაწყდი, გორილას რომ წააგავდა იერით.

„პაპა“ მონზანოს ფოტოს გვერდით სხვა ფოტოც დაებეჭდათ – ვიწრომხრებიანი, ეშმაკურსახიანი, უმწიფარი ახალგაზრდა კაცის. ტანზე თოვლივით ქათქათა სამხედრო მუნდირი ემოსა, ჯინჯილებითა და ბრჭყვიალა ზონრებით გაწყობილი. ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალების უპეები ამოშავებოდა. აშკარა იყო, მთელი ცხოვრება დალაქებს იმას სთხოვდა, საფეთქლებსა და კეფაზე ბლომად თმა აეღოთ და მხოლოდ კინკრიხოზე დაეტოვებინათ, გეიზერის შადრევანივით აფოფრილი.

ეს შეუხედავი ჯეელი გენერალ-მაიორ ფრენკლინ ჰონიკერად – სან-ლორენცოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და განვითარების მინისტრად იხსენიებოდა.

ასაკით კი ოცდაექვსი წლისა გახლდათ.

38

სპორტსმენ-მეთევზეთა სამოთხე

როგორც „ნიუ-იორკ სანდი ტაიმზის“ ამ დამატებიდან შევიტყვე, სან-ლორენცოს სიგრძე 50 მილი ყოფილა, სიგანე – 20, მოსახლეობის რაოდენობა – 450 000. ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ „თითოეული მათგანი გულმხურვალედ ერთგულებს თავისუფალი სამყაროს იდეალებს“.

კუნძულის უმაღლეს წერტილად 11 000 ფუტზე აზიდული მაკქეიბის მწვერვალი იხსენიებოდა, დედაქალაქად კი – ბოლივარი, „უაღრესად თანამედროვე ქალაქი, რომელიც ლამის მთელი აშშ-ის ფლოტის დამტევი ყურის პირასაა გაშენებული“. ქვეყნის მთავარ საექსპორტო სიმდიდრედ შაქარი, ყავა, ბანანი, ინდიგო და ხელნაკეთი ნივთები სახელდებოდა.

„ყველა სპორტსმენი-მეთევზე გეტყვით, რომ სან-ლორენცო ქვეყნიერების უპირველესი ადგილია ბარაკუდას ჯიშის თევზებზე წყალქვეშ სანადიროდ“.

ვერაფრით გამეგო, რანაირად მოახერხა ასეთი მაღალი თანამდებობის დაკავება ფრენკლინ ჰონიკერმა, ვისაც სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. ნაწილობრივ, პასუხი იმ წერილში ვიპოვე, რომელსაც ხელს თავად „პაპა“ მონზანო აწერდა.

მისი თქმით, სწორედ ფრენკი იყო სან-ლორენცოს „განვითარების გეგმის“ მთავარი შემქმნელი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა ახალი გზების გაყვანას, სოფლის ელექტრიფიკაციას, საკანალიზაციო კოლექტორების მოწყობას, სასტუმროების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების აშენებას, რკინიგზის ლიანდაგების დაგებას, მოკლედ – რაღას არა.

მართალია, წერილი მოკლე იყო და აშკარად რედაქტორ-სტილისტის მიერ შესწორებული, „პაპა“ მაინც ხუთგზის იხსენიებდა ფრენკს, როგორც „დოქტორ ფელიქს ჰონიკერის სისხლს სისხლთაგანს“. ამ ფრაზას კი, ცოტა არ იყოს, კანიბალიზმის სურნელი დაჰკრავდა.

„პაპა“ მონზანოსთვის ფრენკი აშკარად სასწაულთმოქმედი მამის ხორცი ხორცთაგანიც გახლდათ.

39
ფატა-მორგანა, ზმანება ავი

ცოტა მეტი სინათლე მოჰფინა საკითხს ფერადოვანმა სტატიამ სათაურით: „რას ნიშნავს სან-ლორენცო ამერიკელისათვის?“

თითქმის დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს მასალა აჩრდილის კალამს ეკუთვნოდა: მას ხომ ხელს თავად გენერალ-მაიორი ფრენკლინ ჰონიკერი აწერდა!

ფრენკი ჰყვებოდა, სრულიად მარტო აღმოვჩნდი ლამის უკვე ჩაძირულ ხომალდზე, შიგ შუაგულ კარიბის ზღვაშიო. ოღონდ იმას კი აღარ უხსნიდა მკითხველს, იქ როგორ აღმოჩნდა ან სრულიად მარტო რატომ დარჩა. მხოლოდ იმას აღნიშნავდა, ზღვაში კუბადან გავედიო.

„ახლა ეს მდიდრულად გაწყობილი ხომალდი ფსკერისკენ ეშვებოდა და მასთან ერთად – ჩემი უაზრო სიცოცხლეც... – ეწერა სტატიაში. – ოთხი დღის მანძილზე პირში არაფერი ჩამსვლოდა, წყვილი ორცხობილასა და ერთი თოლიას მეტი. ირგვლივ ზღვის ტალღებს კაციჭამია ზვიგენების ფარფლები სერავდა და წყალი ლამის დუღდა წამახულკბილებიანი ბარაკუდების სიმრავლისაგან. მზერა შემოქმედისკენ აღვაპყარი

და უკვე მზად გახლდით, უდრტვინველად მიმეღო მისი ნებისმიერი განაჩენი. სწორედ ამ დროს დავლანდე ღრუბლებს ზემოთ მზით გაცისკროვნებული მთის წვერი. „ნუთუ ეს ავი ზმანებაა, ფატა-მორგანა?“ – გამიელვა თავში“.

სტატიის ამ ადგილს რომ მივადექი, ლექსიკონში „ფატა-მორგანას“ მნიშვნელობა მოვიძიე – როგორც აღმოჩნდა, ერთგვარი მირაჟი იყო, სახელი კი *მორგან ლე ფეის,* წყლის ბინადარი ჯადოქრის გამო შერქმეოდა. ეს გრძნეული ქალბატონი თურმე იმით გახლდათ ცნობილი, რომ დროდადრო მესინის სრუტეში გამოჩნდებოდა ხოლმე, კალაბრიასა და სიცილიას შორის. მოკლედ, პოეტური გამონაგონი იყო და სხვა არაფერი.

რაც შეეხება ფრენკს, ჩასაძირად განწირული მდიდრული ხომალდის გემბანიდან ბოროტი ფატა-მორგანა კი არა, მაკქეიბის მწვერვალი დაუნახავს. კეთილისმყოფელ ტალღებს მისი ხომალდი სან-ლორენცოს კლდოვან ნაპირებთან რწევა-რწევით მიუყვანიათ, თითქოსდა უფლის ნების კარნახით...

ფრენკი ნაპირზე გადასულა, მტკიცე ნაბიჯით, და უკითხავს, სადა ვარო? სტატიაში ამაზე არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ იმ ნაბიჭვარს თერმოსში შენახული ყინულ-9-ის თავისი წილიც თან ჰქონია.

რაკი პასპორტი არ აღმოაჩნდა, ფრენკი ბოლივარის ციხეში ჩააყუდეს. სწორედ იქ მიაკითხა „პაპა“ მონზანომ იმის გასარკვევად, რამე სისხლისმიერი ნათესაობა ხომ არ აკავშირებდა პატიმარს უკვდავ დოქტორ ფელიქს ჰონიკერთან.

„ასეა-მეთქი, დავუდასტურე, – წერდა ფრენკი თავის სტატიაში, – და მას მერე სან-ლორენცოში ჩემთვის ყველა კარი ღიაა...“

40
იმედისა და წყალობის სავანე

ამოხდა ისე – მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, იტყოდა ბოკონონი – რომ ერთ-ერთმა ჟურნალმა სწორედ სან-ლორენცოში მიმავლინა სტატიის დასაწერად. თემა არც „პაპა“ მონზანოს შეეხებოდა და არც ფრენკს. ჯულიან კასლის ცხოვრების ამბავი უნდა აღმეწერა – ამერიკელი მილიონერის, რომელმაც შაქრის წარმოებით დააგროვა ქონება, ორმოცი წლის ასაკში კი დოქტორ ალბერტ შვეიცერის მაგალითს მიჰყვა და სადღაც ჯუნგლებში საქველმოქმედო საავადმყოფო დააარსა, სულ სხვა რასის გასაცოდავებულ ხალხზე ზრუნვას მიუძღვნა დარჩენილი ცხოვრება.

კასლის ამ საავადმყოფოს „იმედისა და წყალობის სავანე“ ერქვა და შიგ სან-ლორენცოს ჯუნგლებში მდებარეობდა, მაკ-ქეიბის მთის ჩრდილოეთ ფერდზე – ველური ყავის ბუჩქნარით შემოჯარული.

სან-ლორენცოში ჩემი ჩაფრენის დროისათვის ჯულიან კასლი უკვე სამოც წელს იქნებოდა მიტანებული. ბოლო ოცი წელი მოყვასზე უანგარო ზრუნვაში გაეტარებინა.

აი, ადრე კი, როცა ჯერ ისევ თავკერძა კაცი ეთქმოდა, მისი სახელი ისეთივე ცნობილი იყო ყვითელი პრესის მოყვარულთათვის, როგორც ტომი მენვილის, ადოლფ ჰიტლერის, ბენიტო მუსოლინისა და ბარბარა ჰათონის სახელები. მისი დიდება მემრუშეობას, მემთვრალეობას, მანქანის თავაწყვეტილ ტარებასა და სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებას ემყარებოდა. გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, ისე ეფლანგა მილიონები, კაცობრიობისათვის თავის ტკივილის მეტი არაფერი მოეტანა.

ხუთჯერ დაქორწინებულს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. მისი პირმშო, ფილიპ კასლი, სწორედ იმ სასტუმროს მეპატრონე და მმართველი აღმოჩნდა, სადაც დაბინავებას ვაპირებდი. სასტუმროს „კასა მონა“ ერქვა – იმ ქერა, შოკოლადისფერკანიანი ლამაზმანის, მონა აამონს მონზანოს პატივსაცემად, ვისი ფოტოც „ნიუ-იორკ სანდი ტაიმზის“ დამატების ყდაზე ვიხილე.

სასტუმრო სულ ახალი აშენებული გახლდათ და ერთ-ერთი იყო იმ სამი დაუმთავრებელი შენობიდან, მონას ფოტოს რომ ედო ფონად. მართალია, ნამდვილად არ მქონია იმის განცდა, ბედისწერის ზღვის ტალღები უთუოდ სან-ლორენცოში გამრიყავენ-მეთქი, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი, ტრფობის ნიავქარი სწორედ იქით რომ მიმაქანებდა.

ჩემს უაზრო ცხოვრებაში საოცარი ძალა შეიძინა ფატამორგანამ – ზმანებამ, თითქოსდა მონა აამონს მონზანოს გული უკვე მომენადირებინა. წარმომედგინა, როგორ გამაბედნიერებდა – იმ ქალებზე მეტად, ვისაც ეს აქამდე ასე თუ ისე მოეხერხებინათ...

41
ორის კარასი

Დაიამი-სან-ლორენცოს რეისის თვითმფრინავზე თითო რიგში სამ-სამი სავარძელი ჩაემწკრივებინათ. ისე მოხდა (ანუ *მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო*), რომ ჩემს მეზობლად სან-ლორენცოს რესპუბლიკაში ᲐᲨᲨ-ის ახალდანიშნული ელჩი, ჰორლიკ მინტონი და მისი მეორე ნახევარი, კლერი აღმოჩნდნენ. ჭაღარა, კაფანდარა, უაღრესად თავაზიანი წყვილი.

მინტონმა მითხრა, პროფესიონალი დიპლომატი ვარ, თუმცა ელჩად არასოდეს მიმუშავიაო. მეუღლესთან ერთად ბოლივიაში, ჩილეში, იაპონიაში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ეგვიპტეში, სამხრეთ აფრიკაში, ლიბერიასა და პაკისტანში ეცხოვრა.

გუგულებივით იყვნენ – გაუთავებლად ერთიმეორის სიამოვნებას ცდილობდნენ: ხან რაღაც თვალსასეიროს დაანახებდნენ ხოლმე ერთმანეთს ფანჯრიდან, ხან სახალისო თუ საგულისხმო სტრიქონებს უკითხავდნენ ხმამაღლა, ხანაც გარდასულ დროთა ამბებს იგონებდნენ ტკბილად... ჩემი აზრით, ზედმიწევნით ზუსტად განასახიერებდნენ იმას, რასაც ბოკო-

ნონი *დუპრასს* უწოდებს და რაც, თავის მხრივ, მხოლოდ ორი ადამიანისგან შედგენილ *კარასს* ნიშნავს.

„ჭეშმარიტ *დუპრასს*, – გვასწავლის ბოკონონი, – ვერაფერი ჩაენაცვლება, თვით ამ კავშირის შედეგად მოვლენილი ბავშვების ჩათვლით“.

შესაბამისად, მინტონები იმთავითვე გამოვრიცხე არა მარტო ჩემი *კარასიდან*, არამედ ასევე – ფრენკის, ნიუტის, ეიზა ბრიდის, ენჯელას, ლაიმენ ენდერს ნოულზისა თუ შერმან ქრებზის კარასებიდანაც. მინტონების *კარასი* ერთი ციდა გახლდათ და ორი ადამიანის მეტს ვერ იტევდა.

– წესით, კმაყოფილი უნდა იყოთ, – მივმართე მინტონს.

– რითი? – გაიკვირვა.

– ელჩის თანამდებობაზე დანიშვნით.

მინტონმა და მისმა ცოლმა ისეთი საწყალობელი სახეებით გადახედეს ერთმანეთს, მივხვდი, რომ რაღაც დიდი სიბრიყვე წამოვროშე.

– დიახ, – ჩაილაპარაკა მინტონმა, – ძალზე კმაყოფილი ვარ. მერე ნაძალადევად გაიღიმა და დაამატა: – მართლა დიდი პატივი მერგო, ნამდვილად.

მერეც სულ ასე გრძელდებოდა, რაზეც უნდა ჩამომეგდო სიტყვა. მინტონების აყოლიება მაინცდამაინც იოლი არ აღმოჩნდა.

ასე მაგალითად, ვუთხარი, ალბათ ბევრი ენა იცით-მეთქი.

– ჩვენში დარჩეს, ექვსი თუ შვიდი...

– კარგია, არა?

– რას გულისხმობთ?

– აი, როცა ამდენი ეროვნების ადამიანთან საუბარს ახერხებთ...

– კი, ნამდვილად, – ცივად მომიგო მინტონმა.

ცოლმაც იგივე დამიდასტურა.

მერე ორივე ნაბეჭდი ფურცლებით სავსე იმ სქელტანიან საქაღალდეს ჩააცქერდა, სავარძლის სახელურზე რომ ედოთ.

– ერთი ეს მითხარით, – ცოტა მოგვიანებით ისევ დავურღვიე მყუდროება, – ამდენი გიმოგზაურიათ და როგორ გგონიათ, გულის სიღრმეში, ადამიანები მაინც ერთნაირები არიან?

– უკაცრავად? – ვერ მიმიხვდა მინტონი.

– ჰგვანან ადამიანები ერთმანეთს?

ჯერ ცოლს გახედა, შეკითხვა თუ გაიგონაო, მერე მე მომიბრუნდა:

– კი, ძირითადად, – დამიდასტურა ვარაუდი.

– გასაგებია... – ჩავილაპარაკე.

სხვათა შორის, ბოკონონი ამბობს, *დუპრასის* წევრები უერთმანეთოდ ვერ ძლებენ და ერთის გარდაცვალების შემთხვევაში მეორეც, სულ დიდი, ერთ თვეში მიდის იმქვეყნადო.

რაც შეეხება მინტონებს, ისინი ერთსა და იმავე წამს აღესრულნენ.

42
ველოსიპედები ავღანეთისათვის

ივითმფრინავის კუდში პატარა ბარი მოეწყოთ და ცოტა აზრზე მოსასვლელად, მეც იქით გავემართე. სწორედ იქ შევხვდი თანამოქალაქე ამერიკელთა კიდევ ერთ წყვილს – ილინოისის ქალაქ ევანსტონის მკვიდრ ლოუ ქროსბისა და მის მეუღლე ჰეიზელს.

ერთობ ფერხორციანი, ორმოცდაათს მიტანებული წყვილი გახლდათ. თავისებურად უქცევდნენ და დუდღუნით ლაპარაკობდნენ. ქროსბიმ მითხრა, ჩიკაგოში ველოსიპედების ფაბრიკა მაქვს, თუმცა თანამშრომლებისაგან უმადურობის მეტი არაფერი მახსოვსო. აპირებდა, საკუთარი საქმე ახლა სან-ლორენცოში გადაეტანა.

– კარგად იცნობთ იქაურობას? – ვკითხე.

– აქამდე თვალით არ მინახავს, თუმცა ამბობენ, კარგი ადგილიაო, – მითხრა ლოუმ. – წესრიგს პატივს სცემენ, შეგიძლია წლიდან წლამდე მშვიდად დაგეგმო ყველაფერი. ხელისუფლებასაც ხალხისთვის ლაგამი აქვს ამოდებული და ზედმეტის ნებას არავის აძლევს.

– ეგ როგორ?

– რა როგორ...? აი, ჩიკაგოში, მაგალითად, ველოსიპედების წარმოებამ აზრი დაკარგა – მუშაობის მაგივრად, ყველას ადამიანური ურთიერთობები აკერია პირზე. ხისთავიანი პოლიტიკოსებიც სხედან და ვითომ სულ იმას ფიქრობენ, როგორ გაგვაბედნიერონ! კაცი ვერ დაგითხოვია სამსახურიდან, რომელმაც შემთხვევით მართლაც ააწყო ერთი კარგი ველოსიპედი, ჯერ პროფკავშირი აგიყაყანდება მუშების უფლებების დარღვევისათვის, მერე მთავრობა წაგართმევს შენსავე შექმნილს – ვითომ გადასახადების დამალვისათვის – და ვინმე უსინათლო ავღანელს გაუგზავნის საჩუქრად!

– იმედი გაქვთ, რომ იქ უკეთესი ვითარება დაგხვდებათ?

– ეჭვიც არ მეპარება! იქაურები საკმაოდ ღარიბები, შეშინებულები და უბირები არიან საიმისოდ, საღი აზრის ნატამალი ჰქონდეთ.

მერე გამომკითხა, ვინ ვიყავი და რას ვსაქმიანობდი. მეც ვუთხარი და მისმა ცოლმა წამსვე ჩემი ინდიანური წარმოშობა ამოიცნო. თურმე თავადაც ინდიანის შტატიდან ყოფილა.

– ღმერთო დიდებულო! – შესძახა. – თქვენ რა, მართლა ინდიანელი ხართ?!

– სწორედ ასეა, – დავუდასტურე.

– მეც! – აჟივჟივდა ქალი, – და ძალიანაც მეამაყება!

– აბა რა! – დავეთანხმე. – რა გვაქვს დასაწუნი...

– ჩვენებურები სუყველა კაი ხალხია. მე და ლოუმ ორჯერ ვიმოგზაურეთ მსოფლიოს გარშემო და სადაც ჩავედით, თითო ჩვენიანი მაინც ყველგან კარგად იყო მომჯდარი.

– მაგას რა სჯობია!

– იცით, ვინაა სტამბოლის ახალი სასტუმროს მმართველი?

– არა...

– ჩვენიანია. და ტოკიოში ის სამხედრო რაღაცა...

– ატაშე, – წამოეშველა ქმარი.

– ისიც ინდიანელია. და იუგოსლავიაში ის ახალი ელჩიც...

– ეგეც? – ვითომ ძალიან გავიკვირვე.

– მარტო ეგ? ჟურნალ „ლაიფის“ ჰოლივუდელი რედაქტორიც და კიდევ ის ვიღაცა, ჩილეში...

– ისიც ჩვენიანია?

– ეგრეა. მოკლედ, ყველგან ვტოვებთ კვალს! – თქვა ქალმა.

– „ბენ-ჰურის“ დამწერიც ინდიანელია, წარმოშობით.

– და ჯეიმზ უითკომბ რაილიც.

– თქვენც ინდიანელი ხართ? – ვკითხე მის ქმარს.

– არა-ა... მე პრერიების შტატიდან გახლავართ. როგორც ამბობენ ხოლმე, ლინკოლნის მხარიდან.

– სხვათა შორის, – გამარჯვებულის სახით ბრძანა ჰეიზელმა, – საქმე საქმეზე თუ მიდგა, ლინკოლნიც ჩვენებური იყო, სპენსერის ოლქში გაატარა მთელი ბავშვობა.

– ნამდვილად, – კვერი დავუკარი.

– არ ვიცი, რაშია საქმე, – თქვა ჰეიზელმა, – მაგრამ აშკარად გამორჩეულები კი ვართ... სია რომ ჩამოწერო, გაშტერდება ხალხი.

– ეგრე იქნება, – აღარც ამაზე შევკამათებივარ.

მკლავში ჩამაფრინდა:

– ჩვენ, ინდიანელებმა, ერთმანეთი უნდა გავიტანოთ.

– რა სალაპარაკოა...

– *დედილო* დამიძახეთ.

– ბატონო?

– როცა ჩემზე ახალგაზრდა ინდიანელს გავიცნობ ხოლმე, სუყველას ასე ვთხოვ, *დედილო* დამიძახეთ-მეთქი.

– გასაგებია.

– აბა, გამაგონეთ! – ჩამაცივდა.

– *დედილო...*

გამილიმა და ხელიც გამიშვა. თითქოს ზამბარა ბოლომდე მოეშვაო – ჰეიზელს „დედილო“ რომ დავუძახე, იმან ვალმოხდილად იგრძნო თავი და ახლა ალბათ ერთი სული ჰქონდა, ვინმე სხვა ინდიანელს გადაჰყროდა სადმე.

მისი ამგვარი აკვიატება – მთელ მსოფლიოში ეძებნა თვისტომნი, *ყალბი კარასის* თვალსაჩინო მაგალითად ჩაითვლებოდა, მოჩვენებითი ერთობის გამოვლინებად, რაც სრულიად კარგავს აზრს ღვთაებრივი ჩანაფიქრის გადასახედიდან და იმის აშკარა საბუთად იქცევა, რასაც ბოკონონი *გრანფალონს* უწოდებს. *გრანფალონის* სხვა მაგალითებია: კომუნისტური პარტია, „ამერიკის რევოლუციის ქალიშვილები“, „ჯენერალ ელექტრიკი“, უცოლოთა საერთაშორისო საძმო და ნებისმიერი ერი – ნებისმიერ ხანაში და ნებისმიერ ადგილას.

ბოკონონი მოგვიწოდებს, მასთან ერთად დავამღეროთ:

> თუ გსურს, *გრანფალონს* გაუგო გემო,
> ღვინო წყლად უნდა აქციო, ჩემო!

43
სამაგალითო სასჯელი

ლოუ ქროსბი იმ აზრისა გახლდათ, რომ ხშირ შემთხვევაში, დიქტატურა ძალიანაც ამართლებს. არც ცუდი ადამიანი ეთქმოდა და არც ბრიყვი: უბრალოდ, ერთგვარი ხეპრული პირდაპირობა ახასიათებდა, კაცობრიობის უწესობაზე გამოთქმული ბევრი მისი მოსაზრება კი არა მარტო სახალისო იყო, არამედ სიმართლესთან წილნაყარიც.

თუმცა საღი აზრიცა და იუმორის გრძნობაც ერთბაშად ღალატობდა, როცა იმ საკითხს მიადგებოდა ხოლმე, თუ რა იყო ადამიანთა მთავარი დანიშნულება ამქვეყნად. გულწრფელად სჯეროდა, რომ მათ სწორედ მისთვის ველოსიპედების აწყობაში უნდა გაეტარებინათ ცხოვრება.

– იმედი მაქვს, სან-ლორენცო მართლა ისეთი სანაქებო ადგილია, როგორც გსმენიათ, – ვუთხარი.

– ჩემთვის ერთი კაცის სიტყვაც კმარა ამაში დასარწმუნებლად, – მიპასუხა. – როცა „პაპა“ მონზანო იმ პატარა კუნძულის ავ-კარგზე თავის პატიოსან სიტყვას იძლევა, ამას წყალი აღარ გაუვა!

– მე კი ყველაზე მეტად ის მიხარია, – ჩაერთო ჰეიზელი, – ყველანი ინგლისურად რომ ლაპარაკობენ და თან ქრისტიანები არიან. ასე ბევრად ადვილია ხალხთან ურთიერთობა.

– ის თუ იცით, აქ დანაშაულს როგორ ებრძვიან? – მკითხა ქროსბიმ.

– წარმოდგენაც არა მაქვს.

– არც არანაირად. რაც არ არსებობს, რას უნდა ებრძოლო?! „პაპა“ მონზანომ ისე დააყენა საქმე, გიჟის მეტს თავში არავის მოუვა, აქ რამე დააშავოს. თურმე გაძეძგილი საფულე შეგიძლია შუა ქუჩაში დატოვო და ერთი კვირის მერე რომ მიაკითხო, ისევ ხელუხლებელი დაგხვდება...

– უყურე შენ!

– თუ მაინც წაუცდა ვინმეს ხელი, იცით რას უზამენ?

– რას?

– რასა და, კაუჭზე დაკიდებენ. არავითარი ჯარიმა, არავითარი გირაო, არავითარი ერთთვიანი პატიმრობა... კაუჭი და იმისი ჯანი! ესაა განაჩენი ქურდობისთვისაც, მკვლელობისთვისაც, ძალადობისთვისაც, გაუპატიურებისთვისაც. ეგ კი არა, სხვის ფანჯარაში რომ შეიჭყიტო ნებადაურთველად, მაგისთვისაც კაუჭზე წამოგაგებენ! ნებისმიერი კანონის დარღვევა კაუჭით ისჯება. ცხადია, ხალხიც აზრზე მოვიდა და სან-ლორენცოში ისეთი სამაგალითო წესრიგია დამყარებული, უკეთესი არ გინდა.

– და რა კაუჭია?

– ისეთი არაფერი: დაარჭობენ ორ ძელს და ზედ ხარიხას გადებენ; მერე ადგებიან და ამ ხარიხაზე ერთ დიდრონ საყასბო კაუჭს ჩამოაკონწიალებენ. თუ ვინმეს ჭკუა არ ეყო და კანონი დაარღვია, აათრევენ ამისთანა ეშაფოტზე, გაუყრიან მუცელში კაუჭს ისე, რომ ნეკნებს გამოედოს და კიდია მერე ასე, სანამ სული არ ამოხდება...

– ღმერთო კეთილო!

– სიკეთისა რა მოგახსენოთ, – შემეპასუხა ქროსბი, – მაგრამ ამ ყველაფერს ვერც მთლად ბოროტებად ვერ მოვნათლავდი. ბევრჯერ მიფიქრია, ეგებ ჩვენშიც სწორედ ასე ეშველოს უწლოვანთა დამნაშავეობას-მეთქი... დემოკრატიისათვის კაუჭი ალბათ მეტისმეტია, მაგრამ რა გვიშლის, საჯარო ჩამოხრჩობა აღვადგინოთ? ჩამოაკონწიალე ლამპიონზე მანქანის ერთი-ორი ქურდი მოზარდი თავიანთივე სახლების წინ და ნახავ, თუ ყველა არ მოვიდეს ჭკუაზე! კაცი მანქანას აღარ ჩაკეტავს, არც დღისით და არც ღამით!

– ცვილის ფიგურების მუზეუმში ვნახეთ ერთი ეგეთი, – ჩაურთო ჰეიზელმა.

– მაინც რა? – ჩავეკითხე.

– რა და კაუჭი! „საშინელებების ოთახში“ ინახავენ. სხვათა შორის, ზედ ცვილის ფიგურაც ეკიდა. ისე ჰგავდა ნამდვილ ადამიანს, ლამის გული ამერია.

– ისე, ჰარი ტრუმენი იქ სულ არ ჰგავდა თავის თავს, – თქვა ქროსბიმ.

ცოტა დავიბენი. ქროსბიმ შემატყო და ამიხსნა:

– მუზეუმში ნანახზე ვამბობ. იქაური ტრუმენი სულ სხვა ვიღაცაა.

– სამაგიეროდ, სხვები ყველანი ჰგვანან! – თქვა ჰეიზელმა.

– იმ კაუჭზე ვინღა ეკიდა – ვინმე ცნობილი?

– არა მგონია... ისე, ვიღაცა.

– ანუ უცნობი დამნაშავე?

– ასე გამოდის. წინ შავი ხავერდის ფარდა ეფარა და შეხედვა თუ მოგინდებოდა, ჯერ ის უნდა გადაგეწია. ზედ ეწერა, ბავშვებისთვის შეხედვა არასასურველიაო.

– მაინც უყურებდნენ! – თქვა ქროსბიმ. – ყველაზე მეტი ბავშვი სწორედ იქ ტრიალებდა.

– ეგეთი განცხადებები უფრო მისაზიდად გამოდგება ხოლმე, – აზრი გამოთქვა ჰეიზელმა.

– კაუჭზე ჩამოკიდებული კაცის დანახვაზე ბავშვები რას ამბობდნენ?

– არც არაფერს. ზუსტად დიდებივით იქცეოდნენ – სიტყვის უთქმელად მიაჩერდებოდნენ და მერე შემდეგი ექსპონატის სანახავად მიდიოდნენ.

– ეგ რაღა იყო?

– რკინის სკამი, რომელზეც ოდესღაც ცოცხლად შეუწვავთ ვიღაცა, – მითხრა ქროსბიმ. – თურმე საკუთარი შვილი მოუკლავს.

– არაფერიც! – გაახსენდა ჰეიზელს. – ტყუილად დაუბრალებიათ, სულ ტყუილად შეუბრაწავთ ის საცოდავი.

44
კომუნისტების დამქაშები

როცა ისევ ჩემს ადგილს დავუბრუნდი კლერ და ჰორლიკ მინტონების *დუპრასის* უშუალო სიახლოვეს, ამ წყვილის თაობაზე უკვე ახალ-ახალი ცნობები მომეპოვებოდა, წყარო კი ცოლ-ქმარი ქროსბი გახლდათ.

ისინი მინტონს პირადად არ იცნობდნენ, თუმცა მის შესახებ კარგი არაფერი სმენოდათ. უკმაყოფილონი იყვნენ ელჩად ამ კაცის გამწესებით. ისიც მითხრეს, თავის დროზე სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაითხოვეს კომუნისტებისადმი თანაგრძნობის გამო, ოღონდ კომუნისტების დამქაშებმა ისევ მოახერხეს მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნაო.

– ბარიც მშვენიერი ჰქონიათ, – ვუთხარი მინტონს, სავარძელში რომ მოვკალათდი.

– მართლა? – ის და მისი ცოლი ჯერ ისევ შუაში დადებულ ხელნაწერს ჩაჰკირკიტებდნენ.

– რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერი აქვთ...

– გაგიმართლათ.

თავი არც ერთს არ აუღია. აშკარად მხოლოდ ზრდილობის გამო მეპასუხებოდნენ. მაგრამ მერე უცებ მინტონი ჩემკენ შემობრუნდა, ნაძალადევად გამიღიმა და მკითხა:

– ის კაცი ვინ იყო?

– ვისზე მეკითხებით?

– აი, იმაზე, ბარში რომ ელაპარაკებოდით. ჩვენც დავაპირეთ ყელის გასველება და შემოვედით თუ არა, უნებურად თქვენს საუბარს მოვკარით ყური. ის კაცი მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა. გავიგონე, ჩემზე ამბობდა, კომუნისტების დამქაშიაო...

– ველოსიპედების მწარმოებელია, ლოუ ქროსბი, – ვუთხარი და ვიგრძენი, როგორ წამომიწითლდა სახე.

– სინამდვილეში უიმედობის თესვის ბრალდებით დამითხოვეს... კომუნიზმი არაფერ შუაში იყო.

– მიზეზი კი მე გავხდი, – სიტყვა ჩაურთო მეუღლემ. – ერთადერთ ხელჩასაჭიდ მტკიცებულებად ჩემ მიერ პაკისტანიდან „ნიუ-იორკ ტაიმზში“ გაგზავნილი წერილი დადეს.

– რა ეწერა ამისთანა?

– ბევრი რამე. ძალიან მაღელვებდა ის ამბავი, ამერიკელებს რომ არც კი შეუძლიათ წარმოიდგინონ, როგორ შეიძლება იყო არაამერიკელი და ამით ამაყობდე კიდეც.

– ახლა გასაგებია.

– თუმცა შიდა განხილვისას მაინც სულ ერთსა და იმავე წინადადებას ატრიალებდნენ გაუთავებლად, – ამოიოხრა მინტონმა და თითქმის სიტყვასიტყვით გაიხსენა ის ფრაზა ცოლის წერილიდან: „ამერიკელები მარად იმგვარ სიყვარულს დაეძებენ, როგორ სახესაც ის არასოდეს იძენს, და მუდამ იქ დაეძებენ, სადაც მისი ადგილი არაა; ეტყობა, ვერაფერს ვუხერხებთ გამქრალ საზღვრებს...“

45
რატომ სძულთ ამერიკელები

ჯლერ მინტონის ხსენებული წერილი სწორედ მაკკარ-ტიზმის ზეობისას დაბეჭდილა და მისი ქმარიც სულ რაღაც 12 საათში დარჩენილა უმუშევარი.

– და რაა ამაში ამისთანა მკრეხელური? – გავიკვირვე.

– ღალატის უმძიმესი ფორმა, – თქვა მინტონმა, – იმის ხმამაღლა გაცხადებაა, რომ ამერიკელები ვინმეს არ უყვარს ან მათი ქმედებებითაა უკმაყოფილო. კლერი შეეცადა ეჩვენებინა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკასათვის უკეთესი იქნებოდა არსებული სიძულვილის აღიარება, ვიდრე წარმოსახული სიყვარულის იმედად ყოფნა.

– მე მგონი, ამერიკელები ბევრგან არ უყვართ.

– ზოგადად, ადამიანები ბევრგან არ უყვართ. კლერმა თავის წერილში იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ამგვარი სიძულვილი ამერიკელებისთვის, უბრალოდ, ადამიანად ყოფნის ბუნებრივი საზღაურია და სისულელეა იმაზე ფიქრიც კი, თითქოს შეიძლებოდა მათ ეს საფასური არ გადაეხადათ. ოღონდ ეგაა, საქმის განხილვისას კომისიას ამ მოსაზრებისათვის ანგარიში არ გაუწევია. არაფრის გაგონება არ სურდათ იმის

გარდა, ეს წყვილი ამტკიცებს, ამერიკელები არსად არ უყვართო.

– ისე, კარგია, რომ ყველაფერი ასე ბედნიერად დასრულდა.

– მომიტევეთ? – გაოცდა მინტონი.

– ხომ მოგვარდა საქმე... – ვუთხარი. – აი, უკვე ელჩი ხართ და ახალი ასპარეზი გელით, არა?

მინტონმა და მისმა ცოლმა უხმოდ, მხოლოდ მათთვის გასაგები მზერით გადახედეს ერთმანეთს. მერე კი ისევ მინტონმა მითხრა:

– ეგრეა. ცისარტყელასაც გადავირბენთ და ოქროთი სავსე ქილასაც ვიპოვით...

46

ბოკონონს ბოკონონისა და კეისარს კეისრისა

ჰინტონს ახლა იმაზე ჩამოვუგდე სიტყვა, რა სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა ფრენკლინ ჰონიკერს, რომელიც „პაპა“ მონზანოს მთავრობაში დიდი ვინმე კი გამხდარიყო, მაგრამ, მეორე მხრივ, აშშ-ის მართლმსაჯულებას ემალებოდა.

– დამთავრდა ეგ ამბავი, – მითხრა მინტონმა. – კარგა ხანია, ამერიკის მოქალაქედ აღარ ითვლება და, როგორც ჩანს, ახლანდელ თანამდებობასაც კარგად მოერგო... მოკლედ, საკითხი ამოწურულია.

– მოქალაქეობაზე თავად თქვა უარი?

– ნებისმიერი, ვინც კი თავს უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად აცხადებს, მის შეიარაღებულ ჯარში მსახურობს ან იქაურ მთავრობაში შედგამს ფეხს, თავისთავად კარგავს ადრინდელ მოქალაქეობას. თქვენსავე პასპორტში ჩაიხედეთ. ფრენკივით საერთაშორისო დონეზე ყალთაბანდობას და თან ძია სემის მფარველობის იმედად ყოფნას არავინ დაგანებებთ.

– სან-ლორენცოში კარგი თვალით უყურებენ?

მინტონმა ხელისგულზე შეათამაშა ფურცლების დასტა და მითხრა:

– ჯერ არ ვიცი. როგორც აქ წერია, მაინცდამაინც – არა.

– თუ საიდუმლო არაა, რას კითხულობთ?

– ერთადერთი მეტ-ნაკლებად მეცნიერული ნაშრომია სან-ლორენცოს შესახებ.

– თითქმის მეცნიერული, – ჩაურთო კლერმა.

– სწორედაც, – კვერი დაუკრა ქმარმა. – ჯერ არ გამოქვეყნებულა. ხუთი ნაბეჭდი ცალიდან ერთი ესაა. – მერე გამომიწოდა და მაგრძნობინა, თუ გეხალისება, რამდენიც გინდა იკითხეო.

თავფურცელზე სათაურად ეწერა: „სან-ლორენცო: ქვეყანა, ისტორია, ხალხი“. ავტორად ფილიპ კასლი იყო მითითებული – სასტუმროს მეპატრონე და იმ ცნობილი ქველმოქმედის, ჯულიან კასლის ვაჟი, ვისთან შესახვედრადაც მივემგზავრებოდი.

ალალბედზე შევუდექი კითხვას და მაინცდამაინც იმ თავს გადავაწყდი, რომელიც ამ კუნძულზე კანონგარეშედ შერაცხილ წმინდანს, ბოკონონს შეეხებოდა.

სულ პირველად ერთი ციტატა მომხვდა თვალში ბოკონონის წიგნებიდან და სიტყვები ისე ჩამებეჭდა გონებაში, თითქოს მთელი ცხოვრება ამას ველოდი.

მაცხოვრის ცნობილი გამონათქვამის თავისებური გააზრება გახლდათ: „დაიკიდე კეისარი... ის ხომ აზრზე არაა, სინამდვილეში რა ხდება ჩვენს თავს!“

47
გაუნელებელი დაძაბულობა

ფილიპ კასლის ნაშრომმა იმდენად გამიტაცა, მაშინაც კი არ ამიღია თავი, როცა ათი წუთით პუერტო-რიკოში, სან-ხუანის აეროპორტში დავეშვით საწვავის მარაგის შესავსებად. მაშინაც კი ვერ მოვწყდი ნაწერს, როცა ჩემს ზურგს უკან ვიღაცამ აღელვებულმა ჩაიჩურჩულა: „ნახე, ნახე, ჯუჯა ამოვიდა თვითმფრინავში!“

ცოტა ხნის მერეღა მოვიძიე ახალი მგზავრი, მაგრამ ვერსად დავლანდე. მხოლოდ ვიღაც ცხენისსახიან, ღია ფერფლისფერთმიან ქალს ვხედავდი სავარძელში, სწორედ ჰეიზელ და ლოუ ქროსბების წინ. მის გვერდით ადგილი ცარიელი ჩანდა, თუმცა შესაძლო იყო, ჯუჯაც მჯდარიყო შიგ და მისი თავი ვერ დამენახა.

ასე თუ ისე, იმ დროს მთელი ჩემი ფიქრი სან-ლორენცოს, იქაურ მიწა-წყალს, ისტორიასა და ადამიანებს დაეპყრო და ვიღაც ჯუჯა მალევე გადამავიწყდა. ჯუჯები მოცალეობის ან გართობის ჟამს უფრო გიზიდავენ კაცს, მე კი მეტისმეტად გამიტაცა ბოკონონის სწავლებამ ე. წ. „გაუნელებელი დაძაბულობის“ თაობაზე – ფასდაუდებელ წონასწორობაზე კეთილსა და ბოროტს შორის.

როცა ფილიპ კასლის წიგნში პირველად წავაწყდი ცნებას „გაუნელებელი დაძაბულობა“, მართლა გულიანად გამეცინა. როგორც ავტორი ირწმუნებოდა, ეს თურმე ბოკონონის უსაყვარლესი სიტყვათშეხამება ყოფილა და უცებ თავში გამკრა, მე ვიცი რაღაც ისეთი, რაც ბოკონონმა არ იცოდა-მეთქი: მშვენივრად მახსოვდა, რომ ეს ცნება ცნობილ კულტურისტს, ჩარლზ ატლასს ერთგვარ დევიზად გაეხადა!

მაგრამ როცა მომდევნო სტრიქონებსაც გადავავლე თვალი, მივხვდი, ბოკონონს მშვენივრად მოეხსენებოდა ჩარლზ ატლასის ვინაობა; ის კი არა, თურმე ნუ იტყვით და, კულტურიზმის მისეული სკოლის მიმდევარიც კი ყოფილიყო.

ეტყობა, ამიტომაც იზიარებდა ჩარლზ ატლასის რწმენას იმის თაობაზე, რომ კუნთები თავისუფლად შეიძლება ყოველგვარი სიმძიმეების აწევისა თუ რეზინის ღვედების ქაჩვის გარეშეც ვავარჯიშოთ, თუკი კუნთების ერთ წყებას, უბრალოდ, მეორეს დავუპირისპირებთ.

ბოკონონი კი დაბეჯითებით ამტკიცებდა, კარგი მეცნიერი მხოლოდ ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებით გამოიწრთობა – იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ ძალას შორის გაუნელებელი დაძაბულობა სუფევსო.

კასლის წიგნშივე ამოვიკითხე პირველად ბოკონონისეული ლექსი, ანუ *კალიფსო*.

აი ისიც:

„პაპა“ მონზანო დიდის რამ უვარგისია,
თუმცა უიმისოდ ან მე რის მაქნისი ვარ?
ვინც კი ერთხელ ნახა ეს უგვანი მაქცია,
ადგა და მეც მერე წმინდანად მაქცია!

48

როგორც ნეტარი ავგუსტინე

როგორც კასლის წიგნიდან შევიტყვე, ბოკონონი 1891 წელს დაბადებულა. ზანგი ყოფილა. ანგლიკანური ეკლესიის მრევლს განეკუთვნებოდა, ბრიტანეთის მოქალაქე იყო და მისი ოჯახი კუნძულ ტობაგოზე სახლობდა.

ლაიონელ ბოიდ ჯონსონი ერქვა.

შეძლებული ოჯახიშვილი იყო და ექვს და-ძმაშიც – ნაბოლარა.

ოჯახის სიმდიდრის წყარო კი ბოკონონის ბაბუის მიერ ნაპოვნი მეოთხედი მილიონი დოლარი გახლდათ – მეკობრეთა დამარხული განძი, რომელიც, სავარაუდოდ, მანამდე „შავწვერად“ ცნობილ ედვარდ თიჩს ეკუთვნოდა.

„შავწვერას“ განძი ბოკონონების ოჯახმა გონივრულად დააბანდა როგორც ასფალტის, კორპისა თუ კაკაოს წარმოებაში, ისე მსხვილფეხა საქონლისა და შინაური ფრინველების მოშენებაში.

პატარა ლაიონელმა რამდენიმე ანგლიკანური სკოლა გამოიცვალა, ყველგან სიბეჯითით გამოირჩეოდა და ყველა საგანზე მეტად ღვთისმეტყველება აინტერესებდა. თუმცა, ამ

თავისი ეკლესიურობის მიუხედავად, ყმაწვილკაცობაში არც ამქვეყნიურ სიკეთეებზე ამბობდა უარს, რაზეც მისივე მეთოთხმეტე *კალიფსო* მეტყველებს:

ქალები და სასმელი
მიყვარდა ნამეტანი
არც არაფერს ვიკლებდი,
ვით ავგუსტინე ნეტარი!
ავგუსტინეს რა უჭირს –
კი შერაცხეს წმინდანად,
მე თუ თავს დამანებებთ,
სხვა არც არა მინდა რა...

49

ბრაზიანი ტალღების მიერ ამოთხეული თევზი

ლაიონელ ბოიდ ჯონსონს გონებაც უჭრიდა და პატივმოყვარეობაც იმდენი გააჩნდა, რომ 1911 წელს მარტო გაემგზავრა ტობაგოდან ლონდონს. ცხადია, მიზნად განათლების გაღრმავება ჰქონდა დასახული.

სწავლა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში გააგრძელა. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის გამო, იქაურობის დროზე ადრე მიტოვება მოუწია. ქვეითთა კორპუსში ჩაეწერა, მამაცურად იბრძოდა, ბრძოლის ველზე დაიჭრა, ოთხჯერ დააჯილდოვეს, ბოლოს კი – იპრთან გამართული ცნობილი ბრძოლისას – გაზით მოიწამლა, მთელი ორი წელი საავადმყოფოში გაატარა და მხოლოდ ამის მერე დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას.

შინ დაბრუნებისას, ზედ ტობაგოს ნაპირებთან მისი გემი გერმანულმა წყალქვეშა ნავმა იგდო ხელთ და ლაიონელი სხვებთან ერთად დაატყვევეს, თავად გემი კი XX საუკუნის ჰუნებმა სროლაში სავარჯიშოდ გამოიყენეს...

წყალქვეშა ნავი ჯერაც ზედაპირზე იყო, რომ სრულიად მოულოდნელად ბრიტანული კრეისერის, „ყორანის“ საკბილოდ იქცა. გერმანელებთან ერთად, ეს ჩვენი ჯონსონიც ახლა ამ კრეისერის ტრიუმში აღმოჩნდა, წყალქვეშა ნავი კი ბრიტანელებმა ჩაძირეს.

„ყორანს“ ხმელთაშუა ზღვისკენ ეჭირა გეზი, თუმცა იქამდე მიღწევა არც მას ეწერა: საჭემ უმტყუნა და, ალალბედზე მოტივტივე, უმწეოდ ხაზავდა დიდ-დიდ წრეებს საათის ისრის მიმართულებით. ბოლო-ბოლო, კაპო-ვერდეს კუნძულებთან შეჯდა მეჩეჩზე.

ჯონსონი რვა თვე დარჩა ამ კუნძულებზე – გემს ელოდა, რომელიც დასავლეთ ნახევარსფეროში გადაიყვანდა. როგორც იქნა, რიგით მეზღვაურად მოეწყო სათევზაო კარჭაპზე, რომელსაც კანონდარღვევით გადაჰყავდა ემიგრანტები მასაჩუსეტსის ქალაქ ნიუ-ბრედფორდში.

როდ-აილენდის სანაპიროზე, ნიუპორტის შორიახლოს, ეს კარჭაპიც იქაურ კლდეებს შეასკდა...

იმ დროისათვის ჩვენს ჯონსონს საბოლოოდ გაუმყარდა რწმენა, რაღაც ძალა, რაღაც მიზეზით, სადღაც მექაჩებაო. ამიტომ, ერთი ხანობა ნიუპორტში შეყოვნდა იმ ფიქრით, ეგებ ესაა ჩემი ბედისწერაო. რემფორდების ცნობილ მამულში იდგა დურგლად და მებაღედ.

იმხანად ვინღა არ სტუმრობდა რემფორდების ოჯახს და ჯონსონმაც სწორედ იქ იხილა საკუთარი თვალით: ჯ. პ. მორგანი, გენერალი ჯონ პერშინგი, ფრენკლინ დელანო რუზველტი, ენრიკო კარუზო, უორენ გამალიელ ჰარდინგი და ჰარი ჰუდინი. მალე პირველი მსოფლიო ომიც დამთავრდა, რომელშიც 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა და 20 მილიონი დაიჭრა, მათ შორის, თავად ჯონსონიც.

ომის დამთავრების შემდეგ რემფორდების ოჯახის გაუნელებელმა თავსატეხმა – ახალგაზრდა რემინგტონ რემფორდ IV-მ გადაწყვიტა, თავისი ახალთახალძრავიანი იახტა, „შეჰერეზადე“, მსოფლიოს გარშემო ნაოსნობაში გამოეცადა: აპირებდა ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია მოეხილა. ჯონსონს უფროსი მეზღვაურის თანამდებობა შესთავაზა და ისიც უყოყმანოდ დასთანხმდა.

ამ მოგზაურობისას ჯონსონმა სამყაროს არაერთი საოცრება იხილა საკუთარი თვალით. მერე, ბომბეის ყურეში ჩამოწოლილი ნისლის გამო, „შეჰერეზადეც“ ფსკერზე წავიდა და ცოცხალი მხოლოდ ჯონსონი გადარჩა. ორი წელი ინდოეთში გაატარა და მაჰათმა განდის მიმდევარი გახდა. დააპატიმრეს კიდეც, როგორც ერთ-ერთი იმ ჯგუფის მეთაური, ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ პროტესტს სარკინიგზო ლიანდაგებზე გაწოლით რომ გამოხატავდა. როცა პატიმრობის ვადა დაუმთავრდა, ბრიტანეთის სამეფომ თავადვე იზრუნა, რომ გემით შინ, ტობაგოზე გაემგზავრებინა.

უკვე იქ თვითონ ააგო კარჭაპი და კარგა ხანს დაცურავდა კარიბის ზღვაში იმ იმედით, ბედს არ შეეშლება, სად გამრიყოსო.

1922 წელს, გრიგალისგან თავის დასაღწევად, კუნძულ ჰაიტის შეაფარა თავი, რომელიც მაშინ აშშ-ის საზღვაო ქვეითებს ეპყრათ. იქ გაიცნო სწორედ უჭკვიანესი, თვითნასწავლი, იდეალისტური მიდრეკილებების მქონე დეზერტირი ერლ მაკქეიბი. მაკქეიბი წოდებით კაპრალი გახლდათ და ის იყო, თავისი შენაერთისთვის განკუთვნილი საშვებულებო ფული მოეპარა. თავადვე შესთავაზა ჯონსონს ხუთასი დოლარი მაიამიში გადასასვლელად.

ერთად აიღეს გეზი იქითკენ, მაგრამ კიდევ ერთმა ქარიშ-ხალმა მათი კარჭაპი ამჯერად უკვე სან-ლორენცოს კლდეებს მიამსხვრია. კარჭაპი ჩაიძირა. ჯონსონმა და მაკკეიბმა კი – მთლად დედიშობილებმა – მოახერხეს და ცურვით მიაღწიეს ნაპირამდე. აი, როგორ გვიამბობს ამ თავგადასავალს თავად ბოკონონი:

ბრაზიანი ტალღის
ამონთხეულ თევზივით
დავენარცხე მიწას...
მხოლოდ ახლა მივხვდი,
სადა ვარ და
ვინ ვარ...

უცნობ კუნძულზე ასე დედიშობილა მოხვედრის იდუმა-ლებამ, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მერე გადაწყვიტა, ისევ განგებისთვის მიენდო ამ თავგადასავლის დასრულება და თავადვე ენახა, საბოლოოდ სად აღმოჩნდებო-და მარილიანი წყლიდან ჩვილივით შიშვლად გამორიყული.

თითქოს ხელახლა დაიბადაო:

ბავშვებს უნდა ემსგავსოთო –
სახარება ბრძანებს!
მეც ამ მცნებას მივყვები,
მთლად ჩვილს დავემგვანე...

ხოლო *ბოკონონად* როგორ იქცა – ეს სულ მარტივი ასახ-სნელია: უბრალოდ, კუნძულელთა ინგლისურის დიალექტზე ეს გვარი, „ჯონსონი“, სწორედ ასე გამოითქმოდა.

ახლა რაც შეეხება თავად დიალექტს...

სან-ლორენცოული ინგლისური ერთდროულად იოლი გასაგებიცაა და ძნელად ჩასაწერიც. ვამბობ, იოლი გასაგებიმეთქი, მაგრამ შესაძლოა ეს მხოლოდ ჩემი პირადი შთაბეჭდილება იყოს. ბევრისაგან გამიგია, ეს ენა ისეთივე რთული სასწავლია, როგორიც ბასკურიო, და ჩემთვის მისი სიიოლე ეგებ სულაც რაღაც ტელეპათიური უნარ-ჩვევებით აიხსნებოდეს...

თავის წიგნში ფილიპ კასლი შესანიშნავად წარმოაჩენს ამ დიალექტის თავისებურებებს და მისი ხიბლიც მშვენივრად აქვს ნაგრძნობი. საამისოდ კი ცნობილი საბავშვო ლექსის – „იციმციმე, ვარსკვლავო“ – სან-ლორენცოული ვერსია აურჩევია.

ყველასათვის კარგად ცნობილი სტრიქონები აქ ასე ჟღერს:

ზიმზიმ-ზიმზიმ იზიმზიმე ვარზგლაო!
ვიზი რათა მიბაჟუნეფ თვალზაო –
მართო შემთვინ გამობზღინდი ხრუფელჩი
რო მოგძვდე და ჩაგიზრინო უბეჟი...
ზიმზიმ-ზიმზიმ იზიმზიმე ვარზგლაო!

ჯონსონის გაბოკონონების მერე დიდი დრო არ გასულა და ნაპირზე სრულიად შემთხვევით მიაგნეს ჩაძირული გემიდან ამოტივტივებულ ნავს. მოგვიანებით ის ოქროთი მოავარაყეს და კუნძულის მმართველის სარეცლად აქციეს.

„თავად ბოკონონს მიაწერენ ერთ ლეგენდას, – ამბობს ფილიპ კასლი, – სამყაროს აღსასრულის მოახლოებისას ეს ნავი კიდევ ერთხელ აცურდება ზღვის ტალღებზეო...“

50
ძაან საყვარელი ჯუჯა

ჯოკონონის ცხოვრების ამბის კითხვა ლოუ ქროსბის ცოლმა, ჰეიზელმა შემაწყვეტინა. სწორედ ჩემი სავარძლის გვერდით გახირულიყო გასასვლელში.

– არ დამიჯერებთ, – მითხრა. – ამ თვითმფრინავში კიდევ ორ ჩვენებურს მივაგენი!

– რას მელაპარაკებით...

– არა, ინდიანაში არ დაბადებულან, თუმცა ახლა ინდიანაპოლისში ცხოვრობენ.

– უყურე შენ!

– არ გინდათ, გაგაცნოთ?

– უხერხული არ იქნება?

ამ კითხვამ დააბნია.

– რატომ ვითომ, ჩვენებურები არ არიან?!

– მაინც, რა გვარის ხალხია?

– ქალი კონერსია, კაცი კი – ჰონიკერი. და-ძმა ყოფილან. ძმა ჯუჯაა, ოღონდ – ძაან-ძაან საყვარელი ვინმე! – თვალი ჩამიკრა, შეთქმულივით. – კაი შებერტყილი ვინმეც ჩანს...

– უკვე ისიც დედილოს გეძახით?

– ლამის იმასაც იგივე ვთხოვე, მაგრამ მერე თავი შევიკავე – ემანდ არ ეწყინოს, მაინც ჯუჯაა-მეთქი.

– რაა აქ საწყენი?!

51
კარგი, დედილო!

რაღა დამრჩენოდა – მორჩილად წამოვდექი და ჩემივე *კარასის* წევრების, ენჯელა ჰონიკერ-კონერსისა და ციცქნა ნიუტონ ჰონიკერის გასაცნობად გავეშურე.

ენჯელა სწორედ ის ცხენისსახიანი, ღია ფერფლისფერთმიანი ქალი აღმოჩნდა, ადრევე რომ შევამჩნიე.

ნიუტს კი – მართლაც ძალიან საყვარელ ახალგაზრდა კაცს – არც არაფერი სჭირდა დასაცინი. ისევე ბუნებრივად ეჭირა თავი, როგორც გოლიათებს შორის მცხოვრებ გულივერს და ზუსტად გულივერივით მახვილი მზერა ჰქონდა. ხელში ბილეთის საფასურში გათვალისწინებული შამპანურით სავსე ჭიქა ეჭირა. მართალია, მისთვის ზომაზე დიდი ჩანდა, მაგრამ მაინც ისე მოხდენილად და სასხვათაშორისოდ წრუპავდა სასმელს, თითქოს მთელი ცხოვრება სხვა არც არაფერი უკეთებიაო.

არადა, ამ წრიპა ნაბიჭვარს ჩანთაში თავისი წილი ყინული-9 ედო, თერმოსში დაბინავებული, ისევე, როგორც – მის შეუხედავ დას. ამ დროს კი, სწორედ ჩვენ ქვემოთ, მთელ სიგრძე-სიგანეზე კარიბის ზღვის უკიდეგანო სივრცე გადაჭიმულიყო...

როცა ჰეიზელმა ბოლო წვეთამდე მიიღო სიამოვნება თვისტომთა ერთმანეთისთვის წარდგენა-გაცნობით, მალევე დაგვემშვიდობა. თუმცა მანამდე ბოლო სიტყვაც დაგვიგდო: იცოდეთ, ამიერიდან სულ დედილო უნდა დამიძახოთო.

– კარგი, დედილო... – მივუგე მეც.

– კარგი, დედილო! – გაიმეორა ნიუტმაც. მისი პატარა ხორხის გათვალისწინებით, არ გამკვირვებია, ცოტა არ იყოს, წვრილი ხმა რომ აღმოაჩნდა, თუმცა ამ ხმას არამამაკაცურს მაინც ვერაფრით უწოდებდი.

არადა, ენჯელა ჯიუტად ცდილობდა, ძმას ისე მოქცეოდა, როგორც უწლოვან ბავშვს და ისიც შესაშური მოთმინებით იტანდა ამას, რაც ცოტა გასაკვირად მომეჩვენა ასეთი პაწია არსებისაგან.

ორივეს ვახსოვდი: ახსოვდათ ჩემი წერილები და გვერდით, მესამე თავისუფალ სავარძელზე ჩამოჯდომაც შემომთავაზეს.

ენჯელამ მომიბოდიშა, მაპატიეთ, პასუხი რომ არ მოგწერეთო:

– ისეთი ვერაფერი გავიხსენე, წიგნში შესატანად რომ გამოგდგომოდათ. კი შემეძლო რაღაც-რაღაცები გამომეგონებინა, მაგრამ თქვენ ალბათ ეგეთები არ გჭირდებათ... სიმართლე გითხრათ, ერთი ჩვეულებრივი დღე იყო, არაფრით გამორჩეული.

– აი, თქვენმა ძმამ კი მშვენიერი წერილი მომწერა...

ენჯელა აშკარად გაკვირვებული დარჩა:

– ვინ – ნიუტმა?! კი მაგრამ, მაგას რა ახსოვს?

მერე ძმას მიუბრუნდა:

– საყვარელო, მართლა გახსოვს რამე იმდღევანდელი? ისეთი პატარა იყავი...

– მაინც მახსოვს, – მოუჭრა ნიუტმა.

– ჩემთვის უნდა გეჩვენებინა, – აშკარა იყო, ენჯელას ძმა ჯერაც უმწიფარ არსებად მიაჩნდა, ვისაც გარე სამყაროსთან უშუალო კავშირის დამყარება არანაირად არ ეხერხებოდა. ღმერთმანი, დიდი უგრძნობელი ვინმე გახლდათ. ოდნავადაც ვერ აცნობიერებდა, რას ნიშნავდა ეს ქონდრისკაცობა მისივე ძმისთვის.

– არა, საყვარელო! ნამდვილად უნდა გეჩვენებინა! – ვიშ-ვიშებდა გაუთავებლად.

– ბოდიში, ვერ მოვიფიქრე, – უთხრა ნიუტმა.

– არ დაგიმალავთ, – ახლა მე მომმართა ენჯელამ, – დოქტორმა ბრიდმაც არ მირჩია თქვენთან შეხმიანება... ასე მითხრა, სულაც არ აპირებს მამათქვენის უტყუარი პორტრე-ტის დახატვასო.

ეს ისე მითხრა, ვიგრძენი, რომ ამის გამო უკვე ალმაცე-რად მიყურებდა.

ცოტა იმით მოვიგე მისი გული, რომ ვუთხარი, ეს წიგ-ნი ალბათ აღარასოდეს დაიწერება, რადგან თავადაც ველარ ვხვდები, რისი ხსენება შეიძლება იქ და რისი – არა-მეთქი.

– და მაინც, თუკი ოდესმე ისევ მიუბრუნდით, სჯობს, მამა ისეთ წმინდანად წარმოაჩინოთ, როგორიც იყო კიდეც...

დავპირდი, ნამდვილად ასე მოვიქცევი-მეთქი. მერე ვკითხე:

– სან-ლორენცოში ფრენკთან მიემგზავრებით?

– დიახ, ფრენკი ცოლს ირთავს და ნიშნობას გვინდა და-ვესწროთ.

– მართლა? და ის იღბლიანი პატარძალი ვინღაა?

– ახლავე გაჩვენებთ... – მითხრა და ხელჩანთიდან ერ-თმანეთზე აკინძული ფოტოსურათების დასტა დააძრო. სანამ საჭირო ფოტოს ეძებდა, ზღვის ნაპირას მდგომი პატარა ნიუ-

ტის, ნობელის პრემიის გადაცემისას გადაღებული ფელიქს ჰონიკერის, ენჯელას ტყუპი გოგოებისა და თვითმფრინავის მოდელთან მოკირკიტე ფრენკის სურათებს ვკიდე თვალი. როგორც იქნა, ფრენკის საცოლის ფოტოც მოიძია. შევხედე და ტანში გამცრა.

ფოტოდან მონა აამონს მონზანო შემომცქეროდა – ქალი, რომელიც მიყვარდა.

52
სრულიად უნვალეგლად

რაკი ერთხელ გაშალა ფოტოების ასხმულა, ენჯელას ახლა ცოცხალი თავით აღარ სურდა მისი დაკეცვა, სანამ თითოეულ სურათს არ მაჩვენებდა.

– აქ სულ ის ხალხია, ვინც გულით მიყვარს, – გამომიცხადა.

მეც რაღა დამრჩენოდა – ვიდექი და ვათვალიერებდი მისთვის ძვირფას ადამიანებს. ამ პლასტიკატის კრიალოსანში ქარვაში ჩაკირული მწერებივით მოეყარა თავი ჩვენი *კარასის* ლამის ყველა წევრს და, ცხადია, არც ერთი *გრანფალონელი* აქ არ მოხვედრილიყო.

განსაკუთრებით ჭარბობდა დოქტორ ჰონიკერის – ატომური ბომბის, სამი შვილისა და ყინულ-9-ის შემქმნელის ფოტოები. ჯუჯასა და ახმახი ქალის მშობელი ერთი კაფანდარა, ჩია კაცი ყოფილიყო.

ენჯელას კოლექციიდან ყველაზე მეტად ის ფოტო მომეწონა, რომელზეც მამამისი თავფეხიანად გახლდათ შეფუთნული – სქელი პალტო ეცვა, ყელზე შალის კაშნე შემოეხვია, ფეხებზე გალოშები ამოეცვა და თავზე ნაქსოვი, პომპონიანი ქუდი ეხურა.

ყელში ცრემლის გორგალმოწოლილმა ენჯელამ მითხრა, ეს სურათი ჰაიანისშია გადაღებული, მამაჩემის გარდაცვალებამდე სამიოდე საათით ადრეო. ეტყობა, გაზეთის რეპორტიორს ამ საშობაო ქონდრისკაცში მაინც ამოეცნო დიდი მეცნიერი...

– მამათქვენი საავადმყოფოში გარდაიცვალა?

– არა, რას ბრძანებთ! ჩვენსავე კოტეჯში, თავის დიდ თეთრ სარწეველა სავარძელში იჯდა და ზღვას გასცქეროდა. ნიუტი და ფრენკი კი ამ დროს დათოვლილ სანაპიროზე სეირნობდნენ.

– წელიწადის ამ დროისათვის უცნაურად თბილი დარი იდგა, – ჩაერთო ნიუტი. – იფიქრებდით, თოვლში კი არა, ბამბის ქულებზე დავიარებიო. მეზობელ კოტეჯებში კი სულ არავინ იყო.

– მარტო ჩვენ გვქონდა გათბობა, – ამიხსნა ენჯელამ.

– რადენიმე მილის მანძილზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, – მოიგონა ფიქრში წასულმა ნიუტმა. – მერე მე და ფრენკი ნაპირზე დიდ შავ ძაღლს გადავაწყდით. ჯიშიანი ძაღლი იყო, ლაბრადორი. ჯოხს ვუგდებდით წყალში და იმასაც უკან გამოჰქონდა.

– მე სოფელში მომიწია წასვლა, ნაძვის ხისთვის ნათურები დაგვაკლდა, – თქვა ენჯელამ. – ყოველ წელიწადს ვრთავდით ხოლმე საშობაოდ.

– ეგ საქმე მამათქვენს ეყვარებოდა, არა?

– არ ვიცი, არასოდეს უთქვამს, – მიპასუხა ნიუტმა.

– მგონი, უყვარდა, – თქვა ენჯელამ. – უბრალოდ, სიტყვაძუნწი კაცი იყო. ასეთებიც არიან.

– სხვები კიდე ოლონდ ალაპარაკე... – ჩაიბურტყუნა ნიუტმა და შეიშმუშნა.

– მოკლედ, შინ რომ დავბრუნდით, ისევ სარწეველა სავარძელში დაგვხვდა, – თქვა ენჯელამ და დანანებით გადააქნია თავი. – მე მგონი, საერთოდ არც უწვალია. მძინარეს ჰგავდა. რომ სტკენოდა რამე, ასეთი მშვიდი სახე ვერ ექნებოდა.

თუმცა ამ ამბის საგულისხმო ნაწილი მაინც გამოტოვა ენჯელამ: არ უხსენებია, რომ სწორედ მაშინ, შობის წინადღეს გაიყვეს შვილებმა მამისეული ყინული-9.

53
„ფაბრი-ტეკის“ პრეზიდენტი

ენჯელა სულ ახალ-ახალ სურათებს მაჩვენებდა.

– არ დაიჯერებთ და, ეს მე ვარ!

ფოტოზე ლამის ორმეტრიანი გოგო იყო გამოსახული. ხელში კლარნეტი ეჭირა და ილიუმის სკოლის ორკესტრის ფორმა ეცვა. თმა საფირმო ქუდის ქვეშ შეეკეცა. ცოტა არ იყოს, მორცხვად, თუმცა კი ალალად იღიმებოდა.

მერე კი ენჯელამ – ქალმა, ვისთვისაც ღმერთს საერთოდ არაფერი მოემადლებინა მამაკაცის თვალის მისაზიდად, მეუღლის ფოტოც მაჩვენა.

– მაშ, ესაა ჰარისონ კონერსი? – გაოგნებული დავრჩი. ენჯელას ქმარი საოცრად მომხიბლავი კაცი იყო და სახეზე-ვე ეტყობოდა, ამას თავადაც კარგად ხვდებოდა. ჩაცმულიც უზადოდ გახლდათ და თვალებიც დონჟუანისებურად, შემპარავად უციმციმებდა.

– ისე, რას საქმიანობს? – სასხვათაშორისოდ ვკითხე.

– „ფაბრი-ტეკის“ პრეზიდენტია.

– რამე ელექტრონიკასთანაა დაკავშირებული?

– რომც ვიცოდე, მაინც ვერ გეტყოდით. უაღრესად გასაიდუმლოებული სახელმწიფო სამსახურია.

– იარაღის ამბავია?

– ყოველ შემთხვევაში, რაღაც ომებთან დაკავშირებული.

– ერთმანეთი როგორ გაიცანით?

– კარგა ხანს მამაჩემის ასისტენტი იყო ლაბორატორიაში, – მითხრა ენჯელამ, – მერე ინდიანაპოლისში გადავიდა და უკვე იქ დააფუძნა კიდეც „ფაბრი-ტეკი“.

– მოკლედ, ქორწინება ხანგრძლივი რომანის ბედნიერი დასასრული გამოდგა?

– არა. კარგა ხანს არც კი მეგონა, საერთოდ თუ იცოდა ჩემი არსებობის შესახებ. მე კი მომწონდა, მაგრამ იმას, მამაჩემის გარდაცვალებამდე, ზედაც არასოდეს შემოუხედავს ჩემთვის. ერთხელაც ისევ მოუწია ილიუმში ჩამოსვლა. მე ჩემს უშველებელ, გამოცარიელებულ სახლში ვიჯექი უკვე და ასე მეგონა, ცხოვრება დამთავრდა-მეთქი...

მერე ის საშინელი დღეები და კვირები გაიხსენა, რომლებიც მამამისის გარდაცვალებას მოჰყვა:

– ფრენკი სადღაც გადაიკარგა, იმოდენა სახლში მარტო მე და ციცქნა ნიუტი დავრჩით და კიდევ – ის აჩრდილები, ჩვენზე მეტად რომ ხმაურობდნენ სხვენში... სიცოცხლის ბოლომდე არ მომბეზრდებოდა მამაჩემზე ზრუნვა: თავად ვატარებდი სამსახურში, ჩემივე ხელით ჩავაცმევდი, დავაპურებდი, მოვუვლიდი... ნებისმიერ საქმეზე გავეგზავნებოდი. არადა, უცებ სრულიად უსაქმოდ დავრჩი! წარმოდგენაც არ მქონდა, რაღაში უნდა გამეყვანა დრო. მეგობრები არასოდეს მყოლია და ნიუტის მეტს, ვერც ვერავის გადავუშლიდი გულს...

– მერე კი, მოულოდნელად, კარზე დააკაკუნეს, – გააგრძელა ენჯელამ, – გავაღე და ჰარისონ კონერსი არ შემრჩა

ხელში?! იმაზე ლამაზი კაცი ჩემს დღეში არავინ შემხვედრია. შემოვიპატიჟე, რა თქმა უნდა. მერე კარგა ხანს ვისაუბრეთ მამაჩემის ბოლო დღეებზე და, საერთოდ, წარსული გავიხსენეთ...

ენჯელას უკვე ცრემლი მოსდგომოდა თვალებზე.

– ორ კვირაში დავქორწინდით კიდეც.

54

კომუნისტები, ნაცისტები, როიალისტები, პარაშუტისტები და დეზერტირები

როცა თვითმფრინავში ჩემს ადგილს დავუბრუნდი, მართალია, გულმოკლული ვიყავი, მონა აამონს მონზანო რომ ფრენკმა წამართვა, მაგრამ მაინც მოვახერხე, ფილიპ კასლის ნაშრომს მივბრუნებოდი.

სახელთა საძიებელში *მონზანო, მონა აამონსი* მოვიძიე, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, *აამონსი მონა* უნდა მენახა.

ასეც მოვიქეცი და ეს პიროვნება ლამის იმდენივე გვერდზე აღმოჩნდა მოხსენიებული, რამდენზეც – თავად „პაპა“ მონზანო. საძიებელში *აამონს მონას* იქვე მოსდევდა *აამონს ნესტორი.* ახლა მასთან დაკავშირებული რამდენიმე გვერდი გადავიკითხე სახელდახელოდ და გავიგე, რომ ნესტორი მონას მამა ყოფილიყო – წარმოშობით ფინელი, ხოლო პროფესიით – არქიტექტორი.

II მსოფლიო ომის დროს ნესტორ აამონსი რუსებს ჩაეგდოთ ტყვედ, მერე კი გერმანელებს გაეთავისუფლებინათ,

თუმცა „გამათავისუფლებლებს“ ის სამშობლოში არ დაებრუნებინათ – ვერმახტის საინჟინრო შენაერთში გაემწესებინათ და იუგოსლავიაში გადაესროლათ პარტიზანებთან საომრად. იქ კიდევ ერთხელ ჩავარდნილიყო ტყვედ – ჯერ *ჩეტნიკებს,* ანუ როიალისტ სერბ პარტიზანებს დაეტყვევებინათ, მერე კი – კომუნისტ პარტიზანებსაც, რომლებიც ამ *ჩეტნიკებს* ებრძოდნენ. ამჯერად, იტალიელმა პარაშუტისტებმა დაიხსნეს, მოულოდნელად რომ დაესხნენ თავს კომუნისტებს და ნესტორიც გემით გადაიყვანეს იტალიაში.

იტალიელებმა მას სიცილიის სანაპიროს გასამაგრებელი ნაგებობების გეგმაზე მუშაობა დაავალეს. მერე, როგორღაც, მეთევზეების კანჯოს მოპარვა მოახერხა და სიცილიიდან ნეიტრალურ პორტუგალიაში ჩააღწია. სწორედ იქ გაიცნო ერთი ამერიკელი დეზერტირი, სახელად ჯულიან კასლი.

როცა კასლმა შეიტყო, აამონსი არქიტექტორი ყოფილაო, კუნძულ სან-ლორენცოზე გამგზავრება შესთავაზა, რათა იქ, ჯუნგლებში, საავადმყოფო აეშენებინათ, სახელწოდებით „იმედისა და წყალობის სავანე“.

აამონსი დასთანხმდა, საავადმყოფოს პროექტიც შექმნა, იქაური ქალი, ვინმე სელიაც შეირთო ცოლად, პატარა მზეთუნახავი გოგოს მამად გახდომაც მოასწრო და მერე მოკვდა.

55

თავად არასდროს შეადგინოთ საკუთარი წიგნის საძიებელი

რაც შეეხება აამონს მონას ცხოვრებას, უკვე საძიებელშივე იხატებოდა იმის გამაოგნებელი, მთლად სიურრეალისტური სურათი, რამდენი დაპირისპირებული ძალა იბრძოდა მის დასაპატრონებლად, თავად კი როგორი გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა ამ მცდელობებს.

აი, რა ეწერა საძიებელში:

„აამონსი, მონა:

იშვილა მონზანომ, მოსახლეობაში საკუთარი პოპულარობის გასაზრდელად – გვ. 194-199, 216.

ბავშვობის წლები „იმედისა და წყალობის სავანეში“ – გვ. 63-81.

ადრეული რომანი ფ. კასლთან – გვ. 72.

მამის გარდაცვალება – გვ. 89.

დედის გარდაცვალება – გვ. 92.

უხერხულობას განიცდის ქვეყნის ეროტიკულ სიმბოლოდ წარმოჩენის გამო – გვ. 80, 95, 166, 209, 247, 400-406, 566, 678.

ნიშნობა ფ. კასლთან – გვ. 193.

თანდაყოლილი მიამიტობა – გვ. 67-71, 80, 95, 116, 209, 274, 400-406, 566, 678.

ცხოვრება ბოკონონთან ერთად – გვ. 92-98, 196-197.

მისადმი მიძღვნილი ლექსები – გვ. 2, 26, 114, 119, 311, 316, 477, 501, 507, 555, 689, 718, 799, 800, 841, 846, 908, 971, 974.

მისი საკუთარი ლექსები – გვ. 89, 92, 193.

მონზანოსთან დაბრუნება – გვ. 199.

ბოკონონთან დაბრუნება – გვ. 197.

ბოკონონისაგან გაქცევა – გვ. 199.

მონზანოსაგან გაქცევა – გვ. 197.

ცდილობს, თავი დაიმახინჯოს, რათა კუნძულელთათვის აღარ იყოს ეროტიკული სიმბოლო – გვ. 89, 95, 116, 209, 247, 400-406, 566, 678.

ბოკონონთან დამოწაფება – გვ. 63-80.

წერილით მიმართავს გაეროს – 200.

ქსილოფონის ვირტუოზი – გვ. 71."

ეს საძიებელი მინტონებსაც ვაჩვენე და თან ვკითხე, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს, თავისთავად, საოცარი ამბავია – სიყვარულის ქალღმერთის ამბავი, რომელიც ამ სახელდებას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს-მეთქი. ჩემდა მოულოდნელად, საქმის ცოდნით ნაკარნახევი პასუხი მივიღე. კლერ მინტონი, თავის დროზე, საძიებლების პროფესიონალი შემდგენელი ყოფილიყო, მე კი წარმოდგენაც არ მქონდა, საერთოდ თუ არსებობდა ამგვარი სპეციალობა. მითხრა, ერთხანს სწორედ ამ საქმიდან მიღებული შემოსავლით ვიხდიდით უნივერსიტეტში ჩემი ქმრის სწავლის საფასურს და არც ანაზღაურება იყო დასაწუნი, რამდენადაც საძიებლის რიგიანად შედგენა ძალზე ცოტა ვინმეს თუ ეხერხებაო. მერე ისიც დასძინა, მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი და მოყვარულის დონეზე გათვითცნობიერებული ავტორი თუ მოინდომებს საძიებლის შედგენას თავისივე წიგნისთვისო.

ვკითხე, ფილიპ კასლის მიერ გაწეულ შრომაზე რა აზრისა იყო.

– ავტორისთვის ეგებ სატრაბახოც იყოს, მკითხველისთვის კი, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, – შენიშნა ექსპერტის მოწყალე ღიმილით, – ეს თვითდამკვიდრების ჟინით შეპყრობაა. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ავტორმა არასოდეს უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს. უხერხულია.

– რატომ არის უხერხული?

– გულახდილობა ზედმეტი მოსდით ხოლმე, გაწაფული თვალი კი ამაში ყოვლად უსირცხვილო სურვილს ამჩნევს – საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილს.

– მხოლოდ საძიებლის მეშვეობით შეუძლია გითხრათ, ვინ ვინ არის! – ჩაურთო მეუღლემ.

– მართლა? – გავიკვირვე. – აბა, მაშინ ფილიპ კასლზე რას მეტყვით?

ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა.

– უცნობებთან ამაზე არ ვილაპარაკებდი...

– მაპატიეთ.

– აშკარაა, რომ ეს ვილაც მონა აამონს მონზანო უყვარს, – მითხრა მერე.

– დარწმუნებული ვარ, მაგის თქმა სან-ლორენცოში ნებისმიერ მამაკაცზე შეიძლება!

– მამამისის მიმართ არაერთგვაროვან გრძნობებს ავლენს.

– ეგეც ამქვეყნად ყველა კაცზე ითქმის... – შევაპარე მორიდებით.

– დაუცველად გრძნობს თავს...

– და რომელი მოკვდავი არ გრძნობს ამავეს? – ჩავეძიე. მაშინ არ ვიცოდი, რომ თურმე უაღრესად ბოკონონისეულ საკითხს მივდგომოდი.

– იმ გოგოს ცოლად არასოდეს შეირთავს.

– ეგ – რატომ?

– რაც შეიძლებოდა, უკვე ყველაფერი გითხარით, – მომიჭრა ხისტად.

– არ გამიმართლა, საძიებლების მაინცდამაინც ისეთ სპეციალისტს რომ შევხვდი, ვინც სხვათა პირად ცხოვრებას სცემს პატივს... – ვთქვი დანანებით.

– ისე, საკუთარი წიგნის საძიებლის შედგენას მაინც ნურასდროს მოჰკიდებთ ხელს, – გამომიცხადა თავდაჯერებით.

ბოკონონი გვასწავლის, რომ *დუპრასი* ფასეული იარაღია შეყვარებული წყვილისათვის, რამაც შეიძლება გაუნელებელი სიყვარულის სიმარტოვეში მათ შინაგანი ხედვის თვალი აუხილოს. ეს ზოგჯერ უცნაურს, თუმცა კი უტყუარს დაანახებთ. საძიებელთან დაკავშირებით მინტონების ხუმრობანარევი ნაუბარი სწორედ ამის ნიმუში აღმოჩნდა. ბოკონონისავე თქმით, *დუპრასი* ერთგვარ თვითრწმენასაც ნერგავს ადამიანებში და ამ მხრივ, არც მინტონების წყვილი გახლდათ გამონაკლისი.

ცოტა მოგვიანებით მე და ელჩი მინტონი უკვე თვითმფრინავის კუდში შევხვდით ერთმანეთს, მისი ცოლისაგან მოშორებით, და მაშინ მთხოვა, უფრო გულდასმით მოეკიდეთ ჩემი ცოლის რჩევებსო.

– იცით, რატომ ვერ შეირთავს კასლი იმ გოგოს, თუმცა კი ერთმანეთი უყვართ და ბავშვობიდანვე ერთმანეთს არიან შეზრდილნი? – რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა ჩემი თანამგზავრი.

– არა, აბა საიდან...

– იმიტომ, რომ ფილიპ კასლი ჰომოსექსუალია, – კიდევ უფრო დაიდაბლა ხმა მინტონმა. – კლერმა ესეც მხოლოდ საძიებლიდან შეიტყო!

56
პალოზე დაბმული სახედარი

„როცა ლაიონელ ბოიდ ჯონსონი და კაპრალი ერლ მაკქეიბი ოკეანემ შიშვლები გარიყა სან-ლორენცოს სანაპიროზე, – ეწერა იმავე ნაშრომში, – იქ თურმე მათზე უარეს დღეში მყოფი ხალხი დახვედრიათ. სან-ლორენცოს მკვიდრთ სულს იქით არაფერი ებადათ – ავადობათა მეტი და თან არც მათი მკურნალობა შეეძლოთ; ეგ კი არა, დასახელებებიც არ იცოდნენ საკუთარი სნეულებების. ჯონსონი და მაკქეიბი კი, პირიქით, უხვად დაეჯილდოებინა განგებას წიგნერებითაც, პატივმოყვარეობითაც, ცნობისწადილითაც, ფხიანობითაც, ურწმუნოებითაც, ჯანის სიმრთელითაც, მხიარული ხასიათითაც და ქვეყნიერების თაობაზე საფუძვლიანი ცოდნითაც.

აი, კიდევ ერთი *კალიფსო:*

ღმერთო, რა უბედური
ხალხი სახლობს კუნძულზე!
ღვინო ამათ არა აქვთ და
ვერც უკრავენ დუდუკზე...

თუკი რამე ვარგისია –
ეკლესიას მიაქვს,
და თუ რამე ფასეული –
იმას „კასლის“ ჰქვია...

ფილიპ კასლს თუ დავუჯერებთ, 1922 წლისთვის სან-ლორენცოში შექმნილი ეკონომიკური ვითარების ეს სურათი სავსებით უტყუარი უნდა იყოს. კასლების შაქრის მწარმოებელი კომპანია, სხვათა შორის, თავად ფილიპ კასლის დიდ პაპას დაუარსებია და 1924 წელს მართლაც ის ფლობდა ვარგისი მიწების ლამის ყოველ გოჯს ამ კუნძულზე.

„კასლის შაქრის კომპანიის საქმიანობას კუნძულზე, – წერს კასლების ახალგაზრდა შთამომავალი, – წმინდა მოგება არასოდეს მოუტანია, მაგრამ რაკი მუშებს შრომაში არც არაფერს უხდიდნენ, კომპანია მაინც ახერხებდა წლიდან წლამდე თავის გატანას და ზუსტად იმდენ ფულს შოულობდა, ამ მუშების მეპატრონეებისათვის ეხადა გასამრჯელო.

მმართველობის ფორმა ძირითადად სრული ანარქია გახლდათ – იმ იშვიათი შემთხვევების გარდა, როცა კომპანიას რაიმეს დაუფლება თუ გაკეთებინება მოუნდებოდა ხოლმე. ამგვარ ვითარებაში მმართველობის ფორმა უკვე ფეოდალიზმი იყო: ასეთ დროს უმაღლეს არისტოკრატიად კომპანიის პლანტაციათა მფლობელები გადაიქცეოდნენ ხოლმე – თავფეხიანად შეიარაღებული და ვინ იცის, საიდან თუ როდის მოსული თეთრკანიანი კაცები. რაინდობას კი ადგილობრივი გამოსული ბიჭები სწევდნენ – მცირეოდენი საბოძვარისა თუ ყოვლად სულელური წყალობების ფასად, მზად იყვნენ, ზემდგომთა ბრძანებისამებრ, დაუფიქრებლად დაეხოცათ, დაესახიჩრებინათ თუ ეწამებინათ საკუთარი თვისტომები. პალოზე

დაბმული სახედრის გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილი ხალხის სულიერ მოთხოვნილებებზე კი ერთი მუჭა ენადათაფლული ღვთისმსახურები ზრუნავდნენ.

სხვათა შორის, 1923 წელს დინამიტით აფეთქებული საკათედრო ტაძარი, საყოველთაო აზრით, ერთ-ერთ ხელთქმნილ სასწაულად მიიჩნეოდა მთელ *ახალ სამყაროში*".

57
ხელიდან ხელში

ის, რომ კაპრალმა მაკქეიბმა და ჯონსონმა სან-ლორენცოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოახერხეს, არანაირი თვალსაზრისით არ ჩაითვლებოდა სასწაულად. ეს კუნძული მანამდეც ხელიდან ხელში გადადიოდა და აქ დიდხანს ვერავინ იკიდებდა ფეხს. ამის ახსნა სულ მარტივად შეიძლება: უფლის უსაზღვრო სიბრძნის წყალობით, ის იმთავითვე მიწის სრულიად უსარგებლო ნაგლეჯი გახლდათ.

ისტორიული ცნობების თანახმად, პირველი, ვინც უმტკივნეულოდ დაიპყრო სან-ლორენცო, ერნანდო კორტესი ყოფილა. ის და მისი ხალხი 1519 წელს გადმოსხდნენ ნაპირზე, სასმელი წყლის მარაგის შესავსებად, და სწორედ მათ დაარქვეს სახელი ამ ახალ მიწას – იმპერატორ კარლოს V-ის სამფლობელოდ გამოაცხადეს და აქ აღარასოდეს მობრუნებულან. მერე და მერე სხვებიც გამოჩნდნენ – ახლა უკვე ოქროს, თვალმარგალიტის, ლალისა თუ სუნელ-სანელებლების მაძიებლები; ოღონდ ვერც ვერაფერს მიაგნეს, მხოლოდ გართობის მიზნითა და მკრეხელობის საბაბით, ერთი-ორი ადგილობრივი მკვიდრი

ცოცხლად დაწვეს კოცონზე, აფრები აუშვეს და უკანმოუხედავად გაეცალნენ აქაურობას.

„1682 წელს, როცა სან-ლორენცოს ფრანგები დაეპატრონენ, ესპანელებს ამაზე კრინტიც არ დაუძრავთ, – წერდა კასლი. – 1699 წელს, როცა სან-ლორენცო სათავისოდ მიითვალა დანიამ, ფრანგებს ეს აინუნშიც არ ჩაუგდიათ. 1704 წელს, როცა მასზე საკუთარი უფლებები ჰოლანდიამ დაიჩემა, დანიელებს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ. 1706 წელს, როცა კუნძული ინგლისელთა მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა, ჰოლანდიელები მშვიდად შეხვდნენ ამ ამბავს. 1720 წელს, როცა ესპანეთმა კუნძული კიდევ ერთხელ დაიბრუნა, ინგლისელებმა პირში წყალი ჩაიგუბეს. 1786 წელს, როცა აფრიკელმა ზანგებმა ხელში ჩაიგდეს მონებით სავსე ბრიტანული გემი, ის სწორედ სან-ლორენცოს სანაპიროს მიაყენეს, კუნძული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და მეტიც, იმპერატორიც კი აირჩიეს დემოკრატიის ყველა წესის დაცვით, ესპანელებს თითიც არ გაუტოკებიათ.

იმპერატორს ტუმ-ბუმვა ერქვა და ერთადერთი ადამიანი გამოდგა, ვინც ეს კუნძული დაცვის ღირსად მიიჩნია. სწორედ ამ შერეკილის აჩემება იყო სან-ლორენცოში საკათედრო ტაძრის აშენებაცა და სრულიად წარმოუდგენელი თავდაცვითი ნაგებობების წამოჭიმვაც კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე. სხვათა შორის, სწორედ ამ ნაგებობათა შორის დგას დღეს ე. წ. *რესპუბლიკის პრეზიდენტის* კერძო რეზიდენცია...

ამ სიმაგრეებისთვის არასოდეს არავის შეუტევია და ვერც ერთი მეტ-ნაკლებად ჭკუადამჯდარი კაცი მიზეზსაც კი ვერ დაასახელებს, რატომ შეიძლებოდა როდისმე ვინმეს მსგავსი სურვილი გასჩენოდა – ეს სიმაგრეები ხომ იმთავითვე არც არაფერს იცავდა! არადა, როგორც ამბობენ, მშენებლო-

ბამ 14 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათი დაახლოებით ნახევარი, გადმოცემის თანახმად, საჯაროდ დაუსჯიათ სიკვდილით – მშენებლობაზე გამოჩენილი არასაკმარისი მუყაითობის გამო“.

კასლის შაქრის კომპანია სან-ლორენცოში 1916 წელს გამოჩნდა – სწორედ მაშინ, როცა I მსოფლიო ომის დროს შაქრის ფასმა ყველგან წარმოუდგენლად აიწია.

იმ დროს კუნძულს მმართველი საერთოდ არ ჰყავდა. კომპანიის მესვეურებმა კი დაასკვნეს, რომ იქაური ქვიშრობი თუ თიხნარი ნიადაგიც კი მოიტანდა მოგებას, შაქრის ასეთი ზღაპრული ფასის პირობებში. წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

1922 წელს, როცა მაკქეიბი და ჯონსონი გამოჩნდნენ და გამოაცხადეს, მართვის სადავეებს საკუთარ ხელში ვიღებთო, კასლის შაქრის კომპანია უკვე ისე უჩუმრად გამქრალიყო, მისი იქ ყოფნა აღარავის ახსოვდა, ავი სიზმარივით.

58
ტირანია, ოღონდ ზომიერად

„Სან-ლორენცოს ახალ დამპყრობლებს წინამორბედებისგან, სულ ცოტა, ერთი თვისება მაინც განასხვავებდა, – წერს უმცროსი კასლი. – მაკქეიბი და ჯონსონი ოცნებობდნენ, ეს კუნძული უტოპიად ექციათ.

სწორედ ამ მიზნით, მაკქეიბმა ეკონომიკასა და კანონმდებლობას მიხედა, ჯონსონმა კი სრულიად ახალ მრწამსს დაუდო სათავე“.

თვალსაჩინოებისთვის კასლი კიდევ ერთ *კალიფსოს* მოიხმობს:

მინდოდა, ჩემთვის მეცხოვრა –
წყნარად და მშვიდად,
მოყვასსაც გავედებოდი
გზად და ხიდად...
ზღაპარიც გამოვიგონე,
ჩემთვისვე ვარგი –
ეს კუნძული აგარაკია-მეთქი,
სამოთხის ფარდი!

ამ დროს, კითხვით გართულს, სახელოზე მომქაჩა ვიღაცამ. თავი ავწიე. რიგებს შორის, გასასვლელში, სწორედ ჩემს სავარძელთან, ციცქნა ნიუტ ჰონიკერი იდგა.

– ეგებ ბარში გავსულიყავით და ცოტა ჩაგვერტყა? – შემომთავაზა.

ასეც მოვიქეცით, თუმცა ცოტასი რა მოგახსენოთ, და ნელ-ნელა ნიუტს ისე აეშალა ლაპარაკის საღერღელი, რუს მეგობარ მოცეკვავეზე, ჯუჯა ზინკაზეც კი მიამბო რაღაც-რაღაცები. არც ის დაუმალავს, თავის დროზე, შეყვარებულებს ბუდე კეიპ-კოდში, მამისეულ კოტეჯში რომ ჰქონდათ მოწყობილი.

– იქნებ არც არასოდეს დავქორწინდე, მაგრამ თაფლობის თვის გემო უკვე გავსინჯე! – წამეტრაბახა.

მიამბო, როგორ ცხოვრობდნენ იქ გუგულებივით, როგორ ისხდნენ ხოლმე ჩახუტებულები ფელიქს ჰონიკერის იმ ძველ თეთრ სარწეველა სავარძელში და როგორ გაჰყურებდნენ ზღვას.

ხანდახან ზინკა თურმე ცეკვავდა კიდეც.

– წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს, როცა მხოლოდ შენთვის ცეკვავს ქალი!

– ვატყობ, არაფერს ნანობთ.

– გული მომიკლა. გამოგიტყდებით, მძიმედ გადასატანი ამბავი იყო, მაგრამ საფასურიც ესაა – ამქვეყნად ყველაფერი რაღაც ღირს, – თქვა და ჭიქა ასწია.

– ქალებს გაუმარჯოს! – შესძახა, ცოტა არ იყოს, თეატრალურად.

59
ღვედები შეიკარით!

ჯერ კიდევ ბარში ვსვამდით – მე, ნიუტი, ლოუ ქროსბი და კიდევ ერთი-ორი უცნობი, როცა თვითმფრინავიდან სან-ლორენცო გამოჩნდა. ქროსბი ვიღაც ახვრებზე ლაქლაქებდა.

– იცით, ახვარი ვინაა? – იკითხა უმისამართოდ.

– ზოგადად, მგონი, კი, – მივუგე. – თუმცა თქვენ აშკარად რაღაც სხვასაც გულისხმობთ...

ქროსბი უკვე გვარიანად დამთვრალიყო და იმგვარი კაცის თავდაჯერებით ლაპარაკობდა, ვისაც ჰგონია, მგზნებარება გულწრფელობასაც თავისთავად გულისხმობსო. სწორედ ასე გულწრფელად და მგზნებარედ საუბრობდა ნიუტის ზომა-წონაზე, რაზეც, ცხადია, ბარში მყოფთაგან სხვას არავის დაუძრავს კრინტი.

– ამასავით ციცქნა ხალხს არ ვგულისხმობ, – თქვა და ძმაბიჭურად ჩამოადო ტორი მხარზე. – ახვარი სიმაღლე-სიდაბლით კი არ იზომება, მთავარია, თავში რა უტრიალებს...

აი, ამ ბიჭზე ოთხჯერ დიდი კაცები მინახავს – ნაღდი ახვრები. ტანმორჩილებიც მინახავს – ვერ ვიტყვი, მთლად ამისხელები-მეთქი, მაგრამ ყვერებიანები კი იყვნენ.

– დიდი მადლობა, – თავაზიანად მიმართა ნიუტმა; არც მხარზე ჩამოდებული ვეება ტორისკენ გაჰქცევია თვალი.

იშვიათად მინახავს ადამიანი, ასე ღირსეულად გამკლავებოდეს ფიზიკურ ნაკლს. აღტაცებული დავრჩი, ღმერთმანი.

– ახვრებზე ამბობდით რაღაცას, – იმ იმედით შევახსენე ქროსბის, ეგებ ნიუტს ხელი მაინც მოაშოროს-მეთქი.

– ეგრეა, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! – თქვა და გაიბრიქა.

– ოღონდ ის კი აღარ გითქვამთ, მაინც ვინაა ახვარი.

– ახვარი ისაა, ვისაც იმდენად ჭკვიანი ჰგონია თავი, ენას ვერ აჩერებს... სულერთია, რაც უნდა თქვას სხვამ, მაინც პირში ეცემა და კამათს დაუწყებს. თუ რამეზე თქვი, მომწონსო, აუცილებლად გაგიჩმახებს, ეგ რა მოსაწონიაო. ყველაზე მეტად კი ის უხარებს გულს, როგორმე ბრიყვად თუ გამოგაჩინა და რაზეც უნდა ჩამოუგდო სიტყვა, იმან ყველაფერი შენზე უკეთ იცის.

– არცთუ შესაშური დახასიათებაა.

– ჩემს ქალიშვილს უნდოდა ერთ ეგეთ ახვარზე გათხოვება, – მოიღუშა ქროსბი.

– მერე?

– დავუფრთხე ანგელოზები! – ქროსბიმ ისეთი გამეტებით დასცხო დახლს მუშტი, ეტყობა, იმ ახვრის ნათქვამი და ნამოქმედარი გაახსენდა. – ბოლო-ბოლო, ჩვენც გვისწავლია სადღაც-სადღაც... – მერე ისევ ნიუტს დახედა: – კოლეჯში ხომ სწავლობდი?

– კი, კორნელში, – მიუგო ნიუტმა.

– კორნელშიო?! – გაიბადრა ქროსბი. – მეც კორნელი დავამთავრე!

– ამანაც, – ჩემკენ გადმოაქნია თავი ნიუტმა.

– სამი კორნელდამთავრებული ერთ თვითმფრინავში! – მთლად გადაირია ქროსბი და რაღა დაგვიშლიდა, თითოც გვეყლურწა ამ სიხარულის აღსანიშნავად.

ცოტა რომ დავმშვიდდით, ქროსბიმ ნიუტს ჰკითხა, მაინც რით ჭამ პურსო?

– ფუნჯით, – მიუგო იმანაც.

– რა, კედლებს ღებავ?

– არა, სურათებს ვხატავ.

– ბიჭოს! – გაიკვირვა ქროსბიმ.

– თქვენს ადგილებს დაუბრუნდით და, თუ შეიძლება, ღვედებიც შეიკარით! – გვთხოვა გამცილებელმა ქალმა. – სადაცაა, „მონზანოს“ აეროპორტში დავეშვებით...

– დაიცა, – თქვა უცებ ქროსბიმ და ზემოდან დახედა ნიუტს. – შენი გვარი სადღაც გამიგია.

– მამაჩემმა ატომური ბომბი შექმნა.

ნიუტს არ უთქვამს, *ერთ-ერთი შემქმნელიაო – შექმნაო*, პირდაპირ ასე თქვა.

– მართლა?

– კი, ეგრეა.

– მე კიდე რაღაც სხვა გამახსენდა, – უთხრა ქროსბიმ და ღრმად ჩაფიქრდა, – ვიღაც მოცეკვავეზე...

– სჯობს, ჩვენ-ჩვენ ადგილებს დავუბრუნდეთ, – ბანზე აუგდო სიტყვა ნიუტმა.

– კი, რუს მოცეკვავეზე... – ქროსბის უკვე ისე მოჰკიდებოდა სასმელი, ხმამაღლა ფიქრისას ვერანაირ უხერხულობას

ვერ გრძნობდა. – მახსოვს, სადღაც წავიკითხე, ის მოცეკვავე შეიძლება ჯაშუში ყოფილიყოო.

– უკაცრავად, ბატონებო! – ერთხელაც მოგვადგა გამცილებელი. – აუცილებლად უნდა დასხდეთ და ღვედებიც შეიკრათ.

ნიუტმა მიამიტი მზერით ახედა ლოუ ქროსბის.

– დარწმუნებული ხართ, რომ მისი გვარი ჰონიკერი იყო? – ჰკითხა და ნებისმიერი შეცდომის იმთავითვე გამოსარიცხად გვარი დაუმარცვლა კიდეც.

– იქნებ მეშლება? – ჩაიბურტყუნა ქროსბიმ.

60
ჩაგრული ერი

Მივითმფრინავიდან კუნძული გასაოცრად სწორ მართკუთხედად აღიქმებოდა. ზღვიდან ყოვლად გამოუსადეგარ, წვერწამახულ ქვის კლდეებს ამოეყოთ თავი და კუნძულის ირგვლივ წრე შეეკრათ. მიწის ამ ნაგლეჯის სამხრეთ კიდეზე საპორტო ქალაქი ბოლივარი იკვეთებოდა – ერთადერთი დიდი ქალაქი კუნძულზე და ამავე დროს მისი დედაქალაქიც.

ბოლივარი დაჭაობებულ ტაფობზე გაეშენებინათ. „მონზანოს“ აეროპორტის საფრენი ბილიკები კი ზუსტად ხმელეთის კიდეზე ბოლოვდებოდა.

დედაქალაქიდან ჩრდილოეთით უცებვე იწყებოდა მთების რიგი, რომლის ავად მდუმარე კუზებიც დანარჩენი კუნძულის მთელ სივრცეს ფარავდა. მათთვის „ქრისტეს სისხლის მთები“ შეერქმიათ, თუმცა მე უფრო ვარცლს მიცვენილ ღორებს მივამგვანე შორიდან...

ბოლივარს არაერთი სახელი ჰქონია: კაზ-მა-კაზ-მა, სანტა-მარია, სენტ-ლუისი, სენტ-ჯორჯი და კიდევ – პორტ-გლორია, ანუ დიდების ნავსაყუდელი. ამჟამინდელი სახელი კი ჯონსონსა

და მაკქეიბს შეერქმიათ 1922 წელს, დიდი ლათინურამერიკელი გმირისა და მეოცნების, სიმონ ბოლივარის პატივსაცემად.

როცა ჯონსონი და მაკქეიბი ამ ქალაქში ჩამოსულან, აქაურობა ნაფოტების, თუნუქის ქილების, მუყაოს ნაგლეჯებისა და ტალახის ნაზავად დახვედრიათ, ჭუჭყითა და ნარეცხი წყლით გაჯერებული თხრილებით დასერილ ადგილად – ჭანჭრობად, რომელიც უამრავი აქაური ნეტარი ღატაკის ძვალშესალაგად ქცეულიყო.

ასეთი დამხვდა მეც – თუკი იმ ყალბ არქიტექტურულ ნიღაბს არ ჩავთვლით, წყლის პირს რომ გასდევდა, ვითომ განახლების ნიშნად.

ვერც ჯონსონსა და მაკქეიბს ვერ მოეხერხებინათ სიღატაკისა და ჭუჭყის ჭაობიდან აქაურების ამოთრევა.

სხვათა შორის, ამ მხრივ „პაპა“ მონზანოსაც მოსცაროდა ხელი.

ეტყობა, ამისთვის იყო განწირული ყველა მომავალი მმართველიც, რაკი სან-ლორენცოს მიწა ისეთივე უნაყოფო ჩანდა, როგორც საჰარის უდაბნო ან პოლარული ყინულეთი.

არადა, ამავდროულად, მოსახლეობის სიმჭიდროვით ინდოეთსა თუ ჩინეთსაც კი არ დაუდებდა ტოლს. საცხოვრებლად ყოვლად წარმოუდგენელ თითოეულ კვადრატულ მილზე 450 ადამიანი სახლობდა.

„სან-ლორენცოს გარდაქმნის მაკქეიბისა და ჯონსონისეულ იდეალისტურ ხანაში საჯაროდ იქნა გაცხადებული, რომ ქვეყნის მთლიანი შემოსავალი თანასწორად გადანაწილდებოდა ყველა სრულწლოვან მოსახლეზე... – წერდა თავის ნაშრომში ფილიპ კასლი. – როცა ამის განხორციელება პირველად და ერთადერთხელ მართლაც სცადეს, თითოეულის წილმა ექვსიდან შვიდ დოლარამდე შეადგინა“.

61

გზაგასაყარი

„ამონზანოს“ აეროპორტის საბაჟო განყოფილებაში ყველა მგზავრს მოგვთხოვეს ბარგის გახსნა და სან-ლორენცოში დასახარჯი ფულის გადაცვლა ადგილობრივ ფულზე, *კორპორალებზე*. „პაპა“ მონზანოს ახირებით, ერთი *კორპორალი* 50 ამერიკულ ცენტს უტოლდებოდა.

საბაჟო მყუდრო და, როგორც ჩანს, ახლად გამართული ნაგებობა გახლდათ, თუმცა კედლებზე არეულ-დარეულად უკვე მიემაგრებინათ უამრავი აბრა. *სან-ლორენცოში ბოკონონიზმის ქადაგებაში შემჩნეულ ნებისმიერ პირს კაუჭზე ჩამოგება ელის!* – ეწერა ერთ-ერთ მათგანზე.

სხვაზე კიდევ თავად ბოკონონი იყო გამოსახული – ხმელ-ხმელი, ასაკოვანი, ფერადკანიანი, პირში სიგარაგაჩრილი კაცი. სხვათა შორის, ერთობ ჭკვიანური, კეთილი და კმაყოფილი სახით იმზირებოდა. სურათის ქვეშ წარწერაც გაეშანშალებინათ: *იძებნება მკვდარი ან ცოცხალი! ჯილდო: 10 000 კორპორალი!*

დავაკვირდი და რას ვხედავ – ქვემოთ პოლიციის ანკეტის მონაცემებიც მიეთითებინათ, ეტყობა, ჯერ კიდევ 1929

წელს ბოკონონის მიერვე შევსებული. როგორც ჩანს, ამის ჩამატება იმისთვის დასჭირვებოდათ, რომ ბოკონონზე მონადირეებს მისი თითის ანაბეჭდებისა და ხელწერის ნიმუშიც ჰქონოდათ.

ყველაზე მეტად კი ჩემი ყურადღება იმ პასუხებმა მიიქცია, ბოკონონს რომ გაეცა შესაბამის შეკითხვებზე: ეტყობა, მისივე მასშტაბური ხედვიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ის უფრო ადარდებდა, რამდენად მოკლეა სიცოცხლე და რა უსასრულო – მარადისობა. ასე მაგალითად, კითხვაზე, რა არის თქვენი მოწოდებაო, უპასუხია: „ვიყო ცოცხალი“; ხოლო კითხვაზე, რა არის თქვენი მთავარი საქმიანობაო, მისი პასუხი გახლდათ: „მკვდრად ყოფნა“.

ეს ქრისტიანული ძვეყანაა – ქუსლოგანა აქ არ გაგივათ! – ეწერა მეორე აბრაზე.

მართალი გითხრათ, ამ წარწერისა ვერაფერი გავიგე, რადგან ჯერ არ ვიცოდი, რომ ბოკონონის მიმდევრები სულთა შორის კავშირს ერთმანეთისთვის ფეხის ქუსლების მიდებით ამყარებდნენ. რაკი ფილიპ კასლის წიგნი ბოლომდე ვერ ჩავიკითხე, ჩემთვის ყველაზე დიდ საიდუმლოდ ის დარჩა, კაპრალ მაკქეიბის გულითადი მეგობარი ბოკონონი, საბოლოო ჯამში, როგორ იქცა დევნილად და ძებნილად.

62

რატომ არ ეშინოდა ჰეიზელს

სან-ლორენცოში თვითმფრინავიდან შვიდნი ჩამოვედით: ნიუტი და ენჯელა, ელჩი მინტონი და მისი მეუღლე, ცოლ-ქმარი ქროსბი და თქვენი მონა-მორჩილი. საბაჟო შემოწმების გავლის შემდეგ ყველა ერთად გამოგვიყვანეს შენობიდან და საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილ შემაღლებულ ადგილზე დაგვაყენეს.

იქ მოხვედრილებს გასაოცრად მშვიდი და ჩუმი ხალხი დაგვხვდა.

ხუთი ათასი, ან ეგებ უფრო მეტი ადგილობრივი მკვიდრი უხმოდ შემოგვცქეროდა. კუნძულელებს ერთიანად ნიგვზისფერი ედოთ, ყველანი ერთნაირად გამხდრები ჩანდნენ – მათ შორის ერთ მსუქან კაცსაც ვერ მოჰკრავდით თვალს. წამლად არ ჩანდა ვინმე ისეთიც, ოცდათორმეტივე კბილი რომ ჰქონოდა. ბევრს ფეხიც აკლდა, ან თუ ჰქონდა – დაგრეხილ-დაკრუნჩხული.

მზერაც უცნაურად დაჰბინდებოდათ.

ქალებს შიშველი, მომჭკნარი ძუძუები ჰქონდათ; კაცებს თეძოებზე ჰაიჰარად შემოეხვიათ რაღაც ნაკუწები, რაც დიდად ვერ უფარავდათ მოშვებულ-მოღვენთილ ასოებს.

ირგვლივ უამრავი ძაღლი დაძრწოდა, თუმცა არც ერთს არ დაუყეფავს.

ირეოდნენ ბავშვებიც, ოღონდ არც ერთი არ იღებდა ხმას. აქა-იქ ვიღაც თუ ჩაახველებდა ხოლმე – ეს იყო და ეს, მეტი არაფერი არღვევდა საყოველთაო მდუმარებას.

ხალხის წინ სამხედრო ორკესტრი გამოჯგიმულიყო, ოღონდ დაკვრით კი არაფერს უკრავდა.

ორკესტრის წინ საპატიო ყარაული ჩამწკრივებულიყო და ორი დროშა აეფრიალებინა: ერთი ამერიკული, ვარსკვლავიან -ზოლებიანი, მეორე კი – თავად სან-ლორენცოსი. ამ უკანასკნელზე, რატომღაც, საზღვაო ქვეითთა კაპრალის გამოსარჩევი ნიშნები გამოესახათ მუქ ლურჯ ფონზე. ნიავიც არ იძროდა და ეს დროშები უძრავად ეკიდა.

უცებ მომეჩვენა, თითქოს სადღაც შორიდან დოლის ბრაგუნი მომესმა. არადა, სინამდვილეში მსგავსიც არაფერი გახმიანებულა – უბრალოდ, ჩემი სული სანლორენცოულ გამთანგავ ხვატს ეპასუხებოდა...

– გულით მიხარია, რომ ეს მართლა ქრისტიანული ქვეყანაა, – გადაუჩურჩულა ქმარს ჰეიზელ ქროსბიმ. – თორემ ცოტა შემეშინდებოდა კიდეც.

ჩვენს ზურგს უკან ქსილოფონი იდგა. მასზე თვალისმომჭრელად ბრჭყვიალა ფირფიტა მიემაგრებინათ, ძოწითა და ბროლით გაწყობილი.

ფირფიტაზე ერთადერთი სიტყვა ეწერა: ᲛᲝᲜᲐ.

63
ღვთისმოშიში და თამამი

ჩვენი შემაღლებული ადგილიდან მარცხნივ ექვსი მოძველებული, პროპელერიანი მოიერიშე გამანადგურებელი ჩარიგებულიყო: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების გამოხატულება სან-ლორენცოს რესპუბლიკისადმი. თითოეული მათგანის ცხვირზე ბავშვური, მიამიტური სისასტიკით გამოესახათ დიდი მახრჩობელა გველი, ეშმას რომ აშთობდა. ეშმას ყურებიდან, ცხვირიდან და პირიდან თქრიალით სდიოდა სისხლი და გრძელკლანჭებიანი თითებიდანაც საბედისწეროდ უსხლტებოდა სამკაპი.

თითოეული თვითმფრინავის წინ სარგადაყლაპულივით გაჯგიმული, ცხადია, სხვებივით მდუმარე, ნიგვზისფერსახიანი მფრინავი იდგა.

მერე ამ ნოტიო სიჩუმეში კოღოს წუილივით გაისმა „პაპა“ მონზანოს მანქანის – გაპრიალებული შავი „კადილაკის“ სირენის ხმა, მტვრის ბუღში გახვეული რომ მოგვადგა და მუხრუჭების ღრჭიალ-ღრჭიალით ზუსტად ჩვენ წინ გაჩერდა.

მანქანიდან „პაპა“ მონზანო, მისი შვილობილი მონა აამონს მონზანო და ფრენკლინ ჰონიკერი გადმოვიდნენ.

„პაპა“ მონზანოს ხელის ოდნავი, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი აქნევა და ხალხმა წამსვე სან-ლორენცოს ეროვნული ჰიმნი დასცხო.

აშკარად ცნობილი სიმღერის, „მთიანი მხარის“ მელოდია იყო, სიტყვები კი ჯერ კიდევ 1922 წელს მიესადაგებინა მისთვის ლაიონელ ბოიდ ჯონსონს, იგივე ბოკონონს. ჰიმნის ტექსტი ასე ჟღერდა:

ამ მიწაზე გაჩენა ღმერთის საბოძვარია!
სან-ლორენცო, სან-ლორენცო
ღმერთის საჩუქარია.
აქ კაცი ზვიგენს არ უფრთხის,
ქალი მზეს უბრმავებს თვალს.
აბა, მტერი რას დააკლებს
ამ ღვთისმოშიშ თამამ ხალხს!

64
სრული ნეტარება

ერე ისევ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. „პაპამ“, მონამ და ფრენკმა ჩვენ გვერდით დაიკავეს ადგილები შემაღლებულზე. სანამ კიბეს ამოივლიდნენ, ერთხელაც გაისმა დოლის ბრაგაბრუგი, მაგრამ წამსვე შეწყდა, როგორც კი „პაპამ“ მედოლეს თითი აუქნია. „პაპა“ მონზანოს პერანგს ზემოთ რევოლვერის ბუდე ჩამოეკიდებინა, საიდანაც 45 ყალიბის „კოლტის“ ტარი მოუჩანდა. ხანდაზმული კაცი იყო, ისევე, როგორც ჩემი *კარასის* წევრთა უმეტესობა, და ჩანდა, წლებს გვარიანად შეელახა. მართალია, ფერ-ხორცი ჯერაც შერჩენოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ სწრაფად იკლებდა წონაში, რადგან უბრალო სამხედრო ფორმა ტანზე მთლად ტომარასავით ეკიდა. გომბეშოსავით გადმოკარკლული თვალების გარსი ჩაყვითლებოდა და ხელებიც გვარიანად უთრთოდა.

მისი პირადი მცველი თოვლივით ქათქათა სამხედრო სამოსში გამოწყობილი გენერალ-მაიორი ფრენკლინ ჰონიკერი გახლდათ. ძვალწვრილი, ვიწრომხრებიანი ფრენკი იმ ბავშვს

მოგაგონებდათ, დაძინების დრო რომ გადასცდენოდა. მკერდზე კინკილა მედალი უბრწყინავდა.

ცოტა არ იყოს, გამიჭირდა „პაპა“ მონზანოსა და ფრენკის კარგად შეთვალიერება – არა იმიტომ, რომ ვინმე მეფარებოდა – უბრალოდ, მონას ვერ ვწყვეტდი თვალს. მის დანახვაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა, გული გამიჩერდა და ლამის გონი წამერთვა. საოცნებო ქალზე ყველა ჩემმა ხარბმა წარმოდგენამ და უსაფუძვლო იმედმა სწორედ მასში ჰპოვა სრული განსხეულება. ღმერთმა დალოცოს მისი კეთილი სული და ამგვარი ტკბობაც კიდევ მრავალჯერ განმაცდევინოს!

ეს გოგო ჯერ მხოლოდ თვრამეტისა იყო და ნეტარ სიმშვიდეს ასხივებდა – თითქოს ყველაფერი ესმოდა დედამიწის ზურგზე და საკუთარ თავში აერთიანებდა ყოველივეს, რაც კი გაგებად ღირდა. ბოკონონის წიგნებში ის საკუთარი სახელითაა მოხსენიებული. აი, რას ამბობს მასზე ერთგან თავად ბოკონონი: „მონას პირველყოფილი უბრალოების ბეჭედი აზის“.

ბერძნული თარგის თეთრი სამოსელი ეცვა.

კოხტა, პატარა ტერფებზე თხელლანჩიანი სანდლები ამოეცვა.

გრძელი, სწორი, ღია ოქროსფერი თმა წელამდე ეფინა.

ტანი უზადოდ ჩამოქნილი ჰქონდა.

ღმერთო დიდებულო...

ნეტარება სამარადისო.

მთელ სან-ლორენცოში ერთადერთი მზეთუნახავი გახლდათ – საქვეყნო სიამაყე და განძი. ფილიპ კასლის თანახმად, „პაპასაც“ იმიტომ ეშვილებინა, რომ ღვთაებრიობის შუქით განეზავებინა საკუთარი ხისტი მმართველობა.

მერე ქსილოფონი გამოაგორეს წინ და მონამ მასზე დაკვრა დაიწყო. ნაცნობ საგალობელს ასრულებდა – „მიმწუხრის ჟამს“. ბგერები მიქცევა-მოქცევის ტალღებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ამ ხმიანობის ხიბლმა შეკრებილი ხალხი ერთიანად მონუსხა.

მერე კი „პაპა“ მონზანოს მისასალმებელი სიტყვის ჯერიც დადგა.

65
კარგ დროს ჩამოვსულვართ

„პაპა“ მონზანო ერთი თვითნასწავლი კაცი იყო, თავის დროზე კაპრალ მაკქეიბს ედგა მსახურად. ამ კუნძულიდან არასოდეს გაედგა ფეხი, თუმცა ამერიკულ ინგლისურად მეტ-ნაკლებ ასატანად ლაპარაკობდა.

შემაღლებულზე ნებისმიერი ჩვენგანის ნათქვამ სიტყვას მაშინვე იქ შეყრილ ხალხს ამცნობდნენ ხოლმე მეგაფონების მეშვეობით. მერე ეს ხმა ბრბოს უკან დარჩენილ მოკლე და განიერ ბულვარში იჭრებოდა, სამი ახალი შუშისფასადიანი შენობიდან ირეკლებოდა და ექოსავით გვიბრუნდებოდა უკან.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მოგესალმებით ამერიკის საუკეთესო მეგობარი ქვეყნის მიწაზე! ბატონო ელჩო, ეგებ ამერიკას ბევრგან ვერ უგებენ, მაგრამ არა – ჩვენთან, ამ კუნძულზე... – თქვა „პაპამ“ და მდაბლად დაუკრა თავი ველოსიპედების მწარმოებელ ლოუ ქროსბის, რომელიც, შეცდომით, სან-ლორენცოში აშშ-ის ახალ ელჩად მიიჩნია.

– ვიცი, რომ მშვენიერ ქვეყანაში მოვხვდით, ბატონო პრეზიდენტო! – მიუგო ქროსბიმ. – აქაურობის თაობაზე მხოლოდ კარგი მსმენია. ერთი ეგაა, რომ...

– ბრძანეთ, ბრძანეთ...

– ელჩი მე არ გახლავართ, – აუხსნა ქროსბიმ. – ნეტა კი ვიყო, მაგრამ ერთი უბრალო, რიგითი ბიზნესმენი ვარ. აი, ეს ბატონია ჩვენი ელჩი!

რატომღაც გაუჭირდა მისი გვარ-სახელით მოხსენიება.

– ეუფ! – საკუთარ შეცდომაზე ჩაეღიმა „პაპას“, თუმცა ღიმილი უცებვე გაუქრა ბაგიდან – ეტყობა, ტკივილმა დაურა, სახე მოეჯღანა, წელში მოიხარა, თვალები დახუჭა და აშკარა იყო, კბილს კბილზე აჭერდა კვნესის შესაკავებლად.

ფრენკ ჰონიკერი აშკარად დაბნეული და დამფრთხალიც კი მიუახლოვდა.

– ცუდად ხართ? – ჰკითხა ხმის კანკალით.

– ბოდიშს ვიხდი, – როგორც იქნა, ამოილუღლუღა „პაპამ“ და რის ვაი-ვაგლახით გასწორდა წელში. თვალებზე სიმწრის ცრემლი მოსდგომოდა. მერე ეს ცრემლიც მოიწმინდა და მხრებშიც გაიმართა. – შეგაშინეთ...

წამით თითქოს გადაავიწყდა კიდეც, სად იმყოფებოდა და რა უნდა ექნა, მაგრამ უცებვე მოეგო გონს, ჰორლიკ მინტონს ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა, მეგობრებს შორის იგულეთ თავიო.

– მაგაში ეჭვიც არ მეპარება, – თავაზიანად მიუგო მინტონმა.

– ჩვენ აქ ყველანი ქრისტიანები ვართ, – უთხრა „პაპამ“.

– ძალიანაც კარგი.

– ანტიკომუნისტები, – თავს იწონებდა „პაპა“.

– ეგ კიდევ უკეთესი.

– აქ ჭაჭანება არაა მაგათი, – თქვა ისევ „პაპამ“. – კაუჭის ხსენებაზეც კი ტანში აჟრიალებთ. აი, იმ ბოკონონს კიდე დღე-დღეზე დავიჭერთ და...

– აბა, რა იქნება! – კვერი დაუკრა მინტონმა.

– სხვათა შორის, ჩამოსასვლელად კარგი დრო შეგირჩევიათ, – უთხრა „პაპამ“. – ხვალ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა, ეროვნული დღესასწაული. დემოკრატიისათვის თავდადებული ასი მარტვილის ხსენების დღე. თანაც, სწორედ ხვალ გაიმართება გენერალ-მაიორ ჰონიკერისა და მონა აამონს მონზანოს – პირადად ჩემსა და, საერთოდ, სან-ლორენცოს ცხოვრებაში გამორჩეული პიროვნების – ნიშნობა!

– დიდ ბედნიერებას გისურვებთ, მის მონზანო! – თაფლად დაიღვარა მინტონი, – და თქვენც გულწრფელად გილოცავთ, გენერალო!

ახალგაზრდებმა თავები დახარეს მადლობის ნიშნად.

მერე მინტონმა დემოკრატიისათვის თავდადებულ ას მარტვილზე ჩამოაგდო სიტყვა და წარბშეუხრელად დაახვავა ტყუილი ტყუილზე:

– ამერიკაში თითოეულმა მოწაფემაც კი იცის, რა ღირსეული მსხვერპლი გაიღო სან-ლორენცომ მეორე მსოფლიო ომის დროს... ასმა აქაურმა უმამაცესმა ადამიანმა, ვისი ხსენების დღეც სწორედ ხვალაა, საკუთარი სიცოცხლე დადო თავისუფლების სამსხვერპლოზე. აშშ-ის პრეზიდენტმა მთხოვა, მისი პირადი წარმომადგენელი ვყოფილიყავი ხვალინდელ საზეიმო ღონისძიებაზე და ზღვის ტალღებზე დამესვენებინა ყვავილების გვირგვინი, ნიშნად ამერიკელი ხალხის მადლიერებისა და თანაგრძნობისა.

– სან-ლორენცოს მოსახლეობა მადლობას გიხდით პირადად თქვენ, თქვენს პრეზიდენტსა და დიდსულოვან ამერიკელ ხალხს, ამგვარი გულისხმიერებისათვის! – ვალში არ დარჩენილა „პაპა“ მონზანო. – ჩვენთვის დიდი პატივი იქნება,

თუკი გვირგვინს ზღვის ტალღებს სწორედ ნიშნობის დროს გაატანთ.

– პირიქით, აქეთ მივითვლი პატივად, – მთლად ჩაუტკბა მინტონი.

„პაპამ“ დანარჩენებსაც გვთხოვა, არ გაგვეწბილებინა და ჩვენი ყოფნით დაგვემშვენებინა მომდევნო დღეს დანიშნული ორივე ღონისძიება – ზუსტად შუადღისას უნდა მივსულიყავით მის სასახლეში.

– წარმოიდგინეთ, რა შვილები ეყოლება ამისთანა წყვილს! – მოგვიტრიალდა „პაპა“ და ჩვენც, უნებურად, ფრენკსა და მონას მივაჩერდით. – არა, მაინც რა ჯიშია, რა სილამაზე!

მერე ისევ შემოუტია ტკივილმა.

კვლავ დახუჭა თვალები, როგორმე ამ გაუსაძლის სატანჯველს რომ გამკლავებოდა უჩუმრად.

ელოდა, საცაა გაივლისო, მაგრამ ტკივილი არ ყუჩდებოდა.

დაფეთებულმა ზურგი გვაქცია – ახლა იქ თავშეყრილ ხალხს მიაჩერდა. შეეცადა, ხალხისთვის ხელით ენიშნებინა რაღაც, მაგრამ ველარც ეს მოახერხა. მერე მიკროფონში დააპირა რაღაცის თქმა, ოღონდ არც ეს გამოუვიდა.

ბოლოს, მაინც ამოღერღა:

– შინ წადით! წადით, დაიშალეთ!

ხალხიც ხმელი ფოთლებივით მიმოიფანტა მაშინვე.

ტკივილისაგან სახედამანჭული „პაპა“ კიდევ ერთხელ შემობრუნდა ჩვენკენ...

მერე კი გონება დაკარგა.

66
ქვეყნად უდიადესი

Ааგრამ არ მომკვდარა, თუმცა მართლა მიცვალებულს კი ჰგავდა.

ასე, ცოცხალმკვდარს, დროდადრო მთელი ტანი აუცახცახდებოდა ხოლმე.

ფრენკი ხმამაღლა გაიძახოდა, „პაპა“ არ მომკვდარა, არც შეიძლება მოკვდესო!

თითქოს ჭკუაზე აღარ იყო, ძირს გართხმულ პრეზიდენტს მივარდა და ახლა უკვე ყურში ჩასძახოდა, ეგ არ ქნა, არ მოკვდეო!

საყელო გაუხსნა, საფეთქლები დაუზილა, თან ყვიროდა, გაიწიეთ, მეტი ჰაერი სჭირდებაო!

ჩვენს დასახმარებლად მფრინავებმაც მოირბინეს საჩქაროდ. ერთ-ერთ მათგანს ჭკუა ეყო და აეროპორტის სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად გავარდა.

რაკი არანაირი ბრძანება არ მიუღიათ, შემკრთალი ორკესტრი და საპატიო ყარაული ჯერაც სარგადაყლაპულებივით გაჯგიმულიყვნენ უწინდელ ადგილას.

თვალი მონასკენ გამექცა. იმას საერთოდ არ ეტყობოდა აღელვება. შემაღლებულ ადგილას, თეჯირთან მიმდგარიყო მშვიდად. თუკი ირგვლივ მართლა რიალებდა სიკვდილის აჩრდილი, მას ეს ოდნავადაც არ ანაღვლებდა.

გვერდით ერთ-ერთი მფრინავი ამოსდგომოდა. მართალია, მას არ უცქერდა, მაგრამ სახეზე ისეთი ნეტარება აღბეჭდოდა, რაც მხოლოდ ამ სიახლოვის შედეგი უნდა ყოფილიყო.

ამასობაში „პაპა“ გონზე მოვიდა. დატყვევებული ჩიტივით მთრთოლვარე ხელი ფრენკისკენ გაიშვირა:

– შენ... – ამოილუღლუღა ძლივს გასაგონად.

ყველამ ხმა გავკმინდეთ, ეგებ კიდევ თქვას რამეო.

ის კი მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა და პირიდან გაურკვეველი ბუტბუტის მეტი არაფერი ამოსდიოდა.

არ ვიცი, ვის მოუვიდა თავში აზრი, რომელიც მაშინ კი ბრწყინვალედ მომეჩვენა, თუმცა ახლა ამავეს ნამდვილად ვეღარ დავიჩემებ. მგონი, ერთ-ერთმა მფრინავმა მიკროფონი სადგამიდან ჩამოხსნა და „პაპას“ მიუტანა პირთან – იმ იმედით, ეგებ ასე მაინც გაგვაგებინოს რამეო.

მომაკვდავის ხრიალმა და დაუნაწევრებელმა ბგერებმა იმ ახალი შენობების შუშის ფასადებს სულ ჟღრიალ-ზრიალი გაადენინა. მერე კი უკვე სიტყვების გარჩევაც მოვახერხეთ:

– შენ... – ისევ ფრენკს მიმართავდა, – შენ იქნები სანლორენცოს შემდეგი პრეზიდენტი... მეცნიერება... მეცნიერი კაცი ხარ და მეცნიერებაზე უდიადესი ამქვეყნად არაფერია...

– მეცნიერება... – გაიმეორა ცოტა ხნის მერე. – ყინული...

ამის თქმაზე ჩაყვითლებული თვალები გადაატრიალა და ისევ გაითიშა.

მონას გავხედე.

გამომეტყველება არ შესცვლოდა.

თუმცა მის გვერდით მდგომ მფრინავს აღტაცებისაგან ისე გახევებოდა სახე, თითქოს კონგრესის საპატიო მედალს კიდებდნენ კისერზე.

მერე თვალი გამექცა და ის დავინახე, რაც, წესით, არ უნდა დამენახა: მონას ცალი სანდალი წაეძრო და პაწია, გარუჯული ტერფი გაეშიშვლებინა.

სწორედ ამ ტერფს უცაცუნებდა ახლა – ყოვლად ურცხვად – დაშტერებული მფრინავის გახევებულ ფეხს.

67

„ღაუჟი გვინზა აღლა ზვეენ?!“

„პაპა“ სიკვდილს გადაურჩა – ამჯერად მაინც. სულზე მიუსწრეს და აეროპორტის დიდი, წითელზოლებიანი სასწრაფო დახმარების მანქანით გააქანეს. მინტონები ამერიკული „ლიმუზინით“ წააბრძანეს საელჩოში.

ნიუტი და ენჯელა ფრენკმა ჩაისვა საკუთარ მანქანაში და თავისთან წაიყვანა.

რაც შეგვეხება მე და ცოლ-ქმარ ქროსბის, სასტუმრომდე ტაქსით მიგვიყვანეს – 1939 წელს გამოშვებული „კრაისლერით“, რომელსაც გადმოსანევი დამატებითი სავარძლები ჰქონდა. ამ ჯაბახანის კარზე მითითებული იყო, რომ მანქანა კასლების სატრანსპორტო კომპანიის საკუთრება გახლდათ, ანუ მისი მეპატრონეც ფილიპ კასლი აღმოჩნდა – სასტუმრო „კასა მონას“ მფლობელი და იმ სრულიად უანგარო ადამიანის ვაჟი, ვისთან ინტერვიუს ჩასაწერადაც ამოვყავი თავი ამ კუნძულზე.

მეც და ქროსბებიც ერთობ შეფიქრიანებულნი გახლდით: ისინი ერთთავად იმას კითხულობდნენ, ვინ იყო ეს ბოკონონი და როგორ ბედავდა „პაპა“ მონზანოს წინააღმდეგ ხმის ამოღებას, მე კი ის მაინტერესებდა, ვინ იყო დემოკრატიისათვის თავდადებული ასი მარტვილი.

ქროსბების ცნობისწადილი უფრო ადრე დააკმაყოფილეს, ოღონდ თვითონ სანლორენცოული დიალექტი არ ესმოდათ და თარჯიმნობა მე მომიწია. ჩავსხედით თუ არა მანქანაში, ქროსბიმ ჯიქურ აჯახა მძღოლს:

– ძმურად, ერთი ეს მითხარი, ეგ ახვარი ბოკონონი ვინ ჩემი ფეხებია?

– ძალიან ცუდი კაცი, – მიუგო მძღოლმა, რაც მის ენაზე დაახლოებით ასე გაისმა: „ზალიან ზუდი კაზი“.

– კომუნისტია? – ჩაეძია ქროსბი მას მერე, რაც ჩემი თარგმანი მოისმინა.

– აბა რა!

– მიმდევრებიც ჰყავს?

– ბატონო?

– ვინმეს მაინც ეხატება გულზე?

– არა, რას ბრძანებთ! – შეიცხადა მძღოლმა. – ორი თავი ვისა აქვს?!

– და რატომ არ იჭერენ? – არ ეშვებოდა ქროსბი.

– კარგად იმალება. დიდი მამაძაღლი ვინმეა, – მხრები აიჩეჩა მძღოლმა.

– ეტყობა, ვიღაცა ხელს აფარებს და მასპინძლობასაც უწევს, თორემ აქამდე გასკვანჩავდნენ.

– არა, დამალვით არავინ მალავს. არც იმის მასპინძლობას იკისრებს ვინმე – მაგდენი ჭკუა ჩვენს ხალხს ნამდვილად აქვს.

– დარწმუნებული ხარ?

– აბა რა! – თავი გამოიდო მძღოლმა. – ვინც მაგას შეიფარებს და ჭიქა წყალს მიაწვდის, რომ გაუგონ, კაუჭი არ ასცდება! კაუჭი გვინდა ახლა ჩვენ?!

მისი ბოლო სიტყვები სანლორენცოულ დიალექტზე ასე გაისმა: „ღაუჟი გვინზა აღლა ზვეენ?!“

68

„აზი მაარზვილი“

ერე უკვე მეც ვკითხე მძღოლს, დემოკრატიისათვის თავდადებული ის ასი მარტვილი ვინღაა-მეთქი. სხვათა შორის, უკვე ბულვარს მივუყვებოდით და ქალაქის ეს მთავარი ქუჩაც ასი მარტვილის სახელს ატარებდა.

მძღოლმა მითხრა, სან-ლორენცომ გერმანიასა და იაპონიას მაშინვე გამოუცხადა ომი, როგორც კი პერლ-ჰარბორი დაიბომბაო.

სან-ლორენცოს, დემოკრატიის მხარეს საბრძოლველად, ასი კაცისთვის მოუყრია თავი; მერე ისინი ამერიკისკენ მიმავალ გემზე აუყვანიათ, რათა უკვე იქ შესაბამისად გაეწვრთნათ და აღეჭურვათ. მაგრამ გასცდენია თუ არა გემი ბოლივარის ყურეს, იქვე გერმანული წყალქვეშა ნავის ლუკმა გამხდარა...

– ბაზონო ჟემო, – მომმართა მძღოლმა, – აი, ეღენი აღიან ზემოღრაზიის აზი მაარზვილი.

მოკლედ, ჩვენებურად თუ ვთარგმნი, ასე მითხრა: *ბატონო ჩემო, აი, ეგენი არიან დემოკრატიის ასი მარტვილიო.*

69
მოზაიკა

ჩვენდა გასაოცრად, მე და ცოლ-ქმარი ქროსბი ახალი სასტუმროს სულ პირველი სტუმრები აღმოვჩნდით. სწორედ ჩვენ გვიწევდა პირველი ხელმოწერების დატოვება „კასა მონას“ დავთარში.

ადმინისტრატორთან ჯერ ქროსბები მივიდნენ, მაგრამ ლოუ ქროსბი იმდენად დააფრთხო თოვლივით ქათქათა, უმანკო ფურცლის დანახვამ, ზედ სიტყვის დაწერაც ვერ მოახერხა – იფიქრებდი, საკუთარი გვარი დაავიწყდაო.

– ჯერ თქვენ, – მოწყალედ დამითმო რიგი. მერე კი ეტყობა იფიქრა, ემანდ ცრუმორწმუნეობა არ დამწამოსო, და გამომიცხადა, აი, იმ კაცს მინდა, ფოტო გადავუღო, ახლად შელესილ კედელზე მოზაიკა რომ გამოჰყავსო.

მოზაიკა კი მონა აამონს მონზანოს პორტრეტად ლაგდებოდა. ლამის მთელი კედელი ეკავა, ჭერამდე. თავად მხატვარი ვიღაც ახალგაზრდა, დაკუნთული ჯეელი ჩანდა. ტანზე თეთრი ტილოს შარვლის მეტი არაფერი ემოსა და ახლა მაღალ კიბეზე გადამჯდარიყო მხედარივით.

თეთრკანიანი გახლდათ.

იმჟამად ოქროს ფირფიტებით აგვირისტებდა ქერა კულულებს მონას გედივით მოღერებულ ყელზე.

ქროსბი მართლაც გაემართა მისკენ სურათის გადასაღებად, მაგრამ მალევე მობრუნდა და აღშფოთებულმა გვითხრა, ამისთანა ახვარი ცხოვრებაში ჯერ არავინ შემხვედრიაო. სახე ერთიანად აჭარხლებოდა.

– სიტყვას ვერ ეტყვი, უკულმა რომ არ შემოგიტრიალოს!

მისმა ნათქვამმა მეც ამიშალა ცნობისწადილი. მხატვარს მივადექი, მცირე ხანს უხმოდ ვუცქირე და მერე ვუთხარი, გულწრფელად მშურს თქვენი-მეთქი.

– ყოველთვის ვიცოდი, ადრე თუ გვიან ვიღაცას მაინც შეშურდებოდა ჩემი! – მითხრა. – მუდამ იმას ვუჩიჩინებდი საკუთარ თავს, მოითმინე და შურიანი ხალხიც გამოჩნდება-მეთქი.

– ამერიკელი ბრძანდებით?

– მაქვს ეგ ბედნიერება... – თქვა და ისევ საქმეს მიუბრუნდა. ჩემთვის წესიერად არც შემოუხედავს.

– თქვენც ჩემი ფოტოს გადაღება გინდათ? – მკითხა უცებ.

– გაქვთ რამე საწინააღმდეგო?

– მე ვაზროვნებ და, შესაბამისად, ვარსებობ! აქედან გამომდინარე, ჩემი ფირზე ასახვაც შესაძლებელია... საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?!

– სამწუხაროდ, ფოტოაპარატი თან არა მაქვს.

– თუ ღმერთი გწამთ, ეგებ მაინც იშოვოთ სადმე! რაღაც არ ჰგავხართ იმისთანა ტიპს, მარტო საკუთარი მახსოვრობის იმედზე რომაა ხოლმე.

– არა მგონია, თქვენი ნახელავი მალე დამავიწყდეს...

– მოვკვდებით და დაგვავიწყდება. თქვენც და მეც. ვაპირებ, გარდაცვალების მერე აღარაფერი გავიხსენო და თქვენც ამავეს გირჩევთ.

– ნატურიდან ხატავდით თუ ფოტოებს იყენებდით?

– ვიყენებდი და ეგრე?! – ქეჩო მოიფხანა. – აბა, მარტო ამ ჩემი შესაშური გოგრის იმედად ხომ არ ვიქნები?!

– პირადადაც იცნობთ?

– გაგიკვირდებათ და – კი.

– ილბლიანი კაცი ყოფილა ფრენკ ჰონიკერი.

– ქაქია ეგ თქვენი ფრენკ ჰონიკერი.

– მწარე ენა გქონიათ.

– და ჯიბე კიდე – სქელი.

– აგიწყვიათ ცხოვრება.

– საქმის მცოდნე კაცის აზრი თუ გაინტერესებთ, ფული ადამიანებს ვერ აბედნიერებს.

– ეგ რა მითხარით! გავითვალისწინებ. დიდ შარს კი გადამარჩინეთ – სწორედ ახლა ვაპირებდი ბლომად ფულის შოვნას...

– ეგ როგორ?

– წიგნი მინდოდა დამეწერა.

– ერთხელ მეც დავწერე წიგნი.

– მართლა? და რა წიგნი იყო?

– „სან-ლორენცო: ქვეყანა, ისტორია, ხალხი“.

70
ბოკონონის ნამონაფარი

— როგორც ვხვდები, ფილიპი უნდა იყოთ, ჯულიან კასლის ვაჟი, – ვუთხარი.

– ეგრეა, ვერ უარვყოფ.

– აქ სწორედ მამათქვენის სანახავად ჩამოვედი.

– ასპირინს ყიდით?

– არა.

– ეგ ცუდია. მამაჩემს ასპირინი უთავდება. სხვა ჯადოწამლებზე როგორა ხართ? მამაჩემს უყვარს ეგეთები.

– არა, წამლებით არ ვვაჭრობ. მწერალი ვარ.

– და, თქვენი აზრით, ერთი მეორეს გამორიცხავს?

– კარგი, კარგი. ბრალეული ვარ, ვაღიარებ.

– მამაჩემს რამე წიგნი სჭირდება, სასიკვდილოდ გადადებულებს ხმამაღლა რომ უკითხოს ხოლმე. არა მგონია, ეგეთი რამე დაგეწეროთ ოდესმე.

– ჯერჯერობით – არა.

– არადა, ფულსაც იშოვიდით. ეგეც თქვენ – კიდევ ერთი ჭკვიანური რჩევა, უფასოდ.

– იქნებ ოცდამესამე ფსალმუნი გადამეწერა, ჩემებურად გადამეკეთებინა და ავტორობისთვისაც გამომეკრა ხელი?

– სხვათა შორის, ეგ ბოკონონმაც სცადა, – მითხრა უმცროსმა კასლმა. – დროზე კი მიხვდა, სიტყვასაც რომ ვერ შეცვლიდა შიგ.

– იმასაც იცნობთ?

– მაქვს ეგ ბედნიერება. ჩემი მასწავლებელი იყო ბავშვობაში, – გრძნობამორეულმა გაიქნია ხელი მოზაიკისაკენ, – ჩემიც და მონასიც.

– კარგი მასწავლებელი გამოდგა?

– წერა-კითხვაც ვიცით და მიმატება-გამოკლებაც, თუკი მაგას გულისხმობთ.

71

ერთი ბედნიერებაა ეს ამერიკელობა!

ლოუ ქროსბი ისევ მოადგა კასლს, იმ ახვარს.

– მაინც, ვინ გგონიათ თავი? – მიახალა ჯიქურ, – ბიტნიკი თუ ვინ?

– ბოკონონისტი ვარ.

– ეგ რომ ამ ქვეყანაში კანონითაა აკრძალული?

– ბედად, ამერიკელობა მერგო წილად და ყოველთვის ხმამაღლა შემეძლო იმის გაცხადება, ბოკონონისტი ვარ-მეთქი. აქამდე არც არავის შევუწუხებივარ.

– მე კი მჯერა, რომ სადაც მიხვალ, იქაურ კანონებს უნდა დაემორჩილო.

– გეტყობათ.

– წადი რა, შენი დედაც..! – სიბრაზისაგან მთლად აცახცახდა ქროსბი.

– ერთი შენც გაგკარი, – მშვიდად ჩამოსძახა კასლმა. – შენც, დედის დღესაც და შობა-ახალ წელსაც!

გავეშებულმა ქროსბიმ ადმინისტრატორისაკენ დააღირა თავი:

– საჩივარი მაქვს, აი, იმ კაცზე, იმ ახვარზე, მხატვრად რომ მოაქვს თავი! თქვენი მშვენიერი ქვეყანა ცდილობს, ტურისტები მოიზიდოს, ვილაცას ფული ჩაადებინოს საქმეში და აქაურობა ააყვავოს, მაგისთანებთან ლაპარაკის მერე კი სანლორენცოში მეორედ ჩამოსვლა მოუნდება ვინმეს?! პირადად მეც რომ მკითხონ მეგობრებმა აზრი, დაუფიქრებლად ვეტყვი, იქით არც გაიხედოთ-მეთქი! კედელი შეიძლება ლამაზი გამოუვიდეს, მაგრამ მაგისთანა უზრდელი, თავხედი და უტიფარი რა ხეირს დაგაყრით?!

ადმინისტრატორს მკვდრის ფერი დაედო სახეზე:

– სერ...

– კარგი, ჰო... რა უნდა მითხრა? – ლამის ყელში ეცა ქროსბი.

– ეგ კაცი ამ სასტუმროს პატრონია, სერ.

72

ახვრეგის „ჰილტონი“

ლოუ ქროსბი საცობივით გავარდა „კასა მონადან“ – სულ ახვრების „ჰილტონი“ უძახა და ამერიკის საელჩოს მოსთხოვა თავშესაფარი. ასე ვიქეცი ასნომრიანი სასტუმროს ერთადერთ ბინადრად.

მშვენიერ ოთახში კი მომათავსეს. ისიც, როგორც ყველა სხვა, დემოკრატიისათვის თავდადებული ასი მარტვილის ხეივანს, მონზანოს აეროპორტსა და ბოლივარის ყურეს გადასცქეროდა.

„კასა მონა“ არქიტექტურულად წიგნის კარადისათვის მიემგვანებინათ – მყარი გვერდები და უკანა მხარე ჰქონდა, ხოლო ფასადი მოლურჯო-მომწვანო შუშისა იყო. ამიტომ, სასტუმროდან მარჯვნივ და მარცხნივ, ასევე მის უკან დარჩენილი სიდუხჭირე და სიმახინჯე სტუმრის თვალისთვის სრულიად უჩინარი რჩებოდა.

ოთახში ჰაერის გამაგრილებელი მუშაობდა და, ცოტა არ იყოს, შემცივდა კიდეც. გამთანგავი ხვატიდან ამ სიგრილეში მოხვედრილს ეგრევე ცემინება ამიტყდა.

საწოლის გვერდით, პაწია მაგიდაზე, ცოცხალი ყვავილების თაიგული ჩაედოთ ლარნაკში, ოღონდ საწოლი ჯერ არ გაეშალათ, ბალიშიც კი არ ჩანდა სადმე; მხოლოდ შიშველი, სულ ახალთახალი ლეიბი დამხვდა. კარადაში ტანსაცმლის საკიდები არ დაემაგრებინათ, სააბაზანოში კი ამაოდ დავუწყე ძებნა ტუალეტის ქაღალდს.

დერეფანში გამოვედი დამლაგებლის დასაძახებლად – ეგებ ეს დანაკლისი შევავსებინო-მეთქი, მაგრამ კაციშვილის ჭაჭანება არ ჩანდა. მხოლოდ ერთი კარი გამოეღოთ დერეფნის შორეულ ბოლოში და იქიდან რაღაც ბუტბუტისმაგვარი მოისმოდა.

მეც იქითკენ გავეშურე და იატაკზე მუყაოს ნაჭრებდაფენილ დიდ ოთახთან აღმოვჩნდი. ის-ის იყო, შეეღებათ და ჩემი მისვლისას ორი მღებავი უკვე აღარ საქმიანობდა – ფანჯრიანი კედლის მთელ სიგანეზე გადებულ ხარიხაზე ჩამომსხდარიყვნენ, ფეხზე გაეხადათ, თვალები მაგრად დაეხუჭათ და ასე თვალდახუჭულები ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ. შიშველი ტერფები ერთმანეთისთვის მიებჯინათ, ხელებით საკუთარ წვივებს ჩაჰფრენოდნენ და სამკუთხედებად მოკაკულები გახევებულიყვნენ.

ჩავახველე. ორივე მაშინვე ჩამოხტა ხარიხიდან, საღებავით დაწინწკლულ მუყაოზე. მუხლებსა და ხელისგულებზე დაებერტყნენ და ასე იდგნენ კარგა ხანს – საჯდომებაბზეკილები და ლამის იატაკზე ცხვირდადებულები.

აშკარად ელოდნენ, რომ ადგილზევე გავათავებდი ორივეს.

– მაპატიეთ, – ვთქვი, ცოტა არ იყოს კი არა, კარგა მაგრად გაოგნებულმა.

– არ გაგვთქვათ! – შემევედრა ერთ-ერთი. – გემუდარებით, ნურსად ნუ იტყვით!

– რას ნუ ვიტყვი?

– რაც ნახეთ...

– და რა ვნახე? არაფერი არ მინახავს...

– თუ გაგვთქვამთ... – ლოყა იატაკს დაადო მღებავმა და დასაკლავი ბატკნის თვალებით ამომხედა. – კაუჭზე ჩამოგება არ აგვცდება!

– დაიცათ, ძმებო! – ვუთხარი. – მე ან ძალიან ადრე მოვედი, ან – ძალიან გვიან... გიმეორებთ: არაფერი მინახავს, რაც სალაპარაკოდ შეიძლება ღირდეს. გეყოთ ახლა, ადექით.

ისინიც წამოიზლაზნენ, თან ისევ თვალებში შემომციცინებდნენ. შიშისაგან ორივეს აბაბანებდა. ძლივს დავარწმუნე, ნანახზე ჩემს დღეში კრინტსაც არავისთან დავძრავ-მეთქი.

ნანახი კი, ცხადია, *ბოკო-მარუს,* ანუ *შეცნობილის გაცვლის* ბოკონონისეული რიტუალი გახლდათ და სხვა არაფერი.

ჩვენ, ბოკონონის მიმდევრებს, ხომ გვწამს: როცა ტერფებით ვეხებით ერთმანეთს (რაღა თქმა უნდა, თუკი ფეხი სუფთაა და მოვლილი) შეუძლებელია ერთმანეთის მიმართ წრფელი სიყვარულის გრძნობა არ გაგვიჩნდეს.

ამ ჩვეულების თავი და თავი კი შემდეგი *კალიფსოა*:

ტერფი – ტერფს,
გული – გულს...
სიყვარული ყველას სურს!

73
შავი სიკვდილი

ნომერში დაბრუნებულს იქ მოზაიკის დიდოსტატი, ისტორიკოსი, საძიებლების შემდგენელი, სასტუმროს ახვარი მეპატრონე ფილიპ კასლი დამხვდა – სააბაზანოში ტუალეტის ქაღალდს მიმაგრებდა საკიდზე.

– გმადლობთ, – ვუთხარი.

– გეკადრებათ?! ერთი სიამოვნებაა ჩემთვის.

– მართლა ძალიან სტუმართმოყვარე სასტუმროა. სხვაგან სად ნახავ, თავად მეპატრონე ზრუნავდეს სტუმრის საჭიროებებზე!

– და რამდენი გეგულებათ, ვისაც მარტო ერთი სტუმარი ჰყავს?

– არ ინდომეთ, თორემ ახლა სამი გეყოლებოდათ.

– აბა, აბა! სად მქონდა ჭკუა...

– იქნებ არც უნდა ვამბობდე, მაგრამ მართლა არ მესმის, როგორ შეიძლება თქვენი ნიჭისა და გაქანების კაცი სასტუმროს ბიზნესით მოიხიბლოს.

წარბი შეიჭმუხნა:

– ფიქრობთ, რომ მთლად წესიერად არ ვექცევი სტუმრებს?

– აბა, რა გითხრათ... ერთ-ორ კაცს ვიცნობდი კორნელის

სასტუმრო ბიზნესის სკოლიდან და რატომღაც მგონია, ცოლქმარ ქროსბის ისინი მთლად ეგრე არ დააფრთხობდნენ.

უხერხულად შეიშმუშნა.

– ვიცი, ვიცი, – ხელები გაშალა. – წარმოდგენა არა მაქვს, რა ეშმაკად წამოვჭიმე ეს სასტუმრო. ეტყობა, სხვა საქმე ვერ გამოვნახე ცხოვრებაში... ვითომ რაღაცით მაინც შევიქციე თავი, ვითომ სიმარტოვეს გავექეცი... – თავი გადააქნია. – ან განდეგილად უნდა ვქცეულიყავი, ან ეს სასტუმრო უნდა გამეხსნა – სხვა არჩევანი არ მქონდა.

– თქვენ ხომ მამათქვენის დაარსებულ სავანეში იზრდებოდით...

– კი, მე და მონამ ბავშვობა იქ გავატარეთ.

– არასდროს გაგჩენიათ სურვილი, მამის გზას გაჰყოლოდით?

ახალგაზრდა კასლს ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე. პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

– დიდი უცნაური კაცია... მამაჩემზე ვამბობ, – მითხრა მერე. – მოგეწონებათ. გაუგებთ ერთმანეთს.

– იმედი მაქვს. როგორც ვიცი, მასავით უანგარო ადამიანი ბევრი არ დაიარება ამქვეყნად.

– ერთხელ, – გააგრძელა კასლმა, – როცა ასე, თხუთმეტი წლისა ვიყავი, ჩვენს სანაპიროსთან ჰონკონგიდან ჰავანაში მიმავალ ბერძნულ გემზე ჯანყი ატყდა. იმ გემით გრეხილი ავეჯი გადაჰქონდათ. მოჯანყეებმა საკუთარ ხელში აიღეს გემის მართვა, მაგრამ იმდენი მოახერხეს, კლდეებს შეასკდნენ „პაპა“ მონზანოს ციხე-სიმაგრის შორიახლოს. ვირთხების გარდა, ყველა დაიხრჩო. ვირთხები და ის ავეჯი კი ზღვამ ნაპირზე გამორიყა.

ეს ამბავი შეიძლება დასრულებულადაც კი ჩაეთვალა ვინმეს, მაგრამ მე ამაში მთლად დარწმუნებული არ გახლდით და ჩავეკითხე, მერე რა მოხდა-მეთქი.

– მერე აქაურებიდან ზოგმა უფასო ავეჯი იშოვა, ზოგს კი შავი ჭირი შეეყარა. მარტო მამაჩემის საავადმყოფოში 1400 კაცი მოკვდა სულ რაღაც ათ დღეში. როდისმე თუ გინახავთ, როგორც კლავს ადამიანს შავი ჭირი?

– ეგეთი უბედურება ღმერთმა მაშოროს!

– საზარდულსა და იღლიებში ლიმფური ჯირკვლები ისე სივდება, გრეიფრუტისოდენა ხდება.

– სიტყვაზე გიჯერებთ.

– გარდაცვლილის სხეული კი ერთიანად შავდება... თუმცა ზანგებს, აბა, მეტი რაღა გააშავებდა... როცა ეს ამბავი დაგვატყდა თავს, ჯუნგლებში ის ჩვენი „იმედისა და წყალობის სავანე“ ოსვენციმს თუ ბუხენვალდს დაემსგავსა. დახოცილების იმოდენა გროვა დადგა, ბულდოზერსაც კი უჭირდა საერთო სამარეში მათი ჩაყრა. ღმერთმა იცის, რამდენი უძილო დღე-ღამე გაატარა მამაჩემმა, თუმცა, ამ თავგამოდების მიუხედავად, ბევრი ვერავინ გადაარჩინა.

ამ დროს ჩემს ოთახში ტელეფონმა დარეკა და კასლმაც შეწყვიტა შავბნელი ამბის თხრობა.

– უყურე შენ! – გულწრფელად გაიკვირვა. – არც ვიცოდი, ტელეფონებიც თუ ჩართეს უკვე.

ყურმილს დავწვდი:

– გისმენთ!

გენერალ-მაიორი ფრენკლინ ჰონიკერი მირეკავდა. ხმაზე ეტყობოდა, გვარიანად დაფეთებულიყო და სულს ძლივს იბრუნებდა:

– მისმინეთ, დაუყოვნებლივ უნდა მოხვიდეთ ჩემთან, სახლში... სალაპარაკო გვაქვს! ამაზე მნიშვნელოვანი შეიძლება თქვენს ცხოვრებაში აღარაფერი მოხდეს!

– ეგებ მიმანიშნოთ მაინც, რა ხდება?

– ტელეფონით – არა! არავითარ შემთხვევაში! ჩემთან მოდით ახლავე, სასწრაფოდ! გემუდარებით!

– კეთილი, მოვდივარ.

– არ გეხუმრებით, მართლა უმნიშვნელოვანესი ამბავია!

ყურმილი დაკიდა.

– რა ხდება? – მკითხა კასლმა.

– წარმოდგენა არა მაქვს. ფრენკ ჰონიკერს დაუყოვნებლივ უნდა ჩემი ნახვა.

– კარგი ერთი! გამოქლიავებულია ეგ ჩემისა.

– ძალიან მნიშვნელოვანი საქმეაო.

– რა იცის მაგან, რაა მნიშვნელოვანი და რა – არა? ცალტვინაა.

– კარგი... იქნებ თქვენი ამბავი დაამთავროთ...

– სად გავჩერდი?

– შავი ჭირიო. ბულდოზერები გვამებს ვერ ერეოდნენო.

– გამახსენდა. მოკლედ, ერთი ასეთი უძილო ღამე მეც მამაჩემის გვერდით გავატარე. ყველა საწოლი დავიარეთ რიგრიგობით და კაცი ვერ ვნახეთ ცოცხალი. ყველა დახოცილიყო უკვე. მამაჩემს რაღაცნაირი ხითხითი აუტყდა – ვერაფრით ჩერდებოდა... მერე ელექტროფარანს დასწვდა და გარეთ გავიდა. თან ისევ ხითხითებდა, გაუჩერებლად. ელექტროფარნის შუქი ეზოში დახვავებულ გვამებს მიუშვირა და კარგა ხანს იდგა ასე, გაუნძრევლად. ხელი ჩემს თავზე ედო და იცით, რა მითხრა ამ საოცარმა კაცმა?

– არა.

– შვილო ჩემო, ერთ მშვენიერ დღეს აქაურობა სულ შენ დაგრჩებაო.

74
სარწეველა ფისოსათვის

ფრენკ ჰონიკერის სახლამდე სან-ლორენცოში ერთადერთი ტაქსით მივედი.

გზადაგზა ამაზრზენი სიღატაკის არაერთ გამოვლინებას ვკიდე თვალი. მერე მაკქეიბის მთის ფერდობს შევუყევით. აქ უკვე გვარიანად გრილოდა და ნისლიც კი ჩამოწოლილიყო.

ფრენკის სახლში ერთ დროს ნესტორ აამონსს ედო ბინა – მონას მამას და იმ არქიტექტორს, ვინც ჯუნგლებში „იმედისა და წყალობის სავანე“ ააგო.

საკუთარი სახლიც თავადვე დაეპროექტებინა.

სახლი ჩანჩქერს მოჰქცეოდა თავზე; ღია აივანი თითქოს წყლის ჭავლიდან ავარდნილ ბურუსში ინთქმებოდა. ბიჯგებად ძალზე მსუბუქი ფოლადის საყრდენები შეერჩია, სხვა საშენ მასალად კი ადგილობრივი გრანიტის ქვა და ფერადი შუშა ეხმარა; ალაგ-ალაგ ბამბუკის ღეროებიც გამოეყენებინა.

გეგონებოდათ, სახლი ადამიანის თავშესაფრად კი არ ჩაეფიქრებინა, არამედ იმის ხაზგასასმელად, ხელოვან კაცთან გაქვთ საქმეო.

მსახური თავაზიანად გამომეგება და მითხრა, გენერალი ჰონიკერი ჯერ შინ არ დაბრუნებულაო. თუმცა წუთი წუთზე კი ელოდნენ და იმასაც წინდაწინ გაეფრთხილებინა ყველა, დიდი პატივით მიიღეთ და ვახშმისა და ღამისთევის თადარიგიც დაიჭირეთო.

მსახური, სახელად სტენლი, პირველი მსუქანი ადგილობრივი მკვიდრი გახლდათ, ვინც კი კუნძულზე ვიხილე.

ჩემს ოთახში შემიყვანა და ქვის სარეცელზე გაშლილ ლოგინზე მიმითითა. მანამდეც შევნიშნე, რომ სახლში საშენ მასალად ჭარბად ეხმარათ ქვა – შიდა კიბეც გაუთლელი ქვით იყო ნაგები და თაროებიც – სასტუმრო ოთახში. რაც შეეხება ჩემს მოსასვენებელს, აქ ბამბუკის კედლებზე, რატომღაც, სქელი ჯვალო გაეკრათ. მერე სტენლიმ თვალნათლივ მიჩვენა, როგორ შემეძლო ამ ჯვალოს აწევ-დაწევა, თუკი ამის სურვილი გამიჩნდებოდა.

ვინმე სხვა თუ არის შინ-მეთქი, ვკითხე და მხოლოდ ნიუტიო, მიპასუხა. ის თურმე აივანზე გასულიყო ერთ-ერთ ნახატზე სამუშაოდ. როგორც სტენლიმ მითხრა, ენჯელა ჯუნგლებში „იმედისა და წყალობის სავანის“ მოსანახულებლად წასულიყო.

მეც ჩანჩქერზე გადაკიდებულ იავანზე გავედი და დავინახე, რომ ციცქნა ნიუტს ყვითელ გასაშლელ სკამზე ჩასძინებოდა.

მოლბერტი, რომელზეც ნიუტის დაუმთავრებელი ნახატი მოჩანდა, ალუმინის მოაჯირის სიახლოვეს იდგა. ჩარჩოს მაგივრობას ამ ნახატს დანისლული ცა, ზღვა და ქვემოთ გადაშლილი ველი უწევდა.

თავად ნახატი მომცრო იყო, შავი და პირქუში. ტილო მუქი ფერის ხაზებს დაეფარა, რაც მთლიანობაში აბლაბუდას

გაგახსენებდა კაცს და მეც მაშინვე კითხვა გამიჩნდა: ეგებ ეს ადამიანურ ამაოებათა ბადედ მოიაზრება, უმთვარო ღამით გასაშრობად რომ გამოუფენიათ-მეთქი.

ამ შიშისმომგვრელი სანახაობის შემქმნელ ჯუჯაკაცს არ გაღვიძებია. სიგარეტი გავაბოლე და ჩანჩქერის ხმაურში წარმოსახულ ბგერებს მივაყურადე.

თუმცა ციცქნა ნიუტი მალევე გამოაღვიძა სადღაც შორიდან მოსულმა აფეთქების ხმამ, რომელმაც მთელი მიდამო შეაზანზარა და მერე ზეცასაც უწია. ეს იმ ზარბაზნის ფუჭი გასროლა იყო, ყოველ საათში ერთხელ რომ აქუხებდნენ ხოლმე ბოლივარის წყლისპირა სიმაგრეში – ასე ამიხსნა ფრენკის მსახურმა.

ციცქნა ნიუტი შეიშმუშნა.

ჯერაც ბოლომდე გამოუფხიზლებელმა მზემოკიდებული, საღებავით დასვრილი ხელები სახეზე მოისვა და ნიკაპი მოითხვარა. მერე თვალების ფშვნეტას მოჰყვა და ახლა მათ გარშემო დაეტყო შავი ლაქები.

– სალამი, – შემეხმიანა ნამძინარევი ხმით.

– გაგიმარჯოთ, – ვუთხარი. – მომეწონა თქვენი ნახატი.

– მიხვდით, რაც არის? – მკითხა.

– მე მგონი, ყველა იმას დაინახავს, რასაც თავად ისურვებს.

– სარწეველაა ფისოსათვის.

– მართლა? – გავიკვირვე. – ძალიან კარგი... ეს ხაზები ძაფებია, არა?

– სარწეველა ფისოსათვის ერთ-ერთი უძველესი თამაშია. ესკიმოსებიც კი ერთობიან ამით.

– რას მელაპარაკებით, მართლა?

– ალბათ უკვე ათასი წელია, დიდები ბავშვებს ცხვირწინ უნანავებენ ძაფებით მოწნულ ეგეთ რამეს.

– გასაგებია...

ნიუტი ჯერაც უწინდებურად მოკუნტულიყო სკამზე. ისე გამოიწვდინა წინ საღებავით დათხვრილი ხელები, თითქოს თითებს შორის ძაფისაგან მართლა გაება სარწეველა.

– რა გასაკვირია, მერე ის ბავშვებიც შეშლილებად რომ იზრდებიან. ეგ სარწეველა ფისოსათვის თითებს შორის მოქცეული, გადაჯვარედინებული ძაფია და მეტი არაფერი, ისინი კიდე თვალს ვერ აცილებენ და...

– და რა მერე?

– რა და, არც ის ოხერი ფისო ჩანს სადმე და არც მისი ოხერი სარწეველა!

75
ალბერტ შვაიცერი მოგიკითხეთ!

ამასობაში ნიუტის ჭოკივით აწოწილი და, ენჯელა ჰონიკერ-კონერსიც დაბრუნდა, რომელსაც ფილიპის მამა – ჯუნგლებში „იმედისა და წყალობის სავანის“ დამაარსებელი ჯულიან კასლი ახლდა თან. კასლს თეთრი ტილოს მომჩვარული შარვალ-პიჯაკი ეცვა და ვიწრო ყელსახვევი ეკეთა. ულვაში აჯაგროდა. თავზე ღერი თმა არ ჰქონდა და კარგა ხნის ნაშიმშილარს ჰგავდა. მოკლედ, შევხედე და ეს კაცი, მგონი, წმინდანია-მეთქი, გავიფიქრე.

აივანზე გამოვიდა, მე და ნიუტს გაგვეცნო და მის სავარაუდო წმინდანობაზე ეჭვის ნასახიც კი გამიქარწყლდა, ისე დაიწყო ლაპარაკი ეკრანზე ნანახი განგსტერივით ტუჩმოქცეულმა.

– როგორც ვხვდები, ალბერტ შვაიცერის მიმდევარი უნდა იყოთ, – ვუთხარი ახლადმოსულს.

– შორიდან, შორიდან... – მართლა ბოროტმოქმედივით გაიღრიჭა. – პირადად არასოდეს შევხვედრივარ.

– თუმცა თქვენი საქმიანობის თაობაზე უთუოდ ეცოდინება...

– ან იცის და ან არა. თქვენ რა, შეხვედრიხართ?

– არა.

– იმედი გაქვთ, ოდესმე მაინც გაიცნობთ?

– ვინ იცის...

– კეთილი, – მითხრა ჯულიან კასლმა. – თუკი შემთხვევით სადმე გადააწყდით მაგ დოქტორ შვაიცერს, შეგიძლიათ გადასცეთ, რომ გმირად ნამდვილად არა ვთვლი.

ჯიბიდან მოზრდილი სიგარა დააძრო და მოუკიდა. როცა ცეცხლი კარგად გაღვივდა, სიგარის გავარვარებული ბოლო მომიშვირა.

– ეგრე უთხარით, – გააგრძელა ისევ. – ისიც დაამატეთ, რომ იესო ქრისტე სწორედ მისი წყალობით იქცა ჩემთვის გმირად.

– ალბათ მაგის მოსმენა ეამება.

– აი, ეგ კი სულ არ მადარდებს. ეს ამბავი მარტო მე და მაცხოვარს გვეხება.

76

ჯულიან კასლიც ეთანხმება ნიუტს – ქვეყნად ყველაფერი უაზრობაა ო

ჯულიან კასლი და ენჯელა მოლბერტთან მივიდნენ. ჯულიანმა საჩვენებელი თითი მოკაკვა და ვითომ გამადიდებელი შუშაა ო, ისე დააცქერდა ნახატს.

– რას იტყვით? – ვკითხე.

– შავია. ისე, რა ჯანდაბაა? ჯოჯოხეთია თუ რა?

– ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგებს, – უთხრა ნიუტმა.

– მაშ, მართლა ჯოჯოხეთი ყოფილა! – ერთხელაც გაიღრიჭა კასლი.

– ცოტა ხნის წინ მითხრეს, ფისოს სარწეველაა ო, – ვთქვი მე.

– მთლად განდობილი ყოფიხართ... – ჩაიქირქილა კასლმა.

– სულაც არ მომწონს! – აწუწუნდა ენჯელა. – მე რომ მკითხოს კაცმა, სიმახინჯეა, თუმცა თანამედროვე ხელოვნებაში დიდად ვერ ვერკვევი. ისე, ცუდი არ იქნებოდა, ნიუტი მასწავლებელს მიბარებოდა – გაიგებდა მაინც, ტყუილად ხომ არ კარგავს დროს.

– თვითნასწავლი ბრძანდებით? – ახლა ნიუტს მიუბრუნდა კასლი.

– რა მერე? ყველა ეგრე არაა? – კითხვა შეუბრუნა იმანაც.

– მაგარი პასუხია, – პატივისცემა გამოერია ხმაში კასლს.

თავი გამოვიდე და იმის ახსნა ვცადე, რა სილრმისეული აზრი იმალებოდა ამ ფისოს სარწეველაში, რადგან ნიუტს აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემთან ნალაპარაკევის გამეორების სურვილი აღარ ჰქონდა.

კასლი ყურადღებით მისმენდა და შიგადაშიგ თავსაც მიკანტურებდა.

– ესე იგი, ეს საყოველთაო უაზრობის ამსახველი სურათია. რომ იცოდეთ, როგორ მესმის თქვენი...

– მართლა? თქვენც მაგ აზრისა ხართ? – ვკითხე. – ცოტა ხნის წინ იესოზე არ ბრძანეთ რაღაც?

– ვისზე? – ჩამეკითხა კასლი.

– მაცხოვარზე.

– ჰო-ო... – გაწელა კასლმა. – იმაზე?

მერე მხრები აიჩეჩა.

– კაცმა რამეზე მაინც უნდა ილაყბო სახმო სიმების გასავარჯიშებლად – მართლა რომ გამოგიჩნდეს რაღაც სათქმელი, ვაითუ სწორედ მაშინ გიმტყუნონ...

მივხვდი, ამ კაცის შესახებ საჟურნალო სტატიის დაწერა უბრალო ამბავი არ იქნებოდა. ალბათ მაინც მომიწევდა, მისი წმინდა ქმედებები წამომეწია წინ და სრულიად უგულებელმეყო ყოველივე ეშმაკეული, რაც კი თავში უტრიალებდა ან ენაზე ეკერა.

– დაიმახსოვრეთ, – მითხრა კასლმა, – ადამიანი გარყვნილი არსებაა – მისი ხელიდან არაფერი ღირებული არ გამოდის

და არც რამე ისეთი იცის, აზრი და ფასი ჰქონდეს... – სკამისაკენ დაიხარა და ციცქნა ნიუტს საღებავით მოთხვრილი ხელი ჩამოართვა. – ასე არაა?

ნიუტმაც თავი დაუქნია – ეტყობა, წამსვე გაიაზრა, ამ კაცთან კამათი არ ღირსო.

– ნამდვილად ასეა, – დაუკრა კვერი.

„წმინდანი“ კი უცებ მოლბერტისკენ გაეშურა და ნახატი ორივე ხელით ჩაბღუჯა. მერე მოგვიბრუნდა, გაგვიღიმა და განაცხადა:

– ესეც ნაგავია, როგორც სხვა ყველაფერი!

გატრიალდა, ნახატი მოიქნია და აივნიდან ძირს, წყალში გადაუძახა.

ციცქნა ნიუტს ხმა არ გაუღია.

პირველი ენჯელა მოეგო გონს:

– მთელი სახე მოთხვრილი გაქვს, საყვარელო! წადი, პირი დაიბანე.

77
ასპირინი და ბოკო-მარუ

— ერთი ეს მითხარით, – ვკითხე ჯულიან კასლს, – „პაპა“ მონზანო როგორაა?

– მე რა ვიცი?!

– მეგონა, თქვენ იყავით მისი მკურნალი ექიმი...

– ერთმანეთთან უბრადა ვართ, – ჩაეღიმა. – უფრო სწორად, ის არ მელაპარაკება. ბოლო სიტყვა, რაც მითხრა – და ეგეც სამი-ოთხი წლის წინ – ეს იყო: თურმე ამერიკის მოქალაქეობას უნდა ვუმადლოდე, აქამდე კაუჭზე რომ არ ჩამომაგო.

– რა აწყენინეთ ამისთანა? ჩამოხვედით, საკუთარი ხარჯით მის ხალხს უფასო საავადმყოფო გაუხსენით...

– არ მოსწონს, როგორ ვექცევით პაციენტებს, განსაკუთრებით, როცა ვერ ვშველით და კვდებიან. „იმედისა და წყალობის სავანეში“ კი წესად გვაქვს, ბოკონონისებურად გავისტუმროთ ხალხი საიქიოს – თუკი, რა თქმა უნდა, ამის სურვილს გამოთქვამს ვინმე.

– ეს რაღას ნიშნავს?

– ძალიან მარტივი ამბავია: მომაკვდავი სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რასაც ეუბნები... გინდათ ვცადოთ?

– იმედია, სასიკვდილო ჯერ არაფერი მეტყობა...

ეშმაკურად მოწკურა თვალი:

– ეგ რა სათქმელია... ოღონდ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ისე, ბევრს ამის მერე მართლა უიოლდება იმქვეყნად გადაბარგება! მაგრამ თქვენ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიხვალთ მანდამდე, თუკი ჯერ ტერფების გახახუნება არ გამოსცადეთ.

– ეგ რაღაა?

არ დაიზარა და ამასთან დაკავშირებით ბოკონონისეულ ხედვას მაზიარა.

– ახლა, მგონი, ვხვდები, რასაც შევესწარი სასტუმროში, – ვუთხარი და მერე იმ ორი მღებავის უცნაურ საქციელზე ვუამბე.

– ეგრეა, – მითხრა. – ვინც ამ წესს ასრულებს, მართლა უბრუნდებათ გული ერთმანეთზეც და ამ ჩვენს ცოდვილ სამყაროზეც.

– ვითომ?

– *ბოკო-მარუ!*

– უკაცრავად?

– ასე ჰქვია ტერფების ხახუნის რიტუალს, – ამიხსნა კასლმა, – და არცთუ უსარგებლო რამაა, მერწმუნეთ. მე კი პატივს ვცემ ყველაფერს, რასაც სარგებელი მოაქვს. ჩვენში დარჩეს და, ეგეთს ბევრს ვერც ვერაფერს ჩამოთვლი კაცი.

– ეგრეა, კი.

– ასპირინი და *ბოკო-მარუ* რომ არა, ვერც ჩემს საავადმყოფოს ავამუშავებდი.

– როგორც ვხვდები, ამ კუნძულზე ბოკონონის თითოოროლა მიმდევარი კიდევ უნდა იყოს დარჩენილი, აკრძალვისა და კაუჭის შიშის მიუხედავად...

ჩემს ნათქვამზე კასლს გულიანად გაეცინა:

– ჯერ ვერაფერს მიხვდით, არა?

– რას გულისხმობთ?

– აქ ყველა ერთიანად ბოკონონის გულმხურვალე მიმდევარია და ვერავითარი კაუჭი ამას ვერ უშველის!

78
ურღვევი რკალი

—ხვათა შორის, კარგა ხნის წინ, როცა ამ უბედურ ქვეყანას ბოკონონი და მაკქეიბი დაეპატრონენ, – განაგრძობდა ჯულიან კასლი, – აქედან მღვდლები დაიფრინეს. მერე კი ბოკონონმა – არ ვიცი, პირადი სარგებლის ნახვისა თუ, უბრალოდ, გართობის მიზნით – ახალი რელიგია შექმნა.

– ეგ მეც გამიგია, – ვუთხარი.

– მერე და მერე, როცა გამოირკვა, რომ მდგომარეობას ვერავითარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური რეფორმა ვერ გამოასწორებდა, ამ საცოდავი ხალხისთვის იმედის ერთადერთ წყაროდ სწორედ ეს მოძღვრება იქცა. ადამიანთა უპირველეს მტრად სიმართლე რჩებოდა, რადგან იგი თავისთავად ამაზრზენი და შემზარავი გახლდათ. ამიტომაც დაისახა მიზნად ბოკონონმა, სულ უკეთესი და უკეთესი ტყუილებით ეკვება ხალხი.

– კანონგარეშედ რატომღა გამოაცხადეს?

– ეგეც თავადვე მოიფიქრა: მაკქეიბს სთხოვა, მეცა და ჩემი სწავლებაც კანონგარეშედ გამოგვაცხადეო. ასე უნდოდა, ადა-

მიანების სულიერ ცხოვრებაში მეტი სიმძაფრე და დაძაბულობა შემოეტანა. სხვათა შორის, ამის თაობაზე ლექსიც კი შეთხზა.

მერე ეს ლექსიც წამიკითხა, რომელიც ბოკონონის წიგნებში არ არის შეტანილი:

არ გავკარი სახელმწიფოს,
ხალხის აზრს და რწმენას?!
ყველაფერსაც მოევლება,
თუ დაიტკბე ენა!

– ბოკონონის მიმდევრებისთვის ყველაზე შესაფერის სასჯელად კაუჭის დაწესებაც თავად ბოკონონის ახირებაა, – მითხრა კასლმა. – რაღაც მსგავსი თურმე მადამ ტიუსოს მუზეუმის საშინელებათა ოთახში უნახავს თავის დროზე.

ახლა უკვე მთლად შეთქმულივით ჩამიპაჭუნა თვალი:

– ეტყობა, ესეც მეტი სიმძაფრისათვის...

– ბევრი დასაჯეს ასე?

– თავიდან არა. თავიდან ეს ყველაფერი მხოლოდ თამაშობას ჰგავდა. თავად ავრცელებდნენ ჭორებს ადამიანთა სიკვდილით დასჯის თაობაზე, ოღონდ მსხვერპლის ვინაობას სინამდვილეში ვერავინ ასახელებდა ხოლმე. მაკქეიბიც კარგა ხანს ერთობოდა, რით აღარ ემუქრებოდა ბოკონონისტებს – კუნძულის ლამის მთელი მოსახლეობა ხომ ამ ჭკუაზე იყო! თავად ბოკონონმა ჯუნგლებს შეაფარა თავი – მშვენიერი სამალავი მოიწყო, იჯდა იქ და ან წერდა, ან მთელი დღე ქადაგად იყო დავარდნილი. ჰოდა, არც მიმდევრების მიტანილი ნუგბარი მოჰკლებია...

მერე მაკქეიბმა უმუშევრებისაგან, ანუ მთელი მოსახლეობისაგან, საგანგებო ჯგუფები შექმნა ბოკონონის ადგილსამ-

ყოფლის მოსაძებნად. ყოველ ექვს თვეში ერთხელ საზეიმოდ აცხადებდა ხოლმე, ბოკონინის სამალავი ურღვევ რკალში მოვაქციეთო, თითქოს დღე-დღეზე უნდა შეეპყროთ კიდეც, მაგრამ ყოველ ჯერზე ამ საქმის მოთავეები დიდი გულისტკივილით მოახსენებდნენ ხოლმე, ბოკონონმა შეუძლებელი შეძლოო, და მაკქეიბიც ვითომც გულზე სკდებოდა ბრაზისაგან!

კიდევ ერთხელ სასწაულებრივად გადარჩენილი, ლამის მართლა აორთქლებული ბოკონონი კი მეორე დღიდანვე აგრძელებდა თავის ქადაგებებს.

სასწაული თუ გინდათ, სწორედ ესაა.

79
რამ გაუხევა სული მაკქეიბს

—მაკქეიბმა და ბოკონონმა ვერაფერი მოუხერხეს იმას, რასაც, ზოგადად, ცხოვრების დონეს ვეძახით, – განაგრძობდა კასლი. – მწარე სიმართლე ის იყო, რომ სან-ლორენცოზე სიცოცხლე კვლავინდებურად ხანმოკლე, დუხჭირი და გაუსაძლისი რჩებოდა.

თუმცა ადამიანები უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამ ამბავს: რაც უფრო იკრებდა ძალას ლეგენდა დედაქალაქში მჯდომ ბოროტ მმართველსა და ჯუნგლებს თავშეფარებულ წმინდანზე, მით მეტი ბედნიერება ისადგურებდა მათ გულებში. ახლა უკვე ყველას – როგორც პიესაში მონაწილე მსახიობებს – საკუთარი როლი და ტაშის იმედი ჰქონდა!

– მოკლედ, ცხოვრება სცენად გადაიქცა? – ჩავურთე სიტყვა.

– დიახაც! ოღონდ ერთი თავსატეხი მაინც რჩებოდა.

– ეგ რომელი?

– ორი მთავარი გმირისათვის, მაკქეიბისა და ბოკონონისათვის, მთელი ეს გათამაშებული დრამა მძიმე საცდური აღმოჩნდა. სცენარის მიხედვით, ეს ორი ახალგაზრდა კაცი

ძალიან უნდა ჰგვანებოდა ერთმანეთს, თითოეული მათგანი სანახევროდ ანგელოზი, სანახევროდ კი ავაზაკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სიუჟეტის განვითარებამ მოითხოვა, რომ ბოკონონისეული ნახევარი ავაზაკი, ხოლო მაკქეიბისეული ნახევარი ანგელოზი უკვალოდ გამქრალიყო. ასე რომ, მაკქეიბმაც და ბოკონონმაც, უკვე თავგზააბნეულებმა, მძიმე საზღაური გადაიხადეს ხალხის ამგვარი გაბედნიერებისათვის: მაკქეიბმა საკუთარ თავზე იწვნია ტირანის ყველა სულიერი შფოთვა, ბოკონონმა კი – წმინდანის მარტვილობა... მოკლედ, ორივემ გარეკა.

კასლმა მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მოკაკვა:

– მერე იყო და მართლა დაიწყეს ადამიანების კაუჭზე ჩამოცმა.

– ოღონდ ბოკონონი ჯერაც ვერ შეიპყრეს, არა? – ჩავეკითხე ისევ.

– არა, მაკქეიბი მთლად ასეც არ გაგიჟებულა. არც არასდროს დაუსახავს მიზნად, მართლა შეეპყრო ბოკონონი, თორემ ამ პაწია კუნძულზე ეგ საქმე არც გაუჭირდებოდა... ჭკუა ეყო და მიხვდა: წმინდანთან ამ გაუთავებელი ბრძოლის გარეშე მისი არსებობა აზრს დაკარგავდა. სხვათა შორის, ეს „პაპა“ მონზანოსაც მშვენივრად მოეხსენება.

– და მას მერე ხალხს მართლა ჰკიდებენ კაუჭზე?

– რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არაა.

– მე იმას გეკითხებით, „პაპა“ მართლა ამნაირად სჯის ხალხს რწმენისათვის?

– თითო-თითოს – ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ასე ვთქვათ, ცეცხლი რომ არ ჩანავლდეს...

კასლმა საღამოს ცას ახედა და ამოიოხრა:

– რა გინდა, რომ ქნა...

– რას გულისხმობთ?

– ბოკონონის მიმდევრების გამოთქმაა ეგეთი. ასე ვამბობთ, როცა ირგვლივ აუხსნელი ამბები ხდება ხოლმე.

– თქვენც ბოკონონისტი ხართ? – გულწრფელად გავიკვირვე.

კასლმა გამომცდელად შემათვალიერა:

– სხვათა შორის, თქვენც... მაგაში სულ მალე დარწმუნდებით.

80

ცხაურიანი ჩანჩქერი

ვადმოკიდებულ აივანზე, ჩემთან და ჯულიან კასლთან ერთად, ენჯელა და ნიუტიც ისხდნენ. ყველანი კოქტეილს ვწრუპავდით. ფრენკი ჯერ არსად ჩანდა.

ენჯელაცა და ნიუტიც გვარიანი მსმელები აღმოჩნდნენ, კასლმა კი გამიმხილა, ახალგაზრდობაში მაგრად ვუბერავდი და, საბოლოოდ, ცალი თირკმელიც კი შევწირე ამ ამბავსო. ახლა, მისდა სამწუხაროდ, თურმე იძულებული იყო, ძირითადად უალკოჰოლო ლუდით დაკმაყოფილებულიყო.

რამდენიმე ჭიქამ ენჯელას ლაპარაკის საღერღელი აუშალა და იმაზე დაიწყო წუწუნი, სიცოცხლეშივე რა უმადურად ექცეოდნენ მამამისს. მისი თქმით, ამ დიდ მეცნიერს კაცობრიობისათვის გადაედო თავი, სამაგიეროდ კი ბევრი ვერც ვერაფერი მიელო.

ძალიან მომინდა გამეგო, მაინც რაში გამოიხატა ეს უმადურობა თუ დაუფასებლობა და ენჯელამაც რამდენიმე მკაფიო მაგალითი გაიხსენა.

– თავის დროზე ორმოცდახუთ დოლარს უხდიდნენ ყოველი გამოგონებისათვის, ანუ ზუსტად იმდენივეს, რამდენსაც

კომპანიის ნებისმიერ თანამშრომელს... – მითხრა და დანანებით გადააქნია თავი. – ორმოცდახუთი დოლარი... არადა, ხომ წარმოგიდგენიათ, სინამდვილეში რა ფასი ედო!

– ყოველთვიურადაც ხომ უხდიდნენ...

– ყველაზე მაღალი ხელფასი, რაც კი ოდესმე აუღია, ოცდარვა ათასი იყო წელიწადში.

– არც ისე ცოტაა, მე თუ მკითხავთ.

ენჯელამ წარბები აწკიპა:

– იცით, კინოვარსკვლავებს რამდენს უხდიან?

– ზოგჯერ მართლა ძალიან ბევრს.

– ის თუ იცით, დოქტორი ბრიდი მამაჩემზე ათი ათასი დოლარით მეტს რომ იღებდა წელიწადში?

– აი, ეგ კი უკვე აშკარა უსამართლობაა.

– განა მარტო ეგ?

ისე აჭარხალდა და გაღიზიანდა, საჩქაროდ შევცვალე საუბრის თემა. ახლა ჯულიან კასლს მივუბრუნდი და ვკითხე, თუ იცით, წყალში გადაგდებულ იმ ნახატს რა ბედი ეწევა-მეთქი.

– ქვემოთ ერთი პატარა სოფელია, უფრო სწორად, სულ ათიოდე ქოხმახი დგას. სხვათა შორის, სწორედ იქ დაიბადა „პაპა“ მონზანო... ჩანჩქერიც იქ ჩაედინება, ქვის დიდ საგუბარში. იქიდან გამოსასვლელ მილს კი სოფლელებმა მავთულისაგან დაწნული ცხაური მოარგეს და ახლა წყალი იმ ცხაურის გავლით უერთდება მდინარეს.

– ესე იგი, ნიუტის ნახატსაც ის ცხაური შეაკავებდა? – ჩავეკითხე.

– ალბათ შეამჩნევდით, რა ღარიბიცაა ეს ქვეყანა, – მითხრა კასლმა. – ბადეში დიდხანს არაფერი რჩება... ნიუტის ნახატიც ალბათ უკვე მზეზე შრება სადმე, ისევე, როგორც

ჩემი სიგარის მონარჩენი. ხის ჩარჩოზე გადაჭიმული, ასე, ოთხი კვადრატული ფუტის ტილოს ნაჭერი, რამდენიმე ჭიკარტი და ზედაც სიგარის ნამწვი... ვერაფერს იტყვი, ღარიბ-ღატაკი კაცისათვის მშვენიერი მონაგარია.

– ზოგჯერ ლამისაა სიმწრისაგან ავყვირდე, – ისევ თავისას მოჰყვა ენჯელა. – როცა გამახსენდება, თუ რამდენს უხდიან ახლა ზოგიერთს და რამდენს უხდიდნენ მამაჩემს, ამ მართლა უანგარო და საქმეზე თავგადაკლულ ადამიანს!

ისეთი სახე ედო, მგონი, სადაც იყო, მართლა ქვითინი აუვარდებოდა.

– არ იტირო, რა! – ხმაში ვედრება გამოერია ნიუტს.

– რა ვქნა, ზოგჯერ თავს ვერ ვიკავებ, – ვიშვიშებდა მისი და.

– წადი, კლარნეტი გამოიტანე, – ურჩია ნიუტმა. – ეგ ყოველთვის გშველის...

ჯერ ის ვიფიქრე, ეხუმრება-მეთქი, მაგრამ როცა ენჯელას გავხედე, მივხვდი, ამ რჩევაში მასხრობის ნატამალიც კი არ ერია.

– როცა ასე ავღელდები, – ქალი ახლა მე და კასლს მოგვმართავდა, – უებარ საშუალებად ესღა მრჩება ხოლმე.

თუმცა, ეტყობა, სიმორცხვის გამო, მაშინვე არ წასულა საკრავის მოსატანად. კარგა ხანს გვახვეწნინა და ამასობაში კიდევ ორი ჭიქა კოქტეილის გადაყლურწვა მოასწრო.

– მართლა საოცრად უკრავს, – დაგვაიმედა ნიუტმა.

– დიდი სიამოვნებით მოვუსმენთ, – თქვა კასლმა.

– კეთილი, – როგორც იქნა, მოწყალება მოიღო ენჯელამ და ბორძიკ-ბორძიკით შევიდა ოთახში.

როცა თვალს მიეფარა, ნიუტმა მოგვიბოდიშა:

– მძიმე დღეები გამოიარა, დასვენება სჭირდება.

– იავადმყოფა? – ჩავეკითხე.

– უვარგისი ქმარი ჰყავს... – თქვა ნიუტმა. ოდნავადაც არ შეეცადა დაემალა, როგორ ეზიზღებოდა ენჯელას ახალგაზრდა, მომხიბლავი მეუღლე, „ფაბრი-ტეკის“ უაღრესად წარმატებული პრეზიდენტი ჰარისონ კონერსი. – ათასში ერთელ ახსენდება ცოლ-შვილი და თუ შემოუცდა სახლში ფეხი, მაშინაც მთვრალია და ერთიანად პომადით მოთხვრილი...

– მე კი თქვენი დის ნათქვამი ისე გავიგე, თითქოს ბედნიერი ოჯახი აქვთ.

ციცქნა ნიუტმა ორივე ხელი წინ გამოიშვირა და თითები გაფარჩხა:

– ფისოს ხედავთ? მის სარწეველას?

81

საძილე ვაგონის გამცილებლის ვაჟის საბედო

ნამდვილად არ ვიცოდი წინასწარ, როგორი იქნებოდა ენჯელას დაკრული. მე კი არა, ამას ალბათ ვერც ვერავინ წარმოიდგენდა.

ერთი ეგაა, რაღაც ავადმყოფურს ველოდი, ოღონდ რას ვიფიქრებდი, თუკი ტკივილს ამგვარი სიღრმე, ძალა და ლამის გაუსაძლისი მშვენიერება შეიძლებოდა ჰქონოდა.

ენჯელამ სატუჩეს ჩაჰბერა შესათბობად, თუმცა ჩქამიც არ გამოუცემინებია. თვალებზე თითქოს ლიბრი გადაეკრა და გრძელი, თხელი თითები უაზროდ აათამაშა ჯერაც მდუმარე სათითურებზე.

დაძაბული ველოდი რაღაცას – გამახსენდა, როგორ მითხრა მარვინ ბრიდმა, მამის გვერდით უსიხარულო ცხოვრებისას ერთადერთ თავშესაფრად ენჯელას მხოლოდ საკუთარი ოთახი ეგულებოდა, სადაც ჩაიკეტებოდა, ფირფიტებს უკრავდა და მუსიკას თავისი კლარნეტის ხმას აყოლებდაო.

ამჯერადაც, აივნის მომიჯნავე ოთახში, ნიუტმა ვინილის ფირფიტა დადო დიდ ფირსაკრავზე, უკან დაბრუნე-

ბულმა კი მისი კონვერტი გამოიყოლა და, რატომღაც, მე მომაწოდა.

მიდ ლუქს ლუისის საფორტეპიანო ჩანაწერი გახლდათ, ყოველგვარი აკომპანემენტის გარეშე.

ვიდრე თითქოსდა ტრანსში ჩავარდნილი ენჯელა პირველი თემის მომთავრებას დააცდიდა ლუისს, მე კონვერტზე დაწერილს გადავავლე თვალი:

„ლუისი 1905 წელს დაიბადა კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილში და 16 წლამდე მუსიკით არ დაინტერესებულა. მისი პირველი საკრავი მამის ნაჩუქარი ვიოლინო გახლდათ. ერთი წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით მოუსმინა სახელგანთქმულ პიანისტს, ჯიმი იანსის და გაგონილმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. „აბა, ეგ იყო, რაც იყო!“ – ასე იგონებს ლუისი იანსის დაკრულს. მალე თავადვე დაიწყო პიანინოზე ბუგი-ვუგის სტილში დაკვრის სწავლა და როგორც შეეძლო, ისე ბაძავდა თავის კერპს, რომელიც ბოლომდე მის უახლოეს მეგობრად რჩებოდა.

ლუისის მამა მატარებლის გამცილებლად მუშაობდა და ოჯახიც რკინიგზის მახლობლად ცხოვრობდა. სწორედ მატარებლის ბორბლების დგანდგარი იქცა ახალგაზრდა შემსრულებლის გამორჩეულ რიტმად, რაც დაედო კიდეც საფუძვლად უკვე კლასიკად ქცეული „მოხეტიალე ორთქლმავლის ბლუზის“ კომპოზიციას“.

თავი ავწიე. ჩანაწერის პირველი თემა დასრულდა. ახლა ნემსი დუნე ფხაჭუნით მიიკვლევდა გზას მდუმარებაში – მეორე ჩანაწერისაკენ, რომლის სათაურადაც კონვერტზე „გველეშაპის ბლუზი“ იყო მითითებული.

მიდ ლუქს ლუისმა ამჯერადაც მარტომ შეასრულა პირველი ოთხი ტაქტი და მერე უკვე ენჯელა ჰონიკერიც აჰყვა.

თვალდახუჭული უკრავდა.

სრულიად გამაოგნებლად.

აქამდე მსგავსი არაფერი მომესმინა.

გამცილებლის ვაჟის მუსიკას წარმოუდგენელი იმპროვიზაციებისათვის იყენებდა, ნაზი ხმიანობიდან ჩახრინწულ, ვნებიან ბგერებზე გადადიოდა, შეშინებული ბავშვის გამყინავი შეკივლებიდან – ნარკომანის ფეთიან ბოდვაზე...

მისეული გლისანდო ერთდროულად ცასა და ქვესკნელზე გვიამბობდა და იმ სხვა ყველაფერზეც, რაც მათ შორისაა მოქცეული.

მსგავსი დაკვრა მხოლოდ შეშლილს ან შეპყრობილს თუ შეეძლო.

თმა ყალყზე დამიდგა – თითქოს ვხედავდი კიდეც, როგორ გორავდა ენჯელა იატაკზე, პირზე დუჟმომდგარი, და იმ წარღვნამდელ ენაზე ბუტბუტებდა რაღაცას.

როცა მუსიკა შეწყდა, ჯულიან კასლისკენ გავაპარე თვალი. ისიც სრულიად მონუსხული ჩანდა.

– ღმერთო, რას არ გადააწყდები ამ ცხოვრებაში! რითი გინდა ამის ახსნა?! – აღმომხდა უნებურად.

– ნურც ეცდებით, – მითხრა კასლმა. – უბრალოდ, თავი მოიტყუეთ, ვითომ გესმით რამე.

– აი, ეგ კი მართლა კარგი რჩევაა... – ცოტა გულზე მომეშვა. კასლმა კი ახლაც ერთი ლექსი მომაშველა:

ვეფხვმა უნდა ინადიროს,
ჩიტმა უნდა იფრინოს.
კაცის საქმე კი ისაა
პასუხებზე იფიქროს.

მერე ვეფხვიც მოისვენებს,
ჩიტიც ბუდეს მონახავს.
კაცი თავს თუ მოიტყუებს,
თორემ პასუხს ვერ ნახავს!

– ეგ საიდანღაა? – ვკითხე.

– ისევ და ისევ ბოკონონის წიგნებიდან, სხვა საიდან...

– ნეტა ერთი ეგ წიგნები ჩამაგდებინა ხელში.

– საძნელო საქმეა, – მითხრა კასლმა. – დაბეჭდილი არც არსებობს. მხოლოდ ხელნაწერების სახით ვრცელდება და მათაც სრულად ვერსად ნახავთ – ყოველდღე რაღაც ახალს უმატებს...

– რელიგია... – ჩაიბურტყუნა ციცქნა ნიუტმა.

– რა ბრძანეთ? – მიუბრუნდა კასლი.

– ფისოს ხედავთ? მის სარწეველას? – ჰკითხა ნიუტმა.

82

ბედ-დიჰ-ცეჰ-რაჰ

ჯენერალ-მაიორი ფრენკლინ ჰონიკერი არც სავახშმოდ არ დაბრუნებულა შინ, თუმცა კი დარეკა და დაჟინებით მოითხოვა სწორედ ჩემთან და არა ვინმე სხვასთან დალაპარაკება.

ასე მითხრა, „პაპას“ ვადგავარ თავზე და ვერაფრით დავტოვებ, რადგან ტანჯვაში ხდება სულიო. ხმაზევე ეტყობოდა, როგორი შეშინებული იყო და რა მარტოსულად გრძნობდა თავს.

– მისმინეთ, – ჩავძახე ყურმილში. – ეგებ ისევ სასტუმროში დავბრუნდე და მოგვიანებით შევხვდეთ ერთმანეთს, როცა ყველაფერი მოთავდება?

– არა, არა! მანდ დარჩით. არ მინდა, საძებარი გამიხდეთ, – აშკარად ეტყობოდა, როგორ ზაფრავდა იმის წარმოდგენაც კი, რომ შეიძლებოდა ხელიდან გავსხლტომოდი.

რაკი ვერაფრით ამეხსნა, მაინც რა უნდოდა ჩემგან, თანდათან მეც შემიპყრო გაურკვევლობის შიშმა.

– იქნებ ის მაინც გეთქვათ, ჩემი ნახვა რაში დაგჭირდათ? – ვკითხე.

– ტელეფონით ვერა.

– მამათქვენის თაობაზეა რამე?

– არა, უშუალოდ თქვენ გეხებათ.

– და რა ვქენი ამისთანა?

– ჯერ არაფერი, ახლა მოგიწევთ.

ყურმილში ქათმის კრიახიც მოისმოდა, მერე კარის გაღების ხმა და ქსილოფონზე აჟღერებული მუსიკაც გავიგონე – იმავე საგალობელს უკრავდნენ – „მიმწუხრის ჟამს“. მერე კარი ისევ გაიღო და დაიკეტა. მუსიკის ხმაც მიჩუმდა.

– მადლობელი დაგრჩებით, თუ მიმანიშნებთ, მაინც რას ელით ჩემგან... ეგებ წინასწარ მოვმზადებულიყავი, – ისევ ჩემსაზე ვიდექი.

– *ბედ-დიჰ-ცეჰ-რაჰ.*

– რაო?

– ბოკონონისტური სიტყვაა.

– არავითარი ბოკონონისტური სიტყვები მე არ ვიცი.

– ჯულიან კასლი მანდაა?

– დიახ.

– მაგას ჰკითხეთ. მე კი უნდა გავიქცე, – თქვა და ყურმილი დადო.

რაღა დამრჩენოდა, ჯულიან კასლს ვკითხე, ეს სიტყვა რას ნიშნავს-მეთქი.

– მარტივი პასუხი გნებავთ თუ სრული?

– მარტივით დავიწყოთ.

– ბედისწერას ნიშნავს, – მითხრა, – განგების გარდაუვალ ნებას.

83

დოქტორი შლიხტერ ფონ კონიგსვალდიც ჩემი კარასის ნევრი ხდება

—ბიბომ იცის ეგრე, – გამოაცხადა ვახშმობისას ჯულიან კასლმა, როცა ვუთხარი, „პაპას“ საშინელი ტკივილები დასწყებია-მეთქი.

– რისი კიბო აქვს?

– რა გითხრათ, რისი აღარ. დღეს ტრიბუნაზე გონება დაკარგა?

– კი, ეგრე იყო, – დაუმოწმა ენჯელამ.

– ეგ წამლების ბრალია, – დაასკვნა კასლმა. – ახლა ზუსტად იმ დღეშია, როცა წამალსა და ტკივილს თანაბარი ძალა აქვს. ოღონდ გინდა ტკივილს მოუკლავს და გინდა – ამდენ გამაყუჩებელს.

– მე, პირადად, ალბათ თავს მოვიკლავდი, – ჩაიბუტბუტა ნიუტმა.

ერთგვარ გასაშლელ მაღალ სკამზე იჯდა, მუდამ რომ თან დაჰქონდა, სადაც უნდა წასულიყო. სკამი ალუმინისა და ტილოსაგან იყო დამზადებული. „ლექსიკონებზე, გეოგრა-

ფიულ ატლასებსა და სატელეფონო წიგნებზე ჯდომას ისევ ეგ მირჩევნია“, – გვითხრა კიდეც, როცა თავის ტახტრევანზე მოკალათდა.

– კაპრალი მაკქეიბი სწორედ ასე მოიქცა, – თქვა კასლმა, – საკუთარი მსახური მემკვიდრედ გამოაცხადა და შუბლში ტყვია დაიხალა.

– იმასაც კიბო ჰქონდა? – ვკითხე.

– არა მგონია. ჩემი აზრით, უფრო თავისივე სიავკაცემ გადაიყოლა. ასეა თუ ისე, ეს ამბავი ჩემს ჩამოსვლამდე მოხდა.

– ძალიან მხიარული საუბარი კი გამოგვივიდა, აი! – აბუზღუნდა ენჯელა.

– რას ვიზამთ, მხიარულ დროში გვიწევს ცხოვრება... – აჰყვა კასლიც.

– მე კი მგონია, თქვენ მაინც სხვებზე მეტი მიზეზი უნდა გქონდეთ სამხიარულოდ – არაფერი დაგიკლიათ ცხოვრებაში.

– ეგ მართალია. სხვათა შორის, ერთ დროს საკუთარი იახტაც კი მქონდა.

– და რა მერე?

– რა და – იახტის პატრონს სამხიარულოც მეტი გაქვს.

– თუ „პაპა“ მონზანოს პირადი ექიმი თქვენ არ ხართ, მაშ, ვინ არის?

– ერთი ჩემი თანამშრომელი: დოქტორი შლიხტერ ფონ კონიგსვალდი.

– გერმანელია?

– გამოცანა გერგებათ. თოთხმეტი წელი SS-ში გაატარა და აქედან ექვსი – ექიმად იმსახურა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

– და ახლა რა, ცოდვებს ინანიებს თქვენთან?

– თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა ასეა, – მითხრა კასლმა. – ინანიებს და ეგრე?! დღე არ გავა, ვინმე არ გამოგლიჯოს სიკვდილს ხელიდან.

– რას ერჩი?

– არც არაფერს. ასე თუ გააგრძელა, 3010 წლისთვის მის მიერ გადარჩენილთა რაოდენობა უთუოდ გაუტოლდება მისივე წყალობით საიქიოს გასტუმრებულთა რაოდენობას.

აი, კიდევ ერთი წევრიც შემოემატა ჩემს *კარასს* – ექიმი შლიხტერ ფონ კონიგსვალდი.

84
სრული უკუნეთი

ბახშმობის მერე სამი საათი გავიდა, მაგრამ ფრენკ ჰონიკერი ჯერაც არ მოსულიყო შინ. ჯულიან კასლმა ბოდიში მოგვიხადა და ისევ თავის „იმედისა და წყალობის სავანეს“ დაუბრუნდა ჯუნგლებში.

მე, ენჯელა და ნიუტი კვლავ აივანზე გავედით, ვისხედით და ჩვენ ქვემოთ დედაქალაქის ლამაზად მოციმციმე სინათლეებს დავცქეროდით. „მონზანოს“ აეროპორტის ადმინისტრაციული შენობის სახურავს ვეება, ჩახჩახა ჯვარი ამშვენებდა, თან რაღაც მექანიზმი ამოძრავებდა ნელ-ნელა და ქვეყნიერების ოთხივე კუთხეს ჰფენდა ელექტრიფიცირებულ მადლს.

კუნძულზე, ჩვენგან ჩრდილოეთით, სხვა, ასევე კარგად განათებული ადგილებიც არსებობდა და მართალია, უშუალოდ მათი დანახვის საშუალებას მთები არ გვაძლევდა, მაგრამ იქიდან ამოსული გამონაშუქი ცაზე სავსებით მკაფიოდ ირეკლებოდა.

– ეს სინათლეები საიდანაა? – ვკითხე სტენლის, ფრენკ ჰონიკერის მსახურს.

იმან საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოატარა ხელი და ამიხსნა:

– „იმედისა და წყალობის სავანიდან“, „პაპა“ მონზანოს სასახლიდან და ფორტ-იესოდან.

– ეს ფორტ-იესო რაღაა?

– საწვრთნელი ბანაკია ჩვენი ჯარისკაცებისათვის.

– და მაცხოვრის პატივსაცემად ჰქვია „იესო“?

– ცხადია. რა მოხდა ასეთი?!

ჩრდილოეთის მხარეს, ცაზე ახლა სინათლის კიდევ ერთი ლაქა იზრდებოდა. სანამ ვიკითხავდი, ეს რაღაა-მეთქი, მთაგრეხილზე ამომავალი მანქანის ფარების შუქი დავინახე. შუქი სწრაფად გვიახლოვდებოდა.

ალმართს მანქანების კოლონა მოუყვებოდა. აშკარად ჩვენკენ ეჭირათ გეზი.

კოლონა ამერიკული წარმოების ხუთი სამხედრო სატვირთოსაგან შედგებოდა; ყოველი მათგანის კაბინის თავზე ტყვიამფრქვევი დაეყენებინათ.

მანქანები ჭიშკართან შეჩერდნენ. ჯარისკაცები წამსვე გადმოხტნენ და მაშინვე საქმეს შეუდგნენ – სანგრების თხრა და საცეცხლე წერტილების გამართვა წამოიწყეს. მე და ფრენკის მსახური მათთან მივედით და მეთაურს ვკითხეთ, რა ამბავი იყო ჩვენს თავს.

– ნაბრძანები გვაქვს, სან-ლორენცოს მომავალი პრეზიდენტი დავიცვათ! – ადგილობრივ დიალექტზე გვიპატაკა ოფიცერმა.

– ახლა აქ არაა, – ვუთხარი.

– მაგისა მე არაფერი ვიცი, – მიპასუხა. – მითხრეს, აქა და აქ გამაგრდიო და მეც ვთხრი...

მომხდარის თაობაზე ენჯელასა და ნიუტსაც შევატყობინე.

– თქვენი აზრით, მართლა რამე საფრთხე გვემუქრება? – გვკითხა ენჯელამ.

– აბა, რა გითხრათ. თქვენი არ იყოს, აქ მეც სტუმრადა ვარ... – ვუთხარი.

სწორედ ამ დროს სრული უკუნი ჩამოწვა: მთელ კუნძულზე ერთბაშად გამოირთო დენი.

85

ფოთაა, აბა რა!

ფრენკის მსახურებმა ნავთის სანათები შემოიტანეს და დაგვამშვიდეს, შუქის ჩაქრობა სან-ლორენცოში ჩვეული ამბავია და ნურაფერზე იღელვებთო. მაგრამ მე მაინც ვერ ვერეოდი შფოთვას და მოუსვენრობას, მით უფრო მას მერე, რაც ფრენკმა ჩემი პირადი *ბედ-დიპ-ცეპ-რაპ* ახსენა.

სწორედ ფრენკის ნათქვამმა გამიჩინა იმგვარი განცდა, თითქოს ჩემი თავისუფალი ნება ისეთივე უმნიშვნელო რამ გახლდათ, როგორც ჩიკაგოს სასაკლაოებზე მიდენილი ნახირისა.

რატომღაც, ისევ გამახსენდა ილიუმში ნანახი ქვის ანგელოზი.

ვიჯექი და გონებადაფანტული ვაყურადებდი ჯარისკაცების ფაცა-ფუცსა და გაწამაწიას.

ვერ მოვახერხე, ბოლომდე ავყოლოდი საუბარში ენჯელასა და ნიუტს. არადა, იმათ უაღრესად საგულისხმო თემაზე ჩამოაგდეს სიტყვა: თურმე ნუ იტყვით და, მათ მამას ტყუპისცალი ჰყოლოდა, ზუსტად მისი ალიკვალი, სახელად რუ-

დოლფი, რომელიც ძმისშვილებს არასოდეს ენახათ. ბოლოს მის შესახებ ის შეეტყოთ, რომ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში მუსიკალურ ზარდახშებს ამზადებდა.

– მამა იშვიათად ახსენებდა ხოლმე, – თქვა ენჯელამ.

– სხვას ვის ახსენებდა ხშირად? – გაეპასუხა ნიუტი.

როგორც მითხრეს, მამიდაც ჰყოლიათ, სახელად სელია, და ეს ქალბატონი ნიუ-იორკში, კუნძულ შელთერზე, შნაუცერის ჯიშის ძაღლების გამოზრდა-მომრავლებით ყოფილა დაკავებული.

– საშობაოდ მისალოცი ბარათის გამოგზავნა არასდროს ავიწყდება, – მითხრა ენჯელამ.

– და იმ ბარათებზე სულ მისი შნაუცერებია ხოლმე გამოსახული, – დაუმატა ციცქნა ნიუტმა.

– უცნაურია, ერთი ოჯახის წევრებს ასეთი სხვადასხვაგვარი ბედი რომ ეწიათ, – თქვა ენჯელამ.

– მართლაც, – დავეთანხმე.

მერე და-ძმას მოვუბოდიშე, მსახური სტენლი მოვძებნე და ვკითხე, ბოკონონის წიგნების ხელნაწერი ხომ არ მოგეძებათ-მეთქი.

ჯერ ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერც ხვდებოდა, რას ვეუბნებოდი, მერე კი ჩაიბუზღუნა, ეგ წიგნები დიდი სიბინძურეაო... ამასაც არ დასჯერდა და გამომიცხადა, მათი წამკითხავი ყველა კაუჭზე უნდა ჩამოაგოო. მხოლოდ ამის შემდეგ მომიტანა ერთი პირი, რომელიც ფრენკს საწოლთან, პატარა მაგიდაზე დაედო.

კარგა მძიმე რამე ჩანდა – ასე, ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის ოდენა; ფურცლები კი მართლაც ხელით ნაწერი აღმოჩნდა. ეს მძიმე ტვირთი ჩემს საძინებელ ოთახამდე მივათრიე და იმ ნათალი ქვის სარეცელზე დავაბინავე.

საძიებელი არ დაერთოთ და იმ ღამით უშედეგოდ ვცდილობდი, სიტყვა *ბედ-დიჰ-ცეჰ-რაჰ* მეპოვა შიგ.

სხვა რაღაც-რაღაცები კი ამოვიკითხე, ოღონდ არ ვიცი, რამდენად წამადგებოდა რამეში. ასე მაგალითად, მეტ-ნაკლებად გავერკვიე ბოკონონისეულ კოსმოგონიაში, რომლის თანახმადაც *ბორასისის,* ანუ მზეს, იმ იმედით ჩაეკრა გულში *პაბუ,* ანუ მთვარე, ცეცხლოვან პირმშოს გამიჩენსო...

მაგრამ იმ საბრალო *პაბუს* მხოლოდ ცეცხლგამქრალი, ცივი შვილები უჩნდებოდა და განრისხებულმა *ბორასისიმაც* ყველანი ერთიანად დაიფრინა. ასე გაჩნდნენ ციური მნათობები, რომლებიც შორი-შორს, შიშით უვლიან გარს თავიანთ საზარელ მამას.

ბოლოს საბრალო *პაბუც* მოიძულა და ისიც იძულებული გახდა, თავის საყვარელ შვილთან, დედამიწასთან დაბინავებულიყო. ის კი *პაბუსთვის* იმიტომაც იყო უსაყვარლესი, ზედ ადამიანები რომ სახლობდნენ. ეს ადამიანებიც ხშირ-ხშირად ახედავდნენ ხოლმე – სიყვარულითა და თანაგრძნობით.

და როგორ გგონიათ, რა აზრის გახლდათ თავად ბოკონონი თავისსავე კოსმოგონიაზე?

„ცარიელი *ფოომა*! – უწერია იმავე წიგნში, – სულ ტყუილები და სხვა არაფერი!“

86

ორი მომცრო ჭურჭელი

ძნელი საფიქრებელი იყო, საერთოდ თუ მოვხუჭავდი თვალს, მაგრამ ეტყობა, მაინც ჩამეძინა, რადგან რაღაც გრუხუნმა და კაშკაშა შუქმა გამომაღვიძა. მაშინვე მოხალისე მეხანძრის თავგამოდებით წამოვხტი და დერეფანში გამოვვარდი.

იქვე გადავაწყდი ნიუტსა და ენჯელას, რომლებიც ასევე დაფეთებულები წამომხტარიყვნენ ლოგინებიდან.

სახელდახელო ხანმოკლე თათბირი გავმართეთ იმის გასარკვევად, რა ხდებოდა ჩვენს თავს. როგორც აღმოჩნდა, დენი მოსულიყო და ყველაფერი ერთბაშად ამუშავებულიყო – ცალკე რადიო გაჰკიოდა რაღაცას, ცალკე ჭურჭლის სარეცხი მანქანა დგანდგარებდა და ცალკე – წყალსაქაჩი დანადგარი.

ამასობაში სამივე იმდენად გამოვფხიზლდით, მივხვდით, რა სასაცილო შესახედავებიც ვიყავით, როგორ დავეფეთებინეთ ამ ცრუ განგაშს, რაც, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ეგებ არც კი იყო დასაძრახი. მეც, იმის დასამტკიცებლად, თავადვე გახლავართ საკუთარი ბედის გამრიგე-მეთქი, მივედი და რადიოს ხმა ჩავაწყვეტინე.

სამივეს გაგვეცინა.

ერთმანეთის გამასხარავებაც კი დავიწყეთ: ნიუტმა შენიშნა, მე რომ პასპორტი, საფულე და მაჯის საათი ჩამებღუჯა ხელში, არადა, წარმოდგენაც არ მქონდა, „სასიკვდილო საფრთხით“ გულგახეთქილმა როდის მოვასწარი ამ ყველაფრის მოხვეტა... მერე კი, ჩემი მხრივ, უკვე ენჯელასა და ნიუტს ვაქილიკებდი: ეგ რა პაწია თერმოსები დაგითრევიათ, არ მითხრათ ახლა, წყურვილი გტანჯავდათ-მეთქი.

ჩემმა შეკითხვამ ორივე სახტად დატოვა – თურმე ნუ იტყვით და, აზრზეც არ იყვნენ, რა ეჭირათ ხელში.

რაღაცის ახსნა კი დააპირეს, მაგრამ გარეთ ისევ გვარიანი გრუხუნი ატყდა. თავი გამოვიდე, გავალ ერთი, ვნახავ, რა ხდება-მეთქი. გავედი და რას ვხედავ – თავად ფრენკ ჰონიკერი არ უჩხიკინებს ერთ-ერთი მანქანის საბარგულში დადგმულ გენერატორს?!

სწორედ ამ გენერატორის დამსახურება ყოფილა მთელი ეს ხმაური: ერთიანად თახთახებდა, ხრინწიანად ახველებდა და ბლუჯა-ბლუჯა აფრქვევდა ლურჯ კვამლს. ფრენკიც ცდილობდა, რამე მოეხერხებინა მისთვის.

მის გვერდით ღვთაებრივი მონა იდგა და უწინდებურად უხმოდ, უდრტვინველად ადევნებდა თვალს ამ დავიდარაბას.

– ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის! – მომაძახა ფრენკმა, საქმეს თავი მიანება და ჩემკენ გამოემართა.

ენჯელა და ნიუტი ისევ სასტუმრო ოთახში დაგვხვდნენ, თუმცა არ ვიცი, როგორ და როდის მოეშორებინათ თავიდან ის უცნაური თერმოსები.

ცხადია, ამ ჭურჭელში დოქტორ ფელიქს ჰონიკერის მემკვიდრეობის თავიანთ წილს ინახავდნენ, ჩემი *კარასის ვამპიტერის* ნაწილებს, ყინულ-9-ის პაწაწინა ბურთულებს...

ფრენკმა გვერდზე გამიხმო:

– გამოფხიზლდით უკვე?

– თითქოს არც მძინებოდეს...

– კარგა ხნის სალაპარაკო გვაქვს.

მერე მონას მიუბრუნდა:

– ცოტა ხანს შენით შეიქციე თავი და თუ დაგვჭირდი, დაგიძახებთ.

მეც მონასკენ გამექცა თვალი და გავიფიქრე, ცხოვრებაში მასზე მეტად არასოდეს არავინ მომსურვებია-მეთქი.

87

ახლა „მისიანიც“ გავმხდარვარ

დაფეთებული ფრენკლინ ჰონიკერი, ნაშიმშილარ ბავშვს რომ მიუგავდა სახე, აბნეულად მელაპარაკებოდა და დროდადრო ხმაც ისე ებზარებოდა, როგორც თვითნაკეთ, სახელდახელოდ გამოჩორკნილ სალამურს. ჯარში ყოფნისას გამიგია გამოთქმა, უტრაკო კაცივით ეპარება ხმაო... აი, ასეთი კაცი გახლდათ გენერალ-მაიორი ჰონიკერი. საბრალო ფრენკს ადამიანებთან საუბრის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა, რაკი მთელი ბავშვობა საიდუმლო აგენტ X-9-ად წარმოედგინა საკუთარი თავი.

ახლა კი მთელი მონდომებით ცდილობდა, გულითადად და დამარწმუნებლად ესაუბრა და წამდაუწუმ რაღაც სისულელეებს გაიძახოდა: ჩემიანი ხარ, ალალად გეტყვი ყველაფერს – კაცურად და დაუფარავადო...

თავის „ბუნაგშიც“ იმიტომ ჩამიყვანა, რომ „ბაზარი დაგვეწყო“ და „ვინმე ნაბოზარს რამე არ ეყნოსა“.

მოკლედ, ქვის საფეხურებს დავუყევით და მალე ზედ ჩანჩქერის ქვეშ, ბუნებრივ გამოქვაბულში ამოვყავით თავი. იქ რამდენიმე სახაზავი დაფა, სამი ძველი, უხეშად ნაჩორკნი

ხის სკამი და არქიტექტურის შესახებ გერმანული, ფრანგული, ფინური, იტალიური და ინგლისური წიგნებით გამოტენილი წიგნის თარო იდგა.

იქაურობას გენერატორის მუშაობის რიტმში მოციმციმე რამდენიმე ნათურა ანათებდა.

თუმცა ყველაზე უცნაური ამ გამოქვაბულში მაინც კედლის მხატვრობა აღმოჩნდა – ბავშვურად მარტივი ნახატები, რომელთა შესაქმნელადაც, მთლად პირველყოფილი ადამიანივით, სულ რამდენიმე ბუნებრივი ფერი ეხმარათ. აზრი არ ჰქონდა, ფრენკისთვის მეკითხა, როდინდელია ეს მხატვრობა-მეთქი: თავად გამოსახულებები მაძლევდა საშუალებას, დამეთარიღებინა – კედლებზე ხომ არც მამონტები ჩანდა, არც ხმალკბილა ვეფხვები და არც ქვაბულის აჯაგრული დათვი.

ყველა კედლიდან მონა აამონს მონზანო იმზირებოდა, პატარაობაში.

– მონას მამა აქ მუშაობდა? – ვკითხე ფრენკს.

– ჰო. აი, ის ფინელი, ვინც ჯუნგლებში „იმედისა და წყალობის სავანე“ ააშენა.

– ეგ ვიცი.

– მაგრამ მაგაზე სალაპარაკოდ არ ჩამომიყვანიხართ.

– მამათქვენზე უნდა მითხრათ რამე?

– არა, თქვენზე, – ფრენკმა მხარზე ხელი ჩამომადო და თვალი თვალში გამიყარა. ცდილობდა, მეგობრულად გაელიმა, მაგრამ დამფრთხალი მხეცივით დაემანჭა სახე და მეც უნებურად მზერა ავარიდე.

– ბრძანეთ მაშინ.

– მოკლედ, ბევრი ლაყაფი არ გვინდა... კაცის ცნობა არც მე მესწავლება და არც თქვენ.

– გმადლობთ.

– გავუგებთ ერთმანეთს.

– ეჭვიც არ მეპარება.

– ბიჭბუჭები აღარა ვართ...

ჩემი მხრიდან ხელი აიღო და ამისთვის გულში დიდად მადლობელი დავურჩი. მერე თითები გადააჭდო ერთმანეთს – აქაოდა, ასე ვართ ერთმანეთზე გადაფსკვნილებიო.

– აი, ასე ვჭირდებით ერთმანეთს, – თქვა.

სახეზე ვითომ ძალიან მეგობრული ღიმილი მოვირგე, თუმცა თქმით კი არაფერი მითქვამს.

– მიმიხვდით? – ხმაში მოუთმენლობა გამოერია ფრენკს.

– ესე იგი, გინდათ, რომ ერთად მოვიმოქმედით რაღაც, ეგრეა?

– აბა რა! – ახლა ტაშიც კი შემოჰკრა ფრენკმა. – ცნობილი კაცი ხართ, ხალხში გამოსული... მე კი ერთი ტექნიკოსი ვარ, უჩუმრად მიყვარს საქმის კეთება და ვაკეთებ კიდეც.

– კი მაგრამ, რა იცით, ვინ ვარ – სულ ახლახან არ გამიცანით?

– ხომ ვხედავ, როგორ გაცვიათ, როგორ საუბრობთ... – ისევ მხარზე ჩამომადო ხელი. – ნაღდი ჩემიანი ხართ!

– ეგ უკვე მითხარით...

აშკარად ეტყობოდა, რომ სურდა, თავად ამომეცნო და დამესრულებინა მისი სათქმელი, მაგრამ ჯერჯერობით ისევ გაურკვევლობაში ვიმყოფებოდი.

– თქვენი ნათქვამი ისე უნდა გავიგო რომ აქ, სან-ლორენცოში მთავაზობთ რაღაც სამსახურს?

აშკარად გახარებულმა, ერთხელაც შემოჰკრა ტაში:

– სწორედაც! წელიწადში 100 000 დოლარ ანაზღაურებაზე რას იტყვით?

– ღმერთო დიდებულო! – აღმომხდა უნებურად. – მაგ ფასად რა უნდა ვაკეთო?

– ჩვენში დარჩეს და, არც არაფერი... უბრალოდ, ყოველ საღამოს ოქროს თასიდან დალევთ სასმელს და საჭმელსაც ოქროს თეფშებიდან მიირთმევთ! საკუთარი სასახლეც გექ-ნებათ...

– მაინც, რას მთავაზობთ?

– სან-ლორენცოს რესპუბლიკის პრეზიდენტობას.

88

თავად ფრენკს რატომ არ შეეძლო პრეზიდენტობა

—ე? პრეზიდენტობას? – სახტად დავრჩი.

– აბა, სხვა არის აქ ვინმე?

– რა სისულელეა!

– სანამ კარგად არ დაფიქრდებით, უარი არ მითხრათ! – ფრენკი დაჟინებით მომჩერებოდა.

– არავითარ შემთხვევაში!

– გეუბნებით, ჯერ დაფიქრდით-მეთქი!

– ამას ფიქრი რად უნდა, ნაღდი სიგიჟეა.

ფრენკმა ისევ გადააჭდო თითები ერთმანეთს:

– ერთად ვიმუშავებთ, მუდამ თქვენ გვერდით მიგულეთ.

– მართლა? ესე იგი, მე თუ გამაგორეს, თქვენც ზედ მიგაყოლებენ?

– გაგაგორეს?

– მესროლეს, მომკლეს...

ფრენკმა თვალები დააჭყიტა:

– ვის რა ეშმაკად დასჭირდება თქვენი მოკვლა?!

– ვის და, მაგალითად, ვინმე პრეზიდენტობის მოსურნეს. ფრენკმა თავი გადააქნია.

– სან-ლორენცოში პრეზიდენტობა არავის უნდა, – დამაიმედა. – ეს აქაურ მრწამსს ეწინააღმდეგება.

– ანუ თქვენსასაც? მეგონა, შემდეგი პრეზიდენტი თქვენ უნდა გამხდარიყავით.

– მე... – თქვა და სიტყვა გაუწყდა. უცებ ერთიანად მოეშვა და მოიღვენთა.

– რა – თქვენ?

წყალვარდნილს გახედა, ფარდასავით რომ ჩამოჰფარებოდა გამოქვაბულს.

– როგორც მე მესმის, – ამოღერღა ბოლოს, – მოწიფული კაცი იმასაც ხვდები, სად გიდევს ზღვარი.

სხვათა შორის, მოწიფულობის თაობაზე ბოკონონიც თითქმის იმავეს ამბობს: „მოწიფულობა ის მწარე იმედგაცრუებაა, რისი წამალიც არ არსებობს – თუ, რა თქმა უნდა, სიცილს არ მივიჩნევთ ეგეთად“.

– ვიცი, სად გადის ჩემთვის ზღვარი, – გააგრძელა ფრენკმა. – ზუსტად იქ, სადაც მამაჩემისთვის გადიოდა.

– ნუთუ?

– იმასავით მეც უამრავი კარგი აზრი მიტრიალებს თავში, – ისე ამბობდა, თითქოს ჩანჩქერს ელაპარაკებაო, – ოღონდ, ჩემი არ იყოს, იმასაც არ ეხერხებოდა არც საჯაროდ გამოჩენა და არც ხალხში ტრიალი.

89
ფაფუ

—რას იტყვით, თანახმა ხართ? – ჩამეძია ფრენკი.

– არა! – მოვუჭერი ხისტად.

– ვინმე სხვა თუ გეგულებათ, ვისაც შეიძლება ეს უნდოდეს?

ფრენკის ეს შეკითხვა იმის კლასიკური მაგალითი გახლდათ, რასაც ბოკონონი *ფაფუს* უწოდებს. მისი თვალსაზრისით, *ფაფუ ტუპას* ხელში ჩავარდნილი ათასობით ადამიანის ხვედრია, ეს *ტუპა* კი ნისლში ჩაკარგულ ბავშვს აღნიშნავს.

გამეცინა.

– სასაცილო ვთქვი რამე?

– ყურადღებას ნუ მომაქცევთ, – ვუთხარი. – ეგრე მემართება ხოლმე.

– მე დამცინით?

– არავითარ შემთხვევაში! – მეტი დამაჯერებლობისთვის თავიც კი გადავაქნიე.

– ნამდვილად?

– გეფიცებით!

– მთელი ცხოვრება ყველა მე დამცინის.

– გეჩვენებათ ალბათ...

– რაღას აღარ მეძახდნენ, ეგეთი რამ კი ვერ მოგეჩვენება.

– ადამიანებს შეუძლიათ გაუაზრებლადაც გაწყენინონ, – ვუთხარი და თვითონვე მივხვდი, ჩემს ნათქვამზე რომ ვერ დავიფიცებდი.

– იცით, რას მეძახდნენ ხოლმე?

– არა.

– ჰეი, შე მართლა X-9, საით გაგიწევიაო.

– რა მოხდა მერე, ეგ რა საწყენია?!

– ასე შემარქვეს... – სახე მოექუფრა ფრენკს, – საიდუმლო აგენტი X-9.

არ მითქვამს, ეგ უკვე ვიცი-მეთქი.

– საით გაგიწევია, შე X-9, შენა! – ერთხელაც გაიმეორა ფრენკმა.

უცბად წარმოვიდგინე, სად დაფანტა ბედმა ეგ უკბილო ხუმარები, გენერალ-მაიორ ფრენკ ჰონიკერის ერთ დროს მასხარად ამგდებები – ახლა ალბათ ილიუმის ელექტროსადგურზე ან ფოლადსადნობი კომპანიის ქარხანაში შოულობდნენ დღიურ სარჩოს... და აი, ეს „საიდუმლო აგენტი X-9“, ახლა მე ტახტს, პატივსა და დიდებას მთავაზობდა აქ, ამ გამოქვაბულში, რომელსაც ფარდასავით ჩამოჰფარებოდა ტროპიკული ჩანჩქერის წყალი...

– რომ გავჩერებულიყავი და მეთქვა, სადაც მივდიოდი, ნაღდად ყბები ჩამოუვარდებოდათ გაკვირვებისაგან.

– თქვენ რა, წინასწარ გრძნობდით, რომ ამ კუნძულზე აღმოჩნდებოდით ბოლოს? – მართლაც ბოკონონისებური შეკითხვა გამომივიდა.

– არა, მე ჯეკის სათამაშოების მაღაზიაში მივდიოდი ხოლმე, – ისე მიპასუხა, თითქოს შეკითხვა არც გაუგონიაო.

– სულ ესაა?

– ის კი იცოდა ყველამ, სადაც დავიარებოდი, ოღონდ იქ რა ხდებოდა, აზრზე არავინ იყო. ყველა გამოშტერდებოდა, მით უმეტეს – გოგოები... სიმართლე რომ სცოდნოდათ, რასაკვირველია. გოგოები ვერც იფიქრებდნენ, საერთოდ თუ გამეგებოდა რამე გოგოებისა.

– და რა ხდებოდა სინამდვილეში?

– ჯეკის ცოლს ვჟიმავდი ყოველდღე. მაგიტომაც მეძინა მერე გაკვეთილებზე... მაგიტომაც ვერ გამოვიყენე ბოლომდე ჩემი შესაძლებლობები.

როგორც იქნა, ამ მძიმე მოგონებებიდან გამოერკვა:

– კარგი რა, გახდი სან-ლორენცოს პრეზიდენტი! ისეთი ბიჭი ჩანხარ, მართლა კარგად გამოგივა ეგ საქმე. გეხვეწები, რა!

90
ერთადერთი თავსატეხი

ღამის საათი, გამოქვაბული, ჩანჩქერი და კიდევ, ის ანგელოზი ილიუმში...

250 000 ღერი სიგარეტი, 3 000 კვარტი სასმელი, და ორი ცოლი, და უცოლობა...

არსად არავინ გელოდება, შეყვარებული...

მელნით თითებმოთხვრილი კალმოსნის ფუჭი ცხოვრება...

და *პაბუ* – მთვარე, და *ბორასისი* – მზე, და მათი ნაშიერნი...

ყოველივემ პირი შეკრა კოსმიური *ვინ-დიტის* – ბედისწერის შესაქმნელად, რათა მძლავრად ებიძგებინა ბოკონონიზმისაკენ; ჩემში იმ რწმენის გასაღვივებლად, რომ ჩემს ცხოვრებას ღმერთი მწყემსავდა და საჩემო საქმეც შეერჩია უკვე. გულის სიღრმეში სრული *სარუმირება* განვიცადე, ანუ ჩემივე *ვინ-დიტის* აშკარა მოთხოვნებს დავემორჩილე.

შინაგანად უკვე თანახმა ვიყავი, სან-ლორენცოს პრეზიდენტობა მეკისრა, გარეგნულად კი ჯერაც ვფრთხილობდი და ათასნაირი ეჭვი მღრღნიდა.

– რაღაც თავსატეხი მაინც გამოტყვრება... – ვუთხარი.

– არა, არავითარი, – მითხრა დაბეჯითებით.

– და არჩევნები?

– არჩევნები აქ საერთოდ არ ტარდება. უბრალოდ, გამოვაცხადებთ, ვინ გახდა მორიგი პრეზიდენტი და მორჩა!

– ხმას არავინ ამოიღებს?

– ჩვენთან ხმას არასოდეს არავინ იღებს. მეტი დარდი არა აქვთ! სულ ფეხებზეც არ ჰკიდიათ?!

– არა, რაღაც მაინც გამოიჩხირება...

– ერთი რამე შეიძლება მართლა გამოგეჩხიროს... – აღიარა ფრენკმა.

– ხომ ვამბობდი! – საკუთარ *ვინ-დიტში* ცოტა ეჭვიც კი შემეპარა. – მაინც რა?

– ისეთი არაფერი, თუ არ გაწყობს, მაგას მოევლება. ისე, თუ დამიჯერებ, კარგი ამბავია.

– მაინც?

– თუ პრეზიდენტი გახდი, ჩემი აზრით, მონაც უნდა შეირთო ცოლად. ოღონდ ვალდებული არა ხარ – შენივე გადასაწყვეტია.

– დამთანხმდება?

– ჩემს ცოლობას თუ დათანხმდა, შენსაზე რატომ იტყვის უარს? მიდი და ჰკითხე.

– და რატომ უნდა დამთანხმდეს?

– იმიტომ, რომ ბოკონონის წიგნებში ეგრეა ნაწინასწარმეტყველები: მონა სან-ლორენცოს შემდეგი პრეზიდენტის ცოლი გახდებაო...

91
მონა

ერე ფრენკმა მონაც ჩამოიყვანა გამოქვაბულში და მარტო დაგვტოვა. თავიდან ლაპარაკი ვერ აგვეწყო – ძალიან დავირცხვინე. მონას შემოტმასნილი კაბა ეცვა, ლაჟვარდისფერი. სადა კაბა იყო, წელზე თასმაშემოჭერილი, მაგრამ მისი სხეულის უზადო აღნაგობას ეს უბრალო კაბა უფრო უკეთ აჩენდა. მის ძუძუებს არათუ ბრონეულებს, რასაც გინდა, იმას მიამგვანებდი, თუმცა ყველაზე მეტად მაინც ახალგაზრდა ქალის ძუძუები ეთქმოდა.

შიშველ ფეხებზე მხოლოდ თხელი ოქროსფერი სანდლები ამოეცვა. ფეხის ფრჩხილები გულმოდგინედ მოვლილი და გალაქული ჰქონდა.

– გამარჯობა... – ამოვილულლულე, როგორც იქნა. ჩემს გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. მზერას თვალებში მოწოლილი სისხლი მიბინდავდა.

– გულითაც რომ მოინდომო, შეცდომა მაინც არ მოგივა... – მითხრა დაბეჯითებით. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, თუკი ეს ბოკონონის მიმდევრების ჩვეული მისალმება იყო მორცხვი ადამიანისადმი. უცებ ენად გავიკრიფე და იმაზე და-

ვიწყე აბდაუბდა მსჯელობა, როდის შეიძლება შევცდეთ და როდის – არა.

– არ დამიჯერებთ, უკვე იმდენი შეცდომა მაქვს ჩადენილი ცხოვრებაში! თქვენ წინაშე შეცდომების ჩადენაში მსოფლიო ჩემპიონი დგას... – ვბოდავდი რაღაცას. – იცით, რა მითხრა ამწუთას ფრენკმა?

– ჩემზე?

– ბევრ რამეზე... თუმცა მთავარი მაინც თქვენ იყავით.

– გეტყოდათ, თუ მოისურვებთ, თქვენი გახდებაო.

– კი, ეგრე იყო.

– სიმართლე უთქვამს.

– მე-ე...

– რა *მეე?*

– აღარც კი ვიცი, რა ვთქვა...

– იქნებ *ბოკო-მარუ* დაგვეხმაროს? – შემომთავაზა.

– რა?

– ფეხსაცმელი გაიხადეთ! – ბრძანების კილო გამოურია ხმაში და დახვეწილი მოძრაობით თავადაც წაიძრო სანდლები.

ზოგადად, ხამად არაფერზე ვარ; კარგი გამოქექილი კაციც კი მეთქმის. ერთხელ საგანგებოდ გამოვითვალე, რამდენ ქალთან მქონია საქმე და სათვალავი ორმოცდაცამეტზე ამივიდა. თამამად შემიძლია ვთქვა: ბევრჯერ მინახავს, როგორ იხდის ქალი – ყველა თავისებურად; და მათგან მხოლოდ ეს ერთი იყო, ვინც, უბრალოდ, სანდლების გახდითაც კი სული შემიგუბა.

შევეცადე, ფეხსაცმლის ზონრები შემეხსნა. დედამიწაზე ალბათ არც ერთ ნეფეს არ აჰკანკალებია ასე თითები საქორწინო ღამეს... ერთი გავიხსენი, ოღონდ მეორეზე ის დაწყევლილი თასმა გამეკვანძა. მასთან ბრძოლას ცერა თითის

ფრჩხილიც კი შევწირე. ბოლოს ხელი ჩავიქნიე და რის ვაივაგლახით გაკვანძულთასმიანი ფეხსაცმელიც წავიძრე.

ახლა ჯერი წინდებზე მიდგა. საბოლოოდ, იმათაც გავუმკლავდი.

მონა უკვე იატაკზე იჯდა, ფეხები წინ გამოეწვართა. ჩამოქნილ მკლავებს ეყრდნობოდა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და თვალები მიელულა.

ახლა უკვე მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული, როგორ აღვასრულებდი ამ პირველ, პირველ...

ღმერთო დიდებულო...

ბოკო-მარუს.

92

მგოსანი ქებას აღუვლენს მის პირველ ბოკო-მარუს

ეს სიტყვები ბოკონინისა არაა.
ჩემი გულის ამოძახილი გახლავთ.

ტკბილო ზმანებავ,
ნისლში გამკრთალო...
სულიღა დავრჩი,
სიყვარულის ცეცხლში
დამწვარი.
ვინ მანუგეშებს –
სხვა ჩემნაირ აჩრდილის გარდა?
სად არ გატარე, სულო ჩემო,
ამაო გზებით –
როს დავეძებდი ჩემს საბედოს,
ჩემს ცალს და ჯუფთსა!
აი, ახლა კი ორივ ტერფი
ერთმანეთს ერწყმის:
ნეტარებისკენ გაფრინდა
სული!

93

კინალამ დავკარგე ჩემი საბედო

— ეხლა უფრო გაგიადვილდება ჩემთან ლაპარაკი? – მკითხა მონამ.

– თითქოს ათასი წელია გიცნობ! – ვაღიარე გულწრფელად და რატომღაც, თვალებიც ამიწყლიანდა. – მიყვარხარ, მონა!

– მეც მიყვარხარ, – მითხრა მშვიდად.

– ფრენკს თავში ჭკუის ნატამალი არა ჰქონია! – წამოვიძახე.

– რატომ ვითომ?

– აბა, შენ როგორ შეგელია?

– არ ვუყვარდი. მხოლოდ „პაპა“ მონზანოს ხათრით აპირებდა ჩემზე დაქორწინებას. სულ სხვა ქალი უყვარს.

– ვინ?

– ვილაცა, ილიუმში.

ის ბედნიერი სწორედ სათამაშოების მაღაზიის მეპატრონის ცოლი უნდა ყოფილიყო.

– ეგ თვითონ გითხრა?

– ამ საღამოს, როცა შენზე გათხოვება მირჩია.

– მონა...

– რა იყო?

– სხვა... სხვაც არის ვინმე შენს ცხოვრებაში?

ცოტა დაიბნა.

– კი, ბევრი, – მითხრა ბოლოს.

– ვინც გიყვარს?

– მე ყველა მიყვარს.

– ისე, როგორც მე გიყვარვარ?

– კი, – ეს ისეთი სახით მითხრა, ეტყობა, ოდნავადაც ვერ ხვდებოდა, როგორ ამომიტრიალა გულ-მუცელი.

წამოვდექი, სკამზე დავჯექი და ისევ ჩავიცვი ფეხზე.

– შენ ალბათ... ჩვენ რაც გავაკეთეთ ახლა... სხვებთანაც გაგიკეთებია?

– *ბოკო-მარუზე* ამბობ?

– კი, სწორედ მაგაზე გეუბნები.

– რა თქმა უნდა.

– დღეიდან, ჩემ გარდა, ეს არავისთან არ გაიმეორო! – გამოვუცხადე.

თვალები ცრემლით აევსო. ბუნებრივი სითამამე სიამეს ჰგვრიდა და ახლა ეტყობა, გაბრაზდა კიდეც, როცა მისი დამუნათება მოვინდომე.

– მე ხალხს ვაბედნიერებ. სიყვარული სიკეთეა და არა – ბოროტება.

– როგორც შენს ქმარს, ყოველთვის მენდომება, ეგ სიყვარული მარტო მე მეკუთვნოდეს.

გაოცებისაგან თვალებგაფართოებული მომაჩერდა.

– ნამდვილი *სინ-ვატი* ხარ! – მომაძახა.

– ეგ რაღაა?

– კაცი, ვისაც სხვისი სიყვარული მხოლოდ სათავისოდ უნდა. ძალიან ცუდია ეგ! – თქვა და ტირილი აუვარდა.

– ქორწინების შემთხვევაში, ეგ ეგრეც უნდა იყოს. სხვანაირად არ გამოვა.

ჯერ ისევ იატაკზე იჯდა; მე კი, უკვე ფეხსაცმელებამოცმული, თავზე ვადექი. ახლა ძალიან მაღალი მეგონა ჩემი თავი, თუმცა სინამდვილეში სიმაღლით ვერ დავიკვეხნი. საოცარ ძალასაც ვგრძნობდი, თუმცა ღონიერი კაცი ვარ-მეთქი, ვერ დავიჩემებ. ხმაშიც რაღაც უცხო, ლითონის ბგერები გამომრეოდა.

ასე, მბრძანებლურად ველაპარაკებოდი და უცებ გავიაზრე, რაც ხდებოდა ჩემს თავს – მე უკვე სადავეების ხელში აღებას ვცდილობდი.

მონას ვუთხარი, ჩემი ჩამოსვლის დღეს კარგად დავინახე, ასე ვთქვათ, ფეხდგომელა *ბოკო-მარუთი* რომ ერთობოდი იმ მფრინავთან-მეთქი.

– იმ კაცთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გაწყვიტო... რა ჰქვია?

– წარმოდგენა არა მაქვს... – ჩაიჩურჩულა. ახლა იატაკს ჩასცქეროდა.

– და ფილიპ კასლზე რაღას მეტყვი?

– *ბოკო-მარუს* გულისხმობ?

– ყველაფერს ვგულისხმობ! როგორც გამიგონია, ერთად იზრდებოდით.

– კი.

– ორივეს ბოკონონი გასწავლიდათ?

– კი, – ს

– არა.

– *რა – არა?*

– *სინ-ვატს* ვერ გავყვები ცოლად, – წამოდგა. – ნახვამდის.

– რაა? – სახტად დავრჩი.

– ბოკონონი გვეუბნება, ძალიან ცუდია, როცა ყველა ზუსტად ერთნაირად არ გიყვარსო. შენი მრწამსი რაღას გასწავლის?

– მე... მორწმუნე არა ვარ.

– მე ვარ!

ერთბაშად გამისხლტა ხელიდან ყველა სადავე.

– გეტყობა კიდეც... – ჩავიბურტყუნე.

– აბა, კარგად მენახე, ურწმუნო კაცო, – ქვის კიბის საფეხურებს აუყვა.

– მონა!

შეჩერდა.

– რა იყო?

– შეიძლება, თქვენს სარწმუნოებას ვეზიარო?

– რა თქმა უნდა.

– ძალიან მინდა.

– კეთილი და პატიოსანი. მიყვარხარ.

– მე კი შენ მიყვარხარ, – ვუთხარი და ნათქვამს გულიც ამოვაყოლე.

94
ყველაზე მაღალი მთა

ეი, ასე დავინიშნე გამთენიისას ამქვეყნად ულამაზეს ქალზე.

ცხადია, სან-ლორენცოს პრეზიდენტობაზეც დავთანხმდი. „პაპა“ ჯერაც არ მომკვდარიყო და ფრენკს გულით უნდოდა, პირადად მისგან მიმეღო კურთხევა. ამიტომაც, ამოიწვერა თუ არა *ბორასისი*, ანუ მზე, მე და ფრენკი „პაპა“ მონზანოს ციხე-დარბაზისკენ გავემართეთ მომავალი პრეზიდენტის დასაცავად გამწესებული სამხედრო ნაწილის ჯიპით.

მონა ფრენკის სახლში დარჩა. წასვლამდე მოწიწებით ვეამბორე და ტკბილი ძილიც ვუსურვე.

გზა მთა-მთა მიიკლაკნებოდა ველური ყავის ბუჩქნარს შორის, ჩვენგან მარჯვნივ კი თანდათანობით იკრებდა ძალას მცხუნვარე მზე.

სწორედ ალიონზე შევიცანი პირველად ამ კუნძულის ყველაზე მაღალი მთის – მაკქეიბის გოლიათური სიდიადე. ერთი შეხედვით, მისი კლდოვანი წვერი საზარელ, ვეება კუზს წაგავდა – ლურჯი ვეშაპის ზურგზე ჩარჭობილ ბარჯს, ერთადერთ მწვერვალად რომ აზიდულიყო ღრუბლებში.

ქვის ეს ბოძი დანარჩენ მთასთან იმდენად შეუსაბამო ჩანდა, ვკითხე კიდეც ფრენკს, ამაში კაცის ხელი ხომ არ ურევია-მეთქი. არა, ბუნებრივად ასეთიაო, მითხრა. ის კი არა, რამდენადაც მოეხსენებოდა, მაკქეიბის მთის მწვერვალზე ადამიანს ჯერ ფეხიც არ დაედგა.

– არც ისეთი ძნელი ასასვლელი ჩანს, – გამოვთქვი ვარაუდი. თუ პიტალო კლდეს არ ჩავთვლიდით, სხვა მხრივ, ამ მთის ფერდობების ავლა სასამართლოს კიბეზე ასვლასავით იოლი ჩანდა. სხვათა შორის, ის მწვერვალიც – ყოველ შემთხვევაში, შორიდან მაინც – ერთიანად პატარ-პატარა ნაპრალებით იყო დაღარული.

– წმინდა ადგილად ითვლება თუ რა? – ვკითხე ფრენკს.

– ერთ დროს ითვლებოდა კიდეც, ოღონდ ბოკონონის გამოჩენამდე.

– აბა, რატომ არ ადის არავინ?

– არავის სურს და იმიტომ.

– იქნებ მე მეცადა?

– მიდი, ვინ გიშლის?!

მერე უკვე ჩუმად გავაგრძელეთ გზა.

– ბოკონონისტები რას მიიჩნევენ თავიანთ სიწმინდედ? – ვიკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

– რამდენადაც ვიცი, არც არაფერს.

– საერთოდ არაფერს?

– მხოლოდ ერთადერთ რამეს...

– მზეს? ოკეანეს? – შევეცადე გამომეცნო.

– ადამიანს, – მითხრა ფრენკმა. – სხვას არაფერს. მხოლოდ ადამიანს.

95
ესეც თქვენი კაუჭი!

როგორც იქნა, ციხე-სიმაგრესაც მივადექით. დაბალი, პირქუში, ავისმომასწავებელი ნაგებობა იყო. ქონგურებს შორის ჯერაც იდგა ოდინდელი ქვემეხები. კედლები თუ სათოფურები ხვიარა ვაზსა და ჩიტის ბუდეებს დაეფარა.

ჩრდილოეთის მხარეს პარაპეტი თვალჩაუწვდენელ უფსკრულზე გადაკიდებულიყო, რომელიც ნელთბილ ზღვასთან ბოლოვდებოდა.

ძალაუნებურად გაგიჩნდებოდა ის შეკითხვა, ადამიანს ამგვარი ნაგებობის ხილვისას რომ უჩნდება ხოლმე: რანაირად ამოეზიდათ აქ საშენი მასალა უმწეო ადამიანებს? ასეთი ნაგებობის ხილვა თავისთავად ბადებდა პასუხსაც: დამამუნჯებელ შიშს ამოეტანა ქვები ამ სიმაღლეზე.

ეს ციხე-სიმაგრე სან-ლორენცოს იმპერატორის, გაქცეული მონის, შეშლილი ტუმ-ბუმვას ნება-სურვილის მიხედვით გახლდათ აგებული. როგორც ამბობდნენ, მას რაღაც მსგავსი საბავშვო წიგნში ენახა...

მაგარი მრუმე წიგნი კი უნდა ყოფილიყო, ღმერთმანი.

ვიდრე სასახლის კარიბჭეს მივადგებოდით, ჯერ ორი სატელეგრაფო ბოძისაგან შეკრული რაღაც თაღისმაგვარი გავიარეთ, ზემოდან მესამე ბოძი რომ ედო ხარიხად.

ამ ხარიხის ზუსტად შუაში რკინის ვეება კაუჭი კონწიალობდა და ზედ აბრაც მიეკრათ:

„ეს კაუჭი ბოკონონისთვისაა!“

ერთხელაც გავხედე კაუჭს და მისმა წამახულმა წვერმა უცებ მიმახვედრა, გაპრეზიდენტებული, პირველ რიგში, რასაც მოვიმოქმედებდი: სწორედ ამ კაუჭს ჩამოვგლეჯდი!

მერე ოცნებამ გამიტაცა: წარმოვიდგინე, როგორი უდრეკი, სამართლიანი და კეთილი მმართველი ვიქნებოდი და როგორ ავაყვავებდი ამ პაწია ქვეყანას...

ფატა-მორგანა!

მირაჟი.

96

ზარი, წიგნი და წიწილა მუყაოს ყუთში

ეე და ფრენკი მაშინვე არ შეგვიშვეს „პაპასთან“: მისმა პირადმა ექიმმა, შლიხტერ ფონ კონიგსვალდმა ჩაიბურტყუნა, ასე, ნახევარი საათი მაინც მოგიწევთ მოცდაო. ჩვენც „პაპა“ მონზანოს საძინებლის წინა ოთახში, ერთ უფანჯრო სათავსოში ჩამოვსხედით. აქ მხოლოდ ბანქოს მაგიდა და რამდენიმე რბილი სკამი იდგა. ბანქოს მაგიდის თავზე დიდრონფარფლებიანი ვენტილატორი ეკიდა. კედლები შიშველი ქვისა იყო, არც ნახატი ჩანდა ზედ და არც რამე სხვა სამშვენისი.

თუმცა კედლებში, იატაკიდან შვიდი ფუტის სიმაღლეზე და ერთმანეთისაგან ექვსი ფუტის დაშორებით, გაუგებარი დანიშნულების რკინის რგოლები დაეტანებინათ.

ფრენკს ვკითხე, ადრე აქაურობას საწამებელ ოთახად ხომ არ იყენებდნენ-მეთქი.

ნამდვილად ასე იყოო, დამიდასტურა და ისიც დააყოლა, სწორედ იმ სარქველზე დგახარ ახლა, საიდანაც ჯურღმულში ჩასასვლელი კიბე იწყებაო.

ოთახში ჩვენთან ერთად სარგადაყლაპულივით გახევებული დარაჯიც იმყოფებოდა და ასევე – მღვდელი, რომელიც მზად იყო, დაძახებისთანავე დაეკმაყოფილებინა „პაპა“ მონზანოს სულიერი მოთხოვნილებები. გვერდით, სკამზე, თუნუქის მომცრო ზანზალაკი, ქუდის შესანახი, ნახვრეტებდატანებული მუყაოს ყუთი, ბიბლია და ყასბის დანა ჩამოელაგებინა.

მითხრა, ყუთში ცოცხალი წიწილა მიზის, ასე წყნარად კი იმიტომაა, რომ წინასწარ მივეცი ძილის წამალიო.

ოცდახუთ წელს გადაცილებული ნებისმიერი სანლორენცოელისა არ იყოს, ისიც, სულ ცოტა, სამოცისას მაინც ჩამოჰგავდა. ასე მითხრა, სახელად ვოქს ჰუმანა მქვიაო. ასე თურმე იმ ორღანის მილის გამო მოუნათლავთ, 1923 წელს, დედამისს რომ დასცემია თავზე სან-ლორენცოს საკათედრო ტაძრის აფეთქებისას. მამაჩემის ვინაობა საერთოდ არ ვიციო – ისე მითხრა, ეტყობოდა, რომ ოდნავადაც არ აღელვებდა ეს ამბავი.

ვკითხე, ქრისტიანული ეკლესიის რომელ განშტოებას წარმოადგენთ-მეთქი და ისიც ალალად შევნიშნე, რამდენადაც ქრისტიანულ სარწმუნოებას ვიცნობ, ღვთისმსახურებისას წიწილისა და ყასბის დანის გამოყენება სიახლედ უნდა ჩაითვალოს-მეთქი.

– ზარი გასაგებია, – ვუთხარი. – მისი დანიშნულება შემიძლია გავიგო, სხვა დანარჩენისა კი რა მოგახსენოთ.

ღვთისმსახური ერთობ განათლებული კაცი აღმოჩნდა, დოქტორის ხარისხი, როგორც თავად ამიხსნა, მისთვის არკანზასის შტატის ქალაქ ლითლ-როკის „ბიბლიის უნივერსიტეტს“ მიენიჭებინა, რომელსაც ჟურნალ „პოპულარ მექენიკსში“ დაბეჭდილი რეკლამის მეშვეობით დაჰკავშირებოდა. ამ მეცნიერების ტაძრის დევიზი საკუთარ დევიზად მექცაო, მითხრა.

წიწილისა და დანის ამბავიც თურმე ისევ და ისევ ამ დევიზს უკავშირდებოდა. დევიზი ამგვარი გახლდათ:

„გავაცოცხლოთ ჩვენი რელიგია!“

ქრისტიანობაში საკუთარი გეზის ძიება მომიწია, რადგან ბოკონონიზმის არ იყოს, კათოლიციზმიცა და პროტესტანტიზმიც ჩვენში კანონგარეშეა გამოცხადებულიო, მითხრა და დააყოლა: „თუკი მსგავს პირობებში ქრისტიანად დარჩენა მინდა, სულ ახალ-ახალი რამეები უნდა მოვიგონო“.

ეს სიტყვები ადგილობრივ დიალექტზე წარმოთქვა, რაც დაახლოებით ასე ჟღერდა: *თუსი კრისიტიანისი მინდა დარჩესი, ასალ-ასალი ლაღასეები უნდოთრა რო მივიგონოსი.*

სწორედ ამ დროს „პაპა“ მონზანოს მოსასვენებელი ოთახიდან დოქტორი შლიხტერ ფონ კონიგსვალდი გამობრძანდა. უკიდურესად გადაღლილი და უაღრესად გერმანული სახე ჰქონდა.

– შეგიძლიათ შებრძანდეთ, – გვითხრა.

– ვეცდებით, თავი არ მოვაბეზროთ, – დაჰპირდა ფრენკი.

– თუ სულს ამოხდით, – თქვა ფონ კონიგსვალდმა, – ეგებ მადლიერიც დაგირჩეთ...

97
აქოთეგული ღვთისმსახური

უკურნებელი სენით გამოხრული „პაპა“ მონზანო ოქროს ნავის ფორმის სარეცელზე იწვა, რომლის კიჩო, ცხვირი და სანიჩბეებიც კი ერთიანად ოქროთი დაეფერათ. საწოლიც ზუსტად ბოკონონის ძველი ხომალდის ასლად ჩაეფიქრებინათ – იმ გემის, რომელმაც კარგა ხნის წინ ჩამოიყვანა სან-ლორენცოში ბოკონონიცა და კაპრალი მაკქეიბიც.

ოთახის კედლები თეთრი იყო, თუმცა „პაპა“ ისეთ მწველ, გაუნელებელ ტკივილს ასხივებდა, თითქოს შხამიანი წითელი ელფერიც კი გადაჰკრავდა იქაურობას.

ავადმყოფი წელს ზემოთ გაეშიშვლებინათ და გაოფლილი მუცელი აფრასავით უთრთოდა.

ყელზე სქელი ძეწკვი ეკიდა, ზედ შაშხანის მასრისოდენა ცილინდრით. ჯერ ვიფიქრე, ეს რამე ავგაროზი იქნება-მეთქი, მაგრამ შევცდი – მასში თურმე ყინულ-9-ის ნატეხი დებულა...

„პაპას“ ლაპარაკი უჭირდა. კბილს კბილზე აცემინებდა და სულიც ერთთავად ეხუთებოდა. ტკივილისაგან გატანჯულს თავი უმწეოდ გადაეგდო უკან.

საწოლის შორიახლოს მონას ქსილოფონი იდგა – ეტყობა, წინა საღამოს ეცადა, მუსიკით მაინც დაეამებინა მისთვის ტკივილები.

– „პაპა“, – ჩასჩურჩულა ფრენკმა.

– მშვიდობით! – ამოიგმინა მომაკვდავმა. თვალებზე უკვე ლიბრი გადაჰკვროდა.

– მეგობარი მოვიყვანე.

– მშვიდობით!

– პრეზიდენტობაზე დავითანხმე. ბევრად უკეთესი პრეზიდენტი იქნება, ვიდრე მე ვიქნებოდი.

– ყინული! – ამოიხავლა „პაპამ“.

– სულ ყინულს ითხოვს, – შემოგვჩივლა ფონ კონიგსვალდმა. – მაგრამ როცა მივუტანთ ხოლმე, აღარ იკარებს.

„პაპამ“ თვალები გადაატრიალა. მერე თითქოს ცოტათი მოეშვა, მოდუნდა, მაგრამ მალევე ერთიანად მოერკალა მთელი სხეული.

– სულერთია, – აჩიფჩიფდა ისევ, – ვინ იქნება...

სიტყვა ვერ დაამთავრა და მე შევეშველე:

– სან-ლორენცოს პრეზიდენტი?

– კი, – კვერი დამიკრა და როგორღაც გაღიმება მოახერხა. – წარმატებას გისურვებ! – ამოიხრიალა.

– დიდი მადლობა, სერ! – ვუთხარი.

– სულერთია... ოღონდ ბოკონონი დაიჭირე!

დავაპირე, ენად გავკრეფილიყავი – მეთქვა, ხალხისთვისაც ხომ ასე სჯობს, ბოკონონს მუდმივად დავდევდეთ და არ ვიჭერდეთ-მეთქი, თუმცა თქმით სულ სხვა რამე ვთქვი:

– ნამდვილად დავიჭერთ!

– ჩემგან გადაეცი...

წინ წავიხარე, არ მინდოდა, თუნდაც სიტყვა გამომრჩენოდა ბოკონონისათვის „პაპა“ მონზანოს შემონათვალიდან.

– გადაეცი... ძალიან ნანობს, რომ დროზე არ მოგკლათქო... – თქვა პაპამ.

– აუცილებლად გადავცემ.

– ახლა შენ მოგიწევს.

– მესმის, სერ.

„პაპამ“ თავს ძალა დაატანა და ხმაში ლითონი გამოურია:

– არ გეხუმრები...

ამაზე არაფერი მითქვამს. არავის მოკვლას არ ვაპირებდი.

– ის ხალხს ტყუილებით ბერავს... მოკალი და ადამიანებს სიმართლე ასწავლე.

– დიახ, სერ.

– შენ და ჰონიკერმა ცოდნა-განათლება უნდა მისცეთ ხალხს.

– დიახ, ასე მოვიქცევით! – დავპირდი.

– მეცნიერება ერთადერთი ნამდვილი ჯადოა...

დადუმდა, მოეშვა, თვალები მილულა, ცოტა ხნის შემდეგ კი ჩაიჩურჩულა:

– ახლა დროა.

ფონ კონიგსვალდმა მღვდელი შემოიყვანა. ვოქს ჰუმანამაც გაბრიყვებული წიწილა ყუთიდან ამოიყვანა და ბოლო, თავისი გაგებით, ქრისტიანული წესის ასაგებად მოემზადა.

„პაპამ“ ცალი თვალი გაახილა.

– შენ არა! – დაუსისინა. – შენ არ დამენახო!

– ბატონო? – შეკრთა ვოქს ჰუმანა.

– ბოკონონის მიმდევარი ვარ! – ჩაიჩიფჩიფა „პაპამ“. – აქედან გაეთრიე, შე აქოთებულო ქრისტიანო!

98
წესის აგება

ეი, ასე გამიმართლა და ბოკონონისებურ წესის აგებასაც შევესწარი.

ოღონდ მანამდე გვარიანად გავისარჯეთ იმის ცდაში, დაცვის წევრებსა და მსახურებს შორის ვინმე ისეთი რომ მოგვენახა, ვინც აღიარებდა, ეს წესები ვიცი და „პაპასაც“ გავუწევ ბოლო სამსახურსო. მოხალისეები არ გამოჩნდნენ – ან რა გასაკვირი ეს იყო, როცა იქვე, მთლად ყურის ძირში, ვეებერთელა კაუჭი ჩამოეკიდებინათ ხარიხაზე.

ბოლოს ისევ დოქტორმა ფონ კონიგსვალდმა გამოიდო თავი – თუ სხვა არავინაა, ისევ მე მომიწევსო. წესი არავისთვის აეგო აქამდე, მაგრამ არაერთხელ ენახა, როგორ აკეთებდა ამას ჯულიან კასლი.

– თქვენც ბოკონინისტი ხართ? – ვკითხე.

– ყოველ შემთხვევაში, ბოკონონის ერთ მოსაზრებას ნამდვილად ვიზიარებ... ნებისმიერი სარწმუნოება სიცრუეა და სხვა არაფერი.

– როგორც მეცნიერს, არ გეუხერხულებათ ამგვარი რიტუალის ჩატარება? – ჩავეძიე.

– რა მეცნიერი მე ვარ... ყველაფერსაც ვიზამ, ოღონდ კი ადამიანს ცოტა შვება მივანიჭო – თუნდაც ყოვლად არამეცნიერული გზითა და საშუალებით. მეცნიერის სახელის ღირსი კაცი კი ამას არასოდეს იტყვის.

„პაპა“ მონზანოს ოქროცურვილ ნავში ჩაძვრა და კიჩოზე მოკალათდა. სანდლები შიშველ ფეხებზე ამოეცვა და ახლა ისინიც წაიძრო; მერე საბანი გადასწია, „პაპას“ ტერფები გამოუჩინა. ცხადი იყო, რასაც მოიმოქმედებდა: საკუთარი შიშველი ტერფები მისას მიაბჯინა და ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი *ბოკო-მარუს* პოზა დაიჭირა.

99
ღიმირითმა შექმნა თისა

– ღიმირითმა შექმნა თისა, – ჩაარაკრაკა დოქტორმა ფონ კონიგსვალდმა.

– ღიმირითმა შექმნა თისა, – მიაკნავლა „პაპა“ მონზანომაც.

ოღონდ ახლა მე დიალექტს აღარ გამოვედევნები და დანარჩენს ისევ ჩემებურად გავაგრძელებ:

– უფალს მარტოობა მოეწყინა, – თქვა ფონ კონიგსვალდმა.

– უფალს მარტოობა მოეწყინა...

– და უთხრა თიხის გუნდას: „წამოდექ!“

– და უთხრა თიხის გუნდას: „წამოდექ!“

– იხილე, რაიც შევქმენ მე: მთები, ცა, ვარსკვლავები... – ბრძანა უფალმა.

– იხილე, რაიც შევქმენ მე: მთები, ცა, ვარსკვლავები... – ბრძანა უფალმა.

– და მეც, ერთ დროს თიხის გუნდამ, თვალნი აღვახილე და მიმოვიხედე...

– და მეც, ერთ დროს თიხის გუნდამ, თვალნი აღვახილე და მიმოვიხედე...

– წყალობა მომეცა...

– წყალობა მომეცა...

„პაპას“ სახეზე ღვარად სდიოდა ცრემლი.

– და მე, თიხის გუნდამ, ვიხილე სიკეთე უფლისა!

– და მე, თიხის გუნდამ, ვიხილე სიკეთე უფლისა!

– დიდება შენდა, უფალო!

– დიდება შენდა, უფალო! – გაიმეორა „პაპამ“ და თითქოს გულიც ამოაყოლა.

– შენ გარდა ვერვინ იქმოდა ამას, უფალო!

– შენ გარდა ვერვინ იქმოდა ამას, უფალო!

– მღილი ვარ ფერხთა შენთა!

– მღილი ვარ ფერხთა შენთა!

– ნუგეშად ისღა მრჩება, მაინცდამაინც მე რომ მერგო ამ ყოველივეს ხილვის პატივი!

– ნუგეშად ისღა მრჩება, მაინცდამაინც მე რომ მერგო ამ ყოველივეს ხილვის პატივი!

– რაოდენი მომეცა მე და რაოდენ მცირე – დანარჩენ თიხას!

– რაოდენი მომეცა მე და რაოდენ მცირე – დანარჩენ თიხას!

– მადლობა შენდა ამ პატივისთვის! – შესძახა ფონ კონიგსვალდმა და „პაპამაც“ ამოიხავლა იგივე.

– ახლა კი თიხა თავისსავე საწყისს დაუბრუნდება და მიიძინებს...

– ახლა კი თიხა თავისსავე საწყისს დაუბრუნდება და მიიძინებს...

– და რაოდენი მოგონებანი მიჰყვება თან!

– და რაოდენი მოგონებანი მიჰყვება თან!

– რამდენ სხვა სულჩადგმულ თიხას შევხვედრივარ...

– რამდენ სხვა სულჩადგმულ თიხას შევხვედრივარ...
– გულით მიყვარდა ყოველივე, რაც კი მინახავს...
– გულით მიყვარდა ყოველივე, რაც კი მინახავს...
– ღამე ნებისა!
– ღამე ნებისა!
– ახლა ზეცად აღვმაღლდები!
– ახლა ზეცად აღვმაღლდები!
– ერთი სული მაქვს, გავიგო...
– ერთი სული მაქვს, გავიგო...
– სინამდვილეში რაი არს ჩვენი *ვამპიტერი*...
– სინამდვილეში რაი არს ჩვენი *ვამპიტერი*...
– და ვის მოიცავს ჩემი *კარასი*...
– და ვის მოიცავს ჩემი *კარასი*...
– და რა სიკეთე დაუთესავს შენს სადიდებლად...
– და რა სიკეთე დაუთესავს შენს სადიდებლად...
– ამინ!
– ამინ!

100

ფრენკი ჯურღმულში შთაინთქა

ბაგრამ „პაპა“ არც მომკვდარა და არც ზეცად არ ამაღლებულა – ყოველ შემთხვევაში, იმ დღეს.

ფრენკს ვკითხე, როდის სჯობს ჩემი გაპრეზიდენტების საჯაროდ გამოცხადება-მეთქი. ვერაფერი მიპასუხა; ამის თაობაზე არანაირი მოსაზრება არ გააჩნდა და გადაწყვეტილების მიღება მე მომანდო.

– მეგონა, მხარში დამიდგებოდით! – ვუსაყვედურე.

– ეგ – როცა ტექნიკურ მხარეს შეეხება საქმე, – მომიჭრა. ეტყობა, აზრს ვერც შევაცვლევინებდი.

არც ვაპირებდი, ძალა დამეტანებინა და შეუძლებელი მომეთხოვა მისგან. ეგრე იყოს-მეთქი, დავყაბულდი.

– ჩემთვის სულერთია, როგორ მოექცევით ხალხს, – მითხრა ფრენკმა. – ეგ თავიდან ბოლომდე თქვენი პასუხისმგებლობაა.

ამ ნათქვამმა, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა და გავბრაზდი კიდეც, ასე უცებვე რომ დაიბანა ხელი. ამიტომაც ვეცადე, ნათქვამში რაც შეიძლებოდა მეტი ირონია ჩამექსოვა:

– მაინც რა ტექნიკური საკითხები გაქვთ გადასაწყვეტი ამ გამორჩეულად საზეიმო დღეს?

პასუხი წმინდა ტექნიკური ხასიათისა გახლდათ:

– ელექტროსადგურის სრული მზადყოფნა და საჰაერო აღლუმის გამართვა.

– აბა, თქვენ იცით. ესე იგი, ჩემი, როგორც პრეზიდენტის, პირველი მიღწევა საკუთარი მოსახლეობისთვის დენის მომარაგების აღდგენა იქნება...

ფრენკი ეტყობა, ირონიას ვერც ამჯერად მიმიხვდა, სამხედრო ყაიდაზე გაიჯგიმა და მიპასუხა:

– ძალიან ვეცდები, სერ! თავს არ დავზოგავ, ოღონდ არ ვიცი, აღდგენით სამუშაოებს რა დრო დასჭირდება, სერ!

– ჩემი უპირველესი მოვალეობაც ხომ ის ყოფილა, სინათლე შევიტანო ხალხში!

– აუცილებლად, სერ! – ერთხელაც გაიჯგიმა ფრენკი.

– სამხედრო აღლუმზე რაღას იტყვით? რას აპირებთ? – ვკითხე.

პასუხი მოკლე იყო და ამომწურავი:

– დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, სან-ლორენცოს საჰაერო ძალების ექვსივე თვითმფრინავი ამ სასახლესთან ჩაიფრენს და ზღვაში სამიზნეებს გაანადგურებს! ეს დემოკრატიისათვის თავდადებული ასი მარტვილის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიების შემადგენელი ნაწილი იქნება. თან ამერიკის ელჩიც აპირებს დასწრებას და ზღვაში გვირგვინის ჩაშვებას.

აი, მაშინ გამიელვა თავში, ეგებ ფრენკმა ჩემი პრეზიდენტობის ამბავი სწორედ საჰაერო აღლუმისა და ზღვაში გვირგვინის ჩაშვების შემდეგ გამოაცხადოს-მეთქი. ეს აზრი მაშინვე გავუზიარე და ვკითხე კიდეც, რას იტყვითმეთქი.

– როგორც მიბრძანებთ, სერ!

– მაშინ ალბათ სჯობს, საზეიმო სიტყვის თადარიგი დავიჭირო... ფიცივით უნდა გაისმას და ღირსების კვალიც აჩნდეს, ოღონდ ზედმეტი მაღალფარდოვნებაც არ გვინდა.

– როგორც მიბრძანებთ, სერ! – ამ სიტყვების ყოველ ჯერზე გამეორებისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ფრენკი ნელ-ნელა სადღაც, ჯურღმულში ჩამავალ კიბეს მიუყვებოდა, მე კი პატივი მრგებოდა, უწინდელ ადგილას, მის ზემოთ დავრჩენილიყავი...

მწარე ეჭვმა გამკრა: ფრენკს აშკარად სურდა, ჩემი გაპრეზიდენტებით თავისი წილი პასუხისმგებლობა მოეხსნა და იგივე გაემეორებინა, რასაც მამამისი სჩადიოდა მთელი ცხოვრება: პატივი და დიდება ისე შეეფერებინა, რომ მისთვის არაფერი მოეკითხათ.

აღწევდა კიდეც საწადელს.

101

წინამორბედთა მსგავსად, ბოკონონს მეც კანონგარეშე ვაცხადებ

სიტყვის წერას ერთ მრგვალ, გამოცარიელებულ ოთახში შევუდექი, კოშკის პირველ სართულზე. იქ მხოლოდ მაგიდა და ერთადერთი სკამი იდგა. სხვათა შორის, სიტყვაც რაღაცნაირად მომრგვალებული, ფუყე და ბრძნული აზრებისაგან დაცლილი გამომივიდა. თუმცა – იმედისმომცემიც. თანაც – მოკრძალებული, რადგან მივხვდი, რომ უფლის სახელის ხსენებას ვერაფრით გავექცეოდი. ადრე მისი დახმარება არასოდეს დამჭირვებოდა და არც მჯეროდა, თუ როდისმე დამიდგებოდა შემწედ.

ახლა კი, როგორც აღმოჩნდა, უთუოდ უნდა მერწმუნა და ვირწმუნე კიდეც.

ამას გარდა, ხალხის მხარდაჭერაც უთუოდ მესაჭიროებოდა. იმ სტუმართა სია მოვითხოვე, ვინც საზეიმო ცერემონიას უნდა დასწრებოდნენ და იქ ვერც ჯულიან კასლის სახელი ამოვიკითხე და ვერც – მისი ვაჟის. მათ დასაპატიჟებლად დაუყოვნებლივ ვაფრინე მაცნე – ამ მამა-შვილმა ხომ ჩემი

ხალხის შესახებ ყველაზე მეტი იცოდა. თუკი ბოკონონს გამოვრიცხავდით, რაღა თქმა უნდა.

ახლა, რაც შეეხება თავად ბოკონონს:

ჯერ ვფიქრობდი, ჩემს მთავრობაში ხომ არ შემეთავაზებინა მისთვის ადგილი და ამგვარად, „ოქროს ხანა“ დამემკვიდრებინა ქვეყანაში. არც იმას გამოვრიცხავდი, მებრძანებინა, სასახლის ჭიშკართან ჩამოკიდებული საზარელი კაუჭი დაუყოვნებლივ ჩამოეხსნათ – სწორედ გახურებული ზეიმის ჟამს.

მაგრამ მერე ისიც გავიაზრე, რომ ოქროს ხანა, თავისთავად, რაღაც უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე წმინდანის ხელისუფლებაში მოსვლაა. უფრო მნიშვნელოვანი მაინც ისაა, ადამიანებს გემრიელი საჭმელ-სასმელი არ აკლდეთ, რიგიანი საცხოვრისი ჰქონდეთ, წესიერ სკოლებში დაჰყავდეთ შვილები, ავად გახდომის არ ეშინოდეთ, ცხოვრება უხაროდეთ და ვისაც კი სურვილი აქვს, სამუშაო არ ჰქონდეს სანთლით საძებარი, მოკლედ, ყოველივე ის, რასაც ვერც მე და ვერც ბოკონონი ვერ შევთავაზებდით.

ამიტომ, ბოროტი და კეთილი კვლავაც ცალ-ცალკე უნდა დარჩენილიყო: კეთილი – ჯუნგლებში და ბოროტი – სასახლეში... არ ვიცი, რამდენად ჩაითვლებოდა ეს ამბავი ხალხისთვის სახალისოდ, მაგრამ სხვას მაინც ვერაფერს მოვიფიქრებდით.

ამ დროს კარზე მომიკაკუნეს. მსახურმა მამცნო, სტუმრებმა მოსვლა დაიწყესო.

მეც ნაწერი ფურცლები ჯიბეში ჩავიდე და ხვეულ კიბეს ავუყევი. სულ ზედა ქონგურთან მისულმა კი სტუმრებსაც, მოსამსახურეებსაც, კლდეებსაც და მარად თბილ ზღვასაც უკვე ზემოდან გადმოვხედე...

102
თავისუფლების მტრები

როცა სულ ზემოთა ქონგურიდან დანახული ეს ხალხი მახსენდება, მაშინვე ბოკონონის 119-ე *კალიფსო* ამეკვიატება ხოლმე, სადაც ის ყველას გვთხოვს, ერთ ხმაში ავყვეთ:

ერთი კაცი ჩიოდა:
„ძმაბიჭები რა იქნენ?“
მეც ყურში ჩავჩურჩულე:
„წავიდნენ და წავიდნენ...“

დამსწრეთა შორის გახლდნენ: ელჩი ჰორლიკ მინტონი და მისი მეუღლე, ველოსიპედების მწარმოებელი ლოუ ქროსბი, თავის ჰეიზელთან ერთად, ექიმი და ქველმოქმედი ჯულიან კასლი, ასევე, მისი ვაჟი ფილიპი – მწერალი და სასტუმროს მეპატრონე, ფერმწერი ციცქნა ნიუტონ ჰონიკერი და მისი მუსიკოსი და – ქალბატონი ჰარისონ კონერსი, ჩემი ღვთაებრივი მონა მონზანო, გენერალ-მაიორი ფრენკლინ ჰონიკერი

და კიდევ ოციოდე რჩეული სანლორენცოელი ჩინოსანი თუ სამხედრო პირი.

დღეს თითქმის აღარავინაა მათგან ცოცხალი.

როგორც ბოკონონი გვეუბნება, „შეცდომას არასდროს ჩაიდენ, თუ ადამიანს დაემშვიდობები“.

ქონგურებთან სანაქებო სუფრა გაეშალათ – სულ ადგილობრივი კერძებით დახუნძლული: შემწვარი კოლიბრი, ქოქოსის ზეთში ჩაშუშული კიბორჩხალები, ბანანის ფაფით გატიკნილი ბარაკუდები, სიმინდის ხრაშუნა ფირფიტებზე დაწყობილი მოხარშული ალბატროსის ნაჭრები...

როგორც მითხრეს, ეს ფრთოსანი სწორედ ამ ქონგურის სათოფურიდან ნასროლი ტყვიით მოენადირებინათ.

სასმელებიდან მხოლოდ ორი – პეპსი-კოლა და ადგილობრივი რომი შემოეთავაზებინათ, ოღონდ ორივე – უყინულოდ. პეპსი-კოლა პლასტმასის ჭიქებში ისხმებოდა, რომი კი – ქოქოსის ნაჭუჭში. ზუსტად ვერ ვიტყოდი, რისი მოტკბო სურნელი დაჰკრავდა რომს, თუმცა მსგავსი რამ ადრეულ სიჭაბუკეში ნამდვილად გამესინჯა.

ბოლოს ისევ ფრენკი დამეხმარა:

– აცეტონია, – მითხრა.

– აცეტონი?! – შევიცხადე.

– თვითმფრინავის მოდელების შესაწებებლად ხმარობენ – წებოს ურევენ.

სასმელს აღარც გავკარებივარ.

ელჩი მინტონი, შიგადაშიგ, მართლაც გამოჯეკილი დიპლომატისა და პირის გემოს მქონე კაცის იერით სწევდა ხოლმე ქოქოსის სასმისს და სახეც ისეთი ედო, თითქოს მთელი კაცობრიობა უყვარდა და ნებისმიერი სასმელი დედამიწის ზურგზე. ოღონდ ის კი არ დამინახავს, ყლუპი მაინც მოესვას.

სხვათა შორის, გვერდით რაღაც ყუთი ედგა, რომლის მსგავსი მანამდე არასოდეს მენახა. ერთი შეხედვით, თითქოს ვალტორნის ბუდეს წააგავდა, ოღონდ შიგ, საკრავის მაგივრად, სამგლოვიარო გვირგვინი აღმოჩნდა – სწორედ ის, ზღვის ტალღებში რომ უნდა დაედო ბინა.

ჩვენ შორის მხოლოდ ლოუ ქროსბი სვამდა, ვისაც ეტყობა, საერთოდ დაკარგული ჰქონდა ყნოსვის უნარი: წრუპავდა და წრუპავდა ამ აცეტონნარევ რომს და, ერთ-ერთ ზარბაზანზე გადამჯდარი, უზარმაზარი იაპონური დურბინდით უჭვრეტდა ზღვაში მოტივტივე სამიზნეებს.

სამიზნეებად კი მუყაოსაგან გამოჭრილი ადამიანის გამოსახულებები აერჩიათ. სწორედ მათი განადგურება იყო განზრახული ექვსი თვითმფრინავიდან, სან-ლორენცოს სამხედრო-საჰაერო ძალების ძლევამოსილების დასადასტურებლად.

თითოეული სამიზნე რეალურ პიროვნებას გამოსახავდა და მკერდსა თუ ზურგზე შესაბამისი გვარ-სახელები წაეწერათ კიდეც.

როცა მხატვრის ვინაობა ვიკითხე, აღმოჩნდა, რომ სამიზნეები ქრისტიანი მღვდლის, ვოქს ჰუმანას ნახელავი გახლდათ. თავადაც გვერდით მედგა.

– არც კი ვიცოდი, ამგვარი ნიჭიც თუ გქონდათ, – ვუთხარი.

– ასეა, კი. ახალგაზრდობაში კარგა ხანს ვერ გადამეწყვიტა, რა გზა ამერჩია...

– მე მგონი, სწორი არჩევანი გააკეთეთ.

– უზენაესს შევთხოვდი სწორი გეზის ჩვენებას.

– აკი უჩვენებია კიდეც...

ლოუ ქროსბიმ დურბინდი მეუღლეს გადააწოდა:

– აგე, ხედავ? სტალინი... იმის გვერდით კიდე – ის გაბურძგნული ფიდელი!

– ჰიტლერსაც ვხედავ! – აკისკისდა გახალისებული ჰეიზელი, – და თავმოტვლეპილ მუსოლინისაც და კიდევ ვიღაც დაჩამიჩებულ იაპონელს!

– ბებერ კარლ მარქსს?

– კი, ვხედავ... კაიზერ ვილისაც ვხედავ, იმ თავისი წოწოლა ქუდით... – ღუღუნებდა ჰეიზელი. – რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ სადმე გამოტყვრებოდა!

– მაო ნახე, მაო!

– აუ, რა მოხვდება! მაგრა კი მოუფიქრებიათ!

– არავინ გამორჩენიათ, ვინც კი თავისუფლებას ემტერება! – საქმის მცოდნე კაცის იერით განაცხადა ლოუ ქროსბიმ.

103

სამედიცინო დასკვნა მწერალთა გაფიცვის შედეგების თაობაზე

სტუმართაგან ჯერ არავინ იცოდა ჩემი მომავალი გაპრეზიდენტების ამბავი. არც ის იცოდნენ, „პაპა“ მონზანოს საათები რომ უკვე დათვლილი იყო. ფრენკმა ყველას უთხრა, „პაპა“ თავს უკეთ გრძნობს და საუკეთესო სურვილებსაც გითვლითო.

ფრენკმა საზეიმო ღონისძიებათა თანმიმდევრობაც გამოაცხადა: ჯერ ელჩ მინტონს უნდა მოესროლა ზღვაში გვირგვინი იმ ასი მარტვილის პატივსაცემად, მერე თვითმფრინავებს უნდა გაეხსნათ ცეცხლი მოტივტივე სამიზნეებისათვის, ბოლოს კი ისევ ფრენკს უნდა ეთქვა ორიოდ სიტყვა.

ოღონდ ის კი არ გაუმხელია დამსწრეთათვის, მის სიტყვას ჩემიც რომ მოჰყვებოდა.

ამიტომ, ყველა ისე მექცეოდა, როგორც სტუმრად ჩამოსულ უბრალო ჟურნალისტს და შიგადაშიგ მეც ვაძლევდი თავს უფლებას, ვიღაც-ვიღაცებს უბოროტოდ გავხუმრებოდი.

– დედილოს გაუმარჯოს! – მივესალმე ჰეიზელ ქროსბის.

– უი, ჩემი ბიჭიც აქა ყოფილა! – სუნამოს სურნელი მომაფრქვია ჰეიზელმა და ყველას აუხსნა, ეს ბიჭიც ჩვენებური, ინდიანელიაო.

მამა-შვილი კასლი დანარჩენებისაგან ცოტა მოშორებით იდგა. კარგა ხანია, „პაპა“ მონზანოს სასახლეში არც ერთი აღარ მიეწვიათ და ახლა საგონებელში ჩაცვენილიყვნენ, ამჯერად რატომღა გავახსენდითო.

– დილა მშვიდობისა, კალმოსანო! – შემეხმიანა ახალგაზრდა კასლი. – რა ხდება ახალი სიტყვიერების სამყაროში?

– შემეძლო თქვენთვისაც იგივე მეკითხა.

– ვფიქრობ, მწერალთა საყოველთაო გაფიცვას ჩავუდგე სათავეში, ვიდრე კაცობრიობა ცოტა აზრზე არ მოვა. შემომიერთდებით?

– მწერლებსაც აქვთ გაფიცვის უფლება? ეგ იმას ჰგავს, პოლიცია ან სახანძრო სამსახური რომ გაიფიცოს.

– ანდა კოლეჯის პროფესურა.

– ანდა კოლეჯის პროფესურა, – კვერი დავუკარი მეც. მერე თავი გადავაქნიე უარის ნიშნად: – არა... არა მგონია, ჩემმა სინდისმა ეგეთ გაფიცვაში მონაწილეობის ნება დამრთოს. როცა კაცი კალამს ჰკიდებ ხელს, წმინდა მოვალეობასაც კისრულობ: მუდამ მშვენიერებას, განათლებასა და კაცთა შორის სათნოებას ემსახურო...

– ძალაუნებურად სულ იმაზე ვფიქრობ, მართლა რა გამაოგნებელი დარტყმა იქნება ადამიანებისთვის, თუკი უცებ, სრულიად მოულოდნელად, აღარც ახალი წიგნები გამოჩნდება დახლებზე, აღარც ახალი დადგმები – თეატრებში, აღარც ახალი ფილმები გამოვა ეკრანებზე...

– მერე? მოგეწონებათ, ხალხი ბუზებივით რომ დაიხოცება? – ნამუსზე შევაგდე.

– რატომ ბუზებივით? ალბათ უფრო ცოფიანი ძაღლებივით, დუჟმორეულები დაერევიან ერთმანეთს, ან სულაც საკუთარ კუდებს დაიკბენენ...

უფროს კასლს მივუბრუნდი:

– სერ, როგორ კვდება კაცი, როცა მას ლიტერატურა ველარ ჰგვრის შვებას?

– ორი შემთხვევაა აღწერილი, – მიპასუხა მან. – ან გულის გაქვავებით იღუპება, ანდა – ნერვული სისტემის ატროფიით.

– სანატრელი სიკვდილიაო, ვერც ერთზე ვერ იტყვი, – გამოვთქვი ჩემი აზრი.

– ნამდვილად, – დამეთანხმა უფროსი კასლი. – ამიტომ, თუ ღმერთი გწამთ, ორივემ გააგრძელეთ წერა.

104
სულფატიაზოლი

რაც შეეხება ჩემს ღვთაებრივ მონას, ის არც მომიახლოვდა და არც მზერით უნიშნებია, მისკენ გადამედგა ნაბიჯი. დიასახლისობა იკისრა და სანლორენცოელებს ენჯელა და ციცქნა ნიუტი წარუდგინა.

ახლა, როცა იმ გოგოს ვიხსენებ, მის გულგრილობას „პაპა“ მონზანოს იმჟამინდელი მძიმე მდგომარეობისა თუ ჩვენი უეცარი დანიშვნის მიმართ, უკვე აღარც კი ვიცი, ცამდე განდიდებას იმსახურებს ჩემგან თუ პირიქით – შეჩვენებას?

ვითომ ქალური სულიერების უმაღლეს გამოვლინებას განასახიერებდა?

თუ, უბრალოდ, ბურანში მყოფი უგრძნობი არსება გახლდათ – თევზივით ცივსისხლიანი, ვისაც არაფერი აღელვებდა ქსილოფონის, საკუთარი გარეგნობისა და *ბოკო-მარუს* გარდა?

ამას უკვე ველარასოდეს გავიგებთ.

ბოკონონი შეგვაგონებს:

მიჯნური მატყუარაა,
რადგან იტყუებს თავს;
გრძნობათა ორომტრიალი
არ ელის მართალ კაცს!

მგონი, ცხადია, რა გეზსაც უნდა მივყვე: ჩემი მონა სრულყოფილების ხატად უნდა შემოვინახო მეხსიერებაში.

– ერთი ეს მითხარით, – ვკითხე ახალგაზრდა ფილიპ კასლს დემოკრატიისათვის თავადებული ასი მარტვილის დღესასწაულზე: – თქვენს თაყვანისმცემელსა და მეგობარს, ლოუ ქროსბის უკვე ელაპარაკეთ?

– ასე გამოწყობილი, მგონი, ვერც მიცნო, – მიპასუხა კასლმა. – ისე, მშვენიერი საუბარი კი გამოგვივიდა, ველოსიპედებზე. იქნებ კიდევ დაველაპარაკო?

უცებ მივხვდი, რომ ქროსბის სურვილი, სან-ლორენცოში ველოსიპედების წარმოება აეწყო, უკვე სულაც აღარ მეჩვენებოდა უაზრობად. როგორც ამ კუნძულის გამრიგეს, უკვე თავადაც ძალიან მინდოდა, აქ ველოსიპედების ქარხანა ამეშენებინა.

სრულიად მოულოდნელად უეცარი პატივისცემითაც კი განვიმსჭვალე ლოუ ქროსბის მარიფათის მიმართ.

– თქვენი აზრით, სან-ლორენცოს მოსახლეობა მზადაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის? – ვკითხე მამა-შვილ კასლს.

– სან-ლორენცოს მოსახლეობას, – მომიგო მამამ, – სამადსამი რამ აღელვებს: თევზაობა, მრუშობა და ბოკონონიზმი.

– ვითომ პროგრესით ვერ დავაინტერესებთ?

– პროგრესი მეტ-ნაკლებად უკვე გამოსცადეს საკუთარ ტყავზე და მისი ერთადერთი გამოვლინებით აღფრთოვანდნენ: ელექტროგიტარით.

მამ-შვილს მოვუბოდიშე და ახლა ცოლ-ქმარ ქროსბისაკენ გავეშურე.

მათ შორიახლოს უკვე ტრიალებდა ფრენკ ჰონიკერი – უხსნიდა, ვინ იყო ბოკონონი და რას ებრძოდა, ეუბნებოდა, მეცნიერების დაუძინებელი მტერიაო.

– როგორ იქნება, ჭკუათმყოფელი კაცი მეცნიერების წინააღმდეგი იყოს? – გულწრფელად გაიკვირვა ქროსბიმ.

– პენიცილინი რომ არა, ახლა ჩემი ძვლებიც კი აღარ იქნებოდა! – ჩაურთო ჰეიზელმა. – არც ჩემი და არც დედა-ჩემის...

– დედათქვენი რა ხნისაა? – ჩავეკითხე.

– ას ექვსის! მაგარია, არა?

– ნამდვილად, – დავეთანხმე.

– აქამდე უკვე ქვრივიც ვიქნებოდი, ჩემი ქმრისთვის ის წამალი რომ არ დაენიშნათ, – განაგრძო ჰეიზელმა, თუმცა წამლის სახელი ვერაფრით გაიხსენა და ქმარს მიუბრუნდა: – საყვარელო, რა დაგინიშნეს მაშინ, კინაღამ რომ მოკვდი?

– სულფატიაზოლი.

სწორედ ამ დროს მსახურმა ლანგრით ალბატროსისხორციანი კანაპე ჩამოატარა და მეც, ჩემდა ჭირად, ერთ ცალს დავწვდი.

105
ტკივილგამაყუჩებელი

ამოხდა ისე (ბოკონონი იტყოდა, მოსახდენი მოხდაო), რომ ჩემი შიგნეული მძაფრად აუჯანყდა უცხო ფრინველის ხორცს: პირველი ლუკმის ჩაყლაპვისთანავე ცუდად შევიქენი. იძულებული გავხდი, ტუალეტის მოსაძებნად ქვის დახვეულ კიბეს ჩავყოლოდი. ბოლოს, „პაპა“ მონზანოს სამყოფლის სიახლოვეს მივაგენი ფეხისადგილს.

როცა იქედან ცოტა მომჯობინებული გამოვფრატუნდი, პირისპირ შევეჩეხე „პაპა“ მონზანოს საძინებლიდან გამოსულ ექიმ შლიხტერ ფონ კონიგსვალდს. გიჟის სახე ედო, ორივე ხელით მკლავში ჩამაფრინდა და იყვირა:

– რა ხდება? რა ეკიდა ეგეთი ყელზე?

– ბოდიში...

– ჩაყლაპა. არ ვიცი, რა იყო იმ ცილინდრში, მაგრამ ჩაყლაპა და სულიც განუტევა.

ახლა მეც გამახსენდა „პაპა“ მონზანოს ყელზე ჩამოკიდებული ცილინდრი და მაშინვე გამოვთქვი ვარაუდი მისი შიგთავსის თაობაზე:

– ვითომ ციანიდი?

– ციანიდი არა, იხვი! რომელი ციანიდი გააქვავებს კაცს?!

– გააქვავებს?

– დიახაც! გააქვავებს, ჩაკირავს... ასეთი გახევებული გვამი ცხოვრებაში არ მინახავს! თითი დაუკაკუნეთ და დოლის ხმას გააღებინებთ! წამოდით, თავად ნახეთ!

ფონ კონიგსვალდმა სულ ჯიკავ-ჯიკავით შემაგდო „პაპა“ მონზანოს საძინებელში.

მართლაც უცნაური სანახაობა დამხვდა იქ: „პაპა“ კი მომკვდარიყო, მაგრამ მისი გვამის დანახვაზე ვერავინ იტყოდა, მოისვენა საცოდავმაო...

თავი უკან გადაეგდო, წელში გაზნექილიყო და ხიდივით მორკალური სხეული მხოლოდ კეფას და ფეხის ქუსლებს ეყრდნობოდა.

აშკარა იყო, სიკვდილი სწორედ ცილინდრის შიგთავსს გამოეწვია: ხუფმოხდილი ცილინდრი ჯერაც ცალი ხელით ჩაებღუჯა, მეორე ხელის ცერა და საჩვენებელი თითები კი, თითქოს მწიკვი თამბაქოს ასაღებად მიტყუპებული, ტუჩებზე მიჰყინვოდა.

ფონ კონიგსვალდმა სტეტოსკოპი დაუკაკუნა მუცელზე და გვამმაც მართლა დოლივით დაიბაგუნა.

გარდაცვლილის ტუჩები, ნესტოები და თვალის გუგები მოცისფრო-მოთეთრო თრთვილს დაეფარა.

დღესდღეობით მსგავსი სინდრომი უკვე სიახლეს აღარ წარმოადგენს, აი, მაშინ კი მართლა დამზაფრავ რამედ მოჩანდა. კაცობრიობის ისტორიაში „პაპა“ მონზანო გამოდგა პირველი, ვისი სიკვდილის მიზეზიც ყინული-9 გახდა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ ამბის ჩაწერას მაინც აუცილებლად მივიჩნევ. ყველაფერი ჩაიწერეთო, აკი ბოკონონიც ასე გვასწავლის. თუმცა, ცხადია, სინამდვილეში მაინც იმას

შეგვახსენებს, რა ფუჭი და ამაო საქმეა გარდასულ ამბავთა ჩაწერაცა და ისტორიული შრომების შესწავლაც.

„განა წარსულის უტყუარი მატიანის გარეშე მოხერხდებოდა სამომავლო შეცდომების თავიდან აცილება?“ – დამცინავად კითხულობს იგი.

ისევ და ისევ: კაცთა შორის „პაპა“ მონზანო იყო პირველი, ვინც ყინულ-9-ს ემსხვერპლა.

106

თვითმკვლელ ბოკონონისტთა სავალდებულო ბოლო სიტყვა

ყინულ-9-ის მეორე მსხვერპლად კი უკვე ექიმი ფონ კონიგსვალდი იქცა – მკურნალი, ვისაც ჯერ კიდევ გამოსასყიდი ჰქონდა ოსვენციმში ჩადენილი ცოდვები. თუმცა მანამდე გვამის გახევებაზე მოასწრო საუბრის წამოწყება, უფრო სწორად, ჩემი თემა აიტაცა.

– ამგვარი გახევება, ზოგადად, უცბად არ ხდება, – მიხსნიდა საქმის ცოდნით. – სულ ორიოდ წამით შევაქციე ზურგი „პაპას“, ბოდავდა რაღაცას...

– მაინც რას? – ჩავეძიე.

– ტკივილს უჩიოდა, ყინულიც ახსენა, მონაც... რა ვიცი, რაღა არა. მერე ისიც თქვა, ახლა მთელ სამყაროს მოვსპობო.

– რანაირადო?

– ამას ბოკონონის მიმდევრები ამბობენ ხოლმე თვითმკვლელობის წინ, – ფონ კონიგსვალდი ონკანთან მივიდა – ეტყობა, ხელების დაბანა სურდა. – როცა ისევ „პაპას“ მივუბრუნდი, – გააგრძელა მერე, – უკვე მკვდარი იყო. თანაც

ზუსტად ასე, ქანდაკებასავით გაქვავებული. პირველ რიგში, ბაგეზე გადავუსვი თითი – რაღაც მეუცნაურა.

– კი მაგრამ, რას შეეძლო ... – შეკითხვა ველარ დავასრულე.

ფონ კონიგსვალდმა ერთმანეთს მიტყუპებული პეშვები სახისაკენ წაიღო და მთელი წყალიც წამოიყოლა. კაცმა რომ თქვას, უკვე წყალიც აღარ ეთქმოდა – ყინულ-9-ის ნახევარსფეროდ ქცეულიყო მის ხელებში.

ექიმმა ამ მოთეთრო-მოცისფრო საოცრებას ენის წვერი დაადო და მაშინვე შეეთრთვილა ტუჩები. ერთიანად გაქვავდა, შეტორტმანდა და იატაკზე მოადინა ბრაგვანი. ის მოთეთრო-მოცისფრო ნახევარსფეროც იატაკზე დაენარცხა და მისი ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოიფანტა.

– არიქა, მიშველეთ ვინმემ! – ღრიალით ვეცი კარს.

ოთახში ჯარისკაცები და მსახურები შემოცვივდნენ.

ვუბრძანე, დაუყოვნებლივ ეხმოთ ფრენკი, ნიუტი და ენჯელა.

როგორც იქნა, საკუთარი თვალით ვიხილე ყინული-9.

107
ეს გინდოდათ?!

დოქტორ ფელიქს ჰონიკერის სამივე შვილი „პაპა“ მონზანოს საძინებელში დავიგულე თუ არა, კარი გადავრაზე და ზურგითაც კი ავეკარი ზედ. გუნებამოშხამულს ზოგადსაკაცობრიო კაეშანიც მომეძალა. უკვე ვიცოდი, რა შეეძლო ამ ნივთიერებას – აკი სიზმარშიც არაერთხელ მენახა მისი ნამოქმედარი.

მისხალი ეჭვიც აღარ მრჩებოდა იმასთან დაკავშირებით, ფრენკს „პაპა“ მონზანოსთვის რომ ეწილადებინა ყინული-9 და თუკი ჭკუამ არ დაუშალა, ასე მოქცეულიყო, ენჯელასა და ციცქნა ნიუტს რაღა დაუშლიდათ?

სამივე კარგად გამოვლანძღე. ვუთხარი, რა ამაზრზენი დანაშაულიც ჩაედინათ და ისიც დავაყოლე, ახლა მაიმუნობის დრო აღარაა და ყველაფერი მშვენივრად მომეხსენება-მეთქი. შევეცადე მიმეხვედრებინა, ამ ნივთიერებას დედამიწაზე სიცოცხლის საბოლოოდ დასამარება რომ შეეძლო. იმდენად ვიყავი აღელვებული, აზრად არავის მოსვლია ეკითხა, საიდან შევიტყვე ყინულ-9-ის არსებობის ამბავი.

– ეს გინდოდათ?! – ვიყვირე ბოლოს.

ბოკონონი ამბობს, ღმერთს ერთი ხეირიანი პიესაც კი არ დაუწერიაო. „პაპა“ მონზანოს ოთახში გათამაშებულ დრამას კი არც დეკორაცია აკლდა და არც სიმძაფრე, არც ჩემი მონოლოგი ჩანდა ურიგო. თუმცა ერთ-ერთი ჰონიკერის პირველივე გამოსვლამ მთელი ხიბლი გაფანტა.

ციცქნა ნიუტმა არწყია.

108

ფრენკი გვეუბნება, რა უნდა ვქნათ

ერე უკვე დანარჩენებსაც წამოგვაზიდა. ჩვენში დარჩეს, გასაკვირიც არაფერი იყო.

– მშვენივრად მესმის შენი, – ვუთხარი ნიუტს, მერე კი ენჯელასა და ფრენკს მივუბრუნდი გაბრაზებული: – ახლა, როცა ნიუტის აზრი ნათელია, მინდა, თქვენც თქვათ სათქმელი.

ენჯელამ პასუხად დაასლოკინა, ენა პირიდან გამოუვარდა და სახეზე მიტკლისფერი დაედო.

– თქვენც ამავე აზრისა ბრძანდებით? – ახლა ფრენკს ვკითხე. – სლოკინის გარდა თუ გვაღირსებთ რამეს, გენერალო?

კრიჭაშეკრულ ფრენკს კბილები დაეკრიჭა და ჩქარ-ჩქარა, სტვენა-სტვენით სუნთქავდა.

– ზუსტად იმ ძაღლივით... – ჩაიბურტყუნა ფონ კონიგსვალდის გვამს მიჩერებულმა ციცქნა ნიუტმა.

– რომელი ძაღლივით? – გავიკვირვე.

ნიუტმა პასუხად ჩაიჩურჩულა, თუმცა ქვისკედლებიან ოთახში ეს ჩურჩული ყველამ მკაფიოდ გავიგონეთ:

– ...შობის წინადღეს, როცა მამა მოკვდა.

აშკარა იყო, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. როცა ჩავეძიე, გამაგებინე ერთი, იმ ძაღლს რა მოუვიდა-მეთქი, ისე შემომხედა, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო. მგონი, ვერც კი მიცნო.

– შენ მიგიცია... – უთხრა ფრენკს. – აი, თურმე, როგორ გიშოვია თანამდებობა... რა უთხარი მაინც, წყალბადის ბომბზე უკეთესი რაღაც მაქვსო?

ფრენკს ხმა არ გაუღია, დაძაბული დაეძებდა რაღაცას ოთახში. მერე ერთი გააკანკალა და თვალები სწრაფად-სწრაფად აახამხამა. ფერიც მოუვიდა სახეზე.

– მისმინეთ... პირველ რიგში, კვალი უნდა მოვსპოთ, – გვითხრა მან.

109
ფრენკი თავს იცავს

— ჟენერალო! – მივმართე ფრენკს. – ბოლო დროს ალბათ არც ერთ გენერალ-მაიორს უფრო გონივრული არაფერი უთქვამს... ოღონდ, როგორც ჩემმა ტექნიკურმა მრჩეველმა, ბარემ ისიც მომახსენეთ, ეს კვალი როგორ წავშალოთ?

ფრენკმაც არ დააყოვნა და იმწამსვე გამცა სრულიად ამომწურავი პასუხი: თითები გაატკაცუნა. აშკარად ჩანდა, მომხდართან ყოველგვარ კავშირს უარყოფდა და ახლა იმათ რიგში ჩამდგარიყო, სისუფთავეზე ზრუნვას, წესრიგის დაცვას, სამყაროს გადარჩენას უანგაროდ რომ კისრულობენ.

– ცოცხები, აქანდაზები, ქურა, ტაშტი! – დაიწყო ბრძანებების გაცემა და თითებსაც გაუჩერებლად ატკაცუნებდა.

– გვამების დაწვას აპირებთ? – ვკითხე.

ფრენკი ისე იყო გატაცებული საკუთარი წამოწყებით, თითების ტკაცუნს ფეხიც ააყოლა და წაიცეკვა.

– დიდრონ ნამსხვრევებს მოვხვეტავთ, ტაშტში ჩავყრით და ქურაზე გავადნობთ; მერე იატაკის ყველა გოჯს ავტოგენით გადავუვლით, სადმე რამე ნამცეცი რომ არ დარჩეს...

რაც შეეხება გვამებსა და საწოლს... – აქ უფრო ღრმად მოუწია ჩაფიქრება. – სამსხვერპლო კოცონი! – შესძახა უცებ საკუთარი საზრიანობით უაღრესად კმაყოფილმა: – ზედ კაუჭთან დიდ კოცონს დავანთებთ, გვამებს და საწოლს გავიტანთ და დავწვავთ!

ოთახიდან გასვლა დააპირა – როგორც ჩანს, ოთახის მოსასუფთავებლად საჭირო ნივთების მოსატანად, მაგრამ ენჯელამ შეაჩერა:

– არა, ეგ მაინც როგორ გაბედე?!

ფრენკმა სუსტი ღიმილი შეაგება საპასუხოდ:

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება!

– არა, ხელი როგორ არ მოგტყდა, „პაპა“ მონზანოსნაირ ადამიანს ეგ რომ მიეცი? – არ ცხრებოდა ენჯელა.

– მოდი, ჯერ აქაურობას მივხედოთ და მაგაზე მერე...

ენჯელა კი მკლავებში ჩააფრინდა და ცოცხალი თავით არ უშვებდა ხელს.

– როგორ, როგორ? – უყვირა და მაგრადაც შეანჯღრია.

ფრენკმა დის მარწუხებიდან მაინც დაიხსნა თავი, სახიდან ის სუსტი ღიმილიც გაუქრა და ბოროტად წაისისინა:

– მეც ზუსტად ისე ვიყიდე თანამდებობა, როგორც შენ – შენი მუსუსი ქმარი, ნიუტმა კი – ერთკვირიანი დასვენება კეიპ-კოდზე, იმ თავის რუს ჯუჯასთან ერთად!

ისევ ის ღიმილი აიკრა სახეზე.

მერე ოთახიდან გავიდა და კარიც მაგრად გაიჯახუნა.

IIO

წიგნი მეთოთხმეტე

„ზუულფა ზოგჯერ ადამიანს ამუნჯებს“, – გვასწავლის ბოკონონი და თავის წიგნში ამ ცნებას ერთგან ნეხვის გრიგალად განმარტავს, სხვაგან კი – ღვთის რისხვად.

იმ სიტყვებმა, რომლებიც ფრენკმა კარის გაჯახუნებამდე დაგვიგდო, მიმახვედრა: ყინულ-9-ის მფლობელი ახლა უკვე აღარც მხოლოდ სან-ლორენცოს რესპუბლიკა გახლდათ და აღარც მხოლოდ ჰონიკერთა გვარის ეს სამი წარმომადგენელი.

სავარაუდოდ, ეს ნივთიერება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მოეპოვებოდა და საბჭოთა კავშირსაც.

ამერიკას ის ენჯელას ქმრის მეშვეობით ჩაეგდო ხელში. ამიტომაც ერტყა გარს ინდიანაპოლისში იმ კაცის ქარხანას დენგატარებული მავთულხლართი და ამიტომაც დარაჯობდნენ კაციჭამია გერმანული ნაგაზები დღედაღამ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისთვის ფასდაუდებელი სამსახური ნიუტის გულის რჩეულს, უკრაინული დასის ჯუჯა მოცეკვავეს, პატარა ზინკას გაეწია.

ენა ჩამივარდა. მგონი, მართლა დავმუნჯდი. ან რა უნდა მეთქვა?!

თავი ჩავქინდრე და თვალები დავხუჭე. ველოდი, როდის დაბრუნდებოდა ფრენკი იმ ერთადერთი საძინებელი ოთახის გასაწმენდად აუცილებელი ხელსაწყოებით, სადაც სამყაროს დამლუპველი ნივთიერება მიმობნეულიყო.

თითქოს ბურანში მყოფს ჩამესმა ენჯელას ხმა – რაღაცას მეუბნებოდა, თუმცა საკუთარ თავს კი არა, ციცქნა ნიუტს იცავდა და ამტკიცებდა:

– ნიუტს არაფერი მიუცია, იმ ქალმა მოჰპარა!

მაგრამ ამას ჩემთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ახლა იმაზე ვფიქრობდი, რის იმედად შეიძლება იყოს კაცი, როცა ქვეყნად ფელიქს ჰონიკერისნაირი ადამიანები არსებობენ, ვისაც შეუძლია მსგავსი სათამაშო იმ უმწიფარ ბავშვებს მისცეს ხელში, ვისგანაც შედგება კიდეც ლამის მთელი კაცობრიობა.

მაშინ ისევ გამახსენდა ბოკონონის მეთოთხმეტე წიგნი – სწორედ ის, სულმოუთქმელად რომ ჩავიკითხე წინა ღამით. იგი შემდეგნაირადაა დასათაურებული: „ბოლო მილიონი წლის გამოცდილების გათვალისწინებით, სასიკეთოს რას უნდა ველოდოთ კაცობრიობისათვის?“

სხვათა შორის, ამ წიგნის წაკითხვას დიდი დრო არ მოვანდომე – ის სულ ორადორი სიტყვისაგან შედგებოდა:

„არც არაფერს!“

III

დრო ამოიწურა

ფრენკი დაბრუნდა და ცოცხები, აქანდაზები, ავტოგენი, ნავთქურა, ძველი სათლი და რეზინის ხელთათმანები მოიტანა.

თავის დასაზღვევად, პირველ რიგში, ყველამ ხელთათმანები ამოვიცვით, ფრენკმა ნავთქურა მშვენიერი მონას ქსილოფონზე შემოდგა და ძველი სათლიც ზედ დაადგა.

მერე დიდრონი ნამსხვრევების ხვეტას შევუდექით ყველანი, სათლში ვყრიდით და ისინიც, დადნობის შემდეგ, ისევ სუფთა, მაცოცხლებელ წყლად იქცეოდნენ.

მე და ენჯელა იატაკს ვგვიდით, ციცქნა ნიუტი კი ავეჯის ქვეშ იჭყიტებოდა – სადმე რამე ნამცეცი ხომ არ დარჩაო. ფრენკი ფეხდაფეხ დაგვყვებოდა და ცეცხლის მსახვრალი ალით აშანდაკებდა იქაურობას. ახლა ისეთივე გაუცნობიერებელი სიმშვიდე დაგვეუფლა, ღამის ცვლაში მომუშავე დამლაგებლებსა თუ მენაგვეებს რომ ეუფლებათ ხოლმე. სხვა თუ არაფერი, მთელ ამ ბინძურ სამყაროში ერთი პატარა კუთხე მაინც დავასუფთავეთ...

მერე, ვითომ სასხვათაშორისოდ, ჰონიკერებს ისევ იმ შობის წინადღეზე, მამის გარდაცვალებასა და ადრე ნახსენებ ძაღლზე ჩამოვუგდე სიტყვა.

ბავშვებივით კმაყოფილებმა – აქაოდა, სასარგებლო საქმეს მოვაბით თავიო – არ დაიზარეს და წვრილად მიამბეს მთელი ამბავი.

იმ საბედისწერო დღეს ენჯელა სოფელში წასულა ნაძვის ხის ნათურების საყიდლად, ნიუტი და ფრენკი კი ზამთრის უკაცრიელ სანაპიროზე დასეირნობდნენ, როცა შავ ლაბრადორს გადაჰყრიან. ხალისიანი, გულიანი ძაღლი ყოფილა, როგორც საერთოდ ამ ჯიშს სჩვევია და სახლამდე მიჰყოლია ძმებს.

ფელიქს ჰონიკერიც სწორედ მაშინ გარდაცვლილა, როცა მისი შვილები შინ არ იყვნენ. ზღვისკენ პირშექცეულ თეთრ სარწეველა სავარძელში მჯდომს განუტევებია სული. მთელი დღე თურმე ყინულ-9-ზე ნართაულებით უღიზიანებდა დაძმას ცნობისწადილს: წამდაუწუმ დაანახებდა ხოლმე პატარა ბოთლს, რომლის იარლიყზეც თავადვე დაეხატა თავის ქალაცა და გადაჯვარედინებული ძვლებიც და წვრილი ასოებით მიეწერა:

ყინული-9: *(სახიფათოა, ნესტს მოარიდეთ!)*

მთელი დღე, ვითომ ხუმრობით, წამდაუწუმ ერთსა და იმავეს უმეორებდა შვილებს: „გამოფხიზლდით, ცოტა ტვინი გაანძრიეთ! ათასჯერ მითქვამს თქვენთვის, ეს ნივთიერება ფარენჰაიტით 114,4 გრადუსზე იწყებს დნობას და მხოლოდ წყალბადისა და ჟანგბადისაგან შედგება-მეთქი! აბა, რას იტყვით? ტვინი გაანძრიეთ-მეთქი! ნუ გეშინიათ, ცოტა წავარჯიშებისაგან არც არაფერი მოუვა...“

– სულ იმას გვიჩიჩინებდა, ტვინი გაანძრიეთო, – მოგონებები აეშალა ფრენკს.

– აღარც მახსოვს, როდის ავიღე ხელი მაგ საქმეზე... – აღიარა ცოცხის ტარს ჩამოყრდნობილმა ენჯელამ. – მეცნიერებაზე რომ დაიწყებდა ლაპარაკს, აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი. უხმოდ ვუქნევდი თავს და ვითომ მართლა ვცდილობდი, მივმხვდარიყავი რაღაცას. მართლა ჩინური იყო ჩემთვის ეს ყველაფერი.

როგორც ჩანს, ვიდრე სარწეველა სავარძელში მოკალათდებოდა და სულსაც იქვე განუტევებდა, მოხუცი ცდებს ატარებდა სამზარეულოში – წყლის, ჯამ-ჭურჭლისა და იმ თავისი ყინულ-9-ის მეშვეობით. ეტყობა, წყალს ჯერ ყინავდა და მერე ალღობდა, რადგან სამზარეულოს მთელი ავლადიდება გამოელაგებინა. იქვე თერმომეტრიც ეგდო – ალბათ სითხის ტემპერატურის ცვლილებებსაც აკვირდებოდა.

სამზარეულო ისეთი არეულ-დარეული მიეტოვებინა, ეტყობა, დიდხანს არ აპირებდა თავის სავარძელში ნებივრობას. სარძევეში გამყარებული ყინული-9 ჩარჩენილიყო. უეჭველად მის გადადნობასაც აპირებდა, რათა ამ მოცისფრო-მოთეთრო ნივთიერების მარაგი ისევ იმ პატარა თერმოსში ჩასატევ ოდენობამდე დაეყვანა.

თუმცა, როგორც ბოკონონი ამბობს, „დრო ჩვენ არ გვემორჩილება და როცა უნდა, მაშინ გაგვისხლტება ხელიდან“.

112

ნიუტის დედის ხელჩანთა

— დავინახე თუ არა, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, რომ უკვე მკვდარი იყო, – თქვა ჯერაც ცოცხის ტარს დაყრდნობილმა ენჯელამ. – ის სარწეველა სავარძელი დადუმებულიყო. არადა, მუდამ ხვნეშოდა და ჭრაჭუნებდა ხოლმე, როცა ზედ მამაჩემი იჯდა, თუნდაც მძინარე.

ენჯელას მამამისი სწორედ ჩაძინებული ჰგონებია და მაშინვე ნაძვის ხის მორთვას შესდგომია. ნიუტი და ფრენკი შინ ლაბრადორის თანხლებით დაბრუნდნენ. პირველ რიგში, სამზარეულოში შევიდნენ – ძაღლისთვის რაიმე კბილის გასაკრავის მოსანახად, და იქაურობა ყირაზე დაუხვდათ. იატაკზე წყლის გუბე იდგა. ციცქნა ნიუტი ტილოს დასწვდა და იატაკის მომშრალება დაიწყო, მერე კი წყლით გაჟღენთილი ტილო ალალბედზე მოისროლა. შემთხვევით, ტილო ყინულ-9-ით სავსე ჯამზე დავარდა. ფრენკს ეგონა, ჯამში ნამცხვრისთვის გამზადებული ჭიქურიაო და ნიუტს უსაყვედურა, გაიხედე ხოლმე, როცა რამეს ისვრიო.

ნიუტმა ტილო ჯამს გადააძრო და შეეხო თუ არა, დედამისის ხელჩანთა გაახსენდა, ასე ძალიან რომ უყვარდა. ტილოს ჭიქური ოქროქსოვილი ბადესავით მოსდებოდა.

– საინტერესოა, ის ხელჩანთა სად გაქრა? – იკითხა უცებ ნიუტმა.

– ისიც საკითხავია, სხვა ბევრ რამესაც რა ბედი ეწია... – დარდიანად ჩაილაპარაკა გარდასულ დროში დაბრუნებულმა ენჯელამ.

რაც შეეხება ვითომდა ნამცხვრის ჭიქურით მოსვრილ ტილოს, ნიუტმა ის ძაღლს გაუწოდა ასალოკად, იმანაც ატლიკა და ადგილზევე გაქვავდა. ამ ამბის სათქმელად ნიუტი მაშინვე მამასთან გავარდა, მაგრამ ისიც ერთიანად გახევებულ-გაქვავებული დაუხვდა სავარძელში.

IIЗ
ისტორია

როგორც იქნა, „პაპა“ მონზანოს საძინებლის დალაგებას მოვრჩით, ოღონდ ცხედრები ჯერ კიდევ კოცონზე დასაწვავი გვქონდა. როგორც გადავწყვიტეთ, ეს ცერემონია დიდის ამბით უნდა ჩატარებულიყო, ამიტომ იქამდე გადავდეთ, ვიდრე დემოკრატიისათვის თავდადებული ასი მარტვილის პატივსაცემად გამართული ღონისძიებები არ დასრულდებოდა.

სულ ბოლოს ფონ კონიგსვალდის გვამი მივაყუდეთ კედელს, რათა ის ადგილიც მოგვესუფთავებინა, სადაც მანამდე იწვა; მერე კი, ასევე აყუდებული, „პაპა“ მონზანოს ტანსაცმლის კარადაში შევმალეთ.

დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რატომ მოვიქეცით ასე – ალბათ საერთო სურათის როგორღაც შესამსუბუქებლად.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ გაიყვეს ფრენკმა, ნიუტმა და ენჯელამ შობის წინადღეს ყინულ-9-ის მსოფლიო მარაგი, აქ სამივეს, რატომღაც, ენა დაებორკა. ვერც ერთს ვერ გაეხსენებინა და ვერც ვერაფრით დაესაბუთებინა, როგორ და რატომ მიითვისეს ეს ნივთიერება. რაზე არ ილაპარაკეს: თავად

ყინულ-9-ის შემადგენლობაზე, მამის ხუმრობებზე... თუმცა საკუთარი საქციელის ზნეობრივ მხარეზე არც ერთს კრინტი არ დაუძრავს.

– მაინც, რომელმა გაყავით? – ჩავეძიე, მაგრამ სამივე ისეთი მონდომებით აბუნდოვანებდა წარსულის ამ მონაკვეთს, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდი.

– არა მგონია, ნიუტი ყოფილიყო... – როგორც იქნა, ამოღერღა ენჯელამ. – ამაში დარწმუნებულიც კი ვარ.

– ესე იგი, ან შენ გაყავი, ან მე, – ჩაილაპარაკა ფრენკმა.

– სამზარეულოდან შენ მოიტანე შუშის სამი ქილა, – გაიხსენა ენჯელამ. – ის სამი პატარა თერმოსი მხოლოდ მეორე დღეს შევიძინეთ.

– ეგ მართალია, – დაეთანხმა ფრენკი. – მერე შენ საყინულე მაშა აიღე და ეს ყინული-9 ჯამში ჩაამტვრიე.

– კი, ეგრე იყო, – თქვა ენჯელამ. – მერე ვიღაცამ სააბაზანოდან პინცეტიც მოიტანა.

– ეგ მე ვიყავი, – პანია ხელი ასწია ნიუტმა.

ენჯელა და ფრენკი ჯერაც გაკვირვებას იყვნენ, რა გამჭრიახობა გამოეჩინა ციცქნა ნიუტს.

– ნამტვრევებს პინცეტით ვიღებდი და შუშის ქილებში ვაბინავებდი, – იხსენებდა ნიუტი და სულაც არ ცდილობდა, ოდნავ მაინც დაემალა ამ ყველაფრით გამოწვეული სიამაყის გრძნობა.

– იმ ძაღლს რაღა უყავით? – ვიკითხე რაღაც უნიათოდ.

– ბუხარში დავწვით, – მიპასუხა ფრენკმა. – სხვა რა უნდა გვექნა?!

„ისტორია, – წერს ბოკონონი, – სულ ქვითინ-ქვითინით საკითხავი რამაა!“

II4

„როცა გულში ტყვია დამეძგერა...“

ბოკლედ, კიდევ ერთხელ ავუყევი ახლა უკვე ჩემი კოშკის ხვეულ კიბეს, კიდევ ერთხელ მივედი აწ უკვე ჩემი ციხე-სიმაგრის ყველაზე მაღალ ქონგურთან და კიდევ ერთხელ გადავხედე ჩემ სტუმრებს, ჩემს მსახურებს, ჩემს კლდეებს და ჩემსავე მარად თბილ ზღვას...

ჰონიკერებიც თან მახლდნენ. „პაპა“ მონზანოს ოთახის კარი საგულდაგულოდ ჩავკეტეთ და მოსამსახურეებს შორისაც დავაგდეთ სიტყვა: ავადმყოფი ბევრად უკეთ გრძნობს თავსო.

ჯარისკაცები შეშას ალაგებდნენ კაუჭის შორიახლოს, ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რისთვის ირჯებოდნენ.

იმ დღეს ბევრი, ძალიან ბევრი საიდუმლო დაგროვდა.

და ბევრი საქმეცა და საკეთებელიც.

ვიფიქრე, დროა საზეიმო ღონისძიებები დავიწყოთ-მეთქი და ფრენკს დავავალე, მისი აღმატებულებისთვის, ელჩ ჰორლიკ მინტონისათვის მიეცა სიტყვა.

მინტონი ზღვისკენ გამავალი ღია აივნის კიდეს მიუახლოვდა; ის გვირგვინიანი ყუთი ჯერაც ხელში ეჭირა. მარ-

თლაც გამაოგნებელი სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიისათვის თავდადებული ასი მარტვილის პატივსაცემად. აქო და ადიდა დაღუპულები, მათი ქვეყანა და მათ მიერ სამშობლოსთვის გაღებული მსხვერპლი. თან „დემოკრატიისათვის თავდადებულ ას მარტვილს“ – ამ სიტყვებს კუნძულის დიალექტზე წარმოთქვამდა ჯიუტად. ეს ისე იოლად და ძალდაუტანებლად გამოსდიოდა, თითქოს მშობლიურ ენაზე მეტყველებსო.

დანარჩენ სათქმელს უკვე ჩვეული, ამერიკული ინგლისურით ამბობდა.

ტექსტი წინასწარ ჰქონდა ქაღალდზე დაწერილი და ვიფიქრე, რაღაც ფუყე და არაფრისმთქმელი ექნება გამზადებული-მეთქი, მაგრამ როცა ელჩმა ნახა, რა ცოტა მსმენელი ეყოლებოდა, თან უმეტესად მისივე თანამემამულენი, სავალდებულო მიეთ-მოეთს თავი დაანება.

– ძალიან არადიპლომატიურად უნდა მოვიქცე, – თქვა მან. შეთხელებულ თმას ზღვიდან მონაბერი სიო უფრიალებდა. – მინდა, ის გაგიზიაროთ, რასაც სინამდვილეში განვიცდი.

იქნებ მინტონმა ზედმეტად ბევრი აცეტონი შეისუნთქა, ან იქნებ გული უგრძნობდა, რა მოელოდა მალე ყველას, ჩემ გარდა... ასეა თუ ისე, მართლაც იშვიათად ბოკონონისებური სიტყვა კი დააქუხა:

– მეგობრებო, ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, პატივი მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას, ჩვენს დახოცილ შვილებს, ვინც ომმა შეიწირა... მსგავს შემთხვევებში მათ კაცებად მოიხსენიებენ ხოლმე, მაგრამ მე არ შემიძლია იგივე გავიმეორო უბრალო მიზეზის გამო: ამავე ომში მეც დავკარგე შვილი.

ჩემი სული ჯიუტად ითხოვს, სწორედ ბავშვი ვიგლოვო და არა – მოწიფული კაცი.

იმას არ ვამბობ, ჩვენი შვილები ომში ვაჟკაცებივით არ იღუპებიან-მეთქი, თუკი განგება მათ სიკვდილს ინებებს. პირიქით, მათი სახელის სამარადისოდ სადიდებლად და ჩვენს მარადიულ სირცხვილად, სწორედ ასე ხდება ხოლმე, რითაც იკვებება კიდეც, ზოგადად, ჩვენი პატრიოტული აღტკინებანი.

ამის მიუხედავად, ისინი მაინც დახოცილ ბავშვებად რჩებიან.

ამიტომაც გთავაზობთ, თუკი გულწრფელად გვსურს, პატივი მივაგოთ სან-ლორენცოს ას დაღუპულ შვილს, სჯობს, დღევანდელი დღე იმის დასაგმობად გამოვიყენოთ, რასაც ისინი შეეწირნენ – კაცობრიობის სიბრიყვესა და ბიწიერებას.

ეგებ დღეს ტანთ უნდა შემოვიძარცვოთ, თავზე ნაცარი დავიყაროთ, მუხლი მოვიყაროთ და ვილოცოთ – საკუთარი თუ სხვათა ცოდვების შენდობა ვითხოვოთ? ეგებ ეს უფრო მართებული გამოდგეს, ვიდრე კაზმულსიტყვაობა თუ ახლადგაპოხილ ქვემეხებთან ბაირაღების ფრიალი?

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს უმადური ვიყო და ვერ ვაფასებდე იმ უზადო სამხედრო სანახაობას, რომელიც ცოტა ხანში გველოდება – ეჭვი არაა, სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი იქნება...

მინტონმა თითოეულს რიგრიგობით გაგვიყარა თვალი თვალში და მერე უფრო მშვიდი ხმით წარმოთქვა:

– ვაშა და დიდება ამგვარ თვალსასეირო სანახაობებს!

აი, მერე კი მართლა დაგვჭირდა სმენის დაძაბვა მისი მომდევნო სიტყვების გასაგონად:

– მაგრამ თუკი დღეს მართლაც ომში დაღუპულ ას ბავშვს მივაგებთ პატივს, განა სანახაობებისთვის უნდა გვეცალოს?! ამ კითხვის პასუხი ერთი პირობით იქნებოდა დადებითი: თუკი ჩვენ, მოზეიმენი, მიზანმიმართულად ვიზრუ-

ნებდით, რომ კაცთა მოდგმის სიბრიყვე და სიბილწე ცოტათი მაინც დაგვეძლია.

დასწვდა და იმ თავისი უცნაური ყუთის საკეტები გაატკაცუნა.

– ნახეთ, რა მოგიტანეთ! – გადმოგვძახა.

მერე ყუთი გახსნა და ყველამ დავინახეთ მისი ალისფერი სარჩული და გვირგვინი, რომელიც ოქროსფერი მავთულისაგან დაეწნათ, ზედ კი დაფნის ხელოვნური ფოთლები მიემაგრებინათ.

გვირგვინზე თეთრი აბრეშუმის ბაფთაც ებნია, წარწერით: PRO PATRIA!*

მინტონმა ახლა ედგარ ლი მასტერსის ლექსის კითხვა დაიწყო მისი „სპუნ-რივერის ანთოლოგიიდან“. ეს ლექსი არც იქ დამსწრე სანლორენცოელების, არც ცოლ-ქმარი ქროსბისა და, საქმე საქმეზე თუ მიდგა, არც ენჯელასა და არც ფრენკის გუნება-განწყობას არ ეხამებოდა:

როცა გულში ტყვია დამეძგერა,
კი ვიფიქრე, ვმჯდარიყავი სახლში...
ციხეც სჯობდა ღორის მოპარვისათვის –
გაქცევას და მოხალისედ წასვლას!
ვმჯდარიყავი ვირის აბანოში,
რა მინდოდა ამ დაწყევლილ ჯარში...
ვწევარ ახლა ანგელოზის ფრთებქვეშ,
გულზე მადევს გაუთლელი ლოდი:
„pro patria“ – ზედ კი წააწერეს,
ოღონდ რისთვის? ნეტა მითხრას ვინმემ...

* სამშობლოსთვის (ლათინ.).

– და მართლაც, რისთვის? – ხმას აუწია ელჩმა ჰორლიკ მინტონმა. – რისთვის და, სამშობლოსათვის, ნებისმიერი ჩვენგანის სამშობლოსათვის... *ნებისმიერი* სამშობლოსათვის.

ეს გვირგვინიც ერთი ქვეყნის ხალხის საჩუქარია მეორე ქვეყნის ხალხისათვის. ქვეყნებს მნიშვნელობა არა აქვს – მოდით, ხალხზე ვიფიქროთ...

ვიფიქროთ ომში დაღუპულ ბავშვებზე, რომელი ქვეყნის შვილებიც უნდა იყვნენ ისინი.

ვიფიქროთ მშვიდობაზე.

ვიფიქროთ მოყვასის სიყვარულზე.

ვიფიქროთ კეთილდღეობაზე.

წარმოვიდგინოთ, რა სამოთხე გაჩნდებოდა დედამიწაზე, თუკი ადამიანები სიკეთისა და გონიერების გზას აირჩევდნენ.

და მაინც, ჩვენი სიბრიყვისა და სიბილწის მიუხედავად, დღევანდელი დღე მშვენიერია, მთელი ჩემი გულით და ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისმოყვარე ხალხის სახელით, ძალიან ვწუხვარ, რომ დემოკრატიისათვის თავდადებული ის ასი მარტვილი სწორედ ამ დღეს აღესრულა...

ეს თქვა ელჩმა და გვირგვინი ზღვაში მოისროლა.

უცებ ჰაერში რაღაც ზუზუნი გაისმა: სან-ლორენცოს სამხედრო-საჰაერო ძალების ექვსი თვითმფრინავი მარად თბილი ზღვის მხრიდან გვიახლოვდებოდა.

სადაც იყო, ცეცხლს გაუხსნიდნენ იმათ, ვინც ლოუ ქროსბიმ თავისუფლების დაუძინებელ მტრებად მონათლა.

II5
მოხდა ისე...

სანახაობის საცქერლად ყველამ ზღვის მხარეს გამავალ პარაპეტს მივაშურეთ. თვითმფრინავები ჯერ მხოლოდ შავ წერტილებად მოჩანდა და იმითღა გავარჩიე, ერთ-ერთ მათგანს კვამლის ზოლი რომ მოსდევდა. თავიდან ესეც სანახაობის ნაწილი გვეგონა.

ლოუ ქროსბის გვერდით ვიდექი, რომელსაც პირი არ გაუჩერებია – ალბატროსის ხორცს მადიანად შეექცეოდა და ადგილობრივი წარმოების რომს აყოლებდა. ტუჩები ქონისაგან უბზინავდა, სუნთქვა კი აცეტონით უქოთდა. მის შემხედვარეს ისევ მომეძალა გულისრევა.

ავდექი და ხმელეთის მხარეს გამავალი პარაპეტისკენ გავემართე, თან ხარბად ვისუნთქავდი ჰაერს. მე და დანარჩენებს ახლა უკვე ქვით მოკირწყლული განიერი ზოლი გვყოფდა.

უცებ ერთ-ერთი თვითმფრინავი – სწორედ ის, კვამლისკუდიანი – ამოტრიალდა და ცეცხლის ალი მოედო. მერე თვალს მიეფარა და სადღაც ქვემოთ, კლდეს მიასკდა. გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა.

დანარჩენმა თვითმფრინავებმა მკვეთრად აიღეს სიმაღლე და მალე მათი ხმიანობა კოღოს წუილადღა მოისმოდა.

მერე კი კლდე შეზანზარდა და „პაპა“ მონზანოს სასახლის ერთ-ერთი, უკვე საყრდენგამოცლილი კოშკი ზღვაში ჩაინთქა.

ბაქანზე შეკრებილი ხალხი გაოგნებული მისჩერებოდა გამოცარიელებულ სივრცეს, სადაც წამის წინ კოშკი ასვეტილიყო. მალე ისევ გაისმა ნგრევის ხმა: სხვადასხვა ზომის ლოდები ადგილს სწყდებოდა და ოხვრა-გოდებით ინთქმებოდა უფსკრულში.

ჩემგან სამიოდე ნაბიჯში ბაქანი თითქოს ელვამ გადასერა, უეცრად გაჩენილმა ნაპრალმა კი დანარჩენებისაგან გამაცალკევა.

ციხე-დარბაზი კვნესოდა და გმინავდა.

ხალხმა საბედისწერო საფრთხე გაიაზრა – სადაც იყო, მათაც გამოეცლებოდათ ფეხქვეშ საყრდენი, ისინიც ამ ქვათაცვენას გადაჰყვებოდნენ უფსკრულში. მართალია, ნაპრალი მხოლოდ ერთი ფუტის სიგანისა იყო, მაგრამ დაფეთებულები თავპირისმტვრევით ახტებოდნენ ზედ.

მხოლოდ ჩემმა ღვთაებრივმა მონამ, ერთი მსუბუქი მოძრაობით, მშვიდად გადმოაბიჯა...

ნაპრალმა პირი შეიკრა, მერე კი უწინდელზე ფართოდ დააღო. მეორე მხარეს ახლა მხოლოდ ლოუ ქროსბი, მისი ჰეიზელი, ელჩი ჰორლიკ მინტონი და მისი მეუღლე კლერი რჩებოდნენ.

მე, ფრენკი და ფილიპ კასლი მათ გადარჩენას შევეცადეთ, ნაპრალის კიდეს მივადექით და ჯერ ქროსბებს მივეხმარეთ, მერე კი ვედრებით გავუწოდეთ ხელები ცოლ-ქმარ მინტონს.

ორივეს არაფრისმთქმელი გამომეტყველება ედო სახეზე. მხოლოდ თუ ივარაუდებდით, რა უტრიალებდათ თავში იმ-

წამს. ალბათ თავის ღირსეულად დაჭერაზე თუ ფიქრობდნენ: შიშისა და ზაფრის გამოხატვა მათთვის შეუფერებელი გახლდათ, ისევე, როგორც, ვთქვათ, თვითმკვლელობაზე ფიქრი. ოღონდ ეს უკვე მათი ნება აღარ იყო – ბაქნის დარჩენილი ნაწილი ახალაგებული ხომალდივით ჩაეშვა ზღვაში.

მოგზაურობის მოყვარულ მინტონებს თითქოს ამავე შედარებამ გაუელვათ თავში – ხელის დაქნევით დაგვემშვიდობნენ; მერე კი ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელები და სახით ზღვისკენ შებრუნდნენ.

და აი ასე, ხელიხელჩაკიდებულნი ჩაინთქნენ მარად თბილი ზღვის ტალღებში...

IIბ

ტყლუმპ!

სასიკვდილო ბზარი ახლა სულ რაღაც ორიოდ გოჯის მანძილზე იყო ჩემგან. ქვემოთ ჩავიხედე. ზღვას ყველაფერი ჩაეყლაპა. წყლისკენ მტვრის ზანტი ფარდა მიტორტმანებდა – ნგრევა-განადგურების ერთადერთი კვალი.

თავად სასახლე კი უკბილო კეთროვანივით იღმიჭებოდა, რაკი ზღვისკენ მიქცეული ფასადი-ნიღაბი მთლად ჩამოხსნოდა. მისი უშნოდ დაფჩენილი პირის ღრუდან საყრდენი ბოძებისა და კოჭების გადანამტვრევები ამოჩრილიყო.

ზუსტად ჩემ ქვემოთ ჭერგადახდილი მოზრდილი დარბაზი მოჩანდა. მისი საყრდენგამოცლილი იატაკი სიცარიელეში გადაკიდებულიყო. წამით ფიქრმაც კი გამიელვა, ხომ არ ჩავხტე ამ იატაკზე, ტრამპლინად გამოვიყენო, მერე ვიშვირო ფეხი და კარგი წყალში მხტომელივით, მარადისობაში გადავეშვა-მეთქი...

ამ ფიქრებიდან ჩიტის სტვენამ გამომარკვია: თითქოს იმისთვის დამტრიალებდა თავს, მაინცდამაინც ჩემგან გაეგო, რა მომხდარიყო და რატომ.

რამდენადაც შეგვეძლო, შემზარავად პიდრაფჩენილი უფსკრულის კიდეს მოვშორდით. როცა მეც მოვინაცვლე ფეხი, ტერფქვეშ ქვა შემიტორტმანდა, ადგილს მოწყდა, ქვემოთ

მოადინა ბრაგვანი და ჰაერში უსაყრდენოდ გამოკიდებული იატაკი შეაქანა. ამ ბიძგმა, თავისთავად, იქ შემორჩენილ ნივთებსაც უცვალა ადგილი: სულ პირველად პაწია ბორბლებზე შეყენებული ქსილოფონი გამოგორდა საიდანღაც; მერე მას მომცრო მაგიდა და მის კვალში ჩამდგარი, გადაყირავებული სკამები მოჰყვნენ, რომლებსაც, ვეება გველივით, შლანგწამოცმული ავტოგენი მოსდევდა.

მერე კი იმავე ოთახის სიღრმეში რაღაც დიდი და მყარი შეირხა, აშკარად საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ნელ-ნელა, წვალებ-წვალებით დაიძრა და ბოლოს თავისი მოოქროვილი ცხვირიც გამოაჩინა. ეს სწორედ ის ნავი-სარეცელი გახლდათ, რომელზეც მკვდარი „პაპა“ ესვენა.

მძიმე-მძიმედ მიადგა კიდეს, ზედ გადაეკიდა და მერე სულ ტრიალ-ტრიალით წავიდა ქვევით.

„პაპა“ თავისი საწოლიდან გადმოვარდა – ახლა ის ცალკე მიფრინავდა წყლისკენ.

თვალები დავხუჭე.

სულ მალე კი ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ცასავით უკიდეგანო კარიბჭე უხმაუროდ დაიხშოო. თითქოს ვიღაცამ ფრთხილად მიხურა ზეცის კარი.

ერთი ესღა გაისმა: *ტყლუმპ!*

თვალი გავახილე. მთელი ზღვა ყინულ-9-ად ქცეულიყო.

ზურმუხტისფერი მიწა ახლა მოთეთრო-მოცისფრო მარგალიტს წააგავდა.

ცა დაბნელდა.

მზე-*ბორასისი* პატარა, ბოროტად მბჟუტავ, ყვითელ ბურთად ეკიდა ზემოთ.

ცისკიდურზე შავი, ჩამოგრძელებული მატლები დაიკლაკნენ და ქარბორბალებად დაბზრიალდნენ.

117
თავშესაფარი

ცას ავხედე, სადაც წეღან ჩიტი დაფრინავდა. ახლა, ზედ ჩემს თავს ზემოთ, ვეება მატლს დაეფჩინა იისფერი ხახა. ფუტკრების გუნდივით ბზუოდა, აქეთ-იქით იკლაკნებოდა და ჰაერს ნთქავდა.

დავიფანტეთ, კოშკის გადარჩენილ მხარეს ვეცით და კიბეზე ჩავრიხინდით. ცოლ-ქმარ ქროსბის გარდა, ყველა ერთნაირად დამუნჯებულიყო – მარტო ისინი გაჰყვიროდნენ მთელი ხმით, ამერიკელები ვართ, ამერიკელებიო, თითქოსდა ქარბორბალას ოდნავ მაინც აღელვებდა, რომელ ჯიშსა თუ მოდგმას მიეკუთვნებოდა მისი მსხვერპლი.

ხედვით ვერ ვხედავდი, რადგან ცოლ-ქმარი სხვა კიბით დაშვებულიყო ქვემოთ. იმათი ყვირილიცა და სხვების დაძაბული ქშენაც ერთ-ერთი დერეფნიდან აღწევდა ჩემამდე, გვერდში კი მხოლოდ ჩემი ძვირფასი მონა მომდევდა, ხმისამოუღებლად.

უცებ წავიფორხილე და სწორედ მაშინ გამასწრო – „პაპა“ მონზანოს საძინებლის კარი შეაღო. იქ აღარც კედლები ჩანდა და აღარც ჭერი, ქვის იატაკი კი მთლად ხელუხლებლად

დარჩენილიყო. მის შუაგულში საიდუმლო თავშესაფარში ჩასასვლელს დაელო პირი. ცა უკვე ავისმომასწავებელ მატლებს აევსო – ჩვენი შთანთქმის ჟინით შეპყრობილები მოლურჯო ნათებას აფრქვევდნენ. ფიქრის დრო აღარ იყო – თავისთვის უნდა გვეშველა.

რკინის სალტეებით გამაგრებულ საფეხურებს ჩავუყევით სიბნელისაკენ. თურმე ნუ იტყვით და, ამ მიწისქვეშეთში „პაპა“ მონზანოს თავის დროზე მყუდრო თავშესაფარი მოეწყო. ვენტილაციის საკითხიც მოეგვარებინა და ერთ-ერთ კედელში წყლით სავსე დიდი ავზიც ჩაეტანებინა. წყალი მტკნარი იყო და გემრიელი, ჯერ ყინულ-9-ის სუსხი არ შეხებოდა. იქვე დაგვხვდა ბიოტუალეტიც, რადიომიმღებიცა და ათასგვარი დელიკატესიც. სასმელიც ბლომად იყო და სანთლების მარაგიც. თაროებზე ოცი წლის განმავლობაში ნაგროვები „ნეშენელ ჯიოგრეფიკის“ ნომრები ელაგა, მათ გვერდით კი – ბოკონონის წიგნების კრებული...

გამოქვაბულში ორი საწოლი იდგა.

სანთელი ავანთე. მერე ქათმის დაკონსერვებული წვნიანის ქილა გავხსენი და სპირტქურაზე შემოვდგი შესათბობად. ბოლოს კი იამაიკური რომიც ჩამოვასხი ორ ჭიქაში.

ერთ საწოლზე მონა ჩამოჯდა, მეორეზე – მე.

– ახლა ისეთ რამეს გეტყვი, რაც ჩემამდე არაერთხელ უთქვამს მამაკაცს ქალისათვის, – ვუთხარი მას. – თუმცა არა მგონია, ადრე ამ სიტყვებს ისეთივე წონა ჰქონოდა, როგორიც ახლა...

– რატომ ვითომ?

მკლავები გავშალე.

– სულ მარტო დავრჩით.

II8

რკინის პატარძალი და ქვის ტომარა

ბოკონონის წიგნების მეექვსე წიგნი ტკივილს ეძღვნება, კერძოდ კი – ადამიანის მიერ ადამიანის წამებას. „თუკი ოდესმე კაუჭზე ჩამომაგეს სიკვდილმისჯილი, – წინდაწინვე გვაფრთხილებს ბოკონონი, – იცოდეთ, მეც ჩვეულებრივი მოკვდავივით მოვიქცევი!“

მერე იქვე წამების ათასგვარ საშუალებასაც ახსენებს: *ესპანურ ჩექმას, გახურებულ მაშას, რკინის პატარძალსა* თუ *ქვის ტომარას...*

ნებისმიერ შეთხვევაში,
ხორცი დაგედაგება –
მხოლოდ ქვის ტომარაში
აზრი დაგებადება!

მოკლედ, ქვის სტომაქში მე და მონა მარტო აღმოვჩნდით და, სხვა თუ არაფერი, ფიქრი ნამდვილად შეგვეძლო. ერთი აზრი მართლა ამომიტივტივდა გონებაში: ამგვარ ხა-

როში, რაც უნდა მოხერხებულად მოეწყო, მაინც ჯურღმულის ტყვე ხარ.

პირველი დღე-ღამე მიწის ქვეშ ისე გავატარეთ, ქარბორბალა წამდაუწუმ გადაუვლიდა ხოლმე ჩვენს თავშესაფარს და ერთიანად აზანზარებდა. მერე წნევა უცებ დაიკლებდა, ყურებში შხუილი ჩაგვიდგებოდა და თავიც ზარივით გვიწყებდა რეკვას.

რადიომიმღები არაფერში გამოგვადგა – ტკაცუნობდა, შიშინებდა და არაფერი ხეირი არ გვადგა იმისაგან. ერთი მოკლე ტალღიდან მეორეზე გადავდიოდით, მაგრამ არათუ სიტყვა, ერთი რადიოსიგნალიც კი ვერსად დავიჭირეთ. თუკი სიცოცხლე სადმე კიდევ არსებობდა, რადიომაუწყებლობისთვის ნამდვილად არავის ეცალა.

ასეა დადუმებული სამყარო დღევანდელ დღემდე.

მე, პირადად, ასე დავასკვენი: ქარბორბალამ ყინულ-9-ის მომწამვლელი, მოცისფრო-მოთეთრო თრთვილი ყველგან მიმოაბნია და მიწის ზემოთ ყველა და ყველაფერი სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯა... თუკი რამ ჯერაც ცოცხლობდა, ძალიან მალე მოკვდებოდა წყურვილისაგან, შიმშილისაგან, სასოწარკვეთისა თუ უძლურებისაგან.

ისევ ბოკონონის წიგნებს მივუბრუნდი. ჯერაც იმდენად ცუდად ვიცნობდი მათ შინაარსს, ვიმედოვნებდი, რომ სიტყვას მაინც ვიპოვიდი სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად და პირველი წიგნის თავფურცელზე გამოტანილ ამ გაფრთხილებას ყურიც არ ვათხოვე:

„არ მიჰქარო! საჩქაროდ დახურე ეს წიგნი – შიგ *ფოომას* მეტს ვერც ვერაფერს ნახავ!“

ფოომა, ხომ გახსოვთ, ბრტყელ-ბრტყელ ტყუილს ნიშნავს.

მერე კი, აი, რა წავიკითხე:

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ხმელი და საკუთარ კოსმიურ სიმარტოვეში დავანებულმა ზემოდან გადმოხედა.

და თქუა უფალმა: „მოდი, თიხისაგან ცოცხალ არსებებს მოვზელ, რათა თიხამაც იხილოს, რაიც შეგვიქმნია“.

და შექმნა უფალმან ყოველი არსი, რაიც დღემდის სულდგმულობს, მათ შორის – ერთი კაციც. კაცად ქცეული თიხა ერთადერთია, რაიც მეტყველებს. კაცად ქცეული თიხა რომ წამოჯდა, მიმოიხედა და ალაპარაკდა, უფალი მისკენ გადმოიხარა; და ჰკითხა კაცმა:

– რისთვისაა ესე ყოველი?

– განა ყველაფერს მიზეზი უნდა? – კითხვა შეუბრუნა ღმერთმა.

– რა თქმა უნდა! – თავი გამოიდო კაცმა.

– მაშინ შენთვისვე მომინდვია ამ ყველაფრის მიზეზის პოვნა... – უთხრა ღმერთმა და განერიდა“.

დიდ სისულელედ მომეჩვენა ეს ყველაფერი.

„ცხადია, ეს ყველაფერი სისულელეა“, – ამბობს ბოკონონი.

ამიტომაც, ჩემს ღვთაებრივ სატრფოს დავუბრუნდი – ბევრად უფრო სიღრმისეულ საიდუმლოთა შესაცნობად...

ვიდრე საწოლებს შორის მოქცეულ სივრცეს ფეხაკრეფით გავივლიდი, გავიფიქრე, მის მომაჯადოებელ თვალებში უთუოდ ევას ხნის იდუმალება თვლემს-მეთქი.

უკვე ამის შემდგომი სექსის ეპიზოდის სიმწარეზე სიტ-ყვას აღარ გავაგრძელებ: მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ ჩემი გზნება უპასუხოდ დარჩა.

მონას სულაც არ ადარდებდა ამქვეყნად სიცოცხლის გაგ-რძელებაზე ზრუნვა – ამის წარმოდგენაც კი ზარავდა.

როცა კბილებდაღრჭენილი საკუთარ ლოგინს დავუბრუნ-დი, მაშინღა გამკრა თავში, ეგებ მართლა არ იცის, წარმოდ-გენაც კი არა აქვს, რას ნიშნავს მამაკაცისა და ქალის ხორ-ციელი სიახლოვე-მეთქი!

მაგრამ უცებ მისი მშვიდი, შემრიგებლური ხმა მომესმა:

– განა ახლა ჩვილის გაჩენის დროა?

– ალბათ არა, – დავეთანხმე უხალისოდ.

– ისე, იქნებ აზრზეც არა ხარ, სწორედ ამნაირად რომ ჩნდებიან პაწიები...?

II9
მონა მადლობას მეუბნება

„დღეს მე ბულგარეთის განათლების მინისტრი ვიქნები, – გვეუბნება ბოკონონი, – ხვალ კი – ტროას დამაქცევარი მშვენიერი ელენე“. მისი აზრების მდინარება სრულიად მკაფიოა: ნებისმიერი ჩვენგანი, კაცი თუ ქალი, ის უნდა იყოს, ვინც არის. სწორედ ამაზე ვფიქრობდი მეტწილად იმ ჩემს ქვის ხაროში – ცხადია, ბოკონონის წიგნების წყალობით.

ბოკონონმავე ამიყოლია ამის სამღერად:

ასე თუ ისე, ავად თუ კარგად,
ჩვენს საკეთებელს ვაკეთებთ სულ;
ასე ყოფილა, ასე იქნება
ვიდრე ხორცი გაეყრება სულს...

ეს სიტყვები ნაცნობ ჰანგზე გავმართე და ჩუმ-ჩუმად ვღიღინებდი ჩემთვის, ვიდრე იმ რკინის მარაოს ასამუშავებელ სახელურს ვატრიალებდი, რომლის წყალობითაც ჩვენს თავშესაფარში სუფთა ჰაერი შემოდიოდა.

– ადამიანი ჟანგბადს ჩაისუნთქავს და ნახშირორჟანგს ამოისუნთქავს, – გავძახე მონას.

– რაო?

– ეს მეცნიერებაა!

– ოჰ!

– სიცოცხლის ამ საიდუმლოს ჩასაწვდომად ადამიანს კარგა ხანი დასჭირდა: ერთის ამონასუნთქს მეორე ჩაისუნთქავს და პირუკუ.

– არ ვიცოდი...

– ახლა გეცოდინება.

– მადლობა.

– არაფერს.

როცა ამ საქმეს მოვათავებდი და ჩვენს თავშესაფარს სუფთა, კამკამა ჰაერით გამოვავსებდი, მერე კიბეს ავუყვებოდი ხოლმე და ვზვერავდი, როგორი ამინდი იდგა გარეთ. დღეში რამდენიმეჯერ ვიქცეოდი ასე. იმ ჯერზე, ჩვენი განმარტოების მეოთხე დღეს, ქარი თითქოს ჩადგა და ბუნებაც მეტ-ნაკლებად დაწყნარდა. ოღონდ ეს სიწყნარე მხოლოდ შედარებითი გახლდათ: ქარბორბალა-მატლების რიცხვი ისევ უთვალავი ჩანდა, თუმცა ახლა უკვე მაღლა-მაღლა ტრიალებდნენ და დედამიწას უწინდელივით ბოროტად აღარ ეტანებოდნენ დასაკბენად. თავად სან-ლორენცო კი თითქოს რაღაც გრიგალგაუმტარი შუშის ხუფქვეშ მოქცეულიყო.

კიდევ სამი დღე მოვიცადეთ, დავრწმუნდით, რომ ქარბორბალები ჩვენამდე ვეღარ აღწევდნენ, ავზის წყლით მათარები ავავსეთ და გარეთ გამოსვლაც გავბედეთ.

ზემოთ ცხელი და სრულიად უძრავი ჰაერი დაგვხვდა. სადღაც გამიგონია, ზომიერ სარტყელში წელიწადის ოთხი

კი არა, ექვსი დრო უნდა იყოსო: ზაფხული, შემოდგომა, მიძინების დრო, ზამთარი, გამოღვიძების დრო და გაზაფხული.

სწორედ ეს გამახსენდა, როცა ჩვენი ქვის ხაროდან თავი ამოვყავით. მიმოვიხედე, მივაყურადე და იქაურობა ხარბად დავყნოსე. ვერავითარი სუნი ვერ შევიგრძენი. მიდამოც ერთიანად გახევებულიყო. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ფეხქვეშ მოცისფრო-მოთეთრო თრთვილი ხრაშუნებდა და ყოველი ჩქამი ხმამაღალ ექოდ გვიბრუნდებოდა. მიძინების დრო გასრულებულიყო. დედამიწას ზამთრის მარწუხები სამარადისოდ შემოჭდობოდა.

მონას ამოსვლაში მივეხმარე. გავაფრთხილე, ხელი თრთვილზე არ მოგიხვდეს და მერე პირთან არ მიიტანო-მეთქი.

– სიკვდილი ჯერ არასოდეს ყოფილა ასე იოლი, – ვუთხარი. – საკმარისია, მიწას შეეხო, მერე თითი ტუჩთან მიიტანო და მორჩა!

თავი გადააქნია, ამოიოხრა.

– უვარგისი დედა, – თქვა.

– რაო?

– ჩვენი დედამიწა... დედობას ვეღარ გვიწევს.

– ჰეი! ეჰეი! – შევძახე ციხე-დარბაზის ნანგრევებს. მსახვრალ ქარს ქვის ვეება კედლები ერთიანად გამოეხრა და დაეღარა. მე და მონამ, ვალის მოსახდელად, უგულოდ დავიწყეთ გადარჩენილთა ძებნა. სიცოცხლის ნიშანწყალი არსად და არაფერში იგრძნობოდა. თუნდაც ერთი ტუჩებცმაცუნა და ცხვირქსუტუნა ვირთხაც კი ვერ გაჰქცეოდა განსაცდელს.

კაცის ხელით შექმნილთაგან, ძველი სახით, მხოლოდ სასახლის მორკალური ჭიშკარი გადარჩენილიყო. ჩვენც იქითკენ გავემართეთ. ჭიშკარს თეთრი საღებავით ეწერა ბოკონონის ერთ-ერთი *კალიფსო*. ასოები საგულდაგულოდ გამოეყვანათ

და საღებავიც ჯერ ბოლომდე არ გამშრალიყო. ეჭვი არაა, გრიგალს და დელგმას ვიღაც სხვაც გადარჩენოდა.

კალიფსო კი, აი, ამგვარი გახლდათ:

ეს შეშლილი სამყარო,
ერთ დღეს წერილს წაიღებს
და ჩვენთვის მობარებულს
ღმერთი უკან წაიღებს.
თუ უფლის სამდურავად
სითამამე გვეყოფა,
ჩვენი გაწიწმატება
სიცილად არ ეყოფა.

120

ყველას, ვისაც კი ეს ეხება

ერთხელ საბავშვო კრებულის, „ცოდნის წიგნის“ რეკლამას გადავაწყდი შემთხვევით. პატარა ბიჭი და გოგო მამას შესცინინებენ და ეკითხებიან: „მამი, მამი, რატომაა ცა ლურჯი?“ სავარაუდოდ, და-ძმის შეკითხვების პასუხი ბავშვებს სწორედ „ცოდნის წიგნში“ უნდა მოეძიათ.

ახლა, როცა მე და მონა სასახლიდან მიმავალ გზას მივუყვებოდით, გვერდით მამაჩემი რომ მყოლოდა, ალბათ ხელში ჩავაფრინდებოდი და კითხვას კითხვაზე დავაყრიდი: „მამი, რატომ გადატყდა ყველა ხე? მამი, რამ დახოცა ყველა ჩიტი? მამი, რატომაა ცა ასეთი მოქუფრული? მამი, ასე რამ გააქვავა ზღვა?“

თუმცა უცებ მივხვდი, რომ სწორედ მე შემეძლო ამ რთული შეკითხვების ყველაზე ზუსტი პასუხების პოვნა და არა ნებისმიერ გადარჩენილ ადამიანს. თუკი ვინმე ჩამეძიებოდა, შემეძლო ამეხსნა, რა, როდის და როგორ დადგა ყირაზე...

და რა მერე?!

მაშინ ისიც გავიფიქრე, ნეტა მკვდრები რა იქნენ-მეთქი.

მე და მონას უკვე ერთ მილზე მეტი გვქონდა გამოვლილი ჩვენი თავშესაფრიდან და ჯერ არც ერთი გვამისთვის შორიდანაც კი არ მოგვეკრა თვალი.

ცოცხლების ბედი ბევრად ნაკლებად მაინტერესებდა – ალბათ იმიტომ, რომ შინაგანი ხმა მკარნახობდა: უამრავი დახოცილის ნახვა მოგიწევსო. მაგრამ გინდაც ვინმე გადარჩენილიყო და სადმე კოცონი დაენთო, იმის ბოლს ვერც გავარჩევდი, ისე იყო მთელი ცისკიდური დაბინდული ქარბორბალა მატლებით.

მერე ჩემი მზერა ერთმა სანახაობამ მიიზიდა: მაკქეიბის მთის წვერი იისფრად შეფერადებულიყო და თითქოს თავისკენ მიხმობდა. მეც სულელურმა ჟინმა შემიპყრო – მონასთან ერთად იქ ავსულიყავი როგორმე, თუმცა არ ვიცი, რამ მიბიძგა ამისკენ.

უკვე მთის მისადგომებთან ხევ-ხუვებს მივუყვებოდით, როცა უცებ მონამ გზიდან გადაუხვია, პატარა ბექობს შეუყვა. წინააღმდეგობა არ გამიწევია, უკან მივყევი.

ბექობზე ასულს დავეწიე. მონა ჯიუტად თვალგაშტერებული დასცქეროდა ფართოდ პირდაფჩენილ, ბუნებრივად გაჩენილ ქვაბულს. ერთი ცრემლიც არ მოსდგომია თვალზე, არადა, ამაზე მეტი სატირალი რაღა გინდოდა: ქვაბულის ფსკერი ათასობით გვამს მოეფინა და ყოველ მათგანს ტუჩებზე ყინულ-9-ის მოთეთრო-მოცისფრო თრთვილი მოსდებოდა.

რამდენადაც გვამები უწესრიგოდ არ გახლდათ მიმობნეული, აშკარა იყო, რომ ეს ადამიანები აქ გრიგალის ჩადგომის შემდეგ მოგროვილიყვნენ. რაკი ყველას პირთან ჰქონდა თითი მიტანილი, მივხვდი, რომ თავი შეგნებულად მოეწამლათ.

დახოცილთა შორის ქალებიც იყვნენ, კაცებიცა და ბავშვებიც. ბევრი მათგანი *ბოკო-მარუს* პოზაში გაყინულიყო.

მზერა ყველას ქვაბულის შუაგულისკენ ჰქონდა მიმართული, თითქოს ამფითეატრში თავმოყრილი მაყურებელი სცენას მისჩერებიაო.

მე და მონამ მათ გაყინულ მზერას გავაყოლეთ თვალი ქვაბულის შუაგულისკენ. იქ მრგვალი, მოშიშვლებული ადგილი მოჩანდა, ერთი ორატორისთვის ზედგამოჭრილი.

გაუბედავად დავიძარით იქითკენ, ვცდილობდით, გვამების ამ გროვაში ფრთხილად გაგვეკვლია გზა. იმ ადგილზე კარგა მოზრდილი ქვა იდო, მის ქვეშ კი ფარატინა ფურცელზე ფანქრით ნაწერი ბარათი აღმოვაჩინეთ:

„ყველას, ვისაც კი ეს ეხება!
კუნძულ სან-ლორენცოზე ქარიშხლებს გადარჩენილმა ხალხმა ცრუ წმინდანი ბოკონონი შეიპყრო და აქ მოიყვანა. მერე კი ერთხმად მოსთხოვეს, გაგვაგებინე, რა განუზრახავს ყოვლისშემძლე უფალს და ახლა როგორ უნდა მოვიქცეთო. ამ თვალთმაქცმა ხალხს უთხრა: ღმერთს უთუოდ თქვენი დახოცვა მოსურვებია – ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მოაბეზრეთ თავი და ახლა ისღა დაგრჩენიათ, რიგიანად და ღირსეულად აღესრულოთო. როგორც ხედავთ, ისინიც სწორედ ასე მოიქცნენ“.

ფურცელს თავად ბოკონონი აწერდა ხელს.

121

ჩემგან სწრაფ პასუხს ნუ ელით

—ეს რა გათახსირებული ვინმე ყოფილა! – წამოვიძახე გაცოფებულმა. ფურცელი მოვისროლე და კიდევ ერთხელ მოვათვალიერე იქაურობა – იქნება აქვე იმალება-მეთქი.

– აქ არსადაა, – ყრუდ ჩაილაპარაკა მონამ. არც გაბრაზებული ჩანდა და არც – დათრგუნული. ის კი არა, გავიფიქრე კიდეც, სადაცაა, სიცილი აუტყდება-მეთქი. – სულ იმას არ ამბობდა, საკუთარ რჩევებს ცოცხალი თავით არ მივყვებიო?! თავადვე კარგად იცოდა მათი ფასი.

– ერთი დამანახა სადმე... წარმოგიდგენია – გაუბედურებულ ხალხს თვითმკვლელობა ურჩია!

ახლა კი მართლა გაეცინა მონას. მისი სიცილი არასოდეს გამეგონა – უხეშად და დამზაფრავად გაისმოდა.

– რა გაცინებს?

უნდოდ აიჩეჩა მხრები და თქვა:

– მარტივი ამბავია – ბევრისთვის იოლი გამოსავალი.

უცებ მომიტრიალდა და მკითხა:

– რამე რომ იყოს, გააცოცხლებდი ვინმეს? ოღონდ უცებ მიპასუხე, დაუფიქრებლად!

ასე, ნახევარი წუთი ენაჩავარდნილი ვიდექი.

– არ გამოგივიდა! – მითხრა და ისევ აუტყდა სიცილი. თითი მიწას გადაუსვა, წელში გასწორდა, ტუჩებთან მიიტანა და... მოკვდა.

ვიტირე თუ არა? მითხრეს, კიო. როცა იქიდან ისევ გზაზე გამოვედი, უცებ ლოუ ქროსბი, მისი მეუღლე ჰეიზელი და ციცქნა ნიუტ ჰონიკერი შემომეფეთნენ. ქალაქ ბოლივარის იმ ერთადერთ ტაქსიში ისხდნენ, გრიგალს რომ სასწაულებრივად გადარჩენოდა. სწორედ იმათ მითხრეს, გულამომჯდარი ქვითინებდიო.

თავად ჰეიზელიც ტიროდა, ოღონდ – სიხარულისაგან. ვერც კი ვიფიქრებდი, კიდევ თუ გნახავდი ცოცხალსო.

მეც იმავე მანქანაში ჩამსვეს.

ჰეიზელმა ხელი მომხვია.

– ახლა ისევ დედილოს გვერდით ხარ, ნუღარაფერს ნაღვლობ.

თვალები დავხუჭე და ერთიანად მოვეშვი. შვებად მომეჩვენა ამ სქელუას მკერდზე თავის მიდება და მისი ქოთქოთის მოსმენა.

122

რობინზონების ოჯახი

ჩანჩქერის თავზე იმ ადგილას მიმიყვანეს, სადაც ფრენკლინ ჰონიკერის სახლის ნანგრევებიღა იყო. ხელუხლებლად მხოლოდ წყლის ქვემოთ ის გამოქვაბული დარჩენილიყო, რომელიც ახლა ყინულ-9-ის მოთეთრო-მოცისფრო თაღქვეშ მთლად ესკიმოსების იგლუს დამსგავსებოდა.

გადარჩენილთა თემი ფრენკის, ციცქნა ნიუტისა და ცოლქმარი ქროსბისაგან შედგებოდა. თავი ციხე-დარბაზის ერთ-ერთი სარდაფისთვის შეეფარებინათ, რომელიც ჩემს თავშესაფარზე ბევრად ვიწრო და მოუხერხებელი იყო. ქარიშხალი რომ ჩადგა, მაშინვე გამოვიდნენ იქიდან, მე და მონა კი მიწისქვეშეთში კიდევ სამი დღე დავრჩით. ბედად, სასახლის ჭიშკართან უპატრონოდ დაგდებული სწორედ ეს ტაქსი დახვდათ. კარებზე თეთრი ვარსკვლავები დაახატეს, სახურავზე კი – დიდი ასოებით გამოიყვანეს საკუთარი *გრანფალონის* ასოები: ᲐᲨᲨ.

– ის საღებავი იქვე, ჭიკართან დატოვეთ? – ვიკითხე.

– საიდან იცი? – გაიკვირვა ქროსბიმ.

– ვიღაც სხვამაც მიაგნო და მთელი ლექსიც დაათხაპნა ზედ.

მაშინვე არ მიკითხავს, რა ვითარებაში დაიღუპნენ ენჯელა ჰონიკერ-კონერსი და ფილიპ და ჯულიან კასლები. ამაზე რომ ჩამომეგდო სიტყვა, მაშინ მონას ამბავიც უნდა მომეყოლა, ამისთვის კი ჯერ მზად არ ვიყავი.

ჩემი თანამგზავრები რაღაც ძალზე მხიარულობდნენ და მონას აღსასრულზე ლაპარაკისაგან ამანაც შემაკავებინა თავი.

ამ უცნაური მხიარულების მიზეზი ბოლოს ისევ ჰეიზელმა გამანდო:

– ცოტაც მოიცადე და ნახავ, როგორც ვცხოვრობთ. ნაირ-ნაირი საჭმელი არ გვაკლია და თუ მოგვწყურდა, კოცონზე ვადნობთ ყინულს. ნაღდი რობინზონებივით ვართ! ასეც დავირქვით: „ჩრდილოელი რობინზონები!“

123
ამგავი კაცთა და თაგვთა

ერე ერთობ უცნაური ექვსი თვე გავატარეთ ერთად – სწორედ ის დრო, რაც ამ წიგნის დაწერას მოვანდომე. ჰეიზელი მართალს ამბობდა, რობინზონები ვართო: გრიგალსაც გადავურჩით, უკაცრიელ კუნძულზეც დავსახლდით და თანდათანობით ცხოვრებაც ავაწყვეთ. ჩვენს ყოფას ახლა უკვე უოლტ დისნეისეული ხიბლიც კი დაჰკრავდა.

მართალია, არც ერთი მცენარე თუ ცხოველი არ გადარჩენილა, მაგრამ ყინულმა-9-მ იმდენად კი შეინახა სიცივეში მთელი ფლორა თუ ფაუნა, ლუკმა-პურზე ფიქრი არ დაგვჭირვებოდა. სხვა თუ არაფერი, კონსერვების მთელი გორები ვიპოვეთ ბოლივარის ნანგრევებში და რაკი სან-ლორენცოში, ეტყობა, ჩვენ მეტი სულიერი არ დარჩენილიყო, ათი სიცოცხლე არ გვეყოფოდა ამ ყველაფრის ასათვისებლად.

მოკლედ, საკვები სადარდებელი არ გვქონდა, ისევე, როგორც ტანისამოსი თუ თავშესაფარი, რადგან ამინდი მუდამ ერთნაირად თბილი იდგა, ხოლო ვირუსები, ეტყობა, ერთიანად გაწყვიტა ცისფერმა საფარმა. ასე რომ, ახლა ჩვენს ჯანმრთელობასაც არაფერი ემუქრებოდა.

იმდენად კარგად მოვერგეთ ამ ვითარებას, არავის გაჰ-კვირვებია, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჰეიზელმა წამოიძახა:

– რა ბედნიერებაა, კოღოს ჭაჭანება რომ არსადაა!

სამფეხა სკამზე ჩამომჯდარიყო და დიდი მონდომებით კერავდა წითელი, თეთრი და ლურჯი ნაჭრებისაგან ამერიკის დროშას. ნაღდი ბეტსი როსი* იყო, ღმერთმანი. ყველას გვე-ყო იმდენი გულისხმიერება, პირში არ მიგვეხალა მისთვის, ეგ წითელი სინამდვილეში ატმისფერია, ლურჯი – ცისფერი და 50 ხუთქიმიანი ვარსკვლავის ნაცვლად დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავები დაგიქარგავს ზედო...

მისი ქმარი, მზარეულობის თანდაყოლილი ნიჭით რომ გამოირჩეოდა, ახლაც შორიახლოს დანთებულ კოცონზე შე-მოდგმულ რკინის ქვაბს დასტრიალებდა. ის იყო ჩვენი მამა-მარჩენალი – მით უფრო, თავადაც რომ ძალზე ეხალისებოდა ეს საქმე.

– მარტო სუნი მოგაშიებს კაცს! – შევუქე გარჯა.

იმანაც თვალი ჩამიპაჭუნა:

– მზარეულს არ ესროლოთ! რაც შეუძლია, იმას აკე-თებს...

ჩვენი გასაუბრება იმ სახელდახელოდ შეკოწიწებული მორზეს გადამცემის წრიპინის ფონზე მიდიოდა, ფრენკმა რომ გამართა დიდი რუდუნებით; მას მერე არ სცილდებოდა და დღედაღამ მშველელს უხმობდა.

– მოგვეხმა-აარე-ეეთ, გვიი-შველე-ეეთ! – ღიღინ-ღიღი-ნით აყოლებდა ხმას კერვით გართული ჰეიზელი. – მოგვეხმა-აარე-ეეთ, გვიი-შველე-ეეთ!

მერე უცებ მე მომიბრუნდა:

---

* ბეტსი როსი (1752-1836) – ამერიკის დროშის ლეგენდარული შემქმნელი.

– წიგნის საქმე როგორ მიდის?

– მშვენივრად, დედილო! გადასარევად.

– როდის უნდა წაგვაკითხო?

– როცა მოვრჩები, დედილო. მალე დავამთავრებ.

– ისე, ინდიანაში ბევრი ცნობილი მწერალი დაიბადა, რომ იცოდე!

– ვიცი, როგორ არა.

– შენც ერთი იმათგანი იქნები, – გამიღიმა იმედიანად. – სახალისო წიგნი გამოვა?

– მგონი კი, დედილო.

– მიყვარს სასაცილო საკითხავი.

– ეგეც ვიცი.

– აქ ყველას ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს, ერთმანეთს ვავსებთ, ასე ვთქვათ. შენ სახალისო წიგნებს გვიწერ, ფრენკი რაღაც ხელსაწყოებს იგონებს, ციცქნა ნიუტი სურათებს გვიხატავს, მე ვკერავ, ლოუ გვაპურებს...

– ბევრი ხელი საქმეს აიოლებსო, ჩინელებს უთქვამთ.

– ისე, ზოგჯერ ეგ ჩინელებიც მართალს ამბობდნენ ხოლმე.

– კი, ეგრეა. ერთი დრო იმათაც ჰქონდათ.

– ახლა ვნანობ, რატომ არ ვისწავლე ჩინური.

– გარდასულზე ნუ ინანებ, დედილო.

– ნეტა საერთოდ მეტი მესწავლა...

– რაღაც სანანებელი ყველას გვაქვს.

– ახლა რაღა აზრი აქვს მაგას!

– ერთ პოეტს უთქვამს, „კაცნი თუ თაგვნი ნანობენ მეტად: არ მომხდარიყო, რაც მოხდა ნეტა...“

– რა კარგი ნათქვამია, რა მართალი!

124

ფრენკის ჭიანჭველების საბუდარი

როცა ჰეიზელი დროშის კერვას მოამთავრებდა, თურმე ნუ იტყვით და, ის მე უნდა ამეტანა მაკქეიბის მთის წვერზე!

– მე და ლოუ ცოტა უფრო ახალგაზრდები რომ ვიყოთ, ამ საქმეს სხვას არ დავანებებდით, მაგრამ ახლა ისღა დაგვრჩენია, შენ დაგილოცოთ გზა.

– ჩვენში დარჩეს და, ვითომ საუკეთესო ადგილია ეგ დროშისთვის?

– აბა, სხვაგან სად შეიძლება?

– რა ვიცი, მოვიფიქროთ.

მერე მოვუბოდიშე და გამოქვაბულს მივაშურე იმის სანახავად, ფრენკი რით იყო დაკავებული.

ახალი არც არაფერი მოეფიქრებინა – ისევ იმ თავის ჭიანჭველების საბუდარს მისჩერებოდა. ბოლივარის ნანგრევების სამგანზომილებიან სამყაროში რამდენიმე გადარჩენილი ჭიანჭველა გამოჩხრიკა, მერე კი განზომილებების რაოდენობა ორამდე დაიყვანა, როცა ორ შუშას შორის მოაქცია ეს მწერე-

ბი და ცოტაოდენი მიწა. იმ საცოდავებს არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ ისე, ფრენკის მახვილ თვალს რომ გამოჰპაროდა, ის კი იდგა და განმარტებებს იძლეოდა.

მალე გამოირკვა, როგორ ახერხებდნენ ჭიანჭველები უწყლოდ ცხოვრებას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მწერთაგან მხოლოდ ისინი გადარჩენილიყვნენ და ეს იმის წყალობით მოეხერხებინათ, რომ ყინულ-9-ის პაწია მარცვლებს ირგვლივ მკვრივ ბურთად შემორტყმოდნენ. შუაგულში იმდენ სითბოს გამოყოფდნენ, რომ მათი ნახევარი წყდებოდა, მაგრამ ერთი წვეთი ნამის მიღებას მაინც ახერხებდნენ. ნამი წყურვილს უკლავდათ, დახოცილი თანამოძმეები კი – შიმშილს...

– ჭამეთ, სვით, იმხიარულეთ! – დავძახე ფრენკსა და მის პაწია კანიბალებს. – ხვალ მაინც ყველა დავიხოცებით.

მისი პასუხი წინდაწინვე ვიცოდი: ყოველთვის ერთსა და იმავეს მპასუხობდა და იმიტომ. მოჰყვებოდა რაღაც წილადობილას იმის თაობაზე, რამდენი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ ადამიანებმა ჭიანჭველებისგან.

უკვე მეც გაზეპირებულივით მივაგებებდი ხოლმე:

– ბუნება საოცარი რამაა, ფრენკ! მართლა ჯადოქარია!

– იცი, რამ უშველა ამათ? – ლამის უკვე მეასეჯერ მეუბნებოდა, – *თანამშრომლობამ!*

– მაგარია, ვერაფერს იტყვი.

– შენი აზრით, ვინ ასწავლა მათ წყლის ასე მოპოვება?

– და მე მასწავლა ვინმემ ბავშვობაში, როგორ დამეყენებინა გუბე?

– ბოდავ რაღაცას... ეგ რა პასუხია?

– ბოდიში, ბატონო.

– დრო იყო, ხალხის ნაბოდვარს ყურს ვუგდებდი... წავიდა ეგ დრო.

– მოსალოცად გაქვს საქმე.

– მართლა ვისწავლე ჭკუა.

– გვარიანი საფასურიც გადავიხადეთ ამისათვის... – ფრენკისთვის მსგავსი რამეების თქმას წინ არაფერი ედგა – მაინც არ მიგდებდა ყურს.

– დრო იყო, ყველა თავზე მახტებოდა... საკუთარი თავის ფასი არ ვიცოდი და იმიტომ.

– აბა, ახლა რა გენაღვლება, რაც ნაკლები ადამიანი დარჩება დედამიწაზე, ფასიც მეტი დაგედება.

ვითომ წავკბინე, მაგრამ რად გინდა – ხომ ვიცოდი, ამ ჯერზეც ყრუ კედელს ველაპარაკებოდი.

– არა, მითხარი ერთი, ამ ჭიანჭველებს ვინ ასწავლა მყარი ნივთიერებიდან წყლის მიღება? – ჩამაცივდა ფრენკი.

ადრეც არაერთხელ გავუზიარე სრულიად ბუნებრივი მოსაზრება, ღმერთის მეტი ამას ვერავინ მოახერხებდა-მეთქი, მაგრამ ეს არც უარუყვია და არც დამთანხმებია. უბრალოდ, ყოველ ჯერზე უფრო და უფრო გაცხარდებოდა ხოლმე და შეკითხვასაც მალიმალ მიმეორებდა.

მოკლედ, ისევ ბოკონონის წიგნებში ამოკითხულ რჩევას მივდიე და ფრენკს გავერიდე. „ერიდეთ ისეთ კაცს, ვინც თავს არ ზოგავს რაიმეს სასწავლად; სწავლობს კიდეც, და მერე ხვდება, რომ ჭკუა სულაც არ მომატებია... – გვმოძღვრავს ბოკონონი. – მერე კი იმ ხალხს აითვალწუნებს ხოლმე, ვინც მასავით უმეცარია, ოღონდ თითი თითზე არ დაუკარებია ამის მისაღწევად...“

ჩვენი მხატვრის, ციცქნა ნიუტის საძებნელად გავეშურე.

125
ტასმანიელები

ნიუტს გამოქვაბულიდან ასე, სამასიოდე მეტრის იქით დაედგა მოლბერტი და გაპარტახებული მიდამოს პეიზაჟს ხატავდა. დამინახა თუ არა, მთხოვა, ეგებ ბოლივარში ჩამიყვანო, საღებავების მარაგი მითავდებაო. თავად მანქანის მართვა არ შეეძლო – სატერფულებს ვერ სწვდებოდა.

გზას გავუდექით და ცოტა ხანში ვკითხე, ქალი თუ კიდევ გინდება-მეთქი. თავად ძალზე მაწუხებდა ეს ამბავი – კარგა ხანი იყო, სიზმარშიც კი აღარავინ მენახა.

– დრო იყო, სულ ჟირაფივით ქალებზე ვოცნებობდი, – მითხრა. – ახლა კი... თუ ძმა ხარ, ისიც აღარ მახსოვს, ის ჩემი უკრაინელი ჯუჯა როგორ გამოიყურებოდა.

მერე სადღაც ამოკითხული ამბავი გამახსენდა ტასმანიელ აბორიგენებზე, იმ დედიშობილა მოსიარულე ხალხზე, რომლებსაც XVII საუკუნეში, თეთრკანიანებმა რომ აღმოაჩინეს, წარმოდგენა არ ჰქონდათ არც ხვნა-თესვაზე, არც საქონლის მოშენებაზე, არც მშენებლობაზე – ეგ კი არა, ცეცხლის დანთებაც არ იცოდნენ. ასეთი სრული უმეცრების გამო, თეთ-

რკანიანების თვალში იმდენად უბადრუკნი ჩანდნენ, გასართობად მათზე ნადირობაც კი წამოიწყეს ახალმოსახლეებმა – ძირითადად ინგლისიდან გადასახლებულმა კატორღელებმა.

ამგვარ ვითარებაში აბორიგენებს თავიანთი ცხოვრება იმდენად არამიმზიდველად მოეჩვენათ, რომ ნებაყოფლობით აიღეს ხელი გამრავლებაზე.

ნიუტსაც გავუზიარე ჩემი ვარაუდი. ეტყობა, ჩვენც სწორედ ამგვარმა უსასოობამ დაგვრია ხელი-მეთქი.

– აბა, რა გითხრა..., – მიპასუხა მან, – მგონი, საწოლში ქალისა და კაცის ალერსის ჟინი მაინც სიცოცხლის გაგრძელების ჟინს მოაქვს.

– მართალი ხარ. ახლა ჩვენ გვერდით შეღერებული ქალიშვილი რომ იყოს, ჩვენი მდგომარეობა სულ სხვა იქნებოდა. აბა, საწყალი ჰეიზელი იმ ხნისაა, დაუნსაც ვერ შეაცდენს.

დაუნების ამბები ჩემზე კარგად თურმე თავად ნიუტს სცოდნია. თავის დროზე რაღაც საგანგებო, უცნაური ბავშვებისთვის განკუთვნილ სკოლაში უსწავლია და კლასში რამდენიმე დაუნიც ჰყოლია. ახლა ერთი გოგო გაახსენდა – მირნა ერქვა, გონებაჩლუნგი კი ეთქმოდა, თუმცა მართლწერაში პირველი იყო კლასში.

– რას გასწავლიდნენ იმ სკოლაში?

– წესიერად აღარც მახსოვს... მარტო ჩვენი დირექტორი დამამახსოვრდა – თუ რამეს დავაშავებდით, ჩაგვამწკრივებდა, მეგაფონს მოიმარჯვებდა და ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით გვლანძღავდა: „მორჩა, ყელში ამომივიდა ყველაფერი!“

– აი, მეც ზუსტად ეგეთი განწყობა მაქვს.

– სხვანაირი რატომ უნდა გქონდეს?

– მთლად ბოკონონისტივით ჭიკჭიკებ, ნიუტ.

– გიკვირს? რამდენადაც ვიცი, ერთადერთი რელიგიური მოძღვრებაა, ჯუჯებს რომ იხსენიებს.

როცა ჩემსას არ ვწერდი, ისევ და ისევ ბოკონონის წიგნებს ჩავკირკიტებდი, მაგრამ ეტყობა, ჯუჯების ხსენება მაინც გამომრჩა. ახლა კი ნიუტს ვუმადლი, ეს ადგილი რომ მომაძებნინა – ბოკონონისეული მწარე პარადოქსი: „გულისმომკვლელი აუცილებლობაა, სინამდვილეზე დახუჭო თვალი და გულისმომკვლელია ისიც, რომ შეუძლებელია, ბოლომდე მოიტყუო თავი“.

გვეჭყანება ჯუჯა
და გულში მწარედ დაგვცინის...
თავის სიპატარავე
არა კაცმა არ იცის.

126

საყვირები მოგუდეთ, ოღონდ არ გააჩუმოთ!

—Ა რა, მაინც ძალიან დამთრგუნველი მოძღვრებაა, – აღმომხდა უნებურად.

მერე საუბარი უტოპიების სფეროში გადავიტანე – ვარაუდების, შესაძლებლობებისა და ალბათობების სფეროში: რა მოხდებოდა, სამყარო თუ გალღვებოდა...

ოღონდ ბოკონონს ამაზეც კი უფიქრია და უტოპიების თემისათვის საგანგებოდ მიუძღვნია მეშვიდე წიგნი, სათაურით „ბოკონონის რესპუბლიკა“. სწორედ ამ წიგნიდანაა ამოკრეფილი ეს ამაზრზენი გამონათქვამები:

„ხელი, რომელიც აფთიაქებს ამარაგებს, მთელ სამყაროს მართავს!“

„მოდით, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ აფთიაქების, საბაყლოების, გაზის კამერებისა და ეროვნული თამაშობების ქსელი მოვაწყოთ! ამის მერეღა შეგვეძლება კონსტიტუციაზეც ვიფიქროთ“.

ეგ დამპალი ნაბიჭვარი-მეთქი, კიდევ ერთხელ გამოვლანძღე ბოკონონი და სასწრაფოდ შევცვალე საუბრის თემა. ახლა ცალკეული პიროვნების შეგნებულ, გააზრებულ, გმირულ ნაბიჯზე ჩამოვაგდე სიტყვა, კერძოდ, ხოტბა-დიდება აღვუვლინე ჯულიან კასლსა და მის ვაჟს, რომლებმაც ცივი გონებით გადაწყვიტეს, მსხვერპლად გაეღოთ საკუთარი თავი. ჯერ ისევ გრიგალი მძვინვარებდა, როცა ფეხით გაემართნენ ჯუნგლებში, „იმედისა და წყალობის სავანისაკენ“, რათა თავიანთი წილი იმედი და წყალობა გაეზიარებინათ მოყვასთათვის. სიდიადის გამობრწყინებას ვხედავდი იმაშიც, როგორ დაიღუპა საბრალო ენჯელა: ბოლივარის ნანგრევებში ჩარჩენილმა კლარნეტი მოიძია და დაკვრა დაიწყო – არც კი დაფიქრებულა, ამ საკრავის სატუჩეზე ყინულ-9-ის ნამცეცები ხომ არ მოხვედრილაო.

– საყვირები მოგუდეთ, ოღონდ არ გააჩუმოთ! – ჩავილაპარაკე გულდამძიმებულმა.

– რა იცი, ეგებ შენც გამონახო ღირსეული სიკვდილის გზა, – გული გამიკეთა ნიუტმა.

ესეც წმინდა წყლის ბოკონონიზმი გახლდათ.

გავუმხილე, ვოცნებობ, მაკქეიბის მთის წვერზე რაიმე ძალიან სიმბოლური ავიტანო და იქ დავტოვო-მეთქი. მერე მხრები ავიჩეჩე.

– აბა, რა სიმბოლო გინდა მოიფიქრო კაცმა?! დამთავრდა ყველაფერი, მე ლამის უკანასკნელი ადამიანი ვარ დედამიწაზე და ეს კუნძულის უმაღლესი მწვერვალია... უკვე ვიცი, რას მსახურებდა ჩემი *კარასი*, ნიუტ – ალბათ მილიონი წელი მაინც ასწორებდა დღესა და ღამეს საიმისოდ, რომ მე იქ ავეყვანე! – სიმწრით გადავაქნიე თავი და თვალზე ცრემლი მომადგა. – ოღონდ ღვთის გულისათვის, ეგებ მითხრას ვინმემ, მაინც რა უნდა ავიტანო იქ?

უაზროდ გავიხედე მანქანის ფანჯრიდან – მართლაც იმ-დენად უაზროდ, რომ მხოლოდ ერთი მილის მერე გავაცნო-ბიერე: გზის პირას ჩამომჯდარი, ცოცხალი, მოხუცი ზანგის მზერას შევეფეთე. მერე კი დავაგდე სიჩქარე, ბოლოს სულაც გავაჩერე მანქანა და თვალები მოვიფშვნიტე.

– რა იყო? – გაიკვირვა ნიუტმა.

– ბოკონონი იჯდა იქ, გზის პირას...

127
დასასრული

ლოდზე ჩამომჯდარიყო, ფეხშიშველი. ტერფებზე ყინულ-9-ის თრთვილი მოსდებოდა. ტიტველ ტანზე თეთრი ზეწარი შემოეხვია, რომელზეც ცისფრად სასტუმროს სახელი – „კასა მონა“ ამოექარგათ.

ჩვენი მისვლა არც კი შეუმჩნევია. ცალ ხელში ფანქარი ეჭირა, მეორეში – ფურცელი.

– ბოკონონი ხართ? – ვკითხე.

– დიახ. რა გნებავთ?

– ერთი ეს მითხარით, ახლა რაზე ფიქრობთ?

– ბოკონონის წიგნების ბოლო წინადადებაზე ვფიქრობ, ახალგაზრდავ. ბოლო წინადადების დაწერის დრო მოვიდა.

– მერე, გამოდის რამე?

მხრები აიჩეჩა და ფურცელი გამომიწოდა.

აი, რა ეწერა ზედ:

„უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, უთუოდ დავწერდი ადამიანთა სიბრიყვის ისტორიას; უთუოდ ავიდოდი მაკქეიბის მთის წვერზე, იქ გულაღმა დავწვებოდი და ბალიშად ამ

ჩემს ხელნაწერს ამოვიდებდი თავქვეშ. მერე მიწიდან ცოტაოდენ იმ მოთეთრო-მოცისფრო შხამს ავიღებდი, კაცს ქანდაკებად რომ აქცევს და მეც, გულაღმა გაშოტილი, ავად სახედაღმეჭილი და კარგად იცით, ვისთვისაც ენაგამოყოფილი, თავადაც ქანდაკებად ვიქცეოდი!“

გამომცემლობა „დიოგენეს“ სერია „ამერიკელები“ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ოცდამეერთე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის 20 მნიშვნელოვან ტექსტს აერთიანებს. ეს ის წიგნებია, რომელთა გარეშე ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა. სერიის ყველა წიგნი ქართულად პირველად გამოიცემა.

უკვე გამოიცა:

1 ჯონათან საფრან ფოერი სრული გასხივოსნება
2 ფილიპ როთი პორტნოის სინდრომი
3 ჰანტერ ს. თომპსონი ზაფრა და გულისრევა ლას-ვეგასში
4 უილიამ ს. ბეროუზი ჯანქი
5 თომას პინჩონი ლოტ 49-ის გამოცხადება
6 სოლ ბელოუ ჰენდერსონი, წვიმის მეფე
7 სილვია პლათი ზარხუფი
8 ვუდი ალენი თანამდევი მოვლენები
9 ჯოის კეროლ ოუტსი შავი წყალი
10 კურტ ვონეგუტი სარწეველა ფისოსათვის